ქარდა ქარდუხი

ჰერმესის დახლიდარები

გამომცემლობა პალიტრა L

ყდაზე გამოყენებულია
ფოტოგრაფ გოგა ჩანადირის ფოტო
გადაღებულია სპეციალურად ამ წიგნისთვის

სარედაქციო ჯგუფი
ლია თოფურია
სალომე ლომთაძე
მანანა დაუშვილი
ირინა დათაშვილი
ნატალია ახვლედიანი
შორენა დათაშვილი

© ფრიდონ ქარდავა

© გამომცემლობა პალიტრა L, 2020
ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49

238-38-71 book@palitra.ge www.palitral.ge

ISBN 978-9941-32-445-1

დაიბეჭდა შპს „კოლორში“

კონკურსის „გახდი ბესტსელერის ავტორი“ გამარჯვებული

ზრობაშიც და პოეზიაშიც ყველაზე მეტად გამორჩეული, ორიგინალური ხმა ფასობს. როცა ავტორი ახერხებს შეუძლებელს – ხელახლა გამოიგონოს ენა, რომელზედაც რამდენიმე საუკუნე სხვები წერდნენ. ამ უნართან შედარებით უფერულდება ყველაფერი დანარჩენი – სიუჟეტის სხარტად აგების, დახლართვის, უჩვეულოდ მოტრიალების თუ სხვა უნარები. ქარდა ქარდუხი სწორედ ასეთი მწერალია: ლიტერატურულ ტრადიციებში ქექვის, ენასთან თამაშის და ძიების გამოცდილება აქვს. ამ რომანის პირველივე გვერდების გადამფურცლავ მკითხველს ეს ყველაფერი აუცილებლად თვალში მოხვდება.

„ჰერმესის დახლიდარები“ ის სამყაროა, მწერლის მიერ გულდასმით და ოსტატურად ნაქსოვი, რომელში დაკარგვაც ლიტერატურულ სიამოვნებას ჰპირდება მკითხველს.

დავით გაბუნია,
მწერალი, კონკურსის ჟიურის წევრი

ქარდა ქარდუხის მენტორობა დამაბნეველი საქმეა – ის უკვე ჩამოყალიბებული ავტორია, უნიჭიერესი ლიტერატორი, მრავალმხრივი ასპარეზით.

„ჰერმესის დახლიდარები" პოსტმოდერნული რომანია, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, პოსტმოდერნის მიწურულის ტექსტი და მისგან გაქცევის მცდელობაც კი. უამრავი ინტერტექსტი და ალუზია იოლად გვიტყუებს სამყაროში, სადაც ნაცნობი გმირები უცნობ ამბებს გვიმხელენ.

გირჩევთ ჩაუსაფრდეთ ამ რომანს და გამოსვლისთანავე მოინადიროთ.

გიორგი კეკელიძე
მწერალი, ქარდა ქარდუხის მენტორი

„რამეთუ მედინისა ბუნებისა არს კაცი და ჟამსა რღუევისა მისისასა უცნაურობს“.
იოანე პეტრიწი

კამარა პირველი

ჩამოსვლა

გულანშაროში ჩამოსულს პირველად წვეტიან გუმბათზე ჯვარაღმართული მინარეთი ამესალტა თვალწინ – მაღალი, ჯერაც შეულესავი, ნაჩქარევად მიშენებული მეჩეთს, როგორც აია სოფიას მიტმასნილი კოშკურები. აღმოსავლური ზღაპრების სამყაროში გადასროლილს წამიერად გამიელვეს გონებაში კლდის ქიმზე წამომართულმა ციხესიმაგრეებმა, ღრუბლებში გაუჩინარებული გოდოლებით. უშველებელი ბრიტანული ტანკერის კაპიტნის ხიდურის თავზე ათობით ადამიანთან ერთად მოკალათებულმა თავი ნამთვრალევივით შევანჯღრიე, თვალები მაგრად დავხუჭე, ქუთუთოები მოვისრისე, გავახილე და ისევ მივაჩერდი მინარეთს: ნელა მოძრავი გემიდან რამდენიმე წამით ეკლესიის (რომელსაც ნაპირიდან შენობები ეფარებოდა) გოთური კოშკის ჯვარი უცნაურად გაუსწორდა მინარეთის

კოშკის წვერს და ამიტომაც მომეჩვენა, თითქოს მინარეთის თავზე ჯვარი აღმართულიყო.

პირდაპირ ბაღნარიდან იწყებოდა ქალაქი, ყვავილებით გადამშვენებული ნავსადგურით. არც ერთ ჩვენს სანაპიროს არ ჰგავდა. ამწეებიც კი, ოჩანი ცხენებივით რომ იდგნენ და ხანდახანღა აკანტურებდნენ თავს, ყვავილებით იყვნენ მოჩითულნი. ბაღსადგური უფრო იყო, ვიდრე ნავსადგური. ბაქანზე ათი მებაჟე დაგვხვდა და ისეთი გაშმაგებით, მეკობრეებივით შეესივნენ მგზავრებს – ჩანთებს, ჩემოდნებს, ფუთებს ხსნიდნენ და ძირისძირობამდე ჩხრეკდნენ – რომ სწრაფადვე გამომიყვანეს თითქოსდა ზღაპრული ზმანებიდან. მე ამ მხრივ სადარდელი არაფერი მქონდა, უბარგოდ გამოვესწრაფე სამშობლოს. რომც მქონოდა რამე უღელტეხილებით ნაწოწიალებს, მაინც არ წამოვიღებდი: ყველამ ვიცოდით – გულანშაროში არაფერს არ შეგვატანინებდნენ (იარაღს ვგულისხმობ). სწორედაც რომ არ მეხატებოდა გულზე გულანშაროში წამოსვლა, საკენიდან ფოთში ჩასულს, ამის გარდა, კიდევ სამი მიმართულებით მიმავალი გემი დამხვდა. მართალია, სოჭში ცოცხალი თავით არ წავიდოდი, მაგრამ ყირიმსა და ბურგასში კი შემეძლო სიამოვნებით ჩასვლა. თუმცა, ბუნებრივია, გულანშაროსკენ მომავალი ეს ვეებერთელა, ნავთობის ცარიელი ტანკერი ვარჩიე – ჩემი სკოლის მეგობარი, დანიელი, წამოვიდა აქეთ და, რაც მთავარია, ყურმოკრულად ვიცოდი, რომ სერაფიტაც, მამამ ადრევე რომ გახიზნა გულანშაროში, ისევ აქ იყო და იმედი მქონდა, დანიელი მომაძებნინებდა.

ჩემ გვერდით მდგომ, მილასლასებულ, სამოცდაათს მიტანებულ მოხუცს, სახიდან მწუხარებაც

რომ წაშლოდა, ერთმა მაღალმა მეზვერემ, მარცხენა ხელში ჩემთვის იმ დროისთვის სრულიად უცხო, ანტენიანი მობილური ტელეფონი რომ ეჭირა (თუ არ ვცდები, „მოტოროლა 3200“), შავი ნაჭრის დიდი ჩანთა ჩამოართვა, იღლიამდე აკაპიწებული ხელით ჩაიძირა მასში და მთელი შიგთავსი ქვაფენილზე გადმოუბრუნა, როგორც გამოცდილი ყასაბი გააძრობს ხოლმე ტყავს ხეზე უკანა ფეხით დაკიდებულ თხასა თუ სატიკედ შეგულებულ ცხვარს. მთელი საათი გვაყურყუტეს ნავსადგურში, შემდეგ მკერდზე წებოვანი ფურცელი მიგვაკრეს, რომელზეც ნომერი და ის მისამართი ეწერა, სადაც უნდა მივსულიყავით, და გაგვიშვეს.

სანაპიროზე ჩამწკრივებული კაფე-ბარების რიგს დავუყევი. ყავახანები უწყვეტ ჯაჭვს ქმნიდნენ. შედარებით უკაცრიელი ადგილი გამოვნახე, ძელსკამზე ჩამოვჯექი და ჩემ თვალწინ გადაშლილ ხმელთაშუა ზღვის უსასრულო სივრცეს მივაყურადე. ზღვა გასუსულიყო, არ იძვროდა. შორს, ძალიან შორს, ციცინათელებივით ციმციმებდნენ ფარნები მეთევზეთა სიმეტრიულად მიმობნეული ფელუკებიდან. მეც გარინდული გავეხვიე სიბნელეში და, სიჩუმეს შეფარებული, ვარსკვლავებს მივაჩერდი. ცას ჯერაც არ წაშლოდა სახე. მოულოდნელად მთელი ძალით შემოსძახა მუეძინმა. ხმა მინარეთიდან ისმოდა. მეგაფონით გაძლიერებული ბგერები კოშკიდან გამოიჭრნენ და გარემოს მოედვნენ, ერთგვარი იდუმალებით აავსეს სივრცე. განაბულმა მივაყურადე და უცხო ბურუსში ჩავიძირე. უეცრად ეკლესიის ზარები აგუგუნდნენ რალაცნაირი გამეტებით, თითქოს ეჯიბრებოდნენ მუეძინს თუ მეგაფონს. ის-ის იყო მისუსტდა ზარების რეკვა, რომ შორიდან

სასიამოვნო გალობამ მოაღწია ჩემს ყურთასმენამდე. მაშინ ვერ მივხვდი, მაგრამ შემდეგ გავარკვიე, რომ ორფეოსის ტაძრიდან მოისმოდა ორფიკოს ქალთა ქოროს სიმღერა. ყველაფერი იდეალურად კარგად იყო. მაგრამ სამიოდე წუთიც და, მიყუჩდა მეგაფონიდან აღვლენილი ლოცვაც, ზარების ცაში აჭრილი გუგუნიც, ორფეოსის გულში ჩამწვდომი ჰიმნიც... და მწარედ გაისმა ღამის ბარიდან უხარისხო მაგნიტოფონის, ფონოგრამაზე შესრულებული მთვრალების სიღოდა. აზრმიუტანებლად წამოვდექი და გუმანით იქითკენ გავუყევი, საიდანაც ჩემთვის აქამდე უცხო, დიდებული ჰიმნი მესმოდა. ასიოდე ბიჯზე, ლამაზი ქვით მოკირწყლული ვიწრო, შუა საუკუნეების ევროპული ქალაქებისთვის დამახასიათებელი ქუჩით, პართენონისმაგვარ შენობას მივადექი, ანტიკური საბერძნეთის ცნობილ პეიზაჟს რომ გაგახსენებდათ; ოღონდ ეს იყო, ქართული გალავნის მსგავსი ქვის ლამაზი მაღალი ყორე ერტყა გარს. ვეებერთელა კარიბჭე ღია იყო და შიგნით საკმაოდ ბლომად ხალხი ირეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ალბათ შუაღამეს გადაცილებული იყო უკვე. როგორც ჩანს, ახალდამთავრებული ლიტურგიის თუ ღვთისმსახურების შემდეგ ტაძრიდან გამოდიოდნენ. გალავნის მოპირდაპირე მხარეს, ლამაზ ბაღთან, ისე, რომ ნათურების შუქ-ჩრდილებით მომხიბლავად განათებული ტაძარი მქონოდა თვალთახედვის არეში, სკამზე ჩამოვჯექი – სოხუმშიც რომ იყო, იმდაგვარზე, ჩაღრმავებული ფორმა რომ ჰქონდა და მოსასვენებლად მოხერხებული იყო (და რომელთა გაქრობასაც დიდი, ძალიან დიდი ხნის შემდეგ მთავარ ბრალდებად წაუყენებდა ქვეყნის გიჟისთვალება პრეზიდენტს გულანშაროელი

ფერმწერი მახან ტალიში). ოციოდე წუთის შემდეგ ახალგაზრდა ბიჭი და ორი გოგონა გამოვიდა ტაძრიდან; პირდაპირ ჩემი ძელსკამისკენ გამოემართნენ და მხიარული ჟრიამულით ჩამოსხდნენ. „არა, ეს შეუძლებელია!“ – გავიფიქრე გაოგნებულმა და ერთ-ერთ გოგონას, ტაძრის ეზოდან გამოსულმა შუქმა წამით სუსტად რომ გაუნათა სახე, მივაშტერდი; რა თქმა უნდა, ის სერაფიტა არ იყო, მაგრამ მართლაც ჩამოჰგავდა, ან ჩემი დაძაბული ტვინის ხვეულები ამსგავსებდნენ ჩემდა უნებურად იმწამს, და მერეც, დიდი ხნის – ჩემი ამ კუნძულზე ყოფნის მთელი თოთხმეტი წლის განმავლობაში. ბიჭმა შენიშნა ჩემი მოურიდებელი მზერა, პეიზაჟში უნიჭოდ ჩახატული დეტალივით შემათვალიერა და მკითხა:

– თქვენ საიდან ბრძანდებით?

მე უხერხულად გაწელილი დუმილის შემდეგ მივუგე:

– სოხუმიდან.

ეტყობა, არ ელოდა და შეცვლილი განწყობის გამოსახატავად სიგარეტი მომაწოდა. გამოვართვი და მისი სიგარეტიდან მოვუკიდე. ღრმა ნაფაზი საკმაოდ დამამშვიდებლად მოედო ფილტვების კედლებს. ძალიან სასიამოვნო იყო, მეზვერეებთან გულის გამანვრილებელი ჭიდილის შემდეგ ასმაგად სასიამოვნო მეჩვენა ეს ადამიანური თავაზიანობა და ცოტათი დავმშვიდდი.

– ვენდიტორ მასინჯალისკუ! – მითხრა შემდეგ გაღიმებულმა და ხელი გამომიწოდა. – ესენი ჩემი მეგობრები არიან, ლედი ნიმფა და რინადორე წყონდაში.

მაშინ კი მეხამუშა ცოტა ასეთი ოფიციალურობა, მაგრამ მერე და მერე (დროის მეტი რა მქონდა) გა-

ვარკვიე, რომ გულანშაროში გაცნობისას ჩვევა იყო, ახალგაზრდებშიც კი, სახელისა და გვარის სრულად წარმოთქმა. გოგონებმა სალმის ნიშნად გაიღიმეს.

– ოდი, – წარმოვთქვი მე ცოტათი უხერხულად, – ოდი ხვამლიანი, – შემდეგ კი, რადგან დაუძლეველი შეგრძნება გამიჩნდა, რომ დაყოვნებითა და გაჭიანურებით რაღაც დიადს გავაფუჭებდი, მადლობა გადავუხადე სიგარეტისთვის, სკამიდან წამოვდექი, ყველას დავემშვიდობე და გზას გავუყევი. კარგა ხნის ხეტიალის მერე, ძალაუნებურად, ვეებერთელა პალმასთან ჩახუტებული წყვილი დავაფრთხე და უკვე დამფრთხალთ ვკითხე, თუ როგორ უნდა მივსულიყავი სასტუმრო „მულღაზანზარომდე". გაბრაზებულმა ვაჟმა ნაჩქარევად ამიხსნა რაღაც და თითი დასავლეთისკენ გაიშვირა. მეც მისი თითის მიმართულებით გავყევი გზას. ოციოდე წუთში მივაღწიე სასტუმროს, სადაც ათასამდე დევნილი დამხვდა და სადაც კიდევ თოთხმეტ წელიწადზე მეტხანს მომიწევდა ცხოვრება უკან, სამშობლოში დაბრუნების იმედით; თოთხმეტი წელი – რაც მაშინ არც მე და, წარმოიდგინეთ, იქ მყოფ არც ერთ ადამიანს აზრადაც არ მოუვიდოდა. ამ გზით მომიწევდა უამრავჯერ სადღაც ნახეტებულს სასტუმროში დაბრუნება, უამრავჯერ მკითხავდა მთელი თოთხმეტი წლის მანძილზე შეუცვლელად ამ საგუშაგოზე მყოფი პოლიციელი, თუ ვინ ვიყავი, სად მივდიოდი და რატომ მივდიოდი ასე გვიან, სანამ ბოლოს და ბოლოს შემეჩვეოდა, მხოლოდ ხელის აწევით მომესალმებოდა და მანიშნებდა, წადიო.

მერყოფილი დოჟი

როგორც ყველა ქალაქს, ხმელთაშუა ზღვის ამ პატარა, თუმცა მთელ საქართველოზე ერთ-ნახევარჯერ მეტი ტერიტორიის კუნძულ-სახელმწიფოს – პელაზგიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნახევარკუნძულზე გაშენებულ ქალაქსაც ჰყავდა თავისი მერი; როგორც ადგილობრივებმა შემდეგ ამიხსნეს, იგი ამ კუნძულის ყოფილ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან მოსულ პრეზიდენტს თავის დროზე ძალით დაუსვამს ამ ქალაქის მესვეურად, მიუხედავად ადგილობრივი მოქალაქეების ძალისხმევისა და წინააღმდეგობისა, და ვერც პელაზგიის ახლანდელ მიხრწნილ პრეზიდენტს მოეხერხებინა მისთვის რამე. თუმცა ამჟამინდელს მოსვლისთანავე ჰქონია შანსი, მაგრამ უფიქრია, იონიხის – მისი მთავარი უკუმთქმელის და ნახევარკუნძულის მერის დაუძინებელი მტრის – მოსვლას ისევ ეს სჯობს, ჩემს ჭკუაზე მაინც ვატარებო; ის კი არა და, იმის უფლებაც კი მიუცია თავგასული მერისთვის, რომ ამიერიდან საკუთარი თანამდებობისთვის „დოჟი" დაერქმია, რასაკვირველია, მერთან შედარებით წარმოუდგენლად გაზრდილი უფლებებით, რომელიც უკვე მთელი ნახევარკუნძულის თორმეტივე კანტონზე ვრცელდებოდა...

მაგრამ ეს ყველაფერი მერე გავიგე, მერე, როცა ამ ქალაქს ცოტათი მივეჩვიე, როცა უკვე სხვადასხვა ქუჩით შემეძლო სასტუმროში დაბრუნება; როცა უკვე მივხვდი, რომ ყველა ქუჩა ზღვასთან მიდიოდა; რომ ყველა ქუჩა ქალაქის დოჟის, ოდესღაც (მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში) ინგლისის კონსულის ყოფილი სასახლიდან იწყებოდა; როცა ამ ქა-

ლაქის ყველა გიჟი ნაცნობი გახდა, როცა ამ ქალაქის ყველა მწერალი, პოლიტიკოსი, ქურუმი, მღვდელი, მასწავლებელი თუ სხვა ათასი პროფესიის ადამიანი შემეძლო საკუთარი შეხედულებისამებრ განმეკითხა და ამის გამო სინანულს არ შევეწუხებინე.

დანიელი და სერაფიტა

ცხადია, გულანშაროში ჩასვლის მეორე დღესვე დანიელის ძებნა დავიწყე. დევნილებისთვის რამდენიმე სასტუმრო და ერთი ბაღი გამოეყოთ. სამ სასტუმროში ამაო ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, მივაკვლიე. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ცუდ ადგილას, ქალაქის განაპირას და ყველაზე დაფხავებულ სასტუმროში აღმოჩნდა: ამქვეყნიურ სიამეთაგან გეგმაზომიერად თავის დაღწევის უდიდესი ნიჭი გააჩნდა. ორ დასთან და მშობლებთან ერთად, ოთახნახევრიან ნომერში იყო ჩაკუნჭული; სასადილო დერეფნის ბოლოში ჰქონდათ სამ ოჯახს საერთო, ისევე როგორც აბაზანა, ოღონდ – დერეფნის მეორე ბოლოში. თითქმის ორი წელი იყო, არ მენახა, ომს განერიდა თუ განარიდეს მშობლებმა. მეხვეწა, „არ გრცხვენია, ამ ომში როგორ უნდა იომო, ვის დახოცვას აპირებ?! წამოდი, ესტონეთში მივდივარ, გვეხვეწებიან სტუდენტებს, მოგივლით, გასწავლით და მოგხედავთო“. მაგრამ როგორც მას ჰქონდა ყოველგვარი ამქვეყნიური ნივთიერი კეთილდღეობისაგან თავდაღწევის უზადო ნიჭი, ისევე მე – სულიერ სიამეთაგან თავდაღწევის უბადლო ტალანტი, და უცივესი უარი მივუგე; ის კი არადა, ლამის გავიმეტე ბავშვობის მეგობარი, „ახლა რო-

გორ ტოვებ სოხუმს-მეთქი?!“ „ღმერთმა გიშველოსო, – მითხრა, – ჭეშმარიტება, პლატონი და ჯანდაბამდის გზა გქონიაო, – ყურებამდე გაბადრულმა, – არ ვიცი, რამდენად შევძლებთ, მაგრამ წერილი მაინც მოიწერეო...“ – და გაუჩინარდა ბალტიის ზღვის მიდამოებში. სამი წერილის გაგზავნა მოვახერხე, ორის კიდევ მიღება. მერე უკვე აზრი აღარ ჰქონდა, ტამიშთან წყდებოდა სააქაოსთან ყოველგვარი კავშირი, სოხუმის ნავსადგურთან რუსული ფლოტის შიშით ძლივს მომდგარ ხომალდებს კი წერილ-ფოსტისთვის ნაღდად აღარ ეცალათ. ომის შემდეგ მის ოჯახს ტალინში წასვლა ვეღარ მოეხერხებინა და გულანშაროში დამკვიდრებულიყვნენ. აშკარად გაუგებარი კი იყო, მაგრამ დანიელსაც მიეტოვებინა ტალინი და აქვე გადმობარგებულიყო, აქ კი საშინელ პირობებში მყოფნი კვლავ სადღაც გადასვლაზე ფიქრობდნენ, სადღაც რა, მახლობელ კვიპროსში. მე ვუთხარი, „ნანა დეიდა, თურქულ ნაწილში მაინც ნუღარ გადახვალთ-მეთქი“. „რა ვიცი, შვილო, ამას გაუგებ რამესო?“ – დანიელისკენ მიმითითა, ხუმრობით ცდილობდა იმის დაფარვას, რასაც ასე მწარედ განიცდიდა – სინამდვილეში ოჯახის მიზეზით რომ ჩავარდა ასეთ დღეში დანიელი; ის კი ფილოსოფიურად ილიმებოდა, როგორც სჩვეოდა, და სწორედ თურქულ კვიპროსში გადააბარგა მთელი ოჯახი რამდენიმე თვის შემდეგ, თვითონ კი ცალკე ჩემი და ცალკეც უნივერსიტეტის ხათრით დარჩა გულანშაროში. ჰო, ვატყობდი, ყველანაირად გადაჰქონდა სიტყვა შორს, მაგრამ გარდაუვალი იყო და ბოლოს მაინც მითხრა მოჭრით, „შენი გულის ვარდი სამი თვის წინ წავიდა გულანშაროდა-

ნო". აშკარა მწუხარებით მივაჩერდი. „სად, ხომ არ იცი-მეთქი?" – ვკითხე იმედით.

– აბა, მოიკრიბე მთელი შინაგანი ნებელობა! – აშკარად ჩემს გასამხნევებლად ხუმრობდა ამჯერად, კარგად ვიცნობდი საბავშვო ბაღის მეგობარს.

– ამოანთხიე!

– ერთმორწმუნე რუსეთში!

– ფუ, შენი! – აღმომხდა უიმედოდ. ნანა დეიდამ, დანიელის უსათნოესმა დედამ, ღვიძლ დედასავით რომ მიყვარდა (განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საკუთარი, უღელტეხილზე წოწიალისას რომ შემატოვა სამყაროს, გენწვიშში დავმარხე, ხვამლიანების საგვარეულო სასაფლაოზე), თვალი ამარიდა. დანიელის უმცროსმა დამ, თეამ, ასე რომ დაქალებულიყო ორ ნელიწადში, სვიტერი ლამის თვალებამდე აიფხატა. ისიც ხვდებოდა, ეს რასაც ნიშნავდა. სერაფიტას მამა და მამიდა ადრევე იყვნენ სანკტ-პეტერბურგში გადაბარგებულები, გაგრის დაცემის შემდეგ ჭკუა იხმარეს და როგორღაც მოახერხეს იქ ბინის შეძენა. ულამაზესი სერაფიტა შეიძლება უკვე გათხოვილიც კი ყოფილიყო. ხავსს ვეჭიდებოდი, თორემ რა დიდი მისახვედრი იყო, რომ გულანშაროში დიდხანს არ დატოვებდნენ სერაფიტას, მე კი რუსეთში აღარ წავიდოდი, ცოცხალი თავით აღარ მინდოდა იქ წასვლა.

ლეგალური და არალეგალური გულანშარო

ნაცვლად დანიელის რჩევისა, უნივერსიტეტი დამესრულებინა, რადგან ომის გამო მესამე კურ-

სზე შევნყვიტე იქ, საქართველოში, თავიდან მწერალთა გილდიის ძებნას შევუდექი. რა თქმა უნდა, სატელეფონო ცნობარი მოვიძიე და ერთადერთ გულანშაროელ პოეტს, რომლის სახელიც გამეგონა, პროტა შერინასკუს დავურეკე. მაგრამ ჩემი მცდელობა ამაო გამოდგა – გაირკვა, რომ ბატონი პროტა შერინასკუ არ ყოფილა მწერალთა გილდიის მაგისტრი, „უსარგებლია" კუნძულისა და ქალაქის აუტანელი მდგომარეობით, სოციალური, მორალური და სულიერი კრიზისით და პოეტობისთვის თავი გაუნებებია. არ ვიცი, როგორ მოახერხა. ძალიან გამაოცა მისმა ასეთმა საქციელმა, ამდენ გამბედაობას მისგან არ მოველოდი. თუმცა ეს მაშინ გამიკვირდა, როგორ გადაურჩა ადგილობრივთა რისხვას-მეთქი, თორემ მერე და მერე ყველაფერი გაირკვა: მერე და მერე მეგობრებმა მიამბეს, ახლად შეძენილმა მეგობრებმა, რომ გადაურჩა კი არა, ცოტათი ხელიც კი შეუწყვეს თურმე პოეზიასთან გამომშვიდობებაში; ის კი არა და, მწერალთა გილდიის მომავალმა მაგისტრმა, მაჟრა სერვიეტასკუმ, თურმე საკუთარი დანაზოგიდანაც კი უნილადა თანხა (მართალია, სარფიანი სარგებლით, მაგრამ მაინც), რათა ახალგამომცხვარი ვაჭარი ნაეხალისებინა. როგორც შემდეგში გავარკვიე, მას ვაჭრობაში უფრო დიდი სიმაღლეებისათვის მიუღწევია, ვიდრე პოეზიაში. კაცმა არ იცის, ქალაქის დოჟს ბატონი პროტა პოეტად უფრო ერჩივნა თუ ვაჭრად, მაგრამ ფაქტია, რომ სარგებელს ორივე შემთხვევაში ნახულობდა; ის კი არა და, სწორედ ამ საბედისწერო შემთხვევისა თუ პრეცედენტის მერე დახვეწა კიდეც ეს მეთოდი: ვინც მის წინააღმდეგ გაბედავდა არათუ მოქმედებას, ფიქრსაც კი, მწერალთა გილდიის მოქმედი მა-

გისტრის საშუალებით ყოველნაირად ცდილობდა, ვაჭრად ექცია; თუ ვერ გამოუვიდოდა, მაშინ განედევნა მაინც პოლისიდან; თუ ამასაც ვერ ახერხებდა, მაშინ უკვე უკიდურესი ნაბიჯი რჩებოდა და, ძირითადად, ტბის ფსკერისკენ გამოუწერდა ხოლმე მარადისობას, რაც მერე, დიდი ხნის მერე, გახდა ნათელი, როცა დოჟმა ტბის დაშრობა დაიწყო...

მაგრამ ეს მერე იყო, როგორც გითხარით, დიდი ხნის მერე. ახლა კი, ძველ ამბავს რომ მივუბრუნდეთ, სწორედ პროტას საბედისწერო გარდასახვა დანერგა მეთოდად დოჟმა და, ასე და ამრიგად, მას გულანშაროში ჩემი ჩასვლის დროისთვის უკვე მოეხერხებინა, ას ოცდაოთხი მწერლისთვის, ასი მხატვრისთვის და ორასი მსახიობისთვის დაევიწყებინა საკუთარი პროფესია და ისინი ვაჭრებად ექცია. ვაჭრადქცეული მეცნიერების, ჟურნალისტებისა და უბრალო საჯარო მოხელეების რიცხვს არავინ ითვლიდა. სიმბოლურად თუ მართლა პატივისცემის ნიშნად ყოველ მათგანს ჰერმესის ცნობილ სიმბოლოს, კვერთხის ფორმის თექვსმეტგრამიან ოქროს გულსაბნევს ჩუქნიდა; ცნობილებს და გამორჩეულებს თვითონ დოჟი აბნევდა მკერდზე საზეიმოდ, რა თქმა უნდა, ჟურნალისტების თვალწინ, ნაკლებცნობილებს კი – მაჟრა სერვიეტასკუ; რიგითებთან მისი დაცვის სამსახურის უფროსს, ქონდა ქარისკუს მიჰქონდა სახლში. უნდა ითქვას, უსაჩუქროდ არავის ტოვებდნენ და ყველა გულსაბნევი ერთნაირი ღირებულებისა იყო. შემდეგ ეს კვერთხის ფორმის ემბლემა თავისი პარტიის – „პელაზგიის ახალი რენესანსის უნიის“ სიმბოლოდ განამწესა: მაღალი კვერთხი იყო, გაშლილი ორი ფრთით და ტანზე დახვეული ორი გველით, ერთს ქისა ჰქონ-

და გაჩრილი გაღებულ პირში (დოჟი ამტკიცებდა, ღვთიური მადლისა და სიუხვის სიმბოლოაო), მეორეს – აღმოსავლური იატაგანი, ნახევარმთვარესავით მოღუნული, კვერთხის თავზე კი, აქაოდა, სიბრძნეც შევმატო სიმბოლიკასო, ბუს თავი იყო გამოსახული. ეს უკანასკნელი საკუთარი ინიციატივით დაატანინა კუნძულის სახელგანთქმულ მოქანდაკე-არქეოლოგს, ქალბატონ ფრაუ კრუსტახს, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა. მოქანდაკე უმტკიცებდა, ეს ფრთები, არწივისად რომ მოიაზრება, უადგილოდ ჩანს ბუს თავის ფონზეო, მაგრამ ვერ შეასმინა და მოეშვა; ოღონდ ის იყო, ავტორობაზე უარი თქვა და ინიციალები მოაშორა. თავიდან თითქოს არ ეჭაშნიკა დოჟს, კინაღამ ფრაუ კრუსტახის სახელო შეეწირა მის ამ რისხვას, მაგრამ მას მერე, რაც ერთმა სტუმრად მყოფმა უნგრელმა პოლიტიკოსმა, რომელიღაცა რეგიონის, თუ არ ვცდები, ბაჩ-კიშკუნის ადგილობრივი საბჭოს წევრმა (ამ რეგიონთან დაძმობილებული იყო გულანშარო, ხშირად ახსენებდნენ ტელევიზიით და ამიტომაც წამომიტივტივდა სახელი გონებაში) შეუქო, მადლიერიც კი დაურჩა ფრაუ კრუსტახს, ხელფასზე ოცპროცენტიანი დანამატი დაუკანონა, ემბლემა საკუთარ ნაშრომად გაასაღა და ყველგან თავის მონოგრამას ურთავდა – მედალიონებზე კვერთხის ძირში იყო ამოკაწრული ლათინური „E.S“. ის კი, ვინც დოჟის ნებას არ დაემორჩილა, როგორც აღვნიშნეთ, იძულებული გახდა, კუნძულის სხვა ქალაქში გადაბარგებულიყო. თუმცა არსებობდა რამდენიმე ასეული ადამიანი, ვინაც არაფრისდიდებით არ უღალატა პოეზიის, საერთოდ, ხელოვნების მუზებს, არც გულანშარო დატოვა და არც ტბის ფსკერზე მოსა-

ლოდნელ უჩინარ მარადიულობას შეუშინდა. როგორც შემდეგ ამიხსნეს, ამ ნაწილს მოქალაქეებისას არალეგალური გულანშაროელები უწოდა პოეტმა აგათოტეროსმა. სწორედ მათ შორის აღმოვჩნდი ამ ქალაქში, ჩემდა ბედად თუ ჩემდა საუბედუროდ. ეს დაყოფა მთელმა გულანშარომ აიტაცა. ასე გაიყო ქალაქი ორ ნაწილად – ვაჭრებად და შემოქმედებად, უფრო სწორად, შემოქმედებად და ვაჭრებად, რადგან ქალაქი თავიდან სწორედ შემოქმედების, ხელოვანი ადამიანების ხელში იყო. შეიძლება, ეს დაყოფა თუ ასე დაყოფა არ მოგეწონოთ, მაშინ არალეგალურ და ლეგალურ გულანშაროდ მოიხსენიეთ.

მაჟრა სერვიეტასკუ

როგორც გავარკვიე, ახალი მაგისტრი ჩემთვის სრულიად უცნობი პოეტი (აქ პოეტს ვამბობ, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ მას ვაჭრის სახელი უფრო შეეფერებოდა, როგორც შემდეგ ჩემმა მეგობრებმა ამიხსნეს) აღმოჩნდა – ბატონი მაჟრა სერვიეტასკუ, საშუალო ასაკს გადაცილებული, სანდომიანი სახის ჭაღარა კაცი, რომელიც რატომღაც ზედმეტი თავაზიანობით მეპყრობოდა, სულ იღიმებოდა და ამიტომაც მომეჩვენა, რომ ქლესაობა მისი ბუნების შეძენილი თვისება არ უნდა ყოფილიყო. მან თავის კაბინეტში მიმიწვია მას შემდეგ, რაც მომხიბვლელმა და კეკლუცმა მდივანმა თუ ბიბლიოთეკის გამგემ, დაბალმა, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ქალიშვილმა ჩემი მოსვლა მოახსენა. ამით, როგორც შემდეგ გავარკვიე, დიდი პატივი დამდო, რადგან, თურმე, არცთუ ისე იშვია-

თად ყოფილა შემთხვევა, რომ სტუმრების მოსვლას მაგისტრს არ ატყობინებდა ხოლმე. რა თქმა უნდა, მასთანვე წინასწარი შეთანხმებით. ხოლო თუ ატყობინებდა, უფროსის კაბინეტში შესული, საათობით არ გამოდიოდა პასუხის გამოსატანად.

უფერულ და რაღაცნაირად მოსანყენ შენობაში ფრიად გამოირჩეოდა მაგისტრის კაბინეტი, ალბათ გიორგი XIII-ის დროინდელი ავეჯით, რომელიც ბრწყინვალებას მატებდა ოთახს, და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ბატონ მაჟრა სერვიეტასკუსაც იმაზე მეტად სძენდა არისტოკრატულობას, ვიდრე მისივე მცდელობები, ასეთად წარმოჩენილიყო. ის, პირველ რიგში, ჩემი ბედით დაინტერესდა, მკითხა, მარტომ ჩამოვაღწიე თუ არა ამ ბრწყინვალე კუნძულის უმშვენიერეს ნახევარკუნძულზე, ომს როგორ გადავურჩი? რა იყო ომის მიზეზები და ასე შემდეგ. მე, როგორც შემეძლო, მოკლედ ავუხსენი ყველაფერი. თუმცა როდესაც ომის მიზეზებზე ვსაუბრობდი და რუსეთის ფრიად უარყოფით როლზე ჩამოვაგდე სიტყვა, სასწრაფოდ შემაწყვეტინა საუბარი. მაშინ, რა თქმა უნდა, ამის მიზეზს ვერ მივხვდი. მხოლოდ შემდეგ, წლების შემდეგ გავაცნობიერე, რომ ამ პატარა, თუმცა საქართველოზე ერთ-ნახევარჯერ დიდი კუნძულის (რომელიც ხმელთაშუა ზღვაში, ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს, საქართველოდან საკმაოდ შორს, დაახლოებით კვიპროსის სიშორეზე), ამ ქალაქის მწერალთა გილდიის მაგისტრს არ სურდა ამხელა ქვეყნის ბრალეულობაზე ლაპარაკი. მიაჩნდა, რომ ეს ფრიად ეწყინებოდა ქალაქის დოჟს, რომელიც ალბათ მის ყოველ სიტყვას ისმენდა, თუკი დასჭირდებოდა, ან არ ისმენდა. თუმცა ეს შეგრძნება ისე იყო ხალხში

გამჯდარი, რომ ძალაუნებურად ყოველთვის ისე იქცეოდნენ, საუბრობდნენ და ფიქრობდნენ, თითქოს მერის თანდასწრებით იყვნენ და მას ვერაფერს გამოაპარებდნენ. შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს შესაძლებელზე უფრო მეტად ისეთ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელიც უნდა ირწმუნო, ირწმუნო განუსჯელად. და ასეც სწამდათ, ყოველ შემთხვევაში, სწამდა გულანშაროს ლეგალურ ნაწილს, როგორც ადრე ვუწოდეთ, უფრო სწორად, როგორც მას ჩემმა მეგობარმა, გულანშაროს ცნობილმა პოეტმა, გრაფმა აგათოტეროსმა უწოდა, და ასევე ავიტაცეთ ჩვენ შემდეგ.

როცა ბატონ მაჟრას ჩემი „ეპოპეა" წარვუდგინე, ჯერ განცვიფრებულმა შიშით შეავლო თვალი ქაღალდის დასტებს, ათას ფურცლამდე იქნებოდა, შემდეგ კი მკითხა:

– ომზეა?

მე შორს დავიჭირე:

– როგორ გეკადრებათ, ბატონო მაჟრა!

მან თვალები მავედრებლად მომაპყრო:

– ომი ეს-ესაა დამთავრდა, უფრო სწორად, არც კი დამთავრებულა. მე ლიტერატურაში დისტანციურობის თეორიის მიმდევარი გახლავართ. მაშ, რაზეა, დაახლოებით მაინც რომ მიმახვედროთ?

– სიუჟეტი ძირითადად გამოგონილია; შორეულ წარსულში, ელამის ტომის ცხოვრების ფონზეა გაშლილი ადამიანთა ერთი ჯგუფის თავგადასავალი...

– კარგი, კარგი, ორ კვირაში გამოიარეთ და პასუხს მოგახსენებთ.

– დიდი მადლობა, ბატონო მაჟრა, ასეთი გულისხმიერებისათვის და მაპატიეთ, რომ ასეთი მომქანცველი თხოვნით მოგმართეთ!

– როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ... მეტს ჩვენ აქ რას ვაკეთებთ! – მომიგო ყალბი თავაზიანობით, რომელიც გაღიმებას ძლივს ეყო. „არ წაიკითხავს", გამიელვა ფიქრმა, მაგრამ დიდად არ დავღონებულვარ, ამას უკვე მიჩვეული ვიყავი. არათუ სტუმრად, გულანშაროში, არამედ სამშობლოშიც კი ვერ წავაკითხე ვინმეს, მაგრამ ჯიუტი ხვამლიანების შთამომავალი გახლდით და უკან არ ვიხევდი. თან ერთიცაა, სხვა რა უნდა მეკეთებინა, რაღაცით ხომ უნდა გამერთო თავი?

ჰერმესის ქანდაკება

გულანშაროში ჩემს ჩამოსვლას დაემთხვა ქალაქის ტბისპირა პარკის შემოსასვლელში ჰერმესის უშველებელი ქანდაკების აღმართვა, რომელიც, ჩემდა სასახელოდ თუ საუბედუროდ, საქართველოდან მოწვეულმა მოქანდაკემ – ელგუჯა ამაშუკელმა შეასრულა გულანშაროს დოჟის დაკვეთით. როგორც გაირკვა, მოქანდაკის საქართველოდან მოწვევა ყველაზე იაფი ჯდებოდა, თუმცა ადგილობრივი როდენები ცოტაზე მეტად გაბრაზდნენ – ქალაქის დოჟს ეს ქმედებაც მათ წინააღმდეგ გადადგმულ მორიგ დამამცირებელ ნაბიჯად ჩაუთვალეს. სპილენძის ქანდაკება გრანდიოზული იყო. იგრძნობოდა, ავტორს ქვეცნობიერში გაცი და გაიმი რომ უღიტინებდა. რაღაცნაირად, ოთხთავიანი გამოესახა აპოლონის გამცურებელი ღვთაება; ორი სახე ცბიერი, თვალებმოწკურული ჰქონდა, თითქოს ვიღაცას მოტყუებას უპირებდა, ორიც – სევდიანი, მრავლისმეტყველი; წინათაგან განსხვავებით, უწ-

ვერულვაშო, ყმაწვილური, ჩაფიქრებული, შორს, ზღვის დასალიერისკენ მიკარგული მზერით; ერთ ხელში არფა ეჭირა, მეორით მხარზე შემოგდებულ ციკანს იმაგრებდა, აშრიალებულ-აფარფატებული ქიტონის შიგნით პატარა ფრთები მოუჩანდა, ხოლო ქამართან – ქისა. დოჟის განმარტებით, ეს ქანდაკება იმიტომ დაიდგა, რომ გულანშაროში ხშირად იყრიდნენ თავს მოგზაურები, ელჩები, კომერსანტები... და ამიტომაც აუცილებელი იყო მოგზაურთა და შიკრიკთა მფარველის ქანდაკების აღმართვა, რომელიც ქალაქს თავისებურ, ორიგინალურ იერს მიანიჭებდა.

ტკბილქართული მოტივები არ მცილდებოდა გულანშაროდან: მერე, დიდი ხნის შემდეგ, როცა დოჟი განდაქარდა, ქალაქს ახალი ბიჭბუჭები დაეპატრონენ და არალეგალური გულანშაროელები კვლავ არალეგალურ გულანშაროელებად დარჩნენ, ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა, გულანშაროს სიმბოლოდ მედეას ძეგლი დაედგათ, აქაოდა, ბერძენთაგან ლტოლვილმა მედეამ ცოტა ხნით აქ შეაფარა თავიო, მაშინ კი, ჰერმესის დადგმისას, მეგობრები მეხუმრებოდნენ, „შენი ხათრით დადგა მოგზაურთა ღმერთის ქანდაკება დოჟმაო“, თუმცა არავინ აღნიშნავდა, რომ ჰერმესი ოდესღაც პოეზიისა და ხელოვნების მფარველიც იყო. ნეტა თვითონ დოჟმა თუ იცოდა? თუ, იცოდა და სწორედ იმიტომ დაადგმევინა ეს ქანდაკება? ძნელი იყო ამაზე პასუხის გაცემა, კაცმა რომ თქვას, ვის უნდა სცოდნოდა, რა უტრიალებდა თავში პოლისისთავს? ერთი კია – მეგობრები, არ ვიცი, ჩემს დასამშვიდებლად თუ მართლა, თვითონ ქანდაკებას იწონებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში ხელოვნება ალბათ

განვითარებული უნდა იყოსო. თანაც, ეს თავიდან გამოაქანდაკა ცნობილმა მოქანდაკემ ჰერმესის ძეგლი, ხელოვნების ნიმუში, თორემ მერე და მერე, ასობით სხვა უფერული ქანდაკებაც გამოიკვეთა, ჩამოისხა თუ გამოიძერწა, ზოგი ჩამოსული და ზოგიც ადგილობრივი ოსტატების მიერ, მეტწილად – უნიჭოდ და უხარისხოდ შესრულებული. ამ ორფიკოსების კუნძულზე საეჭვო იყო, მოუთმენდნენ თუ არა დოჟს ორფიზმის შეურაცხყოფას: დიონისესა და ევრიდიკეს მისტერიულად შერწყმული ორფეოსის კანონიკური ბომონების ნაცვლად, ასე, ყველა გორაკზე ჰერმესისა თუ მერკურის ქანდაკებების წამოჭიმვა არ იყო ხუმრობა საქმე; ჰერმესისადმი მიძღვნილი, მოდერნისტულად გარდაქმნილი ჰიმნიც კანონიკურ საგალობლად გამოცხადდა გულანშაროს ტაძრებში. რაღაცნაირად, თითქოს გალობითაც სურდა დოჟს, ნახევარკუნძული დანარჩენი კუნძულისგან გამოეცალკევებინა, გულანშაროელების ერთ-ერთ უსაყვარლეს გალობად უნდოდა ექცია, მაგრამ უკვე ყველა ატყობდა, რომ ორფიზმის მთავარ არსს, ყოვლისმპყრობელი ღმერთის იდეას შეურაცხყოფდა. არც იყო ჰერმესი გულანშაროელებისთვის ის ღვთაებრივი სახე, რომელსაც უზენაესად მიიჩნევდნენ.

ალმა ნოვერკა

გილდიაში სტუმრობის შემდეგ უნივერსიტეტის ძებნას შევუდექი. როგორღაც მიმასწავლეს და მერე თვითონაც მივხვდი: ბლომად ახალგაზრდა ირეოდა ლამაზ, ორმოცდაცხრასართულიანი ცათამბჯენის

წინ, რომელსაც ორმოცდამეშვიდე სართულზე უცნაური „ეშმაკის ბორბალი" ამშვენებდა, ცნობილი მოძრავი კაფე სტუდენტებისთვის. ფართო კიბის საფეხურებზე მოკალათებულიყვნენ სტუდენტები, მერცხლები რომ ჩამოსკუპდებიან მავთულებზე, რაღაც ამის მსგავსად. შორიდან შევათვალიერე, იქნებ სადმე იყოს დანიელი-მეთქი, თუმცა ვერ წარმომედგინა, როგორ ვიპოვიდი დანიელს ათასობით გულანშაროელ სტუდენტში. და აქ მოხდა თითქმის სასწაული, რადგან უცებ სოხუმელ ნაცნობს წავაწყდი; უფრო სწორად, მას არ ვიცნობდი, მაგრამ სოხუმის უნივერსიტეტში იმდენჯერ მყავდა ნანახი და შეიძლება, გამარჯობაც კი მქონდა ნათქვამი, რომ აქ უახლოეს მეგობრად წარმოვიდგინე. ეტყობა, მასაც იგივე განცდა დაეუფლა, როგორც კი შემხედა.

– ვახ, ოდი?! – შესძახა და მკლავებში მომიქცია.

– გია, როგორ ხარ? – ვკითხე და დავაკვირდი. ის კოჭლობით მომცილდა ორიოდე ბიჯზე (სოხუმიდანვე კოჭლი იყო, უფრო ზუსტად, დაბადებიდანვე) და დამაკვირდა.

– სოხუმში დროებითი ზავის წინ გნახე.

– მახსოვს, ფილიალის წინ იდექი, მგონი, დათოს ესაუბრებოდი!

– იცი, დათოც აქ არის! – სიხარულით მითხრა. მიუხედავად იმისა, რომ არც დათოს ვიცნობდი ძალიან ახლოს, მაინც გამიხარდა.

– წამო, კურსელებს გაგაცნობ! – მითხრა შემდეგ და უნივერსიტეტის ფოიესკენ გამაქანა. და აქ მოხდა უკვე მეორე სასწაული: ჩემს კურსელებში აღმოჩნდა სამი ნაცნობიც, სწორედ ისინი, რომელთაც პირველი სასიამოვნო განწყობა დამიტოვეს გულანშაროში ჩამოსულს – ვენდიტორი, რინადორე და

ნიმფა. ამ ჯერზე უკვე გოგონები უფრო უშუალონი იყვნენ, რაღაც მისტიკურად ჩათვალეს ჩვენი მაშინდელი შემთხვევითი შეხვედრა, თუმცა ის „მისტიკურობა“, მე რომ დამიარა სხეულში მათ შემხედვარეს, ალბათ ვერც კი წარმოედგინათ. სხვები თავშეკავებული ინტერესით გამეცნენ, მითვალთვალებდნენ, როგორც ნოა-ნოას ეგზოტიკურ მკვიდრს.

უნივერსიტეტში უმრავლესობას ვაჭრები წარმოადგენდნენ, ისევე, როგორც მთელ ქალაქში, მაგრამ მოგვიანებით მეგობრები, ასე თუ ისე, მაინც გავიჩინე, ძირითადად მათ შორის, ვისაც ჯერაც არ გადაეწყვიტა, ვაჭრობის გზას დასდგომოდა თუ პოეზიის მუზებზე ენადირა, ვისაც პოეტობის მონაცემები უფრო მეტი ჰქონდა, მაგრამ ისიც აფიქრებდა, რომ მუზები უკვე გაეულიტათ დოჟსა და მის მომხრეებს, გულანშაროს შემოგარენში მაინც.

ეს ახლა, თოთხმეტი წლის გასვლის შემდეგ ვსაუბრობ მათზე ასე თავისუფლად, თორემ მაშინ, დამიჯერეთ, ძალიან მიჭირდა ერთმანეთისაგან განმესხვავებინა ისინი. რამდენჯერ მომიხდია ბოდიში, რა თქმა უნდა, გუნებაში, იმათთვის, ვინც ვაჭარი მგონებია და სინამდვილეში პოეტი აღმოჩნდა, და იმათთვისაც, ვინც პოეტი მგონებია და ვაჭარი აღმოჩენილა, თუმცა ამ უკანასკნელთათვის – ხმამაღლა. ბუნებრივია, გია, დათო და ის სამეული იმთავითვე მეგობრებად აღვიქვი, და ეს აღქმა გააძლიერა დათომ, რომელმაც ყველანი სტუდქალაქის კაფეში დაგვპატიჟა, ასე ვთქვათ, ერთმანეთის უკეთ გასაცნობად.

კაფეში ახალგაზრდები ბანცალებდნენ მაგიდებს შორის, ერთ კუთხეში გალეწილ ნეტარებაში მორონინენი ლასლასებდნენ, ზოგი ქაღალდის მილაკით

მაგიდიდან ისრუტავდა თეთრ ნეტარებას, ზოგიც გამწარებით ისუნთქავდა სიგარასავით დახვეული კანაფის ბოლს. ამ ქალაქში, როგორც შემდეგ თვითონაც მივხვდი, სრულიად თავისუფალი იყო ნარკოტიკებით ვაჭრობა და მომხმარებლობა – დოუი კარგად უღებდა ალღოს მმართველობის იოლ ფორმებს.

თავისუფალი მაგიდა ვიპოვეთ. მუსიკა ძალიან ხმამაღლა ისმოდა, ჰაერი კვამლით იყო ჩაცისფრებული და როგორც ფანტასტიკური ჟანრის ფილმებში იციან ხოლმე, კოსმოსს მაგონებდა, მელნისფრად დანისლულს. ჩემი აწ უკვე კურსელი ვენდიტორი მარჯვნივ და მარცხნივ ესალმებოდა ხალხს, ზოგს კოცნიდა, ზოგსაც ხელს ართმევდა.

– ვენდი, ჩვენც მოგვაქციე ყურადღება! – ყავის ფინჯნიდან გამოცრა რინადორემ. ოდნავ დაბალი და შავგვრემანი იყო, საკმაოდ ლამაზი, თვალის ერთი შევლებითვე დაგამახსოვრდებოდა, როგორც მე დამამახსოვრდა გულანშაროში ჩამოსვლის პირველი დღიდანვე. თუმცა მაინც ახლოს ვერ მივიდოდა მეორე გოგონასთან – ლედი ნიმფასთან, რომელიც მაღალი და უსაშველოდ ლამაზი იყო; აღმოსავლური, იაპონური და ეგვიპტური ნაკვთების საუკეთესო მხარეები რაღაცნაირად შერწყმოდა მასში ერთმანეთს. უცნაური აღწერა კია, მაგრამ რატომღაც ასეთად დავინახე მაშინ, ზუსტად მახსოვს ის შეგრძნება და განცდა. შეიძლება, სახელის გამოც მომეჩვენა გაცილებით მომხიბლავი, თუმცა ეს შთაბეჭდილება არც მერე გამქრალა, მერე, როცა უკვე ყველაფერი შეიცვალა თუ შეტრიალდა წინაუკმო. მაშინ კი, როცა გამეცნო, თავიდანვე დამყვა ბედისწერისა თუ გარდაუვალი გულგატეხილობის გრძნობა. – ლედი

ნიმფა, – მითხრა ხელმეორედ, ღიმილით, ახლა უკვე საბოლოოდ გასაცნობად, და ხელი გამომიწოდა. მიუხედავად შეცბუნებისა, მაინც მივაქციე ყურადღება მის გრძელ თლილ თითებს, მერე გაღიმებულ, უკვე კურსელებს გადავხედე და რადგან ვერ გადავწყვიტე, ხელზე ამბორი ღირდა თუ არა, მესამე გზა ავირჩიე, „რა თქმა უნდა"-მეთქი წავიბუტბუტე, დაბნეულად ჩამოვართვი საკოცნელად გამოწვდილი ხელი და საკრალურად დავიმგზავრე მისი გამოუცნობი ღიმილი გულანშაროში ჩემი ყოფნის უთავბოლოდ გაწელილი დროის განმავლობაში.

ვენდიტორმა რინადორეს სიტყვებზე თავი მოაბრუნა და გაუღიმა.

– ახლავე, გენაცვა! – მაგიდას გადააწვა, რინადორეს თავი აუწია და ტუჩებში აკოცა.

– ჰე, ასეთები არ იყოს! – თითი დაუქნია ორივეს გიამ. რინადორემ ყურადღება არ მიაქცია და მე შემომხედა.

– ჭიქაში ჩამიხედავთ? – ისე მომმართა, უარს ვერ ვეტყოდი. დაახლოებით ოცდახუთი წუთი ვსაუბრობდი შავ თვალებზე, გრძელ გზაზე, ვიღაცის მონათებულ მზერაზე, ჩუმ ოხვრაზე, სასტიკ ბედზე, საშიშ შეხვედრებზე, საბედისწერო გადაწყვეტილებებზე; მოკლედ, რაც კი მახსოვდა გუმისთისპირა ჩვენი სახლის სამზარეულოში, ჩემი საყვარელი ბებიის, წარმოშობით ესტონელი მარიას სიტყვებიდან, მთელი სამეზობლოს იდუმალი მისანი რომ იყო და ახლომახლო გოგო-ბიჭები და უფროსებიც გაფაციცებით რომ უგდებდნენ ყურსა თუ გულს. სხვები ღიმილით გვისმენდნენ. რინადორეს შავი თვალები კი რაღაცნაირად უძირონი გახდნენ, სახე მშვიდი და

საოცრად იდუმალი გაუხდა, გამჭოლად მიმზერდა. ბოლოს ხელი გამომიწოდა და მითხრა:

– აბა, ახლა ხელისგულზე მიმკითხავე!

– არ შემიძლია! – ტანში გამცრა, ისე მიყურებდა და ისეთი ხმით მთხოვა. – ხელისგულზე საშიშია.

– რატომ? – ღიმილით, ინტერესითა და ცოტათი შურით იკითხა ვენდიტორმა.

– მიდი, მიდი! – შემაგულიანა გიამ.

– რატომ არ შეიძლება? – ახლა ნიმფა ჩამეკითხა ქურუმი ქალივით საკრალურად და თითქოს ცხადად ვიგრძენი, როგორ შეირხა იოდმანგანის ჩონჩხი სადღაც, არმაზისხევის სამარხებში.

– იმიტომ, რომ ხელისგულზე ამოკითხულს შეუძლია ცხოვრებაზე გავლენა მოახდინოს.

– მერედა, მოახდინოს!

მაშინღა მივხვდი, რომ შორს შევტოპე და შევეცადე, უკან დამეხია. ვენდიტორს შევხედე, მერე ნიმფას და სიცილი ამიტყდა. მალე ყველა ამყვა და საშინელი ხარხარი ავტეხეთ. რინადორეც იცინოდა, თან ცდილობდა თავი შეეკავებინა.

ახლა რომ ვიხსენებ, ახლა, როცა უკვე ყველაფერი ჩავლილია, როცა ვენდიტორმა საბოლოოდ ვაჭრობა არჩია, როცა შუაგახლეჩილმა რინადორემ გულანშარო ჩემზე ადრე დატოვა, ხოლო გაორებული ნიმფა სხვა, თითქოსდა ნიმფათა სავანეში გადასახლდა... თუმცა ეს ყველაფერი დიდი ხნის შემდეგ მოხდა. ჰოდა, ახლა როცა ვფიქრობ, მაინც მგონია, რომ მიუხედავად სიცილისა, ყველამ შენიშნა ჩემი დაბნეულობა და შეცბუნება მაშინ.

სოხუმელი სერაფიტა

სასტუმროში მიმავალს, რომელიც უნივერსიტეტიდან ორიოდე კვარტალზე იყო, რაღაცნაირი ჩუმი სევდა წამყვა – სტუდენტებმა ისევ სოხუმში დამაბრუნეს. სერაფიტა, რომლის სახება ისედაც არ მცილდებოდა გონებიდან, უკვე თვალთაგანაც არ მშორდებოდა და ასოცწილ მიბუგავდა გულსაც და ტვინსაც. მამა ისტორიკოსი ჰყავდა და ამიტომ დაარქვა ეს სახელი, რაღაცნაირად კოდი ჩაუდო თითქოს იმთავითვე, ასე დაკარგული რომ ყოფილიყო ჩემთვის, მართლაც ვაება ვაებისა. ჩვენს კურსზე ყველაზე მოკლე და წარმოუდგენლად თხელ კაბას იცვამდა, რომელიც ისე უხდებოდა მის მაღალ თლილ სხეულს, ისე წარმოაჩენდა მას, ეროტიკულობისა და ანტიკური ქანდაკების მშვენიერების ზღვარზე, რომ ჩვენი ხაშურელი კოლეგა ყოველ შესაძლო შემთხვევაში მწყურვალე მზერას ისე ჩამოაყოლებდა, რომ სერაფიტას შეემჩნია. სერაფიტა კი მხოლოდ ეშმაკურად, მაგრამ უმანკოდ გაიღიმებდა ხოლმე. ერთხელ, როგორღაც, ყველას გასაგონად მითხრა: „რა კარგი ბიჭი ხარ, ოდი, რა იქნება, რომ სემინარებს არ მოჰყვე?“ ხაშურელმა კურსელმა სახე ხელებში დამალა და ჩაიღმუვლა: „ვახ, ტო! გოგო რას გეუბნება!“ თითქმის ისე, როგორც „მიმინოში“ მკრტჩიანი ვალიკოს განაჩენის გამოცხადებისას ჩაასომხურებს. ჰო, სერაფიტას ჰქონდა ნიმფასნაირი თვალები, გაგრელს. ამღვრეული ზღვისფერი თვალები ჰქონდა. ახლა კი რუსეთშია... ჯანდაბა! სწორედაც რომ ქაჯეთში წაიყვანა მამამისმა! მე კიდევ საქართველოდან მის გამო გადმოვიხვეწე. თუმცა ერთიცაა – არც შემეძლო ნაკუწებადქმნილ

სამშობლოში დარჩენა. მაგას მერჩივნა, ამ უცხო კუნძულზე ვყოფილიყავი, ამ ქალაქში, ამ დოჟის მიერ გეტოდ ქცეულ ქალაქში.

ძაღლის გვამი

სასტუმროს მისასვლელთან მშენებარე შვიდსართულიანთან, ტროტუარზე, მუქწაბლისფერბალნიანი ძაღლი ეგდო, ეტყობა, მანქანა დაეჯახა. ხახა დაეღო და გადმოგდებული ენის კუთხეში სისხლი დაჰგუბებოდა. თვალი ავარიდე და სასტუმროში შევედი. რაღაც საკრალური იყო: კნუტ ჰამსუნის „მისტერიებისა" არ იყოს, ძველად ამ სასტუმროს ადგილას, თურქული ოკუპაციის დროს, ციხე მდგარა. უცნაური ისტორიების მოყვარულს ეს ამბავი გამიხარდა კიდევაც. ოცდარვასართულიანი სასტუმროს ოცდამეერთე სართულზე მომცეს ნომერი. მარტო ვიყავი ორსაწოლიან ოთახში, რომელიც არცთუ ისე უბადრუკი იყო, ღია ყავისფერი, ალაგ-ალაგ ჩამოხეული შპალერითა და თეთრი ჭერით; იატაკზე მტვრით გაჟღენთილი ხალიჩა ეგო. სამაგიეროდ, აივანი ჰქონდა კარგი. შემდეგში იქ ჰამაკი ჩამოვკიდე და ყველა ახლობელს სანერვიულო გავუჩინე. აშკარად სუიციდისკენ მიდრეკილებად მითვლიდნენ ამ სიმაღლეზე, ქარაფისპირა ქანაობას. ჭვავის ყანაღა მაკლდა. მხოლოდ დანიელი იყო მშვიდად და როდესაც მსტუმრობდა, დაუწერელი კანონი იყო, ჰამაკში ყოველთვის თვითონ მოკალათდებოდა ხოლმე. თუმცა ყოველგვარ თვითმკვლელობაზე ფიქრს დაგავიწყებდა იქიდან გადაშლილი მშვენიერი ხედი: მარჯვნივ ზღვა, მარცხნივ კი – პატარა ტბა;

თავიდან ხელოვნური მეგონა, მაგრამ მერე ამიხსნეს მეგობრებმა, რომ პირიქით, ბუნებრივი გახლდათ, რომელიც ხელოვნურად დააპატარავა ტვინნაღრძობმა დოუმა, თორემ უფრო ფართო ადგილზე ყოფილა გაშლილი, უფრო ბუნებრივად, ალაგ-ალაგ ჭაობის სახით. ამ ადგილების უდიდესი ნაწილი ქალაქის ურბანიზაციას შესწირვია მსხვერპლად, რასაც თურმე დღესაც აპროტესტებს ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია. ტბა მწვანედ ლაპლაპებდა და ლამაზად ირეკლავდა გარშემორტყმული ხეების, ლამაზი აგნისების, ჩრდილებში გამომჭვირვალე მზის სხივების ათინათს. როცა ამ ოთახში შემოვედი, ჩემი ყურადღება კედელზე, ალბათ შავი პომადით გაკეთებულმა წარწერამ მიიპყრო:

„მედო ვარ გულანშაროში
ზებურ მიშველე".

თავიდან დიდად არ მიმიქცევია ყურადღება. მერე და მერე, თითქმის თხუთმეტი წელი ვაკვირდებოდი მას (არ წამიშლია მაშინაც კი, როცა რინადორეს დაჟინებით მცირედით შევალამაზე ოთახის შიდაარსი), მაფიქრებდა, ზებური ითხოვდა შველას და დახმარებას თუ მედო? ან ვინ იყვნენ ეს ზებური და მედო?! ნუთუ ქართველები, ოდესღაც აქ ჩამოსულნი, ალბათ სტუმრად, თორემ ლტოლვილი ნაღდად პირველი ვიყავი ამ ოთახში. წამოვწვებოდი ლოგინზე და როცა მისი ჭრაჭუნი მიწყდებოდა, შევყურებდი კედელს, თან ვფიქრობდი, რა განცდა დაუფლებოდა მედოს ან ზებურს, როცა ამას წერდა კედელზე? დავიჯერო, მართლა ჰქონდა შველის ან იმ ალბათობის იმედი, რომ მედო ან ზებური მართლა ნახავდა ამ წარწერას?!

გრაფინია

ორი კვირის შემდეგ მივაკითხე ბატონ მაურას. კაბინეტიდან გამოდიოდა, დამინახა თუ არა, გაბადრული სახით მომესალმა, საჩქაროდ ჩამომართვა ხელი და დაიძახა:

– გრაფინია აგათოტეროსი! – ცოტა ხანს მიაყურადა, მერე ისევ: – გრაფინია აგათოტეროსი!

ოთახში მაურას მდივანი გამოჩნდა.

– ბატონო მაურა, გრაფინია ეს-ეს არის, მოვიდა და თავის კაბინეტშია! – მოახსენა და მე გამომხედა.

– ძალიან კარგი, აი, ბატონი ოდი მიაცილეთ მასთან! – მერე მარცხენა ხელის საჩვენებელი და არათითით თავი მოიფხანა და თქვა, – ანდა იყავი შენ, მე თვითონ წარვუდგენ! ბატონო ოდი, წამობრძანდით!

პირველ სართულზე ჩამოვედით და კიბის ხელმარჯვნივ, ლურჯად შეღებილ კართან შევჩერდით. მაურამ დააკაკუნა. „მობრძანდით!“ – მოისმა შიგნიდან.

ჩვენ შევაბიჯეთ ღია ცისფრად შეღებილ საკმაოდ დიდ ოთახში.

– გამარჯობა, გრაფინია! – ხელი ჩამოართვა მაურამ ასე ორმოცდაათიოდე წლის სანდომიანი სახის ქალბატონს.

– გამარჯობა, ბატონო მაურა! – გაიღიმა ქალმა და ლოყები შეეფაკლა, ეტყობა, არ მოელოდა მაგისტრის ვიზიტს.

– გრაფინია, გაიცანით, ეს გახლავთ ოდი ხვამლიანი, რომლის ნაწარმოებსაც თქვენ ახლა კითხულობთ.

– ძალიან სასიამოვნოა, ძალიან! – აშკარა სიხარული გამოეხატა გრაფინიას სახეზე და ხელი გამო-

მინოდა. მე, მართალია, არ ვიყავი ჩვეული არისტოკრატებთან ურთიერთობას, მაგრამ იმდენი მაინც მოვახერხე, რომ გრაფინიას ხელზე ვეამბორე.

– თქვენ ისაუბრეთ, მე კი დაგტოვებთ.

– გმადლობთ, ბატონო მაჟრა! – მივადევნე მე დერეფანში გაუჩინარებულს.

– ოდი, დაჯექი, ყავა დავლიოთ, – მომმართა გრაფინიამ.

– არა, არა, გმადლობთ, ნუ შეწუხდებით! – შორს დავიჭირე მე. „წყეული რუსეთი და სოციალიზმი, მთელი ქართული არისტოკრატია რომ არ გადაესახლებინათ და ამოეძირკვათ, ხომ არ იქნებოდა ჩემთვის ძნელი მაღალ საზოგადოებაში ყოფნა“, – გავივლე გუნებაში.

– რატომ? არ გიყვართ ყავა? – გაუკვირდა გრაფინიას.

– არა, ყავა კი მიყვარს...

– ძალიან კარგი! – მითხრა და მაგიდის უჯრიდან ჯერ პატარა სამფეხა ამოაძვრინა, შემდეგ – მშრალი სპირტის ორი ნატეხი, საყავე – ძველებური, წელში გამოყვანილი, ქართული დოქის მაგვარი; საშაქრე – მოცისფრო ფაიფურის ჭურჭელი, და ყავა – ასევე ცისფერი ფაიფურის ჭურჭლით, რომელსაც ერთი ყური ჩამომტვრეული ჰქონდა.

– გრაფინია, თქვენ აქ მთელი არსენალი გქონიათ! – თავი ვერ შევიკავე. გრაფინიამ გულწრფელად გაიცინა, ბავშვური სიცილით.

– ეჰ, რას იზამ, შვილო!.. – მომმართა რალაცნაირი სევდით. – ოდი, აბა, მომიყევი, აქ მარტო ჩამოხვედი?

– მარტო, გრაფინია!

– ოჯახის წევრები? – ალალი თვალებით მიმზერდა გრაფინია.

– ოჯახს, ასე ვთქვათ, გულანშაროში მე წარმოვადგენ, – ვუთხარი. ისეთი ინტერესით მიმზერდა, არაგულწრფელობა არაფრით ივარგებდა, – დედა ომშივე, უფრო სწორად, ომიდან მომავალი გარდამეცვალა უღელტეხილზე, ფილტვების სიმსივნით. მამა ცოცხალია, მაგრამ არ ვიცნობ. სამი წლის ვიყავი, როცა მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ.

გრაფინიას ცრემლი გადმოუგორდა თვალიდან, რამაც ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო; ვიფიქრე, „დააჭირე რა, კბილები ენას!" სწორედ ამ დროს ყავა გადმოვიდა და შიშინით ჩააქრო სპირტის მოიისფრო ალი. „ვაი!" წამოიძახა და გაიცინა, თანაც მოხერხებულად მოიწმინდა ცრემლი. მეც გავიცინე.

– იბრძოდი, ოდი? – ყავა ფინჯანში ჩაასხა და გამომიწოდა.

– არ ვიცი, გრაფინია, – შევხედე, – არც დავჭრილვარ, არც კაცი მომიკლავს და არც ტყვედ ჩავვარდნილვარ.

– ეს აუცილებელია? – გაიცინა მან.

– ჰოდა, ამიტომ ვამბობ, არ ვიცი-მეთქი... – ასეთი საუბრებისაგან ყოველთვის თავს ვიკავებდი, მაგრამ გრაფინიამ როგორღაც ჩამითრია. – მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ომში ვმონაწილეობდი; ასე მგონია, როცა ბრძოლა ვისწავლე და უკვე განვეწყვე ნამდვილი ომისთვის, სწორედ მაშინ დამთავრდა. დამთავრდა თუ დაამთავრეს.

– მე მჯერა, რომ თქვენი პრეზიდენტი, მთელ მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსი რომაა, აუცილებლად მოაგვარებს მაგ საკითხს, – არ ვიცი, ჩემს

დასამშვიდებლად თქვა გრაფინიამ მაშინ, თუ მართლა სჯეროდა. ეს ვერც მერე გავარკვიე, ლამის ორი ათეული წლის შემდეგაც. შეიძლება, კუნძულის მიხრწნილ პრეზიდენტთან შედარებით ჩვენი თეთრი მელა უფრო მხნედ ეჩვენებოდა. მაშინ ჩემი რომანის შესახებ არ გვისაუბრია, მთხოვა, ცოტა მეცლია და ორიოდე კვირის შემდეგ ვწვეოდი.

დიონისოს ტირილი

ლექციებზე ნიმფასა და რინადორესთან ახლოს ვიჯექი. იყო ისეთი ლექციები, რომელთაც, გარდა იმისა, რომ არ ვუსმენდით, სრულ ხმაურსა და საუბრებში ვატარებდით და ლექტორი არას ამბობდა. თუმცა ისეთი ლექციებიც გვქონდა, რომელთაც არ ვუსმენდით, მაგრამ ვერ ვხმაურობდით და ასეთ დროს წერილებით ვლაპარაკობდით. ეს ხერხი ნიმფამ გამოიგონა, უფრო სწორად, ჩვენთან მან გამოიყენა პირველად. ახლა ცოტათი უცნაურად ჩანს, მაგრამ მაშინ ჯერაც არ იყო მობილურების ასეთი ბუმი და არც საშუალება. თავიდან ცნობილი პოეტების ლექსებს ვუწერდით ერთმანეთს, მერე ნიმფამ საკუთარიც გამოურია. შემდეგ ვერც რინადორემ გაუძლო ლექციების არქაულ მოწყენილობას და ჩაგვერთო. არ ვიცი, საიდან გაახსენდა ან სად წაიკითხა, ჩემთვის უცნობი ქართველი პოეტის, მგონი – ჯაშის, ლექსიდან ციტატა დამიწერა: „...ქალო, სირცხვილია, დახარე ქუთუთო, შიშველი თვალები გიჩანს!“ ვერც იმას ვიტყვი, მხოლოდ ეს იცოდა ქართული პოეზიიდან და ამიტომ დამიწერა თუ გულისხმობდა რამეს. მე „ზღვისფერი გაქვს

თვალები...“ დავუწერე. გაეცინა და მითხრა, ვიცნობ ამ მწერალს, „დიონისოს ტირილი“ მაქვს წაკითხულიო. მე სიცილი ვერ შევიკავე. სლავების ისტორიის ოთხმოცი წლის პროფესორმა ძილქუშიდან აღმდგარი მუმიის მსგავსად გამოიხედა სათვალის შუშებიდან, მაგრამ ვერ გაარკვია, ვინ იცინოდა და ისევ დაუბრუნდა თავის გაყვითლებულ ფურცლებს სარკოფაგში.

– რა გაცინებდა? – ერთდროულად მკითხეს ნიმფამ და რინადორემ.

– დიონისოს ტირილი კი არა, ღიმილი!

ახლა რინადორეს გაეღიმა, თვალები ორი თუ სამი წამით დახუჭა და თქვა: – რა მნიშვნელობა აქვს? – მე მხრები ავიჩეჩე, როგორც მერე, დიდი ხნის მერე, როცა მითხრა, რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ხელისუფლება იქნება გულანშაროშიო. ეს მაშინ, როცა დოჟს ვებრძოდით და როცა ვენდიტორს თანაუგრძნობდა ჯერ კიდევ. – რა მნიშვნელობა აქვს, რომანი მომეწონა.

– მეც მომწონს! – ვუთხარი მე, უფრო საუბრის გასაგრძელებლად.

„მულღაზანზაროს“ მცხოვრებნი

ვცდილობდი, „მულღაზანზაროში“ მხოლოდ ღამით მივსულიყავი. თუმცა გიას და დათოს წყალობით მაინც შეიკრა ახლობლური წრე, რომელშიც, ჩვენ გარდა, აფხაზი, ჩვენზე ორი წლით უფროსი გუბაზ გუმბაც შედიოდა. მთელ სასტუმროში სტუდენტები ჩვენლა ვიყავით, ალბათ უფრო ამ ნიშნით შევკარით საძმო. ძირითადად, ჩემს ოთახში ვიკრი-

ბებოდით და ვკამათობდით თუ ვსაუბრობდით ათას რამეზე, ქართველთა ტომების ეთნოგენეზისით დაწყებული – აჯიკის წარმოშობით დამთავრებული. ხშირად მწყინდებოდა ეს თავყრილობები და ამიტომაც ვბრუნდებოდი თავშესაფარში გვიან ღამით.

სასტუმრო თავიდან სავსე იყო ახალგაზრდებით, ეს შემდეგ შემორჩა, წლების შემდეგ, მხოლოდ ჩვენი ოთხეული, ახლობლებიდან მაქვს მხედველობაში, თუმცა მერე დათოც მიჰყვა. მათი უმრავლესობა რუსეთში გადაიხვეწა; ერთადერთი უცხო ენა, რაც უმეტესობამ იცოდა, ხომ რუსული იყო და ამდიდრებდნენ რუსულ ბიზნესს, გენს, ეკონომიკას, კრიმინალებს და ასე შემდეგ. თუმცა საინტერესო იყო – როცა წლების შემდგომ ვხვდებოდი მათ, უმრავლესობას მაინც სიძულვილი თუ არა, ზიზღის გრძნობა ჰქონდა რუსეთისადმი. ადრე ეს განწყობა მხოლოდ ხელისუფლებისადმი თუ იყო, ახლა უკვე მთელ ქვეყანას ეხებოდა... შორს გამიტყუა სიტყვამ, იმას ვიხსენებდი, თავიდან ახალგაზრდები ბევრნი ვიყავით-მეთქი. ჩემთან იკრიბებოდნენ. მხოლოდ რამდენიმეთვიანი მცდელობის შემდეგღა მოვახერხე, რომ განვმარტოებულიყავი, როცა თავშესაყარმა უკვე ძალაუნებურად ირაკლის ოთახში გადაინაცვლა: აქ იყვნენ ძმები ჩიტაიები, თემური და ბადრი; დაბალი თემური, მუდამ გიტარით და მაღალი ბადრი, მუდამ ბანქოთი ხელში; ბადრი, რომელიც ოთახის კუთხეში მოკალათდებოდა იატაკზე, ბიჭებთან ერთად, და მუდამ ქუჩურ გაგებაზე დავობდა ნემსასთან, კანონიერი ქურდობის მთავარ კანდიდატთან (როგორც თავად ნემსა თვლიდა). წლების შემდეგ, მერე, დიდი ხნის მერე, როცა ბადრი უკვე თბილისში იყო, ნემსა გულანშაროელი პო-

ლიციელების მთავარი დოსტი გახდა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად მაინც „შავად" ითვლებოდა. იყო შემთხვევა, მათი კამათის შემყურეთ გვიფიქრია, ახლა დასცხებენ ერთმანეთსო, მაგრამ სიტყვიერ დავას არასოდეს გასცილებიან. აქვე იყო ცქვაფაც, მაღალი, თხილის ჯოხივით წვრილი, თვალის კაკლები მუდამ მაღლა რომ ჰქონდა გაქცეული; და ყველასგან გამორჩეული კაჭა – ჩემი, გიას და დათოს ჯოკერის პარტნიორი, უფრო სწორად, გიას პარტნიორი, დათოსა და ჩემ წინააღმდეგ. გუბაზი არ თამაშობდა ბანქოს, ჩვენზე მეტად იყო სწავლით დაკავებული, ჩვენ კი რაღაცნაირად გულს ვეღარ ვუდებდით. კაჭა ჩვენზე გაცილებით დიდი იყო, ოცდათხუთმეტის ალბათ, ბავშვივით გულღია, სიმაღლითაც ვერ დაიკვეხნიდა, ალბათ მეტრი და ორმოცი თუ იქნებოდა, სმა უყვარდა ძლიერ და შემდეგ თავსა და, ბუნებრივია, გრძნობასაც კარგავდა. ამიტომაც თავიდან საშუალოდ კვირაში ერთხელ იცემებოდა ხოლმე, შემდეგ ნელ-ნელა მიეჩვივნენ ბიჭები და იშვიათად თუ სცემდნენ, ისიც ცქვაფას წყალობითა და ინტრიგებით. ჩვენმა საძმომ რამდენჯერმე გადაარჩინა ცემას, მაგრამ ეს საერთო ჯამში არაფერს ნიშნავდა, თანაც ხშირად ბიჭებიც აღარ გვეპუებოდნენ; კაჭას ჰქონდა ბუნებრივი ნიჭი, სიმთვრალეში – რა თქმა უნდა, ადამიანის ფსიქო-ნერვიული სისტემა დაძაბულობის მწვერვალზე შემოესროლა, ამას დამატებული გინებების ცით მომადლებული პოეტური ტალანტი (ერთხელ ცქვაფას, სხვა რამესთან ერთად, სახლის ჭერხოზე დაბუდებული მერცხლის გენიტალიებზე შეაგინა). მე თვითონ შედარებით ახლო ურთიერთობა დათოსთან მქონდა. გუბაზი თავისებური კაცი იყო, უიშვიათესი თვისება გააჩნდა

ადამიანებთან გულთბილი, გულითადი და სწრაფი ურთიერთობის დამყარების, რაც, ეტყობა, ცოტათი მაღიზიანებდა, რადგან ხშირად ვიჭერდი ყალბ სიტუაციებში; შემდეგ ცოტა ხანს ვაჭრობას მიჰყო ხელი, მერე საქართველოში დაბრუნდა და, როგორც გიასგან გავიგე, საკმაოდ მაღლა ასულა აღმასრულებელი ხელისუფლების სრიალა კიბეზე. ერთხელ თუ ორჯერ იყო მას შემდეგ გულანშაროში, მაგრამ არ ვუნახივარ, ალბათ ის ბავშვური მგზნებარება ახსოვდა, ჩვენი საძმო რომ გამოირჩეოდა, ფიციერით რომ გვქონდა – თავი შეგვეწირა თუ გვეძღვნა პარნასელი დებისთვის და თავს რაღაცნაირად დამნაშავედ გრძნობდა და არ უნდოდა გახსენება...

თვითონ გია ასევე განსაკუთრებული ფიგურა იყო. როგორც ჩანს, ცოტათი დაღი დაასვა კოჭლობამ, თუმცა პრაგმატულობას – მის მთავარ თვისებას – მაინცდამაინც კოჭლობას ვერ დავაბრალებ. ერთი კია, რომ თავის თავს არ მალავდა და ეს უთუოდ მატებდა ღირსებას. ყველაზე ახლოს გუბაზთან იყო. გიაზე საუბარს, უფრო სწორად, მის დახასიათებას ერთი ასეთი შემთხვევის გახსენებით დავამთავრებ: „ერთხელ კუნძულის დედაქალაქში რომ მივემგზავრებოდიო", თვითონ მომიყვა, „მატარებელში ერთი პოეტი დამემგზავრა და რომ გამიცნო, მკითხა, ოდის ხომ არ იცნობო. მე ვიცოდი შენი ურთიერთობა არალეგალურ გულანშაროელებთან და, არა-მეთქი, ვუთხარი. შემდეგ იმდენი გაქო, თურმე შენი მეგობარი ყოფილა და ვინანე, მაგრამ სიტყვას უკან ხომ არ წავიღებდიო". თანაც ამას სრულიად გულწრფელად მიყვებოდა. მოკლედ, დაახლოებით ასეთი იყო გია. არც მწყენია მაშინ მისი ნათქვამი, ერთი ის იყო, რომელ ჩემს მეგობარს შეხვდა მატა-

რებელში, ისღა მაინტერესებდა, სახელი ვერაფ-
რით გაიხსენა და ვერც რამე განმასხვავებელი თუ
მისახვედრი ნიშანი მოიგონა. შეიძლება, არც იყო
არალეგალური გულანშაროელი, ახლა რომ ვფიქ-
რობ. ხანდახან, თუ კარგ განწყობაზე იყვნენ, გო-
გონებიც გვსტუმრობდნენ ხოლმე: ტყუპი და, ია
და თეა ბჟალავები. სილამაზით განსაკუთრებით ია
იპყრობდა ყურადღებას, სასტუმროში გამორჩეული
იყო ინგლისურის ცოდნითაც; კელასურელი თამუ-
ნა, რომელსაც ასპირანტურა ახალდამთავრებული
ჰქონდა, როგორღაც მოახერხა და დოჟის საგარეო
საქმეთა მინისტრის თარჯიმნადაც მუშაობდა კარ-
გა ხანს, სანამ დის ქმარმა არ უშველა მერე და არ
წაიყვანა კუნძულიდან; ნინო სკვამსკუა სამი წლით
იყო თამუნაზე უფროსი და გოგონების, ასე ვთქვათ,
მეთაურად მიგვაჩნდა ჩვენს წრეში; და კიდევ სხვე-
ბი, ერთად ალბათ ათამდე. ბუნებრივია, როცა გო-
გონები შემოგვიერთდებოდნენ, უფრო მხიარულ-
ნი და ხალისიანნი ვიყავით, ვივიწყებდით კიდევაც
დევნილობასაც და უბედურ სამშობლოზე დარ-
დსაც. ჯერ ის რად ღირდა, რომ მათი გამოჩენისას
თემური გაათმაგებული ენერგიით იწყებდა გიტა-
რაზე უკვე სიმღერასაც. სიგიჟემდე უყვარდა ნი-
ნო, მაგრამ უიმედოდ, ცალმხრივად – ნინო მასთან
ურთიერთობისას მხოლოდ სიმღერით ტკბობითღა
შემოიფარგლებოდა. მართლაც სძენდნენ ხიბლსაც
და აზრსაც გოგონები ჩვენს შეკრებებსაც და მთლი-
ანად სასტუმროსაც, მაგრამ საკმაოდ სწრაფად და-
იფანტნენ, მაინც წავიდნენ კუნძულიდან, უფრო
მშობლების დაჟინებით, რადგან შესამჩნევი უტიფ-
რობითა და მიზანდასახული სიჯიუტით იქცეოდ-
ნენ სასტუმროსთან მოჯგროვილი, დოჟის პირადი

დაცვის – უძინართა ლეგიონის – წევრები, რამდენიმეჯერ შეხლა-შემოხლამაც მოგვიწია მათთან. და შორსმხედველმა მამებმა კუნძულს სასწრაფოდ გაარიდეს შვილები.

ქალბატონი ასპასია

ორი კვირის თავზე დიდი ხნის ნაცნობივით შემხვდა გრაფინია. პირველ რიგში, მხცოვან ქალბატონთან, პოეტ ასპასია თინშურიშთან წარმადგინა. მერე, დიდი ხნის მერე, ისიც გავიგე, რომ სწორედ ეს ქალბატონი უყვარდა მიმა ულარიშის, მოხუც პოეტს, რომელიც მთელი ცხოვრება მწერალთა გილდიაში შესვლისთვის იღვწოდა და თან ასპასიას უწერდა ლექსებს. მხცოვანი ქალბატონი, ალბათ ოთხმოცს მიტანებული, ღიმილით მომესალმა და მკითხა:

– ყმაწვილო, რატომ არ ცდილობთ ნოველების წერას, პატარა მოცულობის ნოველების წერას? გავიგე, დიდი რომანი დაგიწერიათ.

ცოტათი გავღიზიანდი, თუმცა არ შევიმჩნიე და შევეცადე ხუმრობით მეთქვა:

– ქალბატონო ასპასია, ხომ მოგეხსენებათ, ნოველების წერას დიდი პროფესიონალიზმი და გამოცდილება სჭირდება, ამიტომ ისევ რომანებზე ვარჯიში ვარჩიე.

ასპასიას სახე გაებადრა და, ჩემდა გასაოცრად, ისე კეთილშობილურად გამიღიმა, შემრცხვა ჩემი წეღანდელი სულმდაბალი ბრაზის.

– ოდი, ზეგ საღამოს ახალგაზრდა შემოქმედთა საღამოს ვაწყობთ! – შემომხედა გრაფინიამ და დამაკვირდა: – აუცილებლად შენც უნდა გამოხვიდე!

– მე, მე რატომ? – გონს ვერ მოვეგე უცებ, რატომღაც მომეჩვენა, რომ დრო გაჰყავდა და ჩემს ნაწარმოებზე არ სურდა საუბარი. – რომანი წავიკითხო?

– არა, რომანი რატომ, ისე ისაუბრებ. შენს ტოლებს გაგაცნობ, არ გაინტერესებს გულანშაროელი ახალგაზრდების შემოქმედება? – ისე გულწრფელად მკითხა, უკვე მეორეჯერ შემრცხვა წინანდელი ფიქრების და ფარული აგრესიის.

– არა, როგორ არ მაინტერესებს?!

– ჰო, მართლა, ოდი, შენს რომანს ახლა აკადემიის გოგონები ეწაფებიან! – გაიცინა გრაფინიამ.

– ეს როგორ? – ჯერ გამიკვირდა, შემდეგ გამიხარდა.

– ჩემი მეზობლები არიან, მესამეკურსელები, ბიძაშვილები. შემთხვევით დაინახეს, რომ ვკითხულობდი და წამართვეს. ისე მოეწონათ, რომ აღარ მიბრუნებენ. ასე რომ, ისინიც იქნებიან და აინტერესებთ შენი გაცნობა.

„სპილია“

განვიმებისპირა საღამო ხანს დანიელმა და მე სარდაფში მოწყობილ კაფეში ჩასვლა გადავწყვიტეთ. „სპილია“ ერქვა, არც ძვირი იყო და თანაც არალეგალური გულანშაროს თავშესაყრელ ერთ-ერთ უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენდა. პირველად გრაფინიამ წამიყვანა და თითქმის

ყველა იქაური მუდმივი ხშირი სტუმარი გამაცნო. არ ვიცი – გრაფინიას, ჩემი დევნილობის თუ ორივე ამ ჯილდოს წყალობით, ყველამ გულღიად მიმიღო. მე კი დანიელი გავაცანი შემდეგ ყველას და მასაც ძალიან მოსწონდა აქაურობა, რატომღაც „ამრას“ მაგონებსო, მეუბნებოდა. არადა, „ამრა“ „სპილიას“ ნამდვილად არ ჰგავდა; ინტერიერიც ისე მოეწყო მის დიასახლისს, მადამ თილიკოსს, ახალი ათონი უფრო გაგახსენდებოდა. ეს ტავერნა, დუქანი, სალონი თუ კაფე – რა ვიცი, ვერც ერთს ვერ დაარქმევდი ერთმნიშვნელოვნად – ცალკე სამყარო იყო თითქოს; დოჟის ფეხისკაცებიც უფრთხოდნენ და მაინცდამაინც აღარ ეტანებოდნენ; მათაც კი ძრწოლას ჰგვრიდა ამდენ ხელოვან ადამიანთა შორის აშკარად თეთრი ყვავივით მაგიდასთან წამოსკუპება. თან, ძირითადად, კლასიკური მუსიკის ჰანგები ჟღერდა. მადამ თილიკოსს განსაკუთრებით ოფენბახის „ორფეოსი ჯოჯოხეთში“ უყვარდა და ხშირად ვატარებდით საათებს მის ფონზე.

იმ დღეს კაფე საკმაოდ ცარიელი იყო, თითქმის ცარიელი. ფანჯარასთან, განაპირა მაგიდასთან მარტოდმარტო იჯდა პოეტი ელეაზარ ეზოტატოსი. მასთან ერთხელ უკვე წარმადგინეს ჩემმა ახალგაცნობილმა მეგობრებმა, მაგრამ არ ვიცოდი, ვახსოვდი თუ არა. მაინც მივედი:

– გამარჯობა, ბატონო ელეაზარ!

სათვალის შუშებიდან ამომხედა და ჩემთვის მოულოდნელად გამიღიმა:

– ოო, დაბრძანდით, ბატონო ოდი, დაბრძანდით!

მე მის მოპირდაპირედ დავჯექი, მანამდე კი დანიელი წარვუდგინე. გაუღიმა და „სასიამოვნოაო“, თქვა, „მიყვარს მხატვრებთან ურთიერთობაო“,

დასძინა შემდეგ ნამდვილად გულწრფელად. ხათრისთვის რამეს თქმა ისედაც არ უყვარდა ელეაზარს. სამერცხლული ფანჯრის ზედა მეოთხედიდან ტროტუარი მოჩანდა და მართლაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჩაძირული ვიყავით, თანაც ეს გრძნობა უფრო ათმაგდებოდა, როდესაც ქუჩაში ვინმე გაივლიდა და მხოლოდ ფეხსაცმელი გაიელვებდა.

ელეაზარი ერთი შეხედვით პირქუში, მკაცრი და სიტყვაძუნწი მოგეჩვენებოდა და იყო კიდევაც, მაგრამ უფრო ახლოს რომ გაიცნობდი, მიხვდებოდი, რომ მის სიმკაცრესა და პირქუშობაში ბავშვური მორცხვობა და მოკრძალებულობა იმალებოდა. თუმცა ყველას როდი უწევდა ამის მიხვედრა, ამას არალეგალური გულანშაროს მცირედი ნაწილიღა მიხვდა, რომელთა შორისაც გვხვდა პატივი, მოვხვედრილიყავით.

კაფეს დიასახლისმა, მადამ თილიკოსმა, ყავა მოგვართვა, თან ფული არ გამომართვა. მე თავი უხერხულად ვიგრძენი, მაგრამ მადამ თილიკოსმა, თითქოს ჩემი უკმაყოფილება არც კი შეუნიშნავს, უკვე ელეაზარს მიმართა:

– ბატონო ელეაზარ, გაიმეორებთ?

– დიახ, თუ არ შეწუხდებით! – მიუგო ელეაზარმა და გაიღიმა. თავიდან ვერ ვხვდებოდი, მაგრამ მერე უკვე გონებიდან ვერ ვიცილებდი გოეთეს ერთ პორტრეტს, რომელსაც ელეაზარი ძალიან მაგონებდა: თეთრი, უკან გადავარცხნილი, ლომის ფაფარივით გაშლილი თმებითა და მოღუშული სახით.

– ბატონო ელეაზარ, – მივმართე მე, – თქვენს ერთ სონეტში, „სამყაროს სუბსტანცია" რომ ჰქვია, ერთმა ფრაზამ ძალიან დამაინტერესა. ახლა ფრაზა

ზუსტად არა, მაგრამ აზრი მახსოვს: სამყაროს წარმოშობას რომ აღწერთ, პირველ არსად არა სიტყვას, არამედ სიყვარულს წარმოაჩენთ. – გაკვირვებული მიმზერდა. მე განვაგრძე: – და ამ შემთხვევაში სუბიექტი სად უნდა ვიგულისხმოთ? უფრო სწორად, იმის თქმა მინდა, რომ, მე მგონი, მარადიული მომქმედი არ ჩანს-მეთქი, ან მე ვერ ვიპოვე...

– ჰოო, კარგია, რომ ამას ჩაუფიქრდი, – შევატყვე, გაუხარდა ამ საკითხზე ყურადღების მიქცევა, – შენ რასაც ამბობ, ის მე ორფიკოსებისგან მაქვს აღებული, სწორედ ისინი მიიჩნევდნენ პირველწყაროდ სიყვარულს, რომელმაც ღმერთს ყოველივეს შექმნა შეაძლებინა. გახსოვს, ბიბლიაში, ახალ აღთქმაში, იოანესთან ვხვდებით, რომ სიტყვა იყო პირველად, მაგრამ რომ არ ყოფილიყო სიყვარული, ის სიტყვა აღარ დაიძვროდა ალბათ რაიმეს შესაქმნელად.

ელეაზარმა აქ შეისვენა, ყავა მოსვა და მერე განაგრძო:

– ეს არის ჩემეული ხედვის ერთი ასპექტი, რომელიც ამ სონეტში აისახა. რაც შეეხება ღმერთს, იმ სონეტში, ისევე როგორც სხვაგან, ის არ ჩანს, თუმცა არის ძიება – „სად არის იგი" – რეფრენად რომ გასდევს. „სად არის იგი" – ეს არის კითხვა მარადიული, მარად საძებრისის.

– ეს რეფრენი მახსოვს, მაგრამ უფრო სული ვიგულისხმე მასში, ვიდრე ღმერთი.

– გეთანხმები, ოღონდ სული – არისტოტელესეული ერთის გაგებით, რაც უახლოვდება ღმერთის პერსონიფიცირებას ერთთან.

– როცა უმაღლეს ერთს ამბობთ, ბატონო ელეაზარ, რას გულისხმობთ? პროკლესეულ ერთს თუ არისტოტელესეულს? – მეტი ვერ მოითმინა დანი-

ელმა და მთელი სერიოზულობით შეეკითხა. – ბატონო ელეაზარ, იმიტომ გეკითხებით, რომ ქართველმა მეცნიერმა იოანე პეტრიწმა პროკლეს ნაშრომის თარგმანის კომენტარებში ფაქტობრივად შეარიგა პლატონიზმი ქრისტიანობასთან. პროკლე, თავის მხრივ, სწორედაც ფსევდო დიონისე არეოპაგელს ეყრდნობოდა, დიდი ალბათობით, სწორედ ქართული წარმოშობის მკვლევარს – პეტრე იბერს, მათ საკმაოდ ასხვავებს ერთმანეთისაგან.

მისი ბოლო გამონათქვამი კარგად ვერ გავაცნობიერე, ცოტათი არეულად ამბობდა, აშკარად ღელავდა, ახალწაკითხული ჰქონდა პროკლეს კომენტარები. როცა ელეაზარის შესახებ მოვუყევი სამი თვის წინ, ისე ვიყავით ორივენი აღფრთოვანებული, რომ საჩქაროდ მონახა საჯარო ბიბლიოთეკაში პლატონის ნაშრომების სრული, 30-ტომიანი გამოცემა, პირველი ორი ტომი და პეტრიწის ნაშრომების ორტომეული გამოიტანა ეგრევე და ამიტომაც ჩააცივდა ახლა, მაგრამ ელეაზარმა მშვენივრად გაიგო მისი აზრები, როგორც ჩანს.

– ჩვენი რელიგია, როგორც იცით, ორფიზმია. მართალია, მე დიდად ვერ დავიკვეხნი, ღრმად მორწმუნე ვარ-მეთქი, თუმცა ვეგეტარიანელობით ვუმაგრებ ზურგს... – თავისებურად ძლივსშესამჩნევად ჩაიღიმა. – გულანშაროელები, დანარჩენი პელაზგიის მსგავსად, როგორც ორფიზმის მიმდევარნი, ვეგეტარიანელები იყვნენ, მაგრამ საბჭოთა და მანამდე თურქული ოკუპაციის გამო, ძირითადად, მხოლოდ არალეგალური გულანშაროელები იცავდნენ ამ მარხვასა თუ წესს, ლეგალურები კი არღვევდნენ ზნეს და ხორცსაც ჭამდნენ და ჩვენს სულსაც ხანდახან. მოკლედ, ჩვენი მთავარი რე-

ლიგიური წიგნი პროკლეს ორფეოსის ტრაქტატია, ორფიკულ ჰიმნებთან ერთად, ასე რომ, რა თქმა უნდა, ჩემს პოეტურ ქვეცნობიერს მაინც პროკლე ამარაგებს. პეტრინი კიდევ თქვენებური კი იყო ეროვნებით, მაგრამ ჩვენი უფროა, ხომ იცი, ასე რომ, ჩვენთან უფრო მასობრივად ვიცით პეტრინი, – გაგვიღიმა ელეაზარმა და განაგრძო, – მემგონი, ცოტა მართლმადიდებლის პოზიციიდანაა ნათქვამი, იოანემ ქრისტიანობა შეარიგა პლატონთანო, თან უფრო ქრისტიანობის კი არა, პეტრინის მართლმადიდებლობის მტკიცების კონტექსტში. არ სჭირდება პეტრინს, მერწმუნეთ, ასეთი დაცვა. სინამდვილეში თვით პლატონის „ერთი" საკმარისად განსხვავდება პროკლეს ერთისაგან. პლატონთან ერთი არაა უნივერსალური, ამიტომაც ამბობს პეტრინი, გადაამეტა პლატონს პროკლემ და რასაც ის ვერ ჩასწვდა, იმას უწია გონებითაო. რაც შეეხება ფსევდო არეოპაგელის იბერობას, ეგ საკითხი უკვე მოიხსნა, ხომ? ქართველი მკვლევარებიც აღარ განიხილავენ ამ საკითხს უკვე.

– სამწუხაროდ, ამ ახალ მიდგომებს აღარ ვიცნობ, იმედია, მხოლოდ ომის ბრალია, – გავიცინე მე უხერხულად.

– არა, სულაც არაა ეგ სათაკილო. ახალი მიდგომებია, პეტრე იბერისა და ფსევდო დიონისეს ადვილად შესამჩნევი, სრულიად სხვადასხვა მრწამსი და აღმსარებლობა დადგინდა. ასე რომ, ვერაფრით ვერ იქნებოდა მონოფიზიტი იბერი ფსევდო დიონისესეულად ცნობილი დიოფიზიტური ტექსტების ავტორი. თუმცა დასადგენია კვლავაც, ვინაა ეგ ფსევდო დიონისე.

– ისევ იმ ერთს რომ მივუბრუნდეთ, ბატონო ელეაზარ, აი, თანამედროვე მეცნიერებაში კიდევ, საწყისის ძიებაში კვანტს თუ ბოზონს მიადგნენ, არა? იმავე არისტოტელესეული ერთი ხომ არაა ბოზონი?

– ვერავინ უნია გონებით, რაა საწყისი და რაა სასრული, – გამიღიმა ელეაზარმა, ვიღაცის ციტატას ამბობდა ალბათ ისევ, რომელიც არც მე და არც დანიელმა არ ვიცოდით, – ბოზონი თუ კვანტი, თუ რაცაა ფიზიკაში, ჩემთვის სინამდვილეში ცის დასასრულის თემაა. ესაა მარადიულობისა და ერთის არსებობის თემა. სასრულისა და უსასრულოს თემა. შექმნა ღმერთმა სამყარო, მაგრამ თვითონ სად იმყოფებოდა ამ დროს? თვითონ იყო ის შეკუმშული წერტილი, რომლის აფეთქებასაც დღევანდელი ფიზიკოსები სამყაროს წარმოშობას მიაწერენ? ჩემს გონებას კიდევ შეუძლია წარმოიდგინოს, რომ დიდი აფეთქება მოლეკულაზე მილიარდჯერ პატარა წერტილიდან გავრცელდა სივრცეში, ცარიელ სივრცეში, მაგრამ იმის გაცნობიერება, რომ თვითონ ეს ცარიელი სივრცეც არ იყო... ამის წარმოდგენა ძალიან მიჭირს! – აშკარად ფილოსოფიურ განწყობაზე იყო ელეაზარი და მიხაროდა. – შეგვიძლია ქრისტიან მამათა სწავლებაში გავიხსენოთ შესაქმის განმარტების ღვთისმეტყველისეული მცდელობა: ღმერთი არის ყოვლად უანგარო და უშურველი. – აღფრთოვანებული ვიყავი ელეაზარის ინტელექტით და მაშინებდა კიდეც, ვერ წარმომედგინა ერთი ადამიანის ასეთი ყოველმხრივი განათლება. – ესე იგი, ღმერთი რამე სარგებლისთვის არ ქმნის სამყაროს; ესაა ორფიზმის საფუძველიც, რადგან უანგარობა მხოლოდ სიყვარულშია შესაძლებელი – საწყისი სწორედაც სიყვარულია, გნებავთ, ბოზონი დავარქვათ

და გნებავთ, ერთი. სხვათა შორის, შენ რომ ფსევ-
დო დიონისე ახსენე, დანიელ, ის თავის ტრაქტატში,
„საღვთო სახელთათვის“ რომ ჰქვია, უმაღლეს მი-
ზეზს უწოდებს სიკეთეს, ისევე როგორც პროკლე;
უსაზღვროა ზეცა და უძიროა სიღრმე, სიყვარული
განაგებს ზეცას და სიყვარული ჩასწვდება სიღ-
რმეს; ორფეოსი უმღერის სიყვარულს, სიყვარულია
მხოლოდ სრულყოფილება და სიყვარულის წვდომაა
მხოლოდ შესაძლებელი ადამიანისათვის. არისტო-
ტელე თავის ნაშრომში „ზეცისათვის“, რომელსაც
დანარჩენი მსოფლიო სიმპლიკიოსის კომენტარე-
ბითღა იცნობს (მხოლოდ ჩვენთან ინახება დედა-
ნი და აქამდე არ გვეღირსა, რომ ვთარგმნოთ და
მთელ მსოფლიოს გავაცნოთ), ზეციური სხეულის
სულსაც, ენტელექიასაც, გაქრობადად მიიჩნევ-
და, რასაც იოანე პეტრიწი ვერ იღებს, ვერ უშვებს,
რომ სხეულთან ერთად სულიც ქრებოდეს. ასე რომ,
პეტრიწი უფრო ორფიკოსია, ვიდრე ქრისტიანი. და
მართლაც ღვთის ნებაა, ეტყობა, რომ ის ჩვენთან,
პელაზგიის წმინდა კედროვანებში განისვენებს. ერ-
თხელაც აუცილებლად უნდა მოინახულოთ ჩვენი
პანთეონი! – ჩაურთო თითქოს ნაჩქარევად და მერე
განაგრძო: – როცა ისევ იმ სუბსტანციას ვუბრუნ-
დებით, ერთს თუ ბოზონს, სწორედ ორფიკულ სიყ-
ვარულს შეგვიძლია ვუწოდოთ გონების ყვავილი,
რომლითაც მიიწვდომება თვითონ ღმერთი, ოღონდ
გონების ყვავილი არა იმდენად ქალდეველი ორაკუ-
ლების ან ფსელოსისეული, უფრო იოანე პეტრიწი-
სეული, უნივერსალურ საწყისს მიახლოებული.

მონუსხულივით ვუსმენდით და უფრო უხერხუ-
ლობის გასაფანტავად ვკითხე, ეტყობა:

– ბატონო ელეაზარ, ორფიზმს ხომ არ მიგვაახლა ფროიდმაც? ისიც ხომ სულ სხვა, მაგრამ ერთს აღიარებს საწყისად.

– კი ვხუმრობთ, მაგრამ იმ ერთს, ლიბიდოს, ფროიდი ქცევის საწყისად აღიარებს და არა სამყაროს საწყისად; თან სიყვარულზე მეტად სექსზეა საუბარი, დაწყვილების ვნებაზე.

თვალწინ პრუდენტია წარმომიდგა, „მაგას არ ესმის კარგად ფროიდიო", რომ გვითხრა მაშინ, როცა მე, რინადორე და ნოემა, რომელიც მოგვიანებით გამაცნო გრაფინიამ, მასთან სტუმრად ვიყავით. ერიქსენსა და ფრომზე რომ მომიყვა, სწორედ მისგან გავიგე მათი არსებობის შესახებ. მაშინაც ასე უმწეოდ ვიგრძენი თავი, როგორც ელეაზართან, მაგრამ ამწამს პრუდენტიას ის გამონათქვამი, „არ ესმის მას ფროიდიო", ელეაზარზე რომ გვითხრა იმ დღეს, არ მომეჩვენა სარწმუნო.

– რატომ ვერ იტანენ, ძირითადად, არალეგალური გულანშაროელები ფროიდს? – გულწრფელად მაინტერესებდა მისი აზრი.

– ემპედოკლეს პრინციპი მოქმედებს, – ჩაიცინა ელეაზარმა.

– ეგ რომელი, ბატონო ელეაზარ?

– მსგავსი მსგავსს შეიცნობს. სხვათა შორის, მერე ნოსელმაც და სხვა თქვენმა ქრისტიანმა მამებმა ლამის დოგმად აქციეს ეს ელინური თეზა. საუბარია იმაზე, რომ მხოლოდ გონიერთ შეუძლიათ ღვთის ჭვრეტა. დააკვირდი, ოდნავ მოსულელოები ვერ იტანენ ფოლკნერს, პრუსტს, ჯოისზე რომ არაფერი ვთქვათ...

– ხანდახან მეჩვენება, ბატონო ელეაზარ, რომ ხელოვნების არსის ძიება ძალიან ჰგავს ღმერთის ძიების, მგონი, უსასოო პროცესს.

– ჰგავს, რა, ოდი, ეს ერთი და იგივეა. ნამდვილი ხელოვნება ხომ მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის ძიებაშია, ერთი ვაშლის ჩაკბეჩისთვის რომ დაგვემალა, არა, ქრისტიანული მრწამსით? – ნახევრად სერიოზულად თქვა ელეაზარმა. – ჩვენ კიდევ გვწამს, რომ სიყვარულის ძიებაა ღმერთი, ან თავად სიყვარული. ამით აღემატება ალბათ ჩვენი ორფეოსი ყველა წინასწარმეტყველს, – გაიღიმა ელეაზარმა.

წამოსვლისას ელეაზარს გამოვყევით. მე მოვუბოდიშესავით:

– ბატონო ელეაზარ, დამღლელი ხომ არ იქნება თქვენთვის, კომპანიონობა რომ გაგიწიოთ?

– არა, როგორ გეკადრებათ! – მითხრა ელეაზარმა, შემდეგ გამიღიმა და დასძინა: – რომ ვიცოდე, ერთად მხოლოდ „მულღაზანზარომდე" დარჩენილი ორი კვარტალი კი არა, ორი მილი გვაქვს გასავლელი, აი, მაშინ იქნებოდა დამღლელი.

ველარ მივხვდი, გვეხუმრებოდა თუ გულწრფელი იყო, მაგრამ იმწუთას, მიუხედავად დანიელის შეცბუნებული სახისა, მის ნათქვამზე ვფიქრობდი ორფიკოსების შესახებ და ამ ბოლო სიტყვებისათვის დიდი ყურადღება აღარ მიმიქცევია.

ნიმფას სხვა არსი

მწერალთა გილდიის დიდი დარბაზი ხალხით იყო სავსე. ასეთ ერთობლიობას მწერლებად ველარ აღვიქვამდი, მაინც მიტინგები უფრო მახსენდებოდა.

ეტყობა, სალონურობა მერჩივნა. სიტყვაც აბნეულ-დაბნეული და ყალბი გამომივიდა, მიუხედავად იმისა, რომ გრაფინიამ ფრიად მომიწონა. რამდენიმე გამომსვლელი დამამახსოვრდა. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო ლედი ნიმფას აქ დანახვა. ამდენ ხანს არ მიმხელდა, თურმე ასე ახლოს რომ იყო მწერალთა გილდიასთან. ცოტათი ნირწამხდარი ვიყავი. თანაც სრულიად ახალ ამპლუაში წარმომიდგა. იმაზე არაფერს ვამბობ, ბატონმა მაჟრამ „ლედი ნიმფაო", რომ გამოაცხადა, უფრო იმან დამაბნია, მოჭარბებულად თავისუფლად და, ცოტა არ იყოს, პათეტიკურად რომ კითხულობდა საკუთარ ლექსებს, არცთუ ისე ქალურს, რაღაცნაირი თავდაჯერებულობითა და სიამაყით; ერთმანეთში იყო არეული ათენასა და ევრიდიკეს, ევასა და შამხათის, ჰერასა და აფროდიტეს, ნოესა და ადამის თითქოსდა ახლებური, მაგრამ მაინც აწ უკვე ამოცნობილი სახეები. თუმცა დარბაზის აყვანა მოახერხა, იმ მამაკაცების უმრავლესობის მაინც, წარმოშობით ტყიანი და ყინულიანი კანტონებიდან რომ იყვნენ. ლექციებზე არც ერთი იმ ლექსთაგანი ჩვენთვის არ წაუკითხავს.

ყურადღება მიიქცია ერთმა გოგონამაც, გიჟის თვალებით. ჯერ კათედრაზე სანთლები აანთო, შემდეგ კი გაუწონასწორებლად, არაბუნებრივი ხმით დააფრქვია ლექსები. აშკარა იყო, ვიღაცის ჯიბრით თუ ბოღმით კითხულობდა, თანაც ის ვიღაცა, ეტყობა, დარბაზში იჯდა და ცდილობდა, მისთვის ნიშნი მოეგო. შემდეგ ერთი ახალგაზრდა ბიჭის ჯერიც დადგა, სატირს რომ მოგაგონებდათ; წვერმოშვებულმა არცთუ ისე მომხიბვლელი ლექსები წაიკითხა, მაგრამ დამამახსოვრდა იმით, რომ მა-

გისტრის მოადგილე თვალს არ აცილებდა და გაბრაზებული შესცქეროდა. მერე აგვიხსნა გრაფინიამ, დიდი ხნის მერე, რომ თურმე ვიცემაგისტრს საავადმყოფოში წვერმოშვებული ექიმი მკურნალობდა ხოლმე და ამიტომაც წვერიანი ხალხის დანახვაზე თვალები ავად ენთებოდა, როგორც საქართველოში ოთხმოციანი წლების ბოლოს, ეროვნული მოძრაობის წევრების ხილვაზე – საბჭოთა ნომენკლატურას; სიცილით გვეუბნებოდა, „ერთი პირი კი შემეშინდა, არ წამოხტეს ახლა ეგო ბატონი და წვერებში არ ჩააფრინდეს ამ საწყალ ზარნას-მეთქი; წარმოიდგინეთ, რა სანახაობა იქნებოდაო“. საღამოს მიწურულისკენ ახალგაზრდა გოგო – ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით უნებართვო ნაგავსაყრელის დასუფთავებასა და იქ უპატრონო ძაღლებისთვის თავშესაფრის მოწყობას რომ აპირებდა, როგორც თვითონ მიამბო მერე – გამოვიდა თმაგაშლილი; მისი ლექსები ისეთი პროვინციული იყო, რომ მათ გაკეთილშობილებაზე ფიქრიც კი უკვე მკრეხელობა იქნებოდა, თანაც საკმაოდ უნიჭოდაც კითხულობდა; მაგრამ თვითონ გოგონა დამამახსოვრდა იმით, რომ შუა გამოსვლისას ერთ-ერთი ჭარმაგი მამაკაცი წამოდგა დარბაზში და ხმამაღლა შეასხა ხოტბა მის ლექსებს, რამაც ის ძალიან დააბნია და ბორძიკით ჩაამთავრა ლექსი. უკვე ჩემთან გადმომჯდარმა ნიმფამ მიჩურჩულა, „თვალი დაადგაო“, და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

– ვინაა?

– რომელიღაც ასოციაციის პრეზიდენტი.

– დონ ჟუანია?

– საკმაოდ, ყოველ შემთხვევაში, გულანშაროში ასეა ცნობილი.

– უნიჭო პოეტესები განსაკუთრებით უყვარს?

– ეტყობა, ცოტათი მოშტერო მაინც უნდა იყო, მაგან რომ მოგინადიროს, – გაიღიმა ნიმფამ, მერე კი დასძინა, – ისე, რამდენიმე კარგი მოთხრობა აქვს!

საღამოს მიწურულს, შუახნის, საფეთქლებშევერცხლილი, შესამჩნევად მსუქანი კაცი შემოვიდა დარბაზში. მაჟრამ აღტაცება ვერ დამალა:

– კვარტუმ! სადა ხარ, კაცო, სად დაიკარგე?! – ეს იყო ერთადერთი გულწრფელი სიტყვა მის იმღამინდელ საუბრებში, თუმცა მერე, დიდი ხნის მერე, როცა ის დოუმა კარისკაცობიდან განაპატიჟა და ბიბლიოთეკის დირექტორობის მიგდება დაუპირა, სწორედ კვარტუმი გადაეღობა წინ და მას სკამამდე მიასწრო.

თუმცა ეს, როგორც გითხარით, შემდეგ მოხდა, დიდი ხნის შემდეგ. მაშინ კი მისი სიტყვებით შეცბუნებულმა კვარტუმმა სასწრაფოდ, ცოტათი მოუხერხებლად გაიხადა პალტო და ტრიბუნასთან მივიდა. რამდენიმე ლექსი წაიკითხა, თუმცა არ დამმახსოვრებია, უფრო მაგისტრის ქცევითა და უოლტ უიტმენის ლექსების მისეული თარგმანებით ჩამრჩა გონების გამოუცნობ საცავებში.

ნოემას სალონი

საღამოს შემდეგ გარეთ, ქუჩაში, გრაფინიამ ჯერ ლედი ნიმფა წარმიდგინა (რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკმაოდ კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, ცოტათი მაინც გამოავლინა, მისი აზრით, არისტოკრატული წარმოშობის შესაძლო უპირატესობა), შემდეგ კი ქალბატონი ნოემა გამაცნო

– საშუალო ასაკის, ლამაზი სახის ქალი, რომელიც თავიდან ზედმეტად უშუალო მეჩვენა, მაგრამ იმდენად ჰგავდა გარდაცვლილ დედაჩემს, ოღონდ მხოლოდ გამოხედვით, თითქოს მისი სული ჩასახლებულიყო ამ ქალბატონში, რომ სრულიად ბუნებრივად ჩავთვალე. მან გულთბილად გამიღიმა და მითხრა:

– ბატონო ოდი, ამ შემოქმედებით საღამოს ჩემთან ვაგრძელებთ, მე, გრაფინია და კიდევ რამდენიმე სტუმარი. ერთ საათში შენ და ნიმფა მეწვიეთ. ნიმფა, წამოიყვანე ოდი და მოდი!

მე მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი, ისე გაქრა.

– იცი, სად ცხოვრობს? – შეურაცხყოფილივით მომმართა ნიმფამ.

– არა, – მხრები ავიწურე და მრავლისმეტყველად გავიღიმე. ის დაფიქრდა, შემდეგ კი მითხრა:

– კარგი, ერთ საათში თეატრთან დაგელოდები! – შემდეგ შემომხედა და მკითხა:

– თეატრი ხომ იცი, სად არის?!

– კი! დიახ, ვიცი! – მივუგე, თუმცა ჯერაც არ ვიცოდი. ვიფიქრე, ვიკითხავ და მივაგნებ-მეთქი.

თეატრი ერთ-ერთი საუკეთესო შენობა იყო გულანშაროში (მერე, წლების მერე, როცა მისი პრივატიზაცია და სავაჭრო ცენტრად გადაქცევა გადაწყვიტა ახალმა მთავრობამ, ძლივს გადააფიქრებინეს გიჟისთვალება პრეზიდენტს, ისედაც მომგებიანია, მატერიალურადო). ის ძველი პართენონის სტილში ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში აუშენებიათ კუნძულზე მაშინ გაბატონებულ კაპერნაუმელ მახვამერთა მართლმადიდებლური ორდენის წევრებს, იერუსალიმის აღების შემდეგ კი კუნძულის თვითმყოფადობასაც და ორდენსაც დასტყობია წმინდა ქალაქის დაკარგვის სიმძიმე; ჯერ საკმაოდ

შესუსტებულა ორდენი, ერთიოდე ტაძრითღა გაუგრძელებია არსებობა, ნახევარკუნძულის ასწლიანი თურქული ოკუპაციის დასაწყისში კი, კონსტანტინე(ო)პოლის აღებიდან 276 წლის შემდეგ, მეჩეთად გადაკეთებული თეატრი მოგვიანებით სანახევროდ დანგრეულა, და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიღა, მაჰმუდ მეორის მიერ ძმის დამხობით გამოწვეული არეულობით უსარგებლია მაშინდელ ქალაქის მერს, ქალაქის თორმეტი გვარიდან ერთ-ერთის – აგათოტეროსების – წარმომადგენელს და, ფაქტობრივად, საკუთარი სახსრებით მოუწვევია შემდეგში ცნობილი, თუმცა იმხანად ჯერაც ახალგაზრდა იტალიელი არქიტექტორი ლუიჯი კანინა და თავისი უშუალო მფარველობით მოუხერხებია თეატრის სრულად რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია. მაგრამ ქალაქის ახალი მერი, აწ უკვე დოჟი, ყოველნაირად ცდილობდა მიეჩქმალა მისი ღვაწლი და მართალია, თვითონ არ მიიწერდა ამ დამსახურებას, მაგრამ არც ყოფილ კოლეგასა თუ შორეულ წინამორბედს ახსენებდა არსად და თანდათანობით, ჯერ სტუმრების თვალში, შემდეგ კი ლეგალური ქალაქელებისთვისაც, ამ თეატრის დამაარსებლად თვითონ მოიაზრებოდა. შემდეგ, წლების შემდეგ, ეს თეატრი კონგრესისა და სენატის სხდომების ნავსადგურად იქცა, უფრო სწორად, გამოიყენებოდა, როცა ქალაქის დოჟმა ქალაქი ლამის დამოუკიდებელ მეგაპოლისად აქცია და თავდაპირველად დოჟის, შემდეგ კი პრეზიდენტის პოსტიც შემოიღო და ლამის დანარჩენი კუნძულის სიუზერენიც გახდა.

საათზე მეტი ვუცადე ლედი ნიმფას, მაგრამ ამაოდ, აღარსად ჩანდა ლედი. ვიფიქრე, იქნებ ნოემას სახლი ვიკითხო-მეთქი, მაგრამ მივხვდი, ძალიან

რთულ ხლართში ჩავიგდებდი თავს და გადავწყვიტე, სასტუმროში დავბრუნებულიყავი. სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ გრაფინია და ნიმფა. გრაფინიას, ეტყობა – ჩქარი სიარულისაგან, ლოყები შეფაკვლოდა.

– ხომ გითხარი, ლედი, ოდი არ დაგვაღალატებს-მეთქი!

– აქ რა გინდოდა, ოდი, – მითხრა შეშფოთებულმა ნიმფამ, – შესასვლელი ლეონიდასის ქუჩიდანაა, ნახევარი საათია გელოდებით! – გაკვირვება და ბრაზი ერთდროულად უელვარებდა ხმასა და ლოყებზე.

– ბოდიშს გიხდით, მე მეგონა, ეს იყო ძირითადი შესასვლელი, – ვთქვი ნირწამხდარმა და შემრცხვა, ცოტა არ იყოს.

– მე მივხვდი, ოდი. ლედის ვუთხარი, შეიძლება მიკენის მოედანზე გველოდება-მეთქი და თვითონ წამოვყევი.

– კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, ძალიან შეგაწუხეთ! – უკვე სერიოზულად ვიუხერხულე, როგორც ჩანს, ორჯერ მოსულა ნიმფა შესახვედრად.

– არა უშავს, ოდი, ნოემას ბინა აქვეა, ასე რომ, არც კი დავღლილვართ!

ნოემა ცხრასართულიანი სახლის მეშვიდე სართულზე ცხოვრობდა. ეს ბინა მას დოჟის წინამორბედმა და მთავარმა მოქიშპემ – ტომ რინელიმ გაუფორმა, როგორც ნიჭიერ პოეტს. თუმცა მის შესანარჩუნებლად კუნძულის პრეზიდენტის მისაღებში ლამის შეტაკება მოუხდა პრეზიდენტის დაცვის წევრებთან და, რომ არა შემთხვევით ამ ამბავს შესწრებული პირველი ლედი, რომელიც შემდეგ მთელმა მოსახლეობამ შეიძულა, რადგან დასცდა

ერთხელ დანაყრებულზე, ადამიანმა თორმეტი გულანშაროული გულდენით (პენსიის ოდენობა იყო) კი უნდა ირჩინოს თავიო, არც ბინა ექნებოდა. უფრო სწორად, ბინა საპყრობილეში ექნებოდა და შეიძლება სამუდამოდაც: კუნძულის დედაქალაქში ხელმწიფობდა, ხელმწიფობდა რა, რუსთა ხელმწიფის სატრაპად იყო მაშინ ჯერაც არცთუ ისე მიხრწნილი სულხანი, პარტიის გენერალური მდივანი ერქვა, სოციალისტური სისტემის დრო ნარნარებდა და მისი მეუღლე მაშინ არ იყო მთლად ასე გამოშტერებული; წარმოშობით ნოემასავით მთის კანტონებიდან გახლდათ და მოუსმინა გოგონას; თავდაჯერებულს, ჯიუტს და ჭკვიანს, გრძელი ნაწნავები წელამდე დასთრევდა თურმე, როგორც გვიყვებოდა; „ჯინსებსა და მაღალ ჩექმებში ვიყავი გამოწკეპილიო", ტრაბახობდა ცოტათი. ნოემას მონათხრობში არ შეიძლებოდა, ეჭვი არ შეგეტანა, მაგრამ მას ისე სჯეროდა, რასაც ჰყვებოდა, რომ შენც იჯერებდი ხოლმე; როგორც იმას, რომ მართლა მასთან მოდიოდა გველი და მართლა მის მირთმეულ რძეს სვამდა დეიდამისის სახლის აივანზე. აღარ ვფიქრობდი იმაზე, რეალური იყო ის ამბავი თუ მოგონილი. ემესიმ ახსენა ერთხელ, მისმა საბავშვო ბაღის მეგობარმა, „გველის ამბავს თუ მოგიყვა ჯერო?" – ეს ისე იყო ნათქვამი, კეთილი იუმორით, ანუ – „ასე კარგად თუ დამეგობრდით ჯერო", რომ არც გეწყინებოდა და არც გაგიხარდებოდა მაინცდამაინც. ბუნებრივია, არც მიფიქრია, რომ ნოემა მხოლოდ მე მიყვებოდა ხოლმე, მერე, მის სალონში სტუმრობებისას თუ გულანშაროს ქუჩებში შემთხვევითი შეხვედრების შემდეგ გაუთავებელი ხეტიალისას, ბავშვობისდროინდელ მოგონებებს; ბავშვობის ამბებს ხომ მხოლოდ

მაშინ ჰყვებიან, როდესაც სულიერ სიახლოვეს გრძნობენ. მე კი გარდაცვლილ დედას მაგონებდა ის, თავიდან მხოლოდ გამოხედვით, განნირულის მზერით, მაგრამ მაინც რომ კრიალებს თვალებში მრისხანება თუ იმედი, ხანდახან ასე ერთი და იგივე რომაა – მრისხანება და იმედი.

რადგან უშუქობის გამო ლიფტი არ მუშაობდა, ხშირად ვისვენებდით. უშუქობას გრაფინია თურქეთს აბრალებდა, რომელიც თავისი ყოფილი კოლონიის მიმართ ყოველმხრივ სიძულვილსა და მადააღძრულობას ამჟღავნებდა, იღვწოდა გულანშაროს კვლავ მიერთებისთვის, მაგრამ კუნძული არ აპირებდა გულანშაროს დათმობას, რომელსაც ელექტროენერგიითაც კი ვერ უზრუნველყოფდა. ან რას უზრუნველყოფდა იმით, რაც თავადაც არ ჰქონდა და დედაქალაქსღა ანათებდა, ისიც დღეღამეში რვა საათითღა.

მესამე სართულის ბაქანზე შესვენებისას გრაფინიამ მიმართა ნიმფას:

– ლედი, მოდი, ოდის ორთა დავარქვათ, მისი რომანის გმირია და მას წააგავს ძალიან!

რაღა თქმა უნდა, ჩემთვის მოულოდნელი იყო გრაფინიას სიტყვები, მაგრამ ამას ისეთი გამომეტყველებით ამბობდა – თითქოს საკაცობრიო მნიშვნელობის აღმოჩენა გაეკეთებინოს – რომ ამ მოულოდნელობას არ გავუოცებივარ.

– ძალიან კარგი აზრია, ნამდვილად მოუხდება! – გადამეტებული აღფრთოვანებით დაეთანხმა ნიმფა.

– ოდი, წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

– კი ბატონო, – არც კი დავფიქრებულვარ მე.

– ჰა, ორთა! როგორ ჟღერს? – საკუთარი იდეით კმაყოფილი იყო გრაფინია და სურდა ლედიც აეყოლიებინა.

როგორც კი ნოემას ბინაში შევაბიჯეთ, მაგიდის გარშემო შემოსკუპებულ საზოგადოებას, ათამდე ადამიანს, პირველ რიგში, ჩემი ნათლობის ამბავი მიახარა გრაფინიამ.

– დღეიდან ოდის ორთა ჰქვია! როგორია, ნოემა?

– ბრწყინვალე! – სახე გაუნათდა ნოემას.

– კარგია, თორემ ოდის გახსენებაზე სულ პროტა შერინასკუ მელანდება თვალწინ და ცუდად ვხდები, – წარმოთქვა გრაფინიას მეუღლემ, აგათოტეროსმა, და ყველას გაეცინა. მე მერე გავიგე, თუ რატომ – სწორედ ოდი გახლდათ თურმე იმ მაგისტრის სახელი, პოეზია რომ მიატოვა და ვაჭრობა დაიწყო; პროტა ფსევდონიმი ყოფილა მისი. აგათოტეროსის ხუმრობა დადიოდა ქალაქში, ჰერმესის კი არა, პროტას ქანდაკება უნდა დაედგა დოჟსო. ვახშამი, ძირითადად, ხუმრობა-სიცილში გავატარეთ, ყურადღების ცენტრში ლედი ნიმფა ნარნარებდა. მწერალთა გილდიაში წაკითხული შედარებით ზომიერად ეროტიკული ლექსებისაგან განსხვავებით, ნოემას სალონში მის მიერ წაკითხული ლექსები წარმოუდგენლად აღვირახსნილი იყო, თუმცა არ ვიცი, აღვირახსნილი რატომ ეწოდება ამ მნიშვნელობის გამომხატველ მოვლენას, მე მგონი, მეტაფორა აშკარად უარესისკენაა აზრშეცვლილი. რამდენჯერმე უხერხულობის ალმურმა აჰკრა ლოყებზე გრაფინიას და ფარულად გადაავლო მზერა მაგიდასთან მყოფ უკვე ჭარმაგ მამაკაცებს. ნიმფა კი არაფერს იმჩნევდა და სიახლისა და ორიგინალურობის მიღწევას საკმაოდ სუსტი ვულგარიზმებით

აგრძელებდა. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ მანამდე მართლა არსად მომესმინა ლექსებში ვაგინა, პენისი, კლიტორი, ორგაზმი, თესლი და რა ვიცი, ათასი სხვა ბიოლოგიურად თითქოს არაპოეტური სიტყვები. ორიგინალური თუ არა, თამამი მაინც იყო ნიმფა. ლექსები მამაკაცური ვნებით აღაგზნებდა მსმენელს, ალაგ-ალაგ გამობრწყინებული ქალური გახსნილობითა და კალთამადლიანობით. შემდეგ ხშირად ჩამესმოდა ერთი სტროფი იმსაღამოსდროინდელი მისი გარდასახვიდან, თან მუდამ მისი ხმით:

„უხეში ბიძგით გამირღვევს საშოს,
პოსეიდონის სამკაპზე ფიქრი,
დავუწყებ კრულვას ქარს და ქარაშოტს,
ალმოდებულს რომ სახეში მიქრის...“

უნივერსიტეტის რექტორი, უკვე თმაშევერცხლილი თრეიდერ ირორესკუ ცუდად ნათამაშევ მოკრძალებასა და რომანტიკულ მზერაში მალავდა ვნების უკვე შესამჩნევად მოდებულ ცეცხლს.

– ლედი, მე მგონია, შენი ლექსების კრებულის ცალკე გამოცემაც შეიძლება, – შეაპარა კიდევაც იდუმალი ხმით ლექსებს შორის პაუზაში.

– აუცილებელიც კია! – ისეთი მტკიცე ხმით დაეთანხმა კვარტუმი, რომ აშკარა იყო, მასაც მოსდებოდა ვნების ალი და თავადაც შორსმიმავალი გეგმები თუ იმედი გასჩენოდა ლედი ნიმფას მიმართ; არც კი შეუმჩნევია დიდრიხის დამცინავი მზერა, თითქოს ყოვლისმჭვრეტივით რომ მისჩერებოდა ვნებამორეულ ჭაბუკობის მეგობარსა და კურსელს. დიდრიხი ნიმფას შორეული ნათესავი იყო, თორემ არც თვითონ დარჩებოდა ოდნავადაც კი თავშეკა-

ვებული სუსტი – სუსტი რა – საპირისპირო სქესის ვნებისამშლელი გამოწვევის მიმართ.

– მეც ასე ვფიქრობ, ლედის ლექსები აუცილებლად უნდა გამოიცეს ცალკე კრებულად. თუმცა მანამდე საერთო ახალგაზრდული კრებულის გამოცემაა ჩვენი მთავარი მიზანი მწერალთა გილდიაში, და თრეიდერ, სწორედ თქვენი და თქვენი უნივერსიტეტის იმედი გვაქვს, ხომ ასეა? – წარმოთქვა გრაფინიამ და ირორესკუმაც ისე გაშალა ხელები, თითქოს „ეგ რა საკითხავიაო?!"

თითქმის ყველა კითხულობდა ლექსს, რა თქმა უნდა, საკუთარს. მეც წავიკითხე რამდენიმე, რაც მახსოვდა, გალაკტიონისა და მირზასი, რომელთა პოეზიასაც ისინი ძირითადად იცნობდნენ; შემდეგ კი მათთვის უცნობი უფრო თანამედროვე პოეტების ლექსებიც შევურიე, შოთა ჩანტლაძის, ლადო სეიდიშვილის და ანა კალანდაძის. ანა კალანდაძე გრაფინიასაც მოსწონდა თურმე, ჩემზე მეტი იცოდა ზეპირად.

გვიან ღამით მოაკითხეს ლედი ნიმფას მშობლებმა, უფრო სწორად, დამ და დედამ, და მეც მათ გავყევი გასაცილებლად. წასვლისას მითხრა ნოემამ, აქ არის ჩვენი სალონი და როცა გული გამოგიწევს, გამოგვიარეო. მე მადლობა გადავუხადე და მანდილოსნები გამოვაცილე. ნიმფა შესამჩნევად აღტყინებული იყო, გზაზეც კითხულობდა ლექსებს. დედამისმა თქვა, „ჯერ შენ მიგაცილებთ, აქ მაინც სტუმრად ითვლები, კარაბინერებმა არ შეგაწუხონო". მე ცივი უარი მოვახსენე და ისინი მივაცილე სახლამდე.

სასტუმროში პოლიციელები ყველა მიმსვლელს აჩერებდნენ. ჯერ მოსაცდელში მალოდინეს, მე-

რე გამჩხრიკეს, მერე დამკითხეს და კარაბინერთა განყოფილებაში წაყვანას ისევ გრაფინიასა და რექტორის ხსენება ვამჯობინე, იქნებ გაჭრას-მეთქი. მართალია, ცოტა დაეჭვებით შემომხედეს, მაგრამ მაინც გამიშვეს.

მერე გავიგე, დიდი ხნის მერე, თვითონ ირაკლი მიყვებოდა: იმ ღამით ჩვენს ბიჭებს უძინართა ლეგიონის უფროსის ბინა გაუქურდავთ; გადარეული იყო პოლკოვნიკი, მითხრას, როგორ აძვრა მეშვიდე სართულზე, როგორ გააღო ფანჯარა, როგორ ჩამოიტანა იმხელა ტელევიზორი, რადიოცენტრი და რა ვიცი, ათასი კიდევ სხვა რამე და სიტყვას არ ვეტყვი, ისე გამოვუშვებო. ეხ, საცოდავი! ახლახან გავიგე, ტიუმენში მანქანა დასჯახებია, როგორც მშობლები ამბობდნენ, ან წამალში გაპარულა, როგორც ხმები დადიოდა. ვერც კი ჩამოუსვენებიათ საქართველოში.

ბერძენას იდეა

მეორე დილით სასტუმროს ფოიეში ბერძენა შემხვდა. მაშინ უკვე დაბეჭდილი იყო ჩემი მინიატურა გულანშაროს გაზეთში. ომზე იყო, გრაფინიამ მიუტანა რედაქტორს, მორდია აგათოტეროსის, რომელიც მისი ოჯახის შორეული ნათესავი იყო და, „კი აფიქრებდა რუსების უშნოდ მოხსენიება ნოველაში, მაგრამ მაინც დამთანხმდაო", – მიყვებოდა ღიმილით. არადა, მორდიას არც შეშინება იყო ადვილი და არც დაყოლიება – ევედრა თურმე დოჟი, როცა ჯერაც არ იყო მთლად ტირანქცეული, საწყის წლებში, „როგორმე დაწერე გაზეთში დედაჩემის სიზმარი, ჩემზე ორსულობისას რომ ნახა, თითქოს

ლომი რომ შვაო"; გაიგიჟა თავი მორდიამ, არ დაწერა არაფრით; მაშინ, „შენ ნუ დაწერ, ამათი დაბეჭდეო" და, სამ გულანშაროელ მწერალს მიატანინა სამი ჩანახატი-ეპოპეა. არ დაბეჭდა არაფრით. რაღა ექნა დოჟს, უყვარდა ქალაქს მორდია. პირდაპირ შურისძიების შეეშინდა და გადაიყვანა რაღაც კომისიის წევრად, ადრინდელზე მეტი ჰქონდა ხელფასი, მაგრამ დასვა პენსიაზე მაინც, კომისია არც კი არსებობდა სინამდვილეში. ახალმა რედაქტორმა კი გამოაცხო ბიოგრაფია. მახსოვს, ასე იწყებოდა: „...და იდგა ზღვისპირას დედა ესტერი და იხსენებდა სიზმარს, როგორი ტანჯვით შვა ლომი..."

მაგრამ ეს ყველაფერი მერე იყო, კარგა ხნის მერე, მაშინ კი ბიჭებს გასაგიჟებლად მოეწონათ ჩემი ნოველა, ლამის მითიური არსება გავხდი მათ თვალში. განსაკუთრებით ვიემელი სპარტაკი იყო აღფრთოვანებული: „ყოჩაღ, ვასიჟა, მაგრად დამევასაო". ჰოდა, ბერძენა მეუბნებოდა, „შენთან საქმე მაქვსო". საოცრად შავგვრემანი იყო, დედით ბერძენი და ამიტომაც შეერქვა მეტსახელი, ნამდვილი არც ვიცი, რა იყო; ისე დადიოდა, თითქოს მუცელი სტკივაო. ის ბიჭების მესამე კასტაში შედიოდა, უფრო სწორად, პირველში, ბრაჰმანები რომ შედიან, აი, ღმერთთან მიახლოებას რომ ლამობენ შპრიცებით, თესლებითა და კვამლით, და კიდევ, რა ვიცი; ჰოდა, მეუბნება: „მოდი, წიგნი დავწეროთო". მე ვერ გავიგე, გულწრფელად მეუბნებოდა, ხუმრობდა თუ აზრზე არ იყო და მივაშტერდი.

– სიუჟეტს მე გეტყვი, მთლიანად მოგიყვები ყველაფერს, შენ კი დაწერე და მხატვრულად გააფორმე.

– რა წიგნი, ბერძენ? – შევატყვე, არ ხუმრობდა.

– მოკლედ, სიუჟეტი ასეთია: ერთ აფხაზ გოგოს შეუყვარდება ქართველი ბიჭი, მერე ომი იწყება, აქეთ, იქით, და შემდეგ საბერძნეთში ხვდებიან ერთმანეთს, ქალი ბორდელშია და ბიჭი იხსნის, მაგრამ ქურთები ბრიდავენ...

– მე რომ საბერძნეთში არ ვარ ნამყოფი? – შეეცადე შემეჩერებინა. – ყალბი გამოვა!

– მე ვარ ნამყოფი, ვასიკა, ორი წელი ვიყავი. ყველა სასტუმროს სახელი ვიცი, ყველა ქუჩა ვიცი, ათენის რუკას დაგიხატავ. გეუბნები, ვასიკა, მაგარი გამოვა. წარმოიდგინე, ლამაზი ყდა ექნება, სოხუმის ზღვა, იქ პალმა და მზე...

– ზღვა, პალმა და მზე, ბერძენ, იმდენ ქვეყანაშია, რომ...

– მოიცა, ვასიკა, სოხუმის სულ სხვა იყო. თუ გინდა, ასე დაიწყე: შემოდგომის მშვენიერი მზიანი დღე იდგა... – აშკარად გულწრფელად მელაპარაკებოდა. შევწუხდი, არ მინდოდა მეწყენინებინა.

– არ ვიცი, ბერძენ, ახლა ერთ წიგნზე ვმუშაობ და რომ დავამთავრებ, მერე ვიფიქროთ მაგაზე. ისე, შენ თვითონ რომ დაიწყო?

– არა, ვასიკა, მე ხომ რუსული სკოლა დავამთავრე. თან რა მწერალი მე ვარ, – უფრო მოიხარა ბერძენა, – წარმოიდგინე, წიგნზე იქნება წარწერა: ლევი ქართველიშვილი და ქვემოთ ოდი ხვამლიანი, მერე კი დიდი ასოებით „ომსშეწირულნი". როგორია? – ჩამხედა თვალებში. საოცარია, ეს ბიჭი ასეთებზე თუ იფიქრებდა, ადრე ვერ წარმომედგინა. – „ომსშეწირული" ცალ-ცალკე იწერება?

– მე მგონი, არა, – დავიბენი უცებ.

– ანუ, ერთად რომ დავწეროთ, შეიძლება?

– მწერლობაში ყველაფერი შეიძლება, ბერძენ! მოკლედ, ბერძენ, მანამდე შენ იფიქრე და მე კი იმ წიგნს რომ დავამთავრებ, მერე დაგელაპარაკები.

– როდის დაამთავრებ? – დამაწია სიტყვა ბერძენამ. – ერთ თვეში?

– გაგიუდი, ბერძენ?! – აშკარად მეწყინა. – ერთ წელზე აქეთ ფიქრიც კი არ შეიძლება! – მივაძახე საჩქაროდ და სასტუმროში ავედი. რატომღაც უფრო მუქი მეჩვენა წარწერა კედელზე:

„მედო ვარ გულანშაროში
ზებურ მიშველე“.

სამკვიდრო

ქალაქის მერმა, როგორც კი დოჟი ისახელიდვა (რა თქმა უნდა, ეს თანამდებობა ჩვენებური შუა საუკუნეების მამფალის თუ არა, ერისთავთ-ერისთავის უფლებებს ნამდვილად მოიცავდა), ქალაქის მერად თავისი შვილი დანიშნა, ახალგაზრდა, ოცდახუთი წლის ავტოლიკოსი. ქალაქელები უკმაყოფილოდ გაისუსნენ, თუმცა წინა ქალაქისთავს (როცა დოჟის თანამდებობა შემოიღო, ქალაქის მერის სახელი, დაახლოებით მეცხრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდის პოლიცმაისტერის ფუნქციებით, ქალაქისთავად გადააკეთა და წარმოშობით თურქს, გაიძვერა ვესპერტილიო ქარსანაკისკუს ჩაბარა) ალბათ ერჩივნათ. თვითონ დოჟის მომხრეები სწორედ ასე იმართლებდნენ თავს: როგორ, წინა ქალაქისთავს ავტოლიკოსი არ ჯობიაო? – რაზეც არალეგალური გულანშაროელები პასუხობდნენ,

მართლაცდა ძნელია წინა ქალაქისთავზე უარესი კანდიდატურის შერჩევაო.

ჩანს, მაინც გადაამეტა საკუთარი შესაძლებლობების შეფასებისას დოჟმა, სულ ტყუილად ჩათვალა, რომ ვესპერტილიოს არ ექნებოდა გრძნობა ამპარტავნების; თავმოყვარეობისა ნაღდად არ ჰქონდა, მაგის კაცი არ იყო, მაგრამ ამპარტავნების, შურის, სიძუნწის, მომხვეჭელობისა და სიხარბის – მომეტებულად, სწორედაც რომ მომეტებულად. და ის ერთი ულიმღამო ტავერნა რომ მიუგდეს გასამრჯელოდ, ვერ დააშოშმინებდა. თანაც ეს ტავერნა ადრე, სწორედ დოჟის მოთხოვნით, თვითონვე წაართვა საანაოსნოს ყოფილ უფროსს, ამჟამად კი ვიცემმართველს, ლარჭემს. ის თავის დროზე აუდიტუსის – ჩვენი მეგობრისა და არალეგალური გულანშაროს გამორჩეული წევრის – ძმაკაცი და კომპანიონი იყო, მაგრამ პირველსავე ზეწოლას ვერ გაუძლო, გაექცა აუდიტუსს და შეატოვა საკუთარი წილი გემებიცა და იალქნებიც დოჟს. თუმცა მისი ნდობა ბოლომდე მაინც ვერ დაიმსახურა და მაინც ჩამოართვეს, ვესპერტილიოს ხელით, დარჩენილი ქონების ნახევარი. ჰოდა, სულ ტყუილად ჩათვალა დოჟმა, რომ ასე მონურად ერთგულ ვესპერტილიოს საერთოდ ექნებოდა ამპარტავნების გრძნობა მინავლებული – სწორედ ის გაექცა ლამის პირველი მერე, კარგა ხნის მერე, გიჟისთვალება ურსუსისკუსთან და რაც კი იცოდა დოჟის სუსტი და ძლიერი წერტილები, ყველაფერი ჩაუკაკლა; ის კი არა და, იმის სითავხედეც კი ეყო ერთხელ, დესპანობაც ეკისრა დოჟთან.

კი ევედრა ბევრს კოლი ანდროსკუ, მაგრამ ვერ გაბედა მაინც სადუნისკუმ უკვე პრეზიდენტად ქცეული ურსუსისკუს მოციქული ძაღლივით მიეხრჩო

ნახევრად დამშრალი ტბის შემოგარენში. თან ტაძრის იატაკიდან თუ შანდლებიდან აფხეკილი ცვილისგან ხელახლა გამოდნობილი სუსტი სანთლის შუქივით მაინც ულიცლიცებდა იმედი, იქნებ მეევე გამოვიყენო ეს იქედნეს ნაშობი ჩემი ყოფილი ხადუმიო. უჩიჩინებდა კოლი ანდროსკუ, „შენი გულკეთილობა და მოწყალება ორნაკლინის ვაგინალური სანთლებივით შეიტენა და გადაგვაგდოო!“ – საკუთარ სამედიცინო განათლებას იყენებდა კოლი, ტროპებად მაინც, თავისი ჭკუით – მის ნათქვამში დოჟი მხოლოდ „შეიტენას“ უფიქრდებოდა და მართალია, სიტყვის მიუგებლად და გაუღიმებლად, მაგრამ ეთანხმებოდა. თითქმის არასოდეს იღიმებოდა დოჟი, იუმორი მისი აქილევსის ქუსლი თუ, რა ვიცი, ძირითადი გართულება იყო: სიჭაბუკეში კაცი ჰყავდა მოკლული ანეკდოტის გამო – სამი ტყვია დააჭედა ღურა ფერის ალალ ბიძაშვილს, ასტიას, თურმე მკერდზე. სწორედ მაშინ აუღია ქონდა ქარისკუს საკუთარ თავზე ეგ დანაშაულიცა და სასჯელიც და ამადაც ჰყავდა მარჯვენა ხელად – დაუფასა დოჟმა ერთგულება სოცსისტემის რღვევის გამო ციხიდან ადრე გათავისუფლებულს; თუმცა რაღა დაფასება იყო, მთავარ ჯალათად ჰყავდა გვერდით, ისევ საკუთარ საქმეს, პირვანდელზე ასოცჯერ ბინძურს, აკეთებინებდა.

მოკლედ, შეუძლებელი იყო ვესპერტილიოზე უარესი ქალაქისთავის მოძებნა. დოჟის შვილმა კი თავისი დაწინაურების თაობაზე ნეტარებიდან ახალგამოღწეულმა გაიგო, თვალები უაზროდ დაჭყიტა და ქონდას, რომელიც ლამის მისი დაცვის წევრობასაც ითავსებდა და სინამდვილეში დოჟისგან შვილისთვის მიჩენილი მსტოვარი იყო, უყვირასავით

ჩხავილით: „გამიჩხირე!“ დოჟი იმ დღეს ქალაქში არ ბრძანდებოდა, ამიტომაც დაცვამ ვერ გაბედა, როგორც ჩანს, წინააღმდეგობის გაწევა და გათიშული ქალაქისთავი, გადმობრუნებულ-გასივებულ-გაწითლებული თვალებით მოედო ქალაქს. თავიდან, დიდი უშნო პირით ყურებამდე იცინოდა, შემდეგ მრისხანება ჩაუდგა თვალებში, რამდენიმე მაღაზია მილეწ-მოლეწა, რამდენიმე მოქალაქეს უაზროდ აუხირდა; ბიბლიოთეკიდან წიგნებიღლიაშიამოჩრილ არამხუტუ ფანთქუალიხის გადაეყარა მაინცადამაინც, „თავს რატომ არ მიკრავო?“ და აუხირდა უაზროდ. აბა, ფანთქუალიხი რისი თავის დამხრელი იყო, მეტრ-ოთხმოცდათხუთმეტი მაინც იქნებოდა სიმაღლეში და არც ფერ-ხორცის ნაკლებობას უჩიოდა, იუმორის გრძნობისა არ იყოს; და შეჰლიმილა ავტოლიკოსს, „რომც დაგიხარო, მაინც ზემოდან უნდა დაგაცქერდეო“. ბონაპარტისეული მიმოდსიტყვაობის აღქმის უნარი მართლაც არ ჰქონდა ავტოლიკოსს, არც ვაუკაცობა, მაგრამ ძალაუფლების რაღაც მირაჟულ-რეალურ ანასხლეტებს კი ფლობდა და დაცვას საკმაოდ აჟეჟინა ფანთქუალიხი. მხოლოდ დოჟის ჩამოსვლის მერე, მესამე დღეს მიუტანეს სახლში მაშინ ქვაფენილზე მიმოფანტული წიგნები. ძირძველი ქალაქელების ოჯახიდან იყო არამხუტუ და, ირიბად თუ ალმაცერად, ბოდიშს მოჰგავდა თითქოს დოჟის ჟესტი. თუმცა ეს სამი დღის შემდეგ, მაშინ კი, არამხუტუს მოჭარბებულ იუმორზე შურისძიების შემდეგ, იქვე, შემთხვევით გამვლელი გოგონა, რომელიც ინოვაციური ტრანსმისიების მოდერნიზაციის მინისტრის შვილი აღმოჩნდა და შიში ვნებისაღმძვრელად ასალტვოდა ლოყაზე მარცხენახელმისვენებულ

ულამაზეს სახეზე, შეათრია´ მახლობელ სასტუმროში და დაშოშმინდა. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ ძლივს გამონახეს დროის ისეთი შუალედი, როდესაც შედარებით დაწყნარებული სახე ჰქონდა, ნეტარებათაშორის პერიოდში, და წუთნახევრიანი ინტერვიუ ჩაწერეს საქალაქო ტელევიზიისათვის, რომელიც შემდეგ საათ-ნახევარი ამონტაჟეს და ბოლოს გაუშვეს კიდევაც „პირდაპირ" ეთერში. როდესაც დიქტორი აცხადებდა, ახლა შემოგთავაზებთ ინტერვიუს ქალაქისთავთანო, ამ სიტყვებს ისე წარმოთქვამდა, თითქოს მამაღმერთის ერთ-ერთი ქერუბიმი ჩამოსულა მიწად და უნდა დაგვენახოსო. ერთი კვირის შემდეგ დოჟმა ქალაქისთავი ინგლისში გაგზავნა, კლინიკაში, თუმცა ამას დიდი შედეგები არ მოუტანია. როგორც ამბობდნენ, ორიოდე თვეს თუ გაუძლო ახალგაზრდა ქალაქისთავმა მის მიერ წარმოდგენილ ღმერთთან თავისებური მიახლოების ცდუნებას. ამიტომაც დოჟი ამჯობინებდა, ისევ ნაკლებად გამოეჩინა ხალხში მერად ამაღლებული შვილი. თავის მინისტრს კი, რომელსაც ჭკუა ეყო და შვილი დააწყნარა, დროებით, დაცვის უფროსის ძმისშვილი განუმწესა სიძედ. ეს ამბავი შემდეგ, კაი ხნის შემდეგ, კუნძულის ახალგაზრდა გიჟისთვალება პრეზიდენტის გამამართლებელ ფაქტად მოჰყავდათ მის მოკიდებულებს, როცა მან ერთ-ერთ რესტორანში, მართალია, მინისტრის შვილი არა, მაგრამ ლამაზი გოგონა ლამის საქმროს წინ დაიმარტოხელა და რომ არა დაცვის პროფესიონალიზმი, კაცმა არ უწყის, როგორ დამთავრდებოდა პრეზიდენტის რომაელ იმპერატორთა საკადრისი დაუთრგუნავი წადილი.

გასეირნება ზღვისპირას

სასტუმროსკენ მიმავალს ძალაუნებურად გამირბოდა თვალი ტროტუართან მიგდებული გაჭყლეტილი ძაღლის გვამისკენ; ალაგ-ალაგ ძვლები მოუჩანდა, მგონი, არც ყარდა უკვე, ან შეიძლება იმდენად მივეჩვიეთ, რომ სუნი არ გვცემდა. დღემდე მიკვირს – მეტ-ნაკლებად მუშაობდა დასუფთავების სამსახური და დავიჯერო, მძორს ვერ ამჩნევდნენ? მახსოვს, შეშინებულმა, პროფესორ ჯონ ნეშივით, როგორ ვკითხე დათოს, ამას თუ ხედავ-მეთქი? როგორ არაო, და შეუკურთხა მერიას. მე კი დავმშვიდდი, ნაღდად არ მეჩვენება-მეთქი.

სასტუმროში ასვლიდან რაღაც ხუთ წუთში დამიკაკუნეს კარზე, მეზობელი იყო, „ადმინისტრატორთან ვილაცები გელოდებიანო". ვენდიტორი, ნიმფა და რინადორე იყვნენ, „ზღვისპირზე გვინდა გავისეირნოთ, წამოო". გვიანი თებერვალი იდგა, თუმცა ჯერ არავინ ბანაობდა, მაინც გავედით ნაპირზე და ზღვას დავუწყეთ ჩაქოლვა. მზე აცხუნებდა. ფეხსაცმელი გავიძვრე და მუხლებამდე შევედი, იმდენად ცივი იყო, რომ ზღვა ვიგრძენი, ზღვა ჩემებური და ახლობელი. უცებ ვენდიტორმა დამიძახა ჩუმად, რინადორესკენ მახედებდა და მანიშნებდა, წყალში ჩავაგდოთო. რინადორე იწვა, ხელები თავზემოთ გადაეყარა და თვალები მიელულა. მე ხელებზე ჩავებღაუჭე, ვენდიტორი ტერფებზე. შეხებისას რინადორემ თვალები გაახილა, შემომხედა, გაიღიმა და ისევ მილულა. მერე, როდესაც ავწიეთ, იყვირა: „არა!" „არა!" მესამეჯერ ვერ მოასწრო, ზღვაში ჩაეშვა და წამით უკანასკნელ ტალღასავით გაუჩინარდა მასში, მერე ამოყვინთა, ხელებით თავიდან

წყალი ჩამოიწურა და ჩვენი სიცილის ფონზე ამოვიდა ნაპირზე. უხმოდ გაიძრო კოფთა და ქვედაკაბა, მზეზე გაფინა და თვითონ უხმოდ გაწვა, ისევე, როგორც იწვა. სველი თეთრეული მისტიკურად უშიშვლებდა ტანს. ნიმფამ დაუფარავი შურით გახედა მის სავსე სხეულს, თვითონ, მიუხედავად სილამაზისა, გაცილებით ხმელი იყო, მოდელივით, ძუძუებიც ძლივს ემჩნეოდა, მაგრამ მის ეშხიანობასთან რინადორე მაინც ვერ მივიდოდა, ახლოსაც კი. ვენდიტორმა სახე აარიდა. მე ჩემი პერანგი დავაფარე წელსა და თეძოებზე და მის გვერდით გავიჭიმე ქვიშაზე, პირჩალმა, სახით მისკენ. მელიმებოდა. ცოტა ხნის შემდეგ დავუძახე:

– რინ! რინ, არ გესმის?!

– მესმის!

– გცივა?

– არ მცივა. იცი, რა კარგია?! მიდი, შენც ჩახტი!

– რინ, მომე ხელი, გიმკითხავებ, – ვიფიქრე, შემოვირიგო-მეთქი.

– არ მინდა, – წარმოვიდგინე, ნებისყოფის რა დაძაბვად დაუჯდა უარის თქმა, – სანამ წყალში გადამაგდებდი, მანამდე გემკითხავა, იქნება ამეცდინა მოსალოდნელი გაწუწვა!

მაინც გამომიწოდა ხელი. მე ისე დავიჭირე ხელისგულში მისი მტევანი, თითქოს თოვლის ფიფქი ყოფილიყოს და ვუთხარი:

– იცი, დიდხანს ვიფიქრე და მგონი, მართლა მეწყინა, რომ გავიგე, დანიშნული იყავი.

გული მოლოდინით მომეწურა.

– ვიცი, – ისე მშვიდად მითხრა, ცოტა გაებრაზდი.

– საიდან იცი?

– თვალებზე შეგატყვე! იცი, მგონი, მეც მეწყინა.

ხელი ტუჩებთან მივიტანე და ვაკოცე. შემდეგ ვენდიტორისკენ გავიხედე, ზღვას უმზერდა, აი, ნიმფა კი მე მიყურებდა, შორიდან არ ჩანდა, როგორი თვალებით. ალბათ ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რაც კი ქალებთან ურთიერთობისას დამიშვია. არ იყო ნიმფა ის გოგო, ასეთ ყმაწვილურ ხრიკს ვერ მიმხვდარიყო, მაგრამ ისეთი მიუნვდომელი მეჩვენებოდა, გარისკვაც კი სასაცილოდ მიმაჩნდა, მასთან მიახლოების გარისკვაც. არადა, მასთან სიახლოვისას კი არა, მასზე ნებისმიერი ფიქრისასაც უწყვეტად კიაფობდა ხოლმე სადღაც, სულისკნელის მოუხელთებელ დასაკარგავში სოხუმის ზღვა და გაგრელი გოგონა, ოღონდ ისევე უსასოო და გულის მომკვლელი, როგორც მერე, დიდი ხნის მერე, თოთხმეტი წლის შემდეგ, მისი ნათქვამი: „ერთხელ მაინც, ირონიით მაინც, ხუმრობით მაინც, თუნდაც სიზმარში, რა იქნებოდა გეთქვა, რომ გიყვარვარ, რა იქნებოდა?!“ თვალები გაფართოებული ჰქონდა, აშკარად კაიფში იყო, იმაშიც კი არ ვიყავი დარწმუნებული მაშინ, მცნობდა და მე მეუბნებოდა თუ არა ამ სიტყვებს. „ლედი, წამოდი, სახლში მიგაცილებ-მეთქი“, მახსოვს, ვუთხარი უსაშველოდ დამძიმებულმა. ის კი აგრძელებდა: „ერთხელ მაინც, რა იქნებოდა, რომ გეთქვა და ამოგეთრიე ამ წუმპიდან, სახლში მიცილებას, გაგერისკა და ამოგეთრიე, ხომ შეგეძლო, ხომ შეგეძლო!!!“ არც კი გამიცნობიერებია იმწამს მუხრუჭის ხმა, არც ქლეს მერბიელისკუს საკმაოდ ირონიული ღიმილით ნათქვამი, „ბოდიში, ორთა, ძალიან გადაღლილია ლედი, სახლში უნდა წავიდეთო“, ფრთხილად მოხვია ხელები მხრებზე და ლამის ძალით ჩაჩურთა დოჟის დაცვისთვის ჩამორ-

თმეულ, ერთ-ერთ მუგუზალივით შავ „კადილაკში“, კვლავ ჩემკენ სახემოღრეცილი და განწირულის მზერით მაცქერალი ლედი... მაგრამ ეს მართლაც რომ მერე იყო, ღმერთო, რამდენი ხნის შემდეგ.

პრუდენტია მენცარიხი

მართლაც ჰგავდა ძველ ბერძენ ფილოსოფოსს პრუდენტია მენცარიხი, ფილოსოფიის დოქტორი, დაბალი, ჩამოშვებული ბაკენბარდებით; ფართო, მაღალი შუბლი, დიდრონი თვალები, დაყენებული წვერი, რომელიც უფრო უმაღლებდა სახეს, მკაცრ ოთხკუთხედ სახეს, ოღონდ წაგრძელებულს, არაოვალურს; შავგვრემანი იყო, ეგვიპტური სისხლიც დაჰყოლოდა თითქოს, თუმცა ამ კუნძულზე რა გასაკვირი იყო ბერძნული, ეგვიპტური და თუნდაც შუმერული სისხლი. გაგვიღიმა, როცა ნოემამ უთხრა: „ჩვენს ახალ მეგობრებს, საქართველოდან დევნილებს, თქვენი ლექცია აინტერესებთ ფრიად და დაგესწრებით, თუ შეიძლებაო?“ დიდსულოვნად გაგვიღიმა. თუმცა აკადემიის მეორე სართულის კალენდარულმა ზედამხედველმა, ალბათ ოცდახუთიოდე წლის კაფანდარა, თავშალწაკრულმა ქალბატონმა, სასტიკი უარი გვითხრა. პრუდენტიას ხმა არ ამოუღია, ისე გააგრძელა გზა, ნოემამ კი საკმაოდ უკმეხად აუხსნა ზედამხედველს, რომ აუცილებლად დავესწრებოდით ლექციას, თუნდაც მას ცა ჩამოეღო მიწად და ჩვენ კიდევ მიწაც გაგვსკდომოდა, და ურჩია, დაბრუნებოდა ორფიკული ჰიმნების შესწავლას შემოსასვლელის მაგიდასთან დატოვებული გადაფურცლილი წიგნიდან: პატარა კრებულის

ფურცლები გარმონივით გადაშლილიყვნენ, თითქოს ცაში ისწრაფოდნენ გაქცევას და ზედამხედველმაც, თითქოს სწორედ ამის შეეშინდაო, სასწრაფოდ მიაშურა მას, თანაც გვერდულად მირბოდა, ცალი თვალით ჩვენკენ იხედებოდა, ლექციაზე არ შემასწრონო. აუდიტორიაში სასიამოვნო შარიშურით წამოუდგნენ ფეხზე პრუდენტიას, ღიმილით შესცქეროდნენ, შემდეგ კი, როცა პრუდენტიამ მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვა, „დეუს კარიტას ესტ"-ო[1], ერთხმად მიუგეს: „ალიტოს ამორე!"[2] შემდეგ საკმაოდ ხმაურით დასხდნენ და კალმები მოიმარჯვეს: ჩასაწერად და მოსასმენად ემზადებოდნენ. ჰომილეტიკას მხოლოდ ის კითხულობდა გულანშაროში. დანიელი, მე და ნოემა სადღაც შუა მწკრივში მოვკალათდით. კი მეჯუჯღუნა ნოემა, რაღა შუაშიო, მაგრამ ერთხელ რომ ავუხსენი, მწერალთა გილდიაში, ის გაახსენდა, გაიღიმა და წამყვა. მაშინ ვუთხარი, მწერალთა გილდიის სასახლეში, „პირველ რიგში გამოსაჩენად სხდებიან, ან კიდევ ბეჯითობის დასამტკიცებლად, ბოლოში – იმისთვის, რომ თვითმყოფადობასა და პიროვნულობას გაუსვან ხაზი, ჩვენ კი ხომ მხოლოდ მოსმენა გვინდა-მეთქი." „ჩემი პატარა ფილოსოფოსიო", გამიღიმა მაშინ და აღარ გამძალიანებია.

პრუდენტიამ ყელი ჩაიწმინდა, ოდნავ გასაგონად ჩაახველა, მარჯვენა ხელით მუქი შინდისფერი, ღიალურჯზოლებიანი ჰალსტუხი შეისწორა თუ უბრალოდ შეარხია ყელთან და დაიწყო, მკაფიო, არა ხმამაღალი, ხაზგასმულად გასაგონი და ფიქრისთვის საკმარისი პაუზებიანი რიტმით:

---

[1] *Deus Caritas Est – ღმერთი სიყვარულია (ლათ.).*

[2] *Alitos Amore – სიყვარული გვასაზრდოებს (ლათ.).*

– ორფიზმი, როგორც იცით, ძველბერძნული სიტყვაა და რელიგიურ მოძღვრებას, გნებავთ, მიმდინარეობას, ორფიკოსები კი მის მიმდევრებს ეწოდება. ჩვენს რელიგიასთან, ბუნებრივია, კავშირი აქვს კი არა და, საფუძველია მისი, მაგრამ ეგ ოდნავ სხვა, თეოლოგიური საუბრისა და ლექციის თემაა. ჩვენ კი დღეს ვისაუბრებთ უშუალოდ ძველბერძნული ორფიკოსებისა და ორფიზმის ადამიანურ და თეოგენურ ხასიათზე. მის დამაარსებლად ითვლებოდა პოეტი ორფეოსი, ხელოვნების ძალმოსილების განსახიერება. რაც შეეხება სიტყვის ეტიმოლოგიას, მისი წარმოშობა საკმაოდ დამაბნეველია, ძველბერძნულად თუ ავხსნით, ნიშნავს მწუხრს, სიბნელეს – ღამის სიბნელეს; სანსკრიტში – ობოლს, ანდაც მემკვიდრეს; არ გამოვრიცხავ, რომ მას რაღაც აკავშირებდეს ორფასთან, რაც ებრაულში საკმაოდ გავრცელებული სახელი იყო, ყავისფერ ირემს ანდაც კისერს ნიშნავს. მე მაინც მგონია, რომ უფრო არფას უკავშირდება, საიდანაც იღებს ძირს სიტყვა ჰარმონიაც, მართალია, არფა ცოტათი განსხვავდება ლირასაგან, რაც ორფეოსის საკრავია, მაგრამ საკმაოდ შეიძლება მათში მსგავსებაც იპოვოთ. – „ნეტავ ქართულ ორფასთან ხომ არაა კავშირში, ორმაგიდან ხომ არ მოდის, ან მიდის?" გამიელვა მე ფიქრმა წამისად. ეტყობა, ამიტომაც მიზიდავდა მისი ლექციები და მასთან საუბარი, ეგრეევე ჩაგითრევდა გონმეტყველებაში.

– მოგეხსენებათ, გულანშარო სწორედაც ხელოვნებისა და პოეზიის საბუდრად ითვლებოდა საუკუნეების განმავლობაში, სანამ ამ მერკანტილურსა და ტოტალურად გაუფასურებული არსობის ტყვეობაში არ ჩავეფლობოდით. კი დაგპირდით, მაგრამ

დღევანდელ ჩვენს რეალობასთან გადაძახილებიდან სავსებით ალბათ ვერ განვკიდეგანდებით. – დარბაზში ჩუმი სიცილი სუსტ ნიავად დაირხა. – ბერძნული მითოსი, ისევე როგორც ორფიკოსთა მთელი მოძღვრება, მჭიდროდ უკავშირდებოდა დიონისეს კულტს, ამასთანავე, ძველაღმოსავლურ, უპირატესად ეგვიპტურ და, შესაძლოა, ინდო-ირანულ რელიგიურ წარმოდგენებს. შეუძლებელია მასში ვერ დავინახოთ ბიბლიური ალუზიებიც. ორფეოსის მითის სიდიადე, რომელიც შემდგომ ჩვენს რწმენაში აისახა, არის ის, რომ, როდესაც ღვთიურ სიყვარულს ეზიარები, უკან არ უნდა მოიხედო. სიყვარული არის სრული სისავსე, მას არანაირი სახის დანამატი არ სჭირდება. სიყვარულს ჯოჯოხეთის პრიზმიდან არ უნდა შეხედო, რადგან ეს ოქსიმორონია – სიყვარული და ჯოჯოხეთი, ეს შეუძლებელია, შეუძლებელია სიყვარული ჯოჯოხეთში, ამას აფრთხილებდნენ ორფეოსს ღმერთები. შეიძლება შემედავოთ, რომ საუბარი საიქიოზე, ჰადესის საუფლოზეა და არა ჯოჯოხეთზეო, მაგრამ ამ შემთხვევაში ეგ იდენტურია, ერთი სიდიდის დატვირთვა აქვს. მეორე მხრივ, ალბათ არ უნდა ავუაროთ გვერდი საკმაოდ მიწიერ გრძნობას – ქალის აუტანელ წუწუნს, რომელსაც ორფეოსიც ვერ უმკლავდებოდა, და მაინც მთავარი – ეჭვია და რწმენის უკმარისობა, ჩემი აზრით. შეიძლება, საიქიოში, ჰადესში არ ეყო სიყვარულის ძალა და შთაგონება ორფეოსს, თუმცა სწორედ სიყვარულმა შეაძლებინა იქ შთასვლა. ადრე ვთქვი, საიქიო და ჯოჯოხეთი ერთი და იგივეა ამ შემთხვევაში-მეთქი: ეს თითქმის ისევეა, როგორც ქრისტიანობაში; ჯოჯოხეთი ხომ, ერთგვარი ქრისტიანულ-ფილოსოფიური გაგებით, ღმერთის გარეშე ყოფნაა. ჩათვალეთ, ორფიზმია,

ოღონდ ორფიზმში ჯოჯოხეთი – ეს არის უსიყვარულოდ ყოფნა, უსიყვარულოდ ყოფნა კი ხომ იგივეა, რაც უღმერთოდ ყოფნა? ალბათ მაინც რწმენა მიაკლდა ორფეოსს: Cum pervenire ad amorem Dei non habent a tergo requiris circumspice.[3] ჩვენი კრედოც – სიყვარული არის თავად უფალი, Deus caritas est, არის სრულყოფილი შემეცნება და გააზრება სამყაროს აღქმის, სიცოცხლის საზრისის. სიყვარულს აქ როგორც ღმერთის აბსოლუტურ გაგებას, ისე ვამბობ – განღმრთობის ერთადერთ ადამიანთათვის შესაძლებელ მიღწევადობას. ნეოპლატონიკოსებთან ვაწყდებით, რომ ჩვენში ღვთაებრივი არის სულის საუკეთესო ნაწილი – გონება. თითქოსდა წინააღმდეგობაში მოდის, არა? სიყვარული მაინც სადღაც გულის მიდამოებში უნდა ვეძებოთ თითქოს და არა გონების, მაგრამ თუ სწორად ჩავუფიქრდებით, სწორედაც გონებაშია მისი ადგილი, ნეოპლატონიკოსებისეულ გონებაში. სწორედ ეს ნაწილი მიაკლდა ადამიანურ ორფეოსს. იყო თუ არა ორფეოსი იმ დროს, დროის იმ მონაკვეთში ღვთიური? რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა, მაგრამ მასში იყო ღვთიური ნაწილიც. რა დოზით იყო მაშინ ორფეოსში ღვთიური ნაწილი, როცა ჯოჯოხეთში ჩავიდა სიყვარულის საპოვნელად? არ შეიძლება აქ გვერდი ავუაროთ ქრისტიანული მოძღვრების ფილოსოფოსებს: ქრისტემ დაამსხვრია ბჭენი ჯოჯოხეთისანი, როცა გარდაიცვალა, და სანამ მკვდრეთით აღდგებოდა, როცა ნაცარტუტად აქცია ჯოჯოხეთი. ეს მონაკვეთი, ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომას შორის პერიოდი, ალბათ ყველაზე აუხსნელი ფილოსოფიური საკითხია ქრისტიანულ თეოსოფიაში. თვი-

---

[3] *როცა ღვთის სიყვარულს ეზიარებით, უკან არ მოიხედოთ (ლათ.).*

თონ ორფეოსთან კი სწორედ ეს გვაინტერესებს, რა დოზით იყო ის ხატი ღმრთისა? თვითონ ხატობისა და მსგავსობის პრობლემა ქრისტიანობამ ახალ საფეხურზე აიყვანა, რადგან მასში თავისუფალი ნება შეიყვანა. მართალია, ორფიზმში ეს, აპრიორი, დაძლეული იყო ნეოპლატონიზმისაგან განსხვავებით, რადგან საწყისს, ღვთიურ სიყვარულს, უმაღლეს ფორმას არსებობისას, როდესაც ადამიანური სიყვარული უერთდება, იქ არ რჩება დროის არავითარი მონაკვეთი ხატობისა და მსგავსობის პრობლემაზე საფიქრებლად. როგორც შეყვარებულებს შორის იკარგება ზღვარი „მესა" და „მასს" შორის, ისევე იკარგება ზღვარი ღმერთსა და ადამიანს შორის განღმრთობის შემთხვევაში და არ იკარგება არც „მე" და არც „ის", როგორც ტრფობისას, ნამდვილი ტრფობისას. ოღონდ ორფეოსის ტრაგედია რა თქმა უნდა ის იყო, რომ სწორედ ეს განღმრთობა, ანუ სისავსე აკლდა, აკლდა რა ევრიდიკე. – პრუდენტია გაჩუმდა და გადმოგვხედა, სახის გამომეტყველება ოდნავ შეეცვალა, თითქოს გამოერკვაო და გვკითხა: – ძალიან გაუგებრად ხომ არ ვლაპარაკობ? – აუდიტორიაში ჩუმი სიცილი გაისმა. ბუნებრივია, არავის უთქვამს, ვერ ვგებულობთო. – ჩვენ მივადექით ორფიზმის მთავარ არსს – რა არის სრულყოფილება, და რა არის ადამიანის მიწადყოფნის ჭეშმარიტი არსი? ქრისტიანობაში ეს არის სასუფეველი, განღმრთობა. უეჭველია, განღმრთობაა ორფიზმის მთავარი არსიც – განღმრთობა სიყვარულით. სიყვარული აქ საშუალებაცაა და მიზანიც, გზაც და საზრისიც. ამ მსოფლგანცდისას შემოდის სწორედ ანტიკური ერთიც. კერძოდ, ნეოპლატონიზმში ეროსი ერთისადმი სრულდება მისტიკური, გამოუხატველი ერთობით,

სადაც სრულდება სწრაფვა. პეტრიწთან კი, მოგეხსენებათ, – სამი ლექცია მივუძღვენით ამ დიდებულ მოაზროვნეს, გახსოვთ ალბათ, – როგორც ჩანს, ეროსი არასდროს სრულდება და სწრაფვა სწრაფვას მოსდევს. სიყვარულის ჰიპოსტასის სახით, აქ შეიძლება საუბარი იყოს მარადიულ ცოდნაზე. კლიმენტი ალექსანდრიელმა შემოგვთავაზა, თუ სწორად მახსოვს, პირველად, დიდებული თეზა, რომ სამოთხე – ეს არის უწყვეტი განუძღომლობა და არა განძღომილობა, რის გამოც ანგელოზი, გამძღარი და ყოველივემოყირჭებული, ქვე დაეცაო, როგორც ორიგენე ამტკიცებდა. ამიტომაც გამორიცხა ის ნოსელმა და შემოგვთავაზა საოცარი თეზისი, ტოლფასი სამყაროსეული აღმოჩენისა, ჩემი აზრით, საოცარი, დიახ, ესაა უმშვენიერესი საზრისი: სასუფეველი – ესაა გაუთავებელი ცოდნის, ნეტარებისა და სიღრმისკენ უწყვეტი სწრაფვა, ვიდრე განღმრთობამდე და ასოცჯერ მეტი გზნებით განღმრთობის შემდგომ! ჭეშმარიტების უწყვეტი ჭვრეტა – განუძღომელი მჭვრეტელობა. რასაც უპირისპირებს კოროსს – განძღომას, რაც სულის კოროზიაა: მიწიერი სიკეთით განძღომა, გნებავთ, ზეციურითაც – ესაა ალბათ ჯოჯოხეთი. ჭეშმარიტების უსასრულოდ ჭვრეტა – განუძღომელი მჭვრეტელობა: მარადიულად მზარდი ძლიერებით სწრაფვა სიახლისაკენ.

ეს არ ჰგავს ამქვეყნიურ ცნობად სიამოვნებებს, გნებავთ, წარმოსახულს და ნაოცნებარს, არც ნარკომანებს რომ წარმოუდგენიათ, უწყვეტი ნეტარება; ეს არ ჰგავს არაფერს ამსოფლიურს, სწრაფადვე რომ განგვაძღობს ამქვეყნიური სიკეთით. – აქ ისევ შეისვენა პრუდენტიამ, თვალი მოავლო აუდიტორიას და მზერა ჩემზე შეაჩერა. – დღეს ჩვენ ქართველი სტუმ-

რები გვყავს და ამიტომაც უფრო ხშირად მოვიხსენიებ დიდებულ პეტრინს და ქართველთა და, საერთოდ, კაცობრიობისათვის უმნიშვნელოვანეს საუნჯეს (ამ ბოლო დროს უმბერტო ეკო ამახვილებს ყურადღებას ხშირად და სამართლიანადაც), ჯერაც დაუფასებელ, მაგრამ უიშვიათეს „ვეფხისტყაოსანს". – მცირე ხნით პაუზა გააკეთა, დარბაზს თვალი მოავლო და იკითხა:

– წაგიკითხავთ ვინმეს? – სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. – ერთ-ერთი უძველესი ნაწარმოებია, უდიდესი, სადაც ჩვენი პოლისი არა მარტო ნახსენებია, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოემის ფაბულაში. აუცილებლად წაიკითხეთ. მოკლედ, იქაა ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ავთანდილი, და ის ძალიან მოჰგავს ორფეოსს, როდესაც მთავარი გმირის საძებრად მიდის, ფაქტობრივად, ევრიდიკეს საძებრად, ოღონდ გენიალურადაა გადაწყვეტილი – მას ეძებს მეგობრისთვის, ჯოჯოხეთიდან უნდა მოაბრუნოს ნესტანი-ევრიდიკე, ტარიელისთვის. მოკლედ, რომ წაიკითხავთ, უფრო გაიაზრებთ, არ მინდა წინასწარ მოგიყვეთ შინაარსს. გზაში, მოწყენილი თუ დაღონებული საყვარლის უნახაობით, მღერის და ავტორი ამბობს, რომ ისე მღეროდა, მის მოსასმენად მხეცებიც მოდიოდნენო. ასე პირდაპირ არ ახსენებს რუსთველი, მაგრამ აშკარაა ბერძნული მითების ალუზია პოემაში. ცნობილი ტილოა, აღორძინების ეპოქის ნიდერლანდელი ფერმწერის, იაკობ ჰოეფნაგელის: ორფეოსი არფაზე უკრავს, მის ირგვლივ კი მთელი ნოეს კიდობანია თავმოყრილი და უსმენენ. საოცრად კარგი ნამუშევარია. თუმცა, მართალი გითხრათ, მე ეს ადგილი თრაკიულ ანფორაზე აღმოჩენილი ლამის

იდენტური ნახატით უფრო მახსენდება, ჩვენს მუზეუმში რომაა შემონახული და აუცილებლად უნდა ნახოთ. მოკლედ, ამ პოემაში ერთგულება შემთხვევით არაა აბსოლუტურად მთავარი მოტივი: ორფეოსი არის სიმბოლო ერთგული სიყვარულისა, ქალთმოძულეობა მას, უსამართლოდ, შემდგომ მიაკერეს ალბათ. თუმცა სრულიად გასაგებია ის ეპიზოდი, როდესაც ის დაგლიჯეს ქალებმა, თრაკიელმა მენადებმა, ბაკხმა ქალებმა – შეუძლებელია, ქალებს, ვნებას მოწყურებულ ქალებს აეტანათ ასეთი დიდი, ღვთიური სიყვარულის მატარებელი ორფეოსის გულგრილობა. მერე მის სხეულს აგროვებენ მუზები და ლესბოსზე მარხავენ ორფეოსის თავს. იქ მისი მოკვეთილი თავი შემდგომ წინასწარმეტყველებდა მითის მიხედვით. ეს არ იყო დიონისეს ნება და როგორც სხვა მითი მოგვითხრობს, მისი მკვლელი ედონიეკი სასტიკად დასაჯა და მუხად აქცია კიდევაც. – ნოემამ მკლავზე მომიჭირა ხელი, რომ შემეხედა, გამილიმა და მანიშნა მარჯვენა ცერით, „ხომ მაგარიაო?" რასაც მეც თავის დაქნევით და მოკუმული ტუჩების მიმიკით დავეთანხმე და დანიელისკენ მივახედე, რომელიც ბოლომდე ჩაძირული უსმენდა პროფესორს, სადღაც მოესროლა ციინიზმით შესუნელებული სახასიათო იუმორი, მუდამ რომ ეკერა სახეზე.

– ორფეოსი, სიმღერისა და ლექსწყობის გამომგონებელი აპოლონის მტვირთველი, დიონისეს უპირისპირდება აპოლონის სახელით, უნორმო დიონისეს ნორმალური აპოლონი, რამდენადაც ჰერმესიც უპირისპირდება აპოლონს. ბედის ირონიით კი, ორფიზმი სწორედ დიონისეს კულტად ჩამოყალიბდა. ეს ძალიან ჩამოჰგავს ქრისტიანულ თე-

ოგონიაში ჯვარცმული იესოს სიმბოლოდ ჯვრის გამოყენებას. სამყაროს საწყისის გაგება ორფიკოსებში წინააღმდეგობრივია. ერთნი პირველსაწყისად მიიჩნევენ ღამეს, ნიქსის, მეორენი – წყალს, მესამენი – მიწის, ცისა და ზღვის შერწყმას, მეოთხენი – დროს. პროკლე, მეხუთე საუკუნის ფილოსოფოსი და ჩვენი წმინდანი, ორფიზმის უპირატესობას იმაში ხედავს, რომ თუკი ჰესიოდე პირველსაწყისს დროიდან შობილად მიიჩნევს, ორფიკოსები პირდაპირ დროს მიიჩნევენ საწყისადო. ორფიკოსების კოსმოთეოგონია 12-საფეხურიანია. მოდით, უცებ გავირბინოთ ეს მოსაწყენი, მაგრამ აუცილებელი თემა, – გაიცინა პრუდენტიამ და განაგრძო, – პირველი არის პირველწყარო, მეორე – დროის დრაკონი ჰერაკლი და მისი მეუღლე ადრასტეია; დრაკონიდან იბადება ფრიად ბუნებრივი ნოთიო, ეფირი, უთავბოლო ქაოსი და დანისლული ერები (ბინდი). აი, იმას ჰგავს, რაღაც რომ იძვროდა წყლებს ზემოთ ბიბლიაში, არაფრისგან რომ იქმნება (აქ ისევ გამიელვა ფიქრმა, სრულიად უადგილოდ, ნეტავ ამ ქაოსს რამე საერთო თუ აქვს მროველის ჰაოსთან-მეთქი?), მეოთხე – კვერცხი; მეხუთე საფეხურზე კვერცხიდან იჩეკება ფანესი, „მბრწყინავი“ ოქროსფრთებიანი ორსქესიანი არსება, – აქ პრუდენტიამ გაიღიმა, თითქოს რაღაც სახალისოს თქმას აპირებსო, ისე მოგვაჩერდა აუდიტორიას, სადღაც, ერთ წერტილში, – ყველაფერში როგორ ორსქესიანობას ეძებდნენ ბერძნები, კი დაუდეს მერე ევროპულ ცივილიზაციას საჯილდაო ქვად ეს უსქესობა, კი არა და, სქესაღრეულობა, – შემდეგ უცებ მოსხიპა ღიმილი და განაგრძო, – ცოტა მეტად უნდა შევჩერდეთ ფანესზე: ფანესი თვითკმარია, თვითგამანაყოფიე-

რებელი, მრავალსახელიანი. ცნობილი ანეკდოტია, ურარტუელებზე, უნდა მოგიყვეთ. ფილოსოფოსი ეკითხება ბიოლოგს: „არგიშთ, შენი აზრით, რა მოხდება, ადამიანებს არაგონიერი ცხოველებივით საკუთარ გენიტალიებამდე რომ შეეძლოთ ბაგეებით მიწვდომაო?" ის კიდევ პასუხობს: „ეჰ, კაცობრიობა ნეტარებით ამოწყდებოდა, ჩემო ასიაო".

დარბაზი ახარხარდა. მე ნოემას გადავხედე, ის ისეთი სერიოზული და ნირწამხდარივით იჯდა, არ გამიცინია. გამახსენდა, დიდრიხი რომ კიცხავდა, „ცოტა ვულგარული გახდა, მგონი, კლიმაქსი ეწყება ჩვენს პრუდენტიასო". პრუდენტიამ კი აუღელვებლად განაგრძო:

– ის ატარებს საკუთარ თავში ჩასახულ სამყაროებს, ღმერთებს, არსებებს და ნივთებს. რაც მეტად იცის „არსმა" თავისი თავი, მით უფრო სრულყოფილია ის. კოსმიური დემიურგი, მაგალითად, მთლიანი გონებაა, შემმეცნებელი, „ნოერული" გონებაა, მისი ჭვრეტის ობიექტი „ავტოძოონია" – თვითცხოველი, პლატონის კოსმიური პარადიგმის მსგავსია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ფანესი ხრონოსის და ანანკეს შვილია, სამყაროს წყაროდან, ელვარე კოსმიური კვერცხიდან გამოჩეკილი მოოქროვილი ფრთების მქონე თავდაპირველი, საწყისი არსება. მას ზოგჯერ პროტოგონოსს (პირველშობილს) უწოდებენ, ზოგჯერ კი – ეროსს, სიყვარულს. სახელი ფანესი ნიშნავს, „ის, ვინც აცხადებს", „ის, ვინც ამჟღავნებს", და ენათესავება ბერძნულ სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავენ სინათლესა და სინათლის გავრცელებას. ერთი ძველი ორფიკული ჰიმნი მას ასე ახსენებს: „გამოუთქმელო, ფარულო, ბრწყინვალე, ტრიალით მოძრავო შთამომავალო, შენ გა-

შალე ჩვენ თვალწინ შავი ბურუსი და შენვე მიეცი წმინდა სინათლე ამ სამყაროს". აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ქრისტიანობის ღმერთის სახელი, „მე ვარ, რომელიც ვარ"; ეს ისევ ისაა, აღარაფერი რომ არ იყო მანამდე, სანამ სიტყვას დაძრავდა ღმერთი. მეექვსე საფეხურია ღმერთქალი ნიქსი; პირველ ყოვლისა, თავის საპირისპიროს შობს ფანესი, ნიქსის – ღამეს. ეს კი უცნაურია თითქოს: სიბნელე ხომ სინათლის აბსოლუტური ნაკლებობაა, აქ კი რა ხდება, სინათლე შობს სიბნელეს. შეიძლება ეს არსობრივად ერთი და იგივეც კი იყოს. აი, წარმოვიდგინოთ, სინათლეში შემოვიტანოთ ცოტა ბნელი, მერე გავაძლიეროთ ეს ბნელი, ისე გავაძლიეროთ, რომ გადაფაროს სინათლე, ეს შესაძლებელია ალბათ, არა? სინათლეს ვერანაირი სიმძლავრის სიბნელით ვერ ჩააქრობ. ნებისმიერ სიბნელეს კი ციცინათელაც ეყოფა გასაბზარად. ასე რომ, ეს სწორედ ნათელის არარსებობაა სიბნელე და არა პირიქით. ამიტომაცაა მითოსში სწორედ სინათლე, ფანესი ჩნდება პირველად. შეიძლება, ამ შემთხვევაში პირდაპირ კავშირში არ იყოს, მაგრამ ღამისა და სიბნელის გახსენებაზე ალბათ უნდა მივადგეთ ერთ-ერთ უმთავრეს ცნებას – არამარტო ორფიკულ ფილოსოფიაში – ბოროტებას. უცნაურია, რომ პლოტინი „უსაზღვრობას" უწოდებს ბოროტების თვისებას, ხანაც თვით ბოროტებას. წელან რაც სინათლის შესახებ ვთქვი, ახლა მომივიდა აზრად, რაც არ უნდა გააძლიერო სიბნელე, სინათლეს ვერ გადაფარავ, მაგრამ, სიტყვაზე, აბსოლუტურ სიბნელეში რომ შემოვიტანოთ ანთებული სანთელი და შემდეგ დავიწყოთ მისი მანძილზე განკიდეგანება ჩვენგან, რაღაც მანძილზე ალბათ, წარმოვიდგინოთ, რამდე-

ნიმე სინათლის წელიწადის სიშორეზე რომ წაიღოს ვინმემ, ხომ დაისადგურებს სიბნელე? რაღაცნაირად, მანძილი თუ უსაზღვრობა გამოდის ბოროტება და სიბნელე თითქოს. აი, ორფიზმი უარყოფს ამ საზრისს; ღმერთი არის უსაზღვრო, რადგანაც არ შეიძლება მას საზღვარი, გინდაც დასასრული ჰქონდეს. მაშასადამე, როგორ შეიძლება ღმერთი იყოს ბოროტება? – მოგვანათა მზერა პრუდენტიამ, მერე თითქოს გამოფხიზლდაო, განაგრძო: – მეშვიდე, ღმერთები – ურანი, გეა და პონტი; მერვე – კიკლოპები; მერვე და მეცხრე საფეხურები ჰესიოდეს საფეხურებს ემთხვევა. ურანი და რეა შობენ სამ კიკლოპს, სამ ჰეკატეინხეირს (ეს არა აქვს ჰესიოდეს), სამ მოირას (ჰესიოდესთან მოირები თემიდას შვილებია), რცხვენია თუ ეშინია რა თავისი შვილების, ურანოსი მათ აკავებს გეა-მიწაში. ტიტანებს გეა შობს ურანოსის ძალადობის საპროტესტოდ. კრონოსი ამხობს მამას, ურანოსს, ჭამს შვილებს; რეა გადაარჩენს ზევსს, ზევსი ქორწინდება ჰერაზე. აქ ეს ყველაფერი ისეა, როგორც ჰესიოდესთან, მაგრამ აქვე მთავრდება მსგავსება. ზევსი მეცხრე საფეხურზეა; აქ მინდა უცებ შევნიშნო: უცნაურია ჰესიოდე – ზევსის ნებაა, მასთან კრონოსი რომ საკუთარ შვილებს ყლაპავს და მათ შორის ზევსსაც; ოქროპირივითაა, არა? – მომიბრუნდა მე პრუდენტია და, ბუნებრივია, ფილოსოფიურად გავიღიმე, რადგან ოქროპირის არაფერი მქონდა ნაკითხული, არათუ ასე მხსომებოდა, რა როგორ იყო მასთან, ჰესიოდესთან მიმართებაში. – არ იყო მამა, როდესაც არ იყო ძე და არ იყო არც ერთი წუთი, როცა არ იყო ძე, რადგან ძე რომ არ ყოფილიყო, მაშინ მამას როგორ დაერქმეოდა მამა? ძალიან საინტერესო პასა-

ჟია! შემდეგ, მეათე – კორე პერსეფონე; ესაა ჰადესის ცოლი, გაიგივებულია კორესთან, ჰეკატესთან, იზიდასთან; აჩრდილთა და ურჩხულთა მრისხანე დედოფალი, ჰადესთან ერთად ზის ბნელეთის ტახტზე, ისმენს სულთა საჩივრებს და აღასრულებს ქმრის განაჩენს. ასეა ჰომეროსთან. მეთერთმეტე – დიონისე ზევსის ძე, და მეთორმეტე, ადამიანი! – პრუდენტია გაჩუმდა, მერე, მომეჩვენა, რომ ოდნავ დაბნეულად, ჭიქიდან მოსვა წყალი და თითქოს ახალი შემართებით განაგრძო: – ზევსი ერწყმის დედას, რეას, რომელსაც ორფიკოსები დემეტრასთან აიგივებენ, შემდეგ კი დედასთან შეძენილ შვილს კორეს, იმავე პერსეფონეს. ის ბადებს დიონისე ზაგრებს, ჰერასგან მოძულებულს კი ტიტანები შეჭამენ, ზევსი დაფერფლავს ტიტანებს, ათენა გადაარჩენს მის გულს, ხოლო ზევსი გადაყლაპავს მას და ხელახლა შობს სემელესგან. კლასიკურ ვარიანტში სემელე კვდება, ზევსი ნაყოფს თავის თეძოში ისვამს და შემდეგ ზევსისგან იბადება, თუმცა აქ არსებითი განსხვავება არაა, ამიტომაც არ ჩავულრმავდები. მოკლედ, ეს მეორე დაბადებაა. ტიტანთა ფერფლისგან კი ზევსი ქმნის ადამიანებს. ასე რომ, ორფიკოსებისათვის ადამიანი თეოგონიის გვერდითი პროდუქტი კი არა, პირდაპირი შედეგია, ყოველი კოსმოსური პროცესის მიზანი. ლამის ორფიკოსების დაწერილი გეგონება ახალი აღთქმა, იესოს გაწირვა, აღდგინება და განღმრთობა – საბოლოო მიზანი ადამიანისა. დედასთან შერწყმაშიც კია თითქოს ანალოგია: მარიამს სულიწმიდით ჩაესახება იესო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ იესოც და სულიწმიდაც ერთარსი სამების ჰიპოსტასები არიან. სამყაროს თეოგონია მართლაც ერთი საწყისიდან იღებს ძირს,

გნებავთ, ეკუმენიზმი დამწამეთ და გნებავთ, მწვალებლობა, ამ რწმენას ვერავინ შემაცვლევინებს, – გაიღიმა პრუდენტიამ, მერე ისევ სერიოზული სახით განაგრძო, – ორფიკული ანთროპოლოგიით, ადამიანი გაორებულია. მასში ორი საწყისია: მდაბალი – სხეულებრივი, ხორციელი, ტიტანური, ლპობადი, ფურთხშერეული მიწისა და მეორე – ამაღლებული, სულიერი, დიონისური, ღვთაებრივი. ორფიზმში დიონისური შერწყმულია აპოლონურს. თუ ჰომეროსთან სააქაო სიცოცხლე აღმატებულია საიქიოზე, ორფიკოსებთან – პირიქით, როგორც ახალი აღთქმის მახარობლებთან: ცხოვრება ტანჯვაა. სული სხეულში არასრულყოფილია და, პლატონის სულის ფილოსოფიის მსგავსად, გარბის სხეულისგან, ცდილობს გაექცეს სხეულს. ეს იგივეა, ადამიანმა ამქვეყნად ვაჭრობა დააყენო არსებობის მთავარ მიზნად და პოეზიას ბავშვობა და ახალგაზრდობის დროინდელი სისულელე და სისუსტე უძახო, – ზოგადად დოჟიზმს, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდრიხსაც გადაჰკრა პრუდენტიამ. უკვე ჰქონდა მასთან ამ თემაზე წანაკინკლავები „სპილიაში". „ნუ საუბრობ სტუდენტებთან სექსზეო", უთხრა მაშინ დიდრიხმა ხუმრობით, მაგრამ მაინც აჰყვნენ კამათს და ლამის ჩხუბში გადაუვიდათ. მართალია, დროზე მოთოკეს თავი, მაგრამ ასე გადაკვრები მას შემდეგ არც ერთს არ მოუშლია. – სული სხეულში არასრულფასოვანია. სხეული სულის სასაფლაო და სამწყვდიადოა. ცხოვრების მიზანი სულის სხეულისაგან გათავისუფლებაა; ეს ისაა, რის გამოც სოკრატე მამალს უკლავდა ასკლეპიოსს, ყოველ შემთხვევაში, ასე მოუწოდა ბოლოჟამს მასთან მისულ მოსწავლეებსა და თაყვანისმცემლებს. ეს არაა მარტივი, რადგანაც

სული განწირულია სხეულიდან სხეულში სახეტიალოდ, მეტემფსიქოზისთვის, სულთა გადასახლებისთვის, ლათინური რეინკარნაციისთვის, ასე რომ მოიცვა აღმოსავლური მსოფლიო თუ რელიგიური მსოფლაღქმა, ბუდისტური მოძღვრებით. ასეთ სხეულად აუცილებელი არაა ადამიანის სხეული იქნეს გამოყენებული, შეიძლება იყოს ნებისმიერი ცხოველი ან მცენარე. მეტემფსიქოზი, სანსკრიტულად სანსარა; ბერძნებიც ხომ ინდოევროპელები არიან, ეტყობა, იქიდანვე მოათრიეს, ინდოელებთან კი შუმერებისა და ებრაელების კავშირი რა, შორი იყო? უსასრულო ხელახლაშობის წყევლისაგან გათავისუფლებას, ინდოეთში მოკშას (ბერძნებს არა აქვთ მსგავსი ტერმინი) ემსახურებოდა ორფიკოსების რიტუალები და ცხოვრების წესი. ხელახლა შობის ბორკილისაგან გათავისუფლებული, კურთხეული ორფიკოსის სული ხვდება „კურთხეულ კუნძულზე", სადაც ის უზრუნველად ცხოვრობს. ორფიკოსები არ კლავენ ცოცხალ არსებას, ვეგეტარიანელები ამიტომაც არიან. არის მოსაზრება ინდოეთის გავლენისა ამ შრეზე. დიონისეს წოდება – ბახუსი არ განიმარტება ბერძნულად. ნისას, სადაც დიონისე აღიზარდა, ხან პოლონეთში განათავსებენ, ხან ინდოეთში, ხანაც კიდევ ეგვიპტეში; სამოსი ბასარა ასევე არაა ბერძნული წარმოშობის. თუმცა, თუ იყო გავლენა, ეს ძალიან შორეულ, ძალიან ძველ დროს, ალბათ. პილოსის დაფაზე იკითხება დიონისე, ეს კი მეორე ათასწლეულია ჩვენს დრომდე. სავარაუდოა, რომ კავკასიური, შუმერული, ეტრუსკული, ანაც ბასკური უფრო შეიძლება იყოს. სხვათა შორის, ჰუმბოლტი ავითარებდა ამ აზრს, ალბათ ყველაზე პირველად. ფაქტია, რომ საერთო ინდოევროპული

ძირით ვერ განიმარტება ის, და ვერც ორფეოსი ალბათ, რომლის ეტიმოლოგიური ახსნის აბსოლუტურად განსხვავებული ვერსიებიც დასაწყისშივე შემოგთავაზეთ.

დასასრულს, სულ ორიოდე სიტყვით თვით ანტიკური პერიოდის ტრადიციაზე გეტყვით: ორფიკოსთა საზოგადოებაში შესვლა მხოლოდ განწმენდილებს შეეძლოთ. ეს საიდუმლო იყო და მისი დაწესება ორფევსს მიეწერებოდა. ჩვენს ტაძრებში დღეს დამკვიდრებული რიტუალები და ინიციაცია საკმაოდ თავისებური და თვითმყოფადია და ის თვითონ ნაკლებად უკავშირდება ამ დიდებულ ბერძნულ მითოსურ სამყაროს, მაგრამ უეჭველია, რომ ძირები თითქმის ყველა სახისა იქაა. ქრისტიანული ლიტურგიაც არაა ამ მხრივ უცოდველი, ჩემი აზრით, საზოგადო ღვთისმსახურებისას უბრალო მოკვდავებს ღვთაებრივი ღვთისმსახურებიდან მხოლოდ ერთადერთი სიტყვის – „ამინის" თქმაღა რომ დაუტოვეს როლად. მოკლედ, საიდუმლოს ზიარებული, მიაჩნდა რა თავი წმინდანად, თვლიდა, რომ განიმზადა მარადიული ნეტარება. იმქვეყნიურ სამსჯავროს შეეძლო, მიცვალებულთათვის ახალი სიცოცხლე მიენიჭებინა, ხშირად ცხოველის სახითაც. ორფიკოსთა წარმოდგენით, ცხოველთა სხეულებში დავანება შეეძლოთ განწმენდილ ადამიანთა სულებსაც. ამიტომ განდობილებს ეკრძალებოდათ ცხოველთა მოკვლა და მათი ხორცის ჭამა. მხოლოდ მრავალგზის გარდასახულ ადამიანს შეეძლო მოეპოვებინა წმინდანის მარადიული სამყოფელი, რომელიც ორფიკოსთა ნაწილის აზრით, ვარსკვლავებზე მდებარეობდა. ის ცოდვილები, რომელნიც ვერ ეზიარნენ ორფიზმის მოძღვრებას, განწირულ-

ნი იყვნენ საწამებლად ჰადესში. მოგვიანებით ამ მოძღვრებაში უმთავრესი ადგილი დაიჭირეს განწმენდის მომაბეზრებელმა რიტუალებმა, მაგიურმა ლოცვებმა, რის გამოც მან დაკარგა ძირითადი არსი და პოპულარობა. გავბედავ და ვიტყვი, რომ დღეს აშკარად აცდენილია ჩვენი ორფიკული ტაძრების რიტუალები მარადისობის ამ საფუძვლებს და მას უფრო ზეპურთათვის გამიზნული ღვთისმსახურების სახე აქვთ მიღებული; და ახლა კი, მართლა დასასრულს, ორფეევსის ჰიმნის ჩემეულ თარგმანს შემოგთავაზებთ, მართალია, თავიდან ჰერმესისადმი ვთარგმნე, მაგრამ უპრიანია მაინც ეროსისადმი მიძღვნილი ჰიმნი გითხრათ.

ნოემას სალონი

ნოემას სალონში ვიყავით: კვარტუმი, ზარნა, ცირცელი და ლედი ნიმფა, მოგვიანებით ბატონი ელეაზარი და გრაფინია შემოგვესტუმრნენ. გრაფინია გვიყვებოდა, როგორ მისცეს ბინა სოციალისტური სისტემის რღვევის შემდეგ. პოლონეთი და ალბანეთი რომ გათავისუფლდა კომუნისტური მმართველობისგან, კუნძულმა მეტი ველარ მოითმინა და დაიწყო ბრძოლა თავისუფლებისთვის. ოღონდ გათავისუფლებულიყო და ოტომანური სულის საკუთარ წიაღში მატარებელი თურქეთისაც კი არ ეშინოდა პელაზგიას, მიუხედავად კვიპროსის მაგალითისა. ქალაქის ადრინდელ მერს უყვარდა პოეზია და სამოთახიანი ბინა მისცა აგათოტეროსის სამშვილიან ოჯახს, აუდიტუსსაც მაშინ მისცეს ბინა და კიდევ რამდენიმე ხელოვანს. ნოემას ბინის

ამბავიც მას ეხებოდა, თუმცა ეს უფრო ადრე იყო, მწარე სოცსისტემისას, მაშინ ის გულანშაროს მერი კი არა, კომპარტიის თავმჯდომარე იყო, თუმცა მაინც მიხრწნილი პრეზიდენტის დასამტკიცებელი გაუხდა, როგორც მოგვიყვა, აი, კაბინეტში რომ შეუვარდა ჯინსებში გამოკვართული. ამაზე თქვა ემესიმ მერე, მისმა დაქალმა, „როგორ არ გათხოვდა, გასაოცარია, ბიჭები ჩერდებოდნენ გზაზე და თვალმოუშორებლად აშტერდებოდნენ, ეს კიდევ ზედაც არ უყურებდაო“. როგორც ვთქვით, იმავე კვირას დაუმტკიცეს ეს ოროთახიანი ბინა ნოემას; სულხანის სიტყვას როგორ გადავიდოდნენ მაშინ და პატარა სარდაფიც დაუმატეს ზედ, მის ძმას ოქრომჭედლის სახელოსნო რომ ჰქონდა მოწყობილი და ნოემასა და მისი მეგობრების თავშეყრისა და ხელოვნების ნამდვილ სალონად რომ ქცეულიყო. ბინა ხომ უფრო დიდი და კეთილმოწყობილი იყო, მაგრამ მაინც ამ სარდაფში ერჩიათ მაშინაც ყოფნა, ათასგვარი საოქრომჭედლო იარაღებისა და რაღაცნაირი მითოსური იდუმალების წიაღში, მით უმეტეს, რომ თუბალსაც მოსწონდა თურმე მათთან საუბარი და მათი ლექსების ფონზე მუშაობაც კი, ხანდახან.

თუმცა ეს მანამ, სანამ ასე უგზო-უკვლოდ გადაიკარგებოდა მოსკოვის ბეტონის ჯუნგლებში, მხოლოდ ერთხელღა რომ შემოთვლიდა, აღარ მეძებოო და მაინც, მთელი 15 წელი ეჭვშეუტანლად რომ ელოდა ნოემა.

არც სხვები მაკლებდნენ ყურადღებას, მაგრამ ნოემასგან მაინც განსაკუთრებულ სითბოს ვგრძნობდი, ჯერაც იქიდან მოყოლებული, პირველად რომ გამაცნო გრაფინიამ ახალგაზრდა შემოქმედების საღამოზე და მეორე დღეს, მის სალონში წაქეიფე-

ბის შემდეგ – მე, დიდრიხი, ჟინპისტი, კვარტუმი, ნიმფა, ნოემა და მისი თანამშრომელი და მეგობარი ორფა – რომ დავუყევით ზღვისპირს; ნიმფასა და მე გვაქებდნენ უფროსი თაობის მწერლები. ნოემა დიდრიხის, კვარტუმისა და ლატას კურსელი იყო (ლატაც ჩემი უახლოესი სამეგობროს განუყრელი წევრი გახდა შემდეგ), ჩვენზე ოცი წლით იყვნენ უფროსები და გრაფ აგათოტეროსამდე, გრაფინიამდე, იონიხამდე და ჟინპისტამდე ხუთიოდე წელი აშორებდათ, მაგრამ გრაფინია მათ მაინც ჩვენს თაობად თვლიდა. ამ სეირნობისას, ეტყობა, ძალიან შეეცოდე ნოემას თხელ მაისურში და თავისი ნაქსოვი გახსნილი პულოვერი მომახურა, მიუხედავად ჩემი პროტესტისა. ჟინპისტი ახალჩამოსული იყო ბრიტანეთიდან და თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა და ალაგ-ალაგ ბერნსის ლექსების საოცრად კარგ თარგმანებს გვიკითხავდა, ერთი ლაგვანი (ორი ლიტრი ჩადიოდა) გულანშაროული სასმელი – ქანთელი გვქონდა, რალაც ჭაჭასა და რახს შორის, მაგრამ არაყიც არაა, ძირითადი შემადგენელი მასა ჭვავისაგან მზადდებოდა, სურნელისათვის კი გულანშაროული ვარდის გასაიდუმლოებული ნაყენი ემატებოდა; კარგი დასალევი იყო და კარგადაც ათრობდა. შუაღამემდე ვაყრუებდით გულანშაროულ ხმელთაშუაზღვისპირეთს მაშინ.

მაინც შორს გამიტყუა სიტყვამ. სწორედ ამ თუბალის საოქრომჭედლოში და აწ უკვე ნოემას ლიტერატურულ სალონში ვისხედით და, ელეაზარის ინიციატივით, სწორედ იმ ქალაქისთავის სადღეგრძელო შევსვით, რომელიც კუნძულის დედაქალაქში გადაიხვეწა და არალეგალურ გულანშაროს ძლიერ დასწყვიტა გული თავისი უნიათობით, რადგან

არჩევნების დროს მცირედ კრიტიკაზე ზლუქუნი აუვარდა და თავისი კანდიდატურა მოხსნა, რამაც დოჟს ფაქტობრივად გაამარჯვებინა. არადა, დოჟს ყველაზე მეტად სწორედ მისი ეშინოდა, მხოლოდ ის განიხილებოდა მის გონებაში ოპოზიციის ლიდერად. საღამოს მე და ნოემა ზღვისპირას გავედით და დიდხანს ვუსმინეთ ზღვას, მერე – მუეძინსა და ზარების რეკვას. თავიდან ნოემა დამცინოდა, ქრისტიანი კაცი აქ არ გადარჯულდეო, მაგრამ თვითონაც უსმენდა სევდით. მე კი მუეძინის ხმა მარტო დარჩენილი, საკუთარ გუნდს, ახლობელ და ნაცნობ გარემოცვას მოწყვეტილ მგლის ძახილს მაგონებდა, ძახილს თუ მთვარისადმი საგალობელს, ნოემას კი ალბათ ძმის სევდას უფრო უღვიძებდა, სადღაც გაუჩინარებული ძმის, უთქმელად გაუჩინარებული ძმის.

ფეკალური სტიქია და კვარტუმის დანიშვნა

ქალაქის დოჟმა რუსული ესტრადის ვარსკვლავები მოიწვია, ოღონდ მათში ბევრი ისეთი ვარსკვლავი ერია, რომელიც კარგა ხნის წინათ ჩაქრა, თუმცა ამის მაუწყებელ სინათლის პირველ ნაკადს ჯერაც რომ ვერ მოეღწია ჩვენამდე, და ისეთებიც, ჯერაც რომ არ ანთებულიყვნენ და საეჭვო იყო, აინთებოდნენ თუ არა საერთოდ. მრავლად იყვნენ თავგადაპარსული გოგონები, რომელთა წარმოშობა აშკარად კუნძულ ლესბოსიდან იყო, აეროპორტშივე კოცნიდნენ ერთმანეთს ტუჩებში უკომპლექსოდ. მაშინ გავიგონე კვარტუმისგან პირველად გადაკრული, „სიხარულით კვდება ჩვენი დაო“, და

გრაფინიას ავად შეპასუხება: „საკუთარი ავსიტყვაობა დაგახრჩობსო". მაგრამ მაშინ არ ვიცოდი, ვის გულისხმობდა და, საერთოდ, ეს კვარტუმის ჩვეულებრივი სარკაზმი იყო თუ რამე აზრიანი მინიშნება. სტუმრები კი სწორედ ამიტომაც მოხვდნენ პირდაპირი ჩვენებით კადრში, რისთვისაც დოჟმა შავი დღე აყარა შემდეგ ტელემაუწყებლობის საკუთარ ნათესავ მინისტრს და მოხსნა კიდევაც; დოჟს ნაბრძანები ჰქონდა კინოფილმებიდან არათუ მწვავე ეროტიკული ეპიზოდების, არამედ უცოდველი კოცნის კადრების ამოჭრაც კი და, რადგან რეკლამას კომერციული გაგებით საერთოდ არ უშვებდნენ გულანშაროს ტელეეთერში, მთელი ეს პერიოდი ტელევიზორის ეკრანიდან შიშინილა ისმოდა და ციმციმილა ჩანდა. ამიტომაც შეიძინა გულანშაროში სიტყვა „შიშინმა" ეროტიკული მნიშვნელობა.

კონცერტი ქალაქის ფეხბურთის მოედანზე გაიმართა, რომელიც ჯერაც არ იყო დანგრეული იმ დროს, ის კი არა და, ახლად შერემონტებული გახლდათ. გულანშაროს „როდოსი", კუნძულის ისტორიაში პირველად და ჯერაც უკანასკნელად, ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპში როდესაც გავიდა, ლამის ნახევარკუნძულის ერთი წლის ბიუჯეტი ჩაყარა დოჟმა მაშინ სტადიონის აღდგენა-გაფართოებაში, ორმოცდაათიათასსკამიანი სტადიონი ასიათასიანი გახადა. ფიფამ მართლაც მისცა იმ წელს ეკონია სადონისკუს, კომიტეტში მოკალათებული კარგა წონიანი რუსი წევრის ლობირებითა და დაჟინებით, რომელილაცა საპატიო წოდება, მაგრამ სამი წლის შემდეგ ჯერ ის ახალი ტრიბუნა მოაშორა, შემდეგ ძველს მიადგა და ხუთი ათას კაცზე გათვლილი სკამებილა დატოვა. თუმცა, საბოლოოდ, სტადიო-

ნი მაინც გიჟისთვალება პრეზიდენტმა გადაყლაპა კრონოსივით და იქ ვეებერთელა კომერციული ცენტრი გახსნა...

მაგრამ ესეც მერე იყო, დიდი ხნის შემდეგ, ახლა კი ცა ჩამოხსნეს ფეიერვერკებით. ღრმა ნეტარებაში ჩაიძირა გულანშაროს ახალგაზრდათა უმეტესობა. თვალში თუ ყურში საცემი იყო ისიც, რომ, დოჟის მოთხოვნით, მომღერლები მისალმებისას მას, როგორც პოლისის პრეზიდენტს, ისე მოიხსენიებდნენ. ეს გულზე ხვდებოდა ქალაქის არალეგალურ ნაწილს, რომელიც ამ კონცერტის შესახებ ინფორმაციას ტელევიზიით იღებდა და ძალიანაც აღიზიანებდა, რადგან სწორედ ამ დროს კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გადმომსხდარ, ვითომცდა მცირერიცხოვანი ურარტუელი მოსახლეობის უფლებების დასაცავად, რუსულ-თურქულ ვითომცდა სამშვიდობო ბატალიონს, სინამდვილეში კი დესანტს, ებრძოდა კუნძულის მთელი მოსახლეობა. ეს უკანასკნელი იმედის თვალით უყურებდა ხმელთაშუა ზღვაში მოდრეიფე, პელაზგიისკენ გეზაღებულ ამერიკულ ავიამზიდ „ჯორჯ ვაშინგტონს“ და მკრეხელობად თვლიდა გულანშაროს ზარ-ზეიმს. კუნძულის მიხრწნილი პრეზიდენტი არ იმჩნევდა, მაგრამ თუნდაც ამ ვითომვარსკვლავთა მიერ დოჟისადმი ყოველი მიმართვა – „პრეზიდენტო“ – გულში ჭვალებად უვლიდა; ფიქრობდა მიხრწნილი მელა, ისე როგორ დავამთავრო პრეზიდენტობა, ეს სეპარატისტი ქონდრისკაცი არ მოვაშორო კუნძულსო, თუმცა, როგორც ვთქვი, არ იმჩნევდა და ეღიმილქლესებოდა პრეზიდენტობამოსურნეს.

ბიჭები მეხვეწებოდნენ, წამოდი კონცერტზეო, მაგრამ შორს დავიჭირე და რამდენიმეს იქ წასვლის

სურვილიც კი მოვუკალი. თვითონ კუნძულის ჩრდილოეთ კანტონებში მიმდინარე ბრძოლებს რომ დავანებოთ თავი, საქართველოშიც ჯერაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა თუ ტარდებოდა, უცხოელი რეჟისორის მიერ უნიჭოდ, მაგრამ ზედმიწევნით ნატურალურად დადგმული. გალის დაცემის შემდეგ, ნაცვლად რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებისა, ისევ ბალტინის ჯარებს ვეხვეწებოდით, დაიცავი შევარდნაძის ხელისუფლება ქართველებისგანო, და კოლხეთის მთიანეთს შეფარებულ გამსახურდიას დავდევდით მთელი ჩვენ ხელთ არსებული შეიარაღებითა და საიდუმლო ქვედანაყოფებით. ჰოდა, როგორი იქნებოდა ამ დროს რუსი ვარსკვლავების კონცერტზე წასვლა?!

სწორედ მეორე დღეს იყო, გულანშაროს სანიაღვრე არხები რომ გაიჭედა და ქალაქი ფეკალურმა შადრევნებმა დაფარა. ეს, რა თქმა უნდა, აღარ იყო ნახევარკუნძულის უიშვიათესი ბუნებრივი სტიქია თუ სახასიათო მოვლენა, როცა ყოველ გაზაფხულზე, ვიდრე მარტის მთვარე სრულიად გაივსებოდა, ესხერებამდე ორი კვირით ადრე, გაზაფხულის სეზონური წვიმები იწყებოდა გულანშაროში; ადიდდებოდა დედა მდინარე ლეტასქური და გულანშაროს ჩრდილოეთ ნაწილის ქუჩებს, ქალაქის მეოთხედს, ლეტასქურის შესართავიდან ჰომეროსის მაღალჯებირიან ქუჩამდე, ვენეციად რომ აქცევდა მცირე ხნით, ხანაც კიდევ კვირეებით. თითქმის ყველას, გულანშაროს ჩრდილოეთში მცხოვრებლებს მაინც, ფელუკები ჰქონდათ სარდაფებში ძაღლებივით დაბმულები. ისინი ქოლგებივით აუცილებელი ატრიბუტი იყო ქალაქელებისთვის. უფრო მდიდარი გულანშაროელები სეზონური წვიმების დაწყებამ-

დე აუყვებოდნენ აღმართებს მთისაკენ სერპანტინებით და გულანშაროს სააგარაკო ნაცვალქალაქში გადაიდარებდნენ, თუმცა სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი რჩებოდა უკვე წყალდიდობისას ქალაქში; რაღაცნაირად ნაღდი გულანშაროელობა და ქალაქელობა გამოსჭვიოდა ამ ქმედებაში. და რაც მეტი დრო გადიოდა, უფრო მეტად ჩნდებოდა პარკინგებზე „როლს როისების", „ბენტლების", „ფერარების" თუ უბრალო „ფორდების" გვერდით ორჩხომელმზიდებზე შეყენებული მდიდრული იახტები, და მათი მეპატრონეებიც, წყალდიდობებისას ფელუკებით მოჯომარდე არალეგალურ გულანშაროელებს ამაყად ჩაუქროლებდნენ ხოლმე, გემბანებიდან დამცინავად მოღიმარები.

თუმცა, როგორც ვთქვი, ახლანდელი მოვლენა აღარ იყო ნახევარკუნძულის მთავარ ხიბლად ქცეული ეგზოტიკური შემთხვევა. საშინელი სურნელი გამეფდა გულანშაროში, მცხოვრებლები გარეთ არ გამოდიოდნენ, ქუჩებში მუხლებამდე იდგა მოყავისფრო სითხე და ყარდა ქალაქი. სამი დღე დასჭირდათ ქუჩების გასაწმენდად. დოჟი სახალხოდ დაჰპირდა მოსახლეობას, სულ ახალ არხებს გავიყვან და კანალიზაციის მილებს წყლის მილებიდან დავაშორებო. ამის შემდეგ უკვე ყოველ წელიწადში ერთხელ მაინც იძლეოდა მსგავს დაპირებებს, მთელი ათი წლის განმავლობაში. შემდეგ უკვე დაპირებებსაც არ იძლეოდა, როცა ვინმე კითხვას დაუსვამდა, თვალებს მოჭუტავდა, ხელს პრიალა, ლენინის მსგავს თავზე მოისვამდა და სხვა რამეს უპასუხებდა, მაგალითად, აეროპორტს ვაშენებთ ზღვაზეო. შემდეგ უკვე მთელი ყურადღება გვირაბის მშენებლობაზე გადაიტანა, რომელიც დანარჩენ კუნძულს უფრო ადვილად

აკავშირებდა გულანშაროსთან და რომელსაც თვითონ კი არა, ტრასეკას პროექტი აფინანსებდა. ეს ის ტრასეკა იყო, საქართველოსაც რომ მოიცავდა.

ამ ფეკალური სტიქიის მეოთხე დღესლა გამოვედი გარეთ. საოცრება იყო: ძაღლის გვამი ისევ ისე ეგდო მინაზე, ოდნავ ეცვალა მდგომარეობა, უფრო მოკაკულიყო. და მეორე საოცრება: როცა მთელი ქალაქი დაიტბორა, მხოლოდ „სპილიაში" არ ჩასულა ბინძური ღვარი. კაფეში ნაცნობთაგან მხოლოდ დიდრიხი იყო იმხანად – დიდრიხი ლირიკოს პოეტთა ჯგუფს მიეკუთვნებოდა, დოჟის სასტიკი მოწინააღმდეგე გახლდათ, რამაც მის სოციალურ მდგომარეობას სასტიკი კვალი დაამჩნია, მაგრამ უძლებდა და მასთან ყოველი დიალოგი თუ შეხვედრა ენერგიით აღავსებდა ადამიანს. ეს მერე მოხდა, ამერიკის კონსულის მრჩევლად რომ დაიწყო მუშაობა, თავისუფალ დროს ფაქტობრივად რომ ვერ ნახულობდა, დოჟის კრიტიკას კვლავ განაგრძობდა, მაგრამ უკვე ლექსებისთვის ვერ იცლიდა; მერე სალაპარაკო ცენტრი გახსნა და, ასე თუ ისე, გამოძვრა სოციალური სიდუხჭირიდან. მხოლოდ ეს იყო, უფრო მიმტევებელი გახდა. ერთხელ წამოსცდა, „ლექსების წერა ავადმყოფობაა (თითზე რომ დაიხვია პრუდენტიამ მერე და თითქმის ყოველ შესაძლო შემთხვევისას რომ ახსენებდა). დარწმუნებული ვარ, ადამიანს რამე კომპლექსი თუ არ აწუხებს, ლექსს არ დაწერსო; ერთ მხარეს ჯანსაღი, სავსე ცხოვრება, მეორე მხარეს – ხელოვნება; თუ ადამიანი ჯანსაღი ხარ, ჯანმრთელი, აღარ გცალია ხელოვნებისთვის. სხვანაირად ცხოვრებას ვერ მოასწრებო". თუმცა მაშინ, მე რომ კაფე „სპილიაში" შევხვდი, ჯერაც პოეტი იყო. ცოტა ხანში ნოემა შემოგვიერთდა (ნოემა მისი

ბაღის, სკოლის და, შესაბამისად, უნივერსიტეტის მეგობარი გახლდათ) და ყავას შემოვუსხედით.

– სანამ ეს კაცი დოჟადაა, ამ ქალაქში ცხოვრება შეუძლებელია! – თქვა დიდრიხმა.

– კვარტუმი არ ფიქრობს ასე! – მრისხანედ ახედა ნოემამ.

– მოეშვი...

– როგორ მოვეშვა?! მეგობარია, ხომ? როგორ შეეწყობი იმ კაცს, რომელიც დოჟის სამსახურში ჩადგება? – ხმა აუთრთოლდა ნოემას.

– დაანებე თავი, ხომ იცი, მას სხვანაირად არ შეუძლია! იქითაც ხომ ადამიანები არიან?! არ შეიძლება, ასე პარტიულად დავყოთ პიროვნებები. კვარტუმი რომ მაგ ადგილზე არ დაენიშნათ, მოკვდებოდა!

მაშინ ცოტათი მიკვირდა, ასე მწარედ რად ცდილობდა დიდრიხი ნოემას აღშფოთების დაცხრომას და მისი კვარტუმისადმი თანაგრძნობის გაჩენის სურვილიც რატომ ჰქონდა ასე უშურველად. ამას მერე მივხვდი, საკმაოდ დიდი ხნის მერე, თითქმის დაგვიანებული რომ იყო უკვე ყველაფერი.

– რატომ მოკვდებოდა, შენ კვდები?

– მე სხვა ვარ, ყველანი ინდივიდუალურები ვართ! თანაც მირჩევნია, რაც შეიძლება მეტი კარგი ადამიანი იყოს თანამდებობაზე, კარგ საქმეებს მაინც გააკეთებენ! ბოლო-ბოლო, მწერალი კაცი ბიბლიოთეკის დირექტორად სწორედაც მისწრებაა! – გაიცინასავით დიდრიხმა.

– ამ იმედით იყავი! – ხელი ჩაიქნია ნოემამ. – ნახავ, სულ ცოტა ხანში დაემსგავსება დოჟს!

სამწუხაროდ, მართლაც ასე მოხდა. საოცარი უნარი აღმოაჩნდა დოჟს, ადამიანთაგან არარაობა წარმოეშვა. ღმერთს ეჯიბრებოდა თითქოს, ღმერ-

თმა ხომ არარაობისგან შექმნა ყოველივე; საოცრად ადვილად ახერხებდა, ადამიანებს სახე დაეკარგათ და გაცილებით უარესი ნიღბებით ევლოთ, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ, შემდეგ კი ისედაც უარესნი ხდებოდნენ. რაღაცნაირად ძრწოლას იწვევდა ეს ერთი ციდა არსება, ჩანს, ჭროღა თვალებიც უწყობდა ამაში ხელს და გადაპრიალებული მელოტი თავიც. ტიპაჟით მონღოლურ-თურქულ-სპარსული იერისა გახლდათ, ჩაცმით – ევროპელი, ხასიათით და თვისებით კი – ტიპიური საუკუნის წინანდელი შუააფრიკელი ბელადი. როდესაც ვუყურებდი, წარმოვიდგენდი, როგორ მიუჯდებოდა სასადილო მაგიდას და რომელიმე არალეგალური ქალაქელის გადახსნილი თავის ქალიდან როგორ მიირთმევდა ხის კოვზით ტვინს. ერთადერთის წარმოდგენა არ შემეძლო – ტვინი მოხარშული იყო თუ უმი, რაღაცნაირად, ამის წარმოდგენას როცა ვიწყებდი, წარმოსახვა ქრებოდა.

იონიხი

მოულოდნელად გრაფინიას ხმა ჩამესმა. აივნიდან გადმოვიხედე, რინადორესთან და ცირცელთან ერთად იდგა და ხელს მიქნევდა, „ჩამოდიო“. ტანსაცმელი გამოვიცვალე და ჩავედი; მითხრა, იონიხია ჩამოსული და „სპილიაში“ ვიკრიბებითო. კაფე უჩვეულოდ იყო გადავსებული. გრაფინიამ იონიხთან წარმადგინა. პოლიტიკოსისათვის იშვიათად გულწრფელი მეჩვენა; პოლიტიკოსად იცნობდა მთელი კუნძული, მთელი დასავლეთი ქრისტეფორე იონიხს, ცნობილ დისიდენტად, პელაზგიის ციხეე-

ბი რომ არ აკმარეს და შორეულ რუსეთში გადატყორცნეს ჭკუის სასწავლად, მაგრამ რუსულ საპყრობილეებში ცალკერძ საბჭოთა უშიშროებასთან ბრძოლამ და ცალკერძ საბჭოთა საოცარ გაუგებარ მოვლენასთან – კანონიერ ქურდებთან თავის გატანამ უფრო გამოაწრთო და გამოჭედა, როგორც მოღვაწე. სავარაუდოდ, სასჯელის მორიგი განახლების პირას მოუსწრო საბჭოთა კავშირის ჯერ ბარბაცმა, შემდეგ კი სინათლის სიჩქარის სისწრაფით რღვევამ და დაბრუნდა პელაზგიაში, სადაც მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, დააწიეს დახასიათება: „გამოსწორების გზას არ დაადგა". თუმცა ეს მისი ქება უფრო იყო და პელაზგიის ჯერაც სოციალისტური სულხანის მთავრობას არასოდეს გამოუჩენია ეს დოკუმენტი და არ უხილავს დღის სინათლე, ვიდრე ავგუსტუსი არ შეცვლიდა მცირე ხნით, როგორც მარტის ესხერი ჩაანაცვლებს აპრილს.

იონიხის ჩამოსვლა იმ დროს დაემთხვა, როცა ავგუსტუსი უკვე მოდიოდა ხელისუფლებაში და არჩევნებით ამარცხებდა სულხან აგარიანს, და შემდეგ თავისი ერთწლიანი მმართველობის ხანაში, დამოუკიდებლად გამოაცხადებდა კუნძულს, და საკმაოდ ეჭვითა და შიშით შეხედა იონიხს. თვითონ მასზე გაცილებით უფროსი და ცნობილი დისიდენტი მაინც მოცილეს ხედავდა მასში პოლიტიკური გზის მარადისობაში. თანაც იონიხის უტეხი და, ფაქტობრივად, მოწინააღმდეგესთან შეურიგებელი ხასიათი, თანდაყოლილ ცოტათი ღვარძლიან ბუნებასთან ერთად, ლამის მისი პოლიტიკოსობის ხარისხს – ამ წინააღმდეგობების დიალოგით, სიტყვით გადალახვის ხელოვნებას – საკმაოდ აკნინებდა, ხანდახან შეუძლებელს ხდიდა მასთან პარტნიორობას, მით

უმეტეს, ისეთი ამბიციური ადამიანისთვის, როგორიც ავგუსტუსი იყო. და, მათდა უნებურად, ორივეს ხასიათს მათ მიტმასნილი მდარე პოლიტიკოსები და რუსეთის სახელმწიფო კარი ბრწყინვალედ იყენებდნენ. მართალია, ავგუსტუსი სულხან აგარიანმა დაამხო რევანშისტული საბჭოთა პოლიტისტებლიშმენტის საშუალებით, რუსული ქვეითი ჯარის დახმარებით და შოიგუს თანასარდლობით, მაგრამ ავგუსტუსის მრავალრიცხოვანი მიმდევრები მაინც იონიხს თვლიდნენ მთავარ იდეოლოგიურ მტრად, რამაც საკმაოდ ავნო მის იმიჯს მთელ პელაზგიაში. მე გულანშაროში უკვე სულხან აგარიანის პრეზიდენტობისა და ეკონია სადუნისკუს დოჟობისას მომიწია ყოფნამ და ამიტომაც ავგუსტუსის მოღვაწეობაზე ბევრი რამ არ ვიცოდი, თან დოჟთან მებრძოლი იონიხი აშკარად ყველას სიმპათიას იწვევდა. გაცნობისთანავე მომიყვა, ციხეში ქართველ დისიდენტებს ვიცნობდიო, მერაბს, ზვიადს და ელისაბედ ქავთარაძეს, რომელზეც მაშინ წარმოდგენაც კი არ მქონდა; პატივისცემით იხსენიებდა მათ და მეუბნებოდა, „მთელი საქართველო შემაყვარესო". მე ვუთხარი, „თქვენ კი არა, ქართველებსაც ლამის მათ შეგვაყვარეს დამოუკიდებელი საქართველო-მეთქი", ვიხუმრესავით. მისი თანამოსაკნე და თანაპარტიელი გაჭა ტელოსი ჰყვებოდა, „კინაღამ გადაგვიყოლა ციხეში მე და ჟინპისტი. აქეთ კომუნისტებს აგინებდა, იქით ქურდებს ეომებოდა, რამდენჯერ ბენვზე გადავურჩით აკეპვასო". განათლებით აღმოსავლეთმცოდნე იყო, შუმეროლოგი, დიდ პატივს სცემდა ქართულ სკოლას. ყველას იცნობდა, ვისაც კი აღმოსავლეთმცოდნეობაში ოდნავი წვლილი ჰქონდა შეტანილი. მაგრამ ადრევე მიანება თავი

მეცნიერებას, უფრო სწორად, ნაკლებ ყურადღებას უთმობდა მას და მთელი არსებით პოლიტიკაში იყო გადავარდნილი. ეს იყო მისი სტიქია, დარი, ავდარი თუ ტაროსი, გნებავთ – ცხოვრების საზრისი. მასთან განსაკუთრებით ახლოს გრაფინია აგათოტეროსი, თვითონ აგათოტეროსი, აუდიტუსი და, ბუნებრივია, ჟინპისტი იყვნენ. აუდიტუსზე მერე მოვყვები. თვითონ იონიხი გულანშაროელი იყო და, ბუნებრივია, არალეგალური გულანშაროს აღიარებული თავკაცი გახლდათ, გაჭა ტელოსთან და ღურა ფერისთან ერთად. ამ ძირძველი გულანშაროელის გენეტიკური ფესვები კუნძულის ჩრდილოეთის კანტონში ღვიოდა, რასაც დოჟი კუთხურობის გასაღვივებლად იყენებდა. როცა ვერა და ვერ შეძლო იონიხიც ვაჭრად ექცია, ტერორისტად გამოაცხადა, სადარბაზოში ხელყუმბარა აუფეთქა და შელეწილი კარებიდან, აქაოდა ცეცხლის გაჩენის შეგვეშინდაო, ბინა სახანძრო მანქანის მილებიდან გადმომსკდარი წყლის ჭავლით დაუტბორა; საგვარეულო მემკვიდრეობა, მთელი არქივი, სურათები, ნაშრომები და წინაპართა სახსოვარი ნივთები და ძვირფასეულობა ერთიანად გაუნადგურა; შემდეგ, ვითომ გამოძიების მიზეზით, ბინა დაულუქა და აიძულა, კუნძულის დედაქალაქში გადაბარგებულიყო. საოცარი უნარი ჰქონდა იონიხს, ადამიანი ისე გულწრფელად შეეფასებინა, რომ სამუდამოდ დაეკარგა. კუნძულის ყოფილ პრეზიდენტს, დისიდენტური მოძრაობიდან აღზევებულ ავგუსტუსს, რომელიც, როგორც ვახსენეთ, მიხრწნილმა სულხანმა რუსეთის დახმარებითა და ნატოს წაყრუებით დაამხო, შუა დარბაზში წამოუდგა და სახალხოდ, ირონიის მთელი მომხიბვლელობით დაუკრა ტაში, როდესაც

იმან დოჟი შეაქო, რადგან ზუსტად ორიოდე დღის წინ იმავე დარბაზში პრეზიდენტი ბრძანებდა, „სამწუხაროდ, დოჟი საბჭოთა ნომენკლატურის ღვიძლი შვილი აღმოჩნდაო“. დოჟის მეტსახელების უმეტესობის ავტორი სწორედ ის იყო: იაჰუ, ფაშა, დარვინიზმის პირმშო, ციდამტკაველა, მაკაკა, პარანოიკი, ქონდრისკაცი და ასე შემდეგ. კუნძულის პარლამენტში ყოველი მისი გამოსვლა იწყებოდა დოჟით და მთავრდებოდა დოჟით; ამთავრებდა ისე, როგორც უძველესი რომაელი: „გარდა ამისა, მე მგონია, რომ დოჟი გულანშაროს უნდა მოშორდეს!“ კუნძულის თითქმის ყველა დონის პოლიტიკოსი, მოღვაწეობის რაღაც მონაკვეთში, ასე თუ ისე, დოჟთან თანამშრომლობდა. ერთადერთი გამონაკლისი იონიხი გახლდათ, ღურა ფერისთან და არალეგალური გულანშაროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად. იმ დღეს გულანშაროში მისი ჩამოსვლა დოჟის ახალ ინიციატივას დაემთხვა. დოჟმა გადაწყვიტა, ბავშვთა ოპერა შეექმნა, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი რამ მთელ მსოფლიოში არსად იყო. თვით იონიხისთვისაც კი წარმოუდგენელი იყო, თუ დოჟი ამ დონეზე „გააფშვიტინებდა“, როგორც თვითონ ამბობდა. პირველ რიგში შენობა იყო საჭირო, ახალს ხომ არ ააშენებდა და ბრძანა, რკინიგზის სადგური დაეცალათ. ეს შენობა ადრე სიმფონიური ორკესტრისათვის უნდოდათ, მაგრამ აკუსტიკის გამო დაიწუნეს. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ქალაქისთავი ვესპერტილიო დაჰპირდა, თურქეთიდან ჩამოვიტანთ აკუსტიკასო, სასწრაფოდ დაცალეს შენობა, ხოლო ახალ სადგურად ქალაქის შესასვლელში მდებარე ერთი ციდა მეისრის ჯიხური აქციეს. დადგა რიგი ყოფილ სად-

გურში, მშობლებს მიჰყავდათ შვილები, სამიდან ცამეტ წლამდე, და გაჰკიოდნენ მთელი ხმით ბავშვები: „ო, სოლო მიო!" „გრანადა!" „მურმან, მურმან!" დოჟი ყველა რეპეტიციას ესწრებოდა, მოწკურული თვალებით, ბოლომდე უსმენდა, შემდეგ კი, დირიჟორისა და კომპოზიტორის თქმით, ფრიად საყურადღებო და პროფესიონალურ შენიშვნებს იძლეოდა. ცოტა ხანში კი ბავშვთა ოპერა გულანშაროს სავიზიტო ბარათი გახდა, ცნობილი სტუმრის ჩამოსვლისას, თუნდაც შუაღამე ყოფილიყო, ქალაქის დოჟი აუცილებლად მოასმენინებდა მას რომელიმე დადგმას თუ ოპერას და შემდეგ ნეტარების მეშვიდე ცაში ატყორცნილი ისმენდა სტუმრის მიერ შესხმულ ხოტბას.

ბოეთიუსი და ავგუსტუსი

მერის დოჟად გარდაქმნის მეშვიდე წელიწადს გულანშაროში საზაფხულო თეატრი დაიწვა, ლამაზი ხის ნაგებობა. ჯერ შეიცხადა დოჟმა, მაგრამ მაინც ვერ დამალა სიმართლე. ერთ კვირაში უკვე მშენებლობა დაიწყო. გაოცებული უმზერდა მთელი ქალაქი: პირამიდას აშენებდა დოჟი. არა, თავიდან ვინ მიხვდებოდა, უზარმაზარი მინდორი მოაპრიალეს და მოაასფალტეს, თვითონვე გამოვიდა ტელევიზიით და მაკეტი გვაჩვენა, ას ოცდათხუთმეტი მეტრის სამაღლის უნდა ყოფილიყო, რაღაც მუზეუმის, ობსერვატორიისა და კინოკლუბის უცნაური ნაზავი; ყოველ შემთხვევაში, ასე ხსნიდა თვითონ და კაციშვილმა ვერ გაიგო, სინამდვილეში რას აპირებდა. მხოლოდ 90 წლის მათხილე შურიში გამოხატავ-

და პროტესტს თეატრის დაწვის გამო. გასაოცარი კაცი იყო, გულანშაროს ცოცხალი მემატიანე; მოყვარულმა ფოტოგრაფმა, ფაქტობრივად, გულანშაროს მთელი ისტორია იცოდა ზეპირად, ჰესიოდედან მოყოლებული, ხოლო შვიდი წლის ასაკიდან – რაც მამამ „კოდაკის“ ფოტოაპარატი აჩუქა, 100-კადრიანი ფირი რომ ჩადიოდა – საკუთარი ფოტოარქივი ჰქონდა სურათების უმდიდრესი ნაკრებით. გულანშაროს ისტორია კადრებად იყო ასახული. ქალაქის ტრადიციათა არგუსს ეძახდნენ, ყოველი შენობის წარსული კი არა და, რომელი ქვისგან იყო აშენებული, ეგეც იცოდა. დასცა კარავი ყოფილი თეატრის წინ მათხილემ და მოითხოვა თეატრის ზედმიწევნით ზუსტად აღდგენა. ამბობენ, მის ასაკს სცა პატივი დოჟმაო, თორემ ქონდა ქარისკუ აორთქლებას უპირებდა თურმე შურიშის; „ტბის ფსკერზე გავაქრობო“, უთქვამს ავტოლიკოსისთვის. მაინც ვერ გაუბედავს ავტოლიკოსს, მამის უკითხავად ემოქმედა. იმას კიდევ მოუწკურავს თვალები და გამოუთქვამს მძიმედ ბაგეთშორისიდან: „შეეშვით გამოჩერჩეტებულ ბერიკაცსო“. შეიძლება, სადღაც მამის აჩრდილიც კი დაუდგა თვალწინ, უამრავჯერ რომ შესწრებია, მათხილესთან ერთად როგორ თამაშობდა ჭადრაკს, ვახშმობისწინა სამზადისისას, ვეებერთელა მისაღებში, და ათასგვარი საუბარი ესმოდა ჯერაც ბალღს გულანშაროსა თუ პელაზგიაზე. თუმცა წინაპართა ნასაუბრევზე მეტად მაინც საბჭოთა ჯარში ყოფნისას ათვისებულ იდეებს ეთაყვანებოდა, მაგრამ სადღაც მაინც იკაწრებოდა, ეტყობა, ბავშვობისდროინდელი წარმოსახვების სუსტი სითბო. ეგ იყო პირველი ნიშანი დოჟის მხრიდან გამომჟღავნებული ლმობიერებისო, ფიქრობ-

დნენ არალეგალური გულანშაროელები, შვილს კი პირველ სისუსტედ მიუჩნევია და დაუმალავს, მაგრამ ქონდას რას გამოაპარებდა, როგორც კი უარი მიუღია, კოლი ანდროსკუსთვის შეუჩივლია, „რა ხდება ეს, როგორ მოითმინა დოუმაო?!"

მე კი იმწუთასვე ვიყვირე, „სპილიაში", როგორც კი ეკრანიდან მაკეტი დავინახე: – ძვალთშესალაგს იშენებს! – რაც მხოლოდ დიდრიხს არ დაუჯდა ჭკუაში.

– ხომ არ გაგიჟდი?! დავილუპეთ!

– არა, მე იმედი მომეცა, – გავუცინე, – ეტყობა, მაინც ფიქრობს სიკვდილზე!

– არა, არა, ვანიტას სიკვდილის მერე მთლად აურია! – გაფითრებული სახით თქვა აუდიტუსმა. ვანიტა დოუის ცოლს ერქვა. უკურნებელი სენით გარდაიცვალა და მთელმა კუნძულმა დაიტირა, თუ დაატირებინა დოუმა, კუნძულის მთელ პარლამენტს, პრეზიდენტს. ყველაზე რადიკალური ოპოზიციის ლიდერმა, ურსუსისკუმაც კი გამოგზავნა პარტიის თვალი და მთავარი, მეტად გაწონასწორებული ფიგურა, სარწყე ლუუმესკუ; თვითონ მაინც არ ჩამოვიდა, როგორც ჩანს, იონიხს გაუწია ანგარიში. მთელი გულანშარო შავებში იჯდა სამოცდაათი დღე. ბულვარი ჩაჩუმდა, აღარ იმართებოდა ცეკვები, დაიხურა ღამის კლუბები; ბარებსა და რესტორნებს მუსიკა საერთოდ აუკრძალა, პიანინოზე დაკვრაც კი; მხოლოდ ბახი და მოცარტის რეკვიემი იყო ნებადართული. სასტუმრო „ინტერნაციონალში" მევიოლინე დაიჭირეს და სამი თვით დააპატიმრეს, რადგან შვეიცარიელ სტუმარს, თხოვნისამებრ, რეკვიემის ძლივსშესამჩნევი, თავისებური ინტერპრეტაცია შესთავაზა როიალზე. დააპატიმრეს, რა

თქმა უნდა, ნარკოტიკების გავრცელების ბრალ-
დებით. მხოლოდ ორფიკულ ტაძრებს ვერ გაუბედა
ჰიმნების შესრულების აკრძალვა, მაგრამ მკაცრად
განუსაზღვრა, რომ კარები მჭიდროდ უნდა ყოფი-
ლიყო ამ დროს დაგმანული და შედარებით დაბალ-
ხმიანი ოდები შეერჩიათ. ქალბატონი ვანიტა სამი
თუ ოთხი უფასო სასადილოს მეცენატად ითვლებო-
და, რამდენიმე კუნძულელი პოეტის წიგნის გამო-
ცემა ჰქონდა დაფინანსებული და ქალთა საზოგა-
დოების, „ქალები მსოფლიოს შაბარდუხების ხსნისა
და გადარჩენისათვის", კუნძულის ორგანიზაციის
გულანშაროს ფილიალის თავმჯდომარე გახლდათ,
რომელიც დიდ ფინანსებს ფლობდა და არ ვიცი,
შაბარდუხების გადარჩენა რამდენად შეძლეს, მაგ-
რამ სამ თუ ოთხ საოპერაციოდ გამზადებულ ქალს
მართლაც გაუწიეს დახმარება. იმ სამ სასადილოს
ვანიტას სახელი ეწოდა, მისივე სახელი უწოდეს გუ-
ლანშაროს სიდიდით მეორე ქუჩას, ადრე კონსტან-
ტინე დიდის სახელი რომ ერქვა; დედაქალაქში კი,
პრეზიდენტის ბრძანებით, მისი სახელი მიანიჭეს
დედაქალაქის ქალთა პანსიონს. კუნძულის მცირე-
რიცხოვანი მართლმადიდებლების წმინდა სინოდმა
გადაწყვიტა განეხილათ ქალბატონი ვანიტას წმინ-
დანად შერაცხვის საკითხი, მაგრამ რატომღაც ჭი-
ანურდებოდა. ქალბატონი ვანიტა გულანშაროს
მართლმადიდებელი მრევლის ერთგული წევრი კი
იყო, თუმცა, სიმბოლურად, ნახევარკუნძულის ორ-
ფიკული ტაძრის მთავარ ქურუმად ითვლებოდა;
თან ოპოზიცია, რომელიც დაკრძალვამდე კრიტი-
კას ერიდებოდა, უკვე ნელ-ნელა სარკაზმის ქარ-
ცეცხლში ხვევდა მთელ ამ კამპანიას და მოერიდათ,
ეტყობა. თუმცა მე უფრო იმას ვუმადლიდი, რომ

მსოფლიო პატრიარქისგან, ბართლომე პირველისაგან, აშკარად მკაცრი გაფრთხილება მიიღეს კაპერნაუმელ მახვამერთა ორდენის გამჭრიახობის წყალობით, რომელსაც ჩემი იქ ყოფნისას ეპისკოპოსი თეოდოროსი ხელმძღვანელობდა, საკმაოდ ფიცხი, მართლაცდა უსაზღვროდ განათლებული კაცი, და ვერ გაბედეს, მას წინაღდგომოდნენ. პირამიდის შენება კი სწორედ ასი დღის გასვლის შემდეგ დაიწყო დოჟმა.

– მგონი, მართლა იმზადებს საფლავს ეს ტირანი! – როგორღაც სევდიანად წარმოთქვა ღურა ფერიმ.

უცებ გრაფინია აგათოტეროსმა თქვა:

– იცით რა, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მას ბოეთიუსის სიკვდილი არ შერჩებოდა. როგორ ძაღლივით მოკლა, ბიჭო?!. – დანანებით მიმართა რატომღაც ღურა ფერის.

– ისიც კარგი გიჟი იყო, საცოდავი! – ხელები გაშალა ღურა ფერიმ.

– მე რა მაინტერესებს, – წამოიწყო აუდიტუსმა, – ვინმემ მართლა ნახა, რომ თვითონ ესროლა?

– როგორ არ ნახა, ბიჭო, რას ამბობ?! – იწყინა გრაფინიამ. – ჩემი თვალით ვნახე ბოლო გასროლა, ჩემი თვალით ვნახე!

– მართლა მოსაკლავად მიუვარდა? – ჰკითხა ტრისტიტიამ რაღაც დაეჭვებით.

– არა, ტრისტიტია, შენი ჭირიმე, თავს ვეღარ მართავდა, – დაიწყო გრაფინიამ, – ხომ გახსოვთ, რა ემოციური იყო ბოეთიუსი, ბოლო-ბოლო, ავგუსტუსის ძმაკაცი იყო! ავგუსტუსმა პირდაპირ ვერ დანიშნა, შენ არ ხარ გულანშაროელიო და ეს კანიბალი განგვიწესა, მაგრამ ის მოადგილედ იმიტომაც დაუსვა, რომ არ ენდობოდა მაინც ამას.

– ეგ კი ვიცი, გრაფინია... – შეაწყვეტინა ტრისტიტიამ.

– ჰოდა, რომ შეატყო ბოეთიუსმა, ეს რუსის გენერლებს აფინანსებდა და ბავშვებს თურქეთის მუსლიმურ სასწავლებლებში გზავნიდა, და ნაცვლად გულანშაროს პოლისის ამ ყალბი თვითმმართველობის გაუქმებისა და კუნძულთან რეალური ინტეგრირებისა, უფრო აშორებდა, ველარ აიტანა და მოსთხოვა ავგუსტუსს, მოაშორე აქაურობასო. სანაცვლოდ ამ სატანამ მთელი ტყიანი და ყინულებიანი კანტონების გულანშაროელები ჩამოიყვანა და „დოჟის გარდა არავინ გვინდა, დიდება დოჟსო!" აძახებინა.

– სხვათა შორის, როგორც მახსოვს, – ჩაეჭრა ნოემა, – იმ დღეს გავედით ქალაქში მე და ემესი: ხეები სულ ხალხით იყო სავსე. მე, გაოცებულმა, ერთს ავძახე: „ბიძია, რატომ ხართ მაქ-მეთქი?" „რა იყო, თქვენ დოჟი არ გინდათო?!" – ისე ჩამომძახა, სისხლი გამეყინა ძარღვებში. არ ვიცი, რას მოვიმოქმედებდი, ემესს ძალით რომ არ მოვეშორებინე იქაურობისთვის.

– შენ კი არა, მე რომ ყინულებიანი კანტონიდან ვარ, – წარმოთქვა გაჭა ტელოსმა, – ვიფიქრე, ეს ვინ ხალხია, ნუთუ გულანშაროელები არიან-მეთქი?!

– ჰოდა, შეშინდა ავგუსტუსი, – გააგრძელა გრაფინიამ.

– ეროვნული პრეზიდენტი, ძაღლი... – წარმოთქვა ზიზღით აუდიტუსმა, მაგრამ ჟინპისტმა გააწყვეტინა.

– არ თქვა, ასე არ შეიძლება. პრეზიდენტობა ვერ შეძლო, მაგრამ კუნძული რომ უყვარდა და შეეწირა კიდევაც, ხომ ცხადია.

– გულუბრყვილო იყო, ბიჭო!.. – ისე წარმოთქვა გრაფინიამ, რომ მართლა შემეცოდა კუნძულის პირველი პრეზიდენტი. თუმცა არ ვიცნობდი მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, მაშინ ხომ საქართველოშიც სამოქალაქო ომი იყო და კუნძულის ამბებისათვის არ გვცხელოდა. მაგრამ ნობელის პრემიის ლაურეატი იყო კაცი და ოთხი მართლაც კარგი რომანის ავტორი. – ჰოდა, შეეშინდა ავგუსტუსს, ისევ არ დავკარგო ეს ძლივს შემოერთებული გულანშაროო და გაიწვია ბოეთიუსი. საღამოს ტელევიზორით მოისმინა ბოეთიუსმა განცხადება, თურმე საკუთარი ნებით წასულა თანამდებობიდან, გადამდგარა. მაინც გაუძლო ცდუნებას და ჩაჯდა მანქანაში, ჩაისვა თავისი გოგო და, ის-ის იყო, გულანშაროდან გადიოდა, ზედ ჟირნყლის ხიდთან გააჩერა პოლიციელმა და გაჩხრეკა მოუნდომა, თან, მგონი, შეაგინა კიდევაც – დოჟის მითითება შეასრული პირწმინდად. აი, მაშინ იყო, გამოატრიალა მანქანა, აუვარდა კაბინეტში და თავზემოთ დაუცალა მჭიდი – თეთრ კედელზე დათვის თანავარსკვლავედი მიახატა! ახლა მითხარი, ასეთი მსროლელი კაცს, მოკვლა რომ ნდომებოდა, ვერ მოკლავდა?! – თვალი მოგვავლო ყველას გრაფინიამ. – მერე ჩაირჭო რევოლვერი ქამარში და გამობრუნდა; აი, მაშინ ესროლა ამ მონამ სამი ტყვია ზურგში, მერე გამოეკიდა და კიბესთან წაქცეულს, დაბლა რომ მიფორთხავდა, დაეწია, თავზე დაადო ლულა და მისი ქალიშვილის თვალწინ ტვინი გაასხმევინა... სწორედ იმწამს გამოვაღე კარი და ამ საშინელ სცენას შევესწარი. ჩვენი კომიტეტის კაბინეტი ხომ დერეფნის გაღმა იყო, მარწკინალ უჩაორასკუ ენაჩავარდნილი იდგა, მაგრამ რად გინდა, ერთ კვირაში დაივიწყა თავისი ძმადნაფიცი ბოე-

თიუსი, როგორც კი კომიტეტის თავმჯდომარეობა შესთავაზა დოჟმა, ქონდა ქარისკუს პირით. ვერავინ გადამარწმუნებს, რომ მაშინ ნიშნის მოგებით, გაყინული თვალებით არ მიყურებდა დოჟი, მართალია, წამით, მაგრამ მაინც!

– ან იმისი ქალიშვილი როგორ დაინდო? – ხელები გაასავსავა ღურა ფერიმ.

– ჭკვიანი და გულიანი გოგოა, სძლია ემოციასაც, შიშსაც, გამოიქცა და მანქანით გარბოდა. გვიან მოვიდა ჭკუაზე დოჟი და დაადევნა მდევარი, მაგრამ თავდაცვის მინისტრი დახვდა ჟირწყალთან, გოგოს ნათლია, და ვერ გაბედა მის თვალწინ მოკვლა, – დასძინა გრაფინიამ.

– კი მაგრამ, მარტო იყო კაბინეტში? – ვერ მოვითმინე.

– რა მარტო იყო, გულანშაროს უშიშროების და კუნძულის შინაგან საქმეთა მინისტრები უსხდნენ გვერდით.

– მერე? – ჰკითხა გაჭამ.

– მერე რა, გააძღო ფულებით. უშიშროების მინისტრი დააშინა და ათქმევინა ყველას, გვკლავდაო და თავი დავიცავითო. ჩვენ, დეპუტატებს შეგვხვდა მერე დოჟი, ყელი შეხვეული ჰქონდა, კისერში მომხვდა ტყვიაო.

– რომ არ მოკლა, რა, იმ ცხონებულმა, რამხელა ჭირს მოგვაშორებდა! – მაგიდას დაჰკრა ხელი ღურა ფერიმ.

– არა, მე ის მიკვირს, კარგი, მარწკინალი გამოშტერებული ქალია და მისი და ბოეთიუსის მეგობრობისა არც მაშინ მჯეროდა, მაგრამ ავგუსტუსი ხომ ნაღდად იყო ბოეთიუსის მეგობარი? კარგი, ამის მერე, კარგი – არ დაიჭირა, მაგრამ გულანშაროს

მერად რატომ აგვარჩევინა ძალით? – გამოვიდა, რომ რიტორიკულად იკითხა გაჭამ.

– კარგი, რა, შეწყვიტეთ, თორემ ძარღვები მასკდება, რომ ვიხსენებ! – განითლდა მღელვარებისაგან აუდიტუსი. ის გულანშაროს საკრებულოს ხმოსანი იყო მაშინ, ჟინპისტი ხუმრობით მრიცხველს ეძახდა, რადგან ხმის დამთვლელ კომისიაში ირიცხებოდა. – გაფითრებულ მუთუნ ვარესკუს ხელი დავუჭირე, ხმის მიცემა უნდოდა, როგორც კი დაგვემუქრა.

– და შენ იმის თქმა გინდა, რომ მუთუნს ხმა არ მიუცია? – ჰკითხა ღურა ფერიმ.

– არა, ბოლოს მაგან კი არა, უფრო დიდმა ვაჟკაცებმა მისცეს ხმა. ეს თავიდან მოხდა, სანამ ის გამოქინძებული მოხსნიდა თავის კანდიდატურას!

– არც მიკვირს, ბიჭო, აუდიტუსი, – ჩაურთო გრაფინიამ, – თქვენ არ იცით, რა ხდებოდა იქ: ოთახში რომ შეგვიყვანეს, როცა პირველად ჩაუვარდათ კანდიდატურა, ავგუსტუსი ცახცახებდა, „თქვენ, გრაფინია, ხომ ხართ ჩვენი ფრაქციის წევრი, ხმა უნდა მისცეთო!" არა-მეთქი, ვუთხარი, თქვენი გუნდის წევრი ვარ, ამ სეპარატისტისთვის ხმის მიცემა კი თქვენი მტრობა იქნება-მეთქი! განცვიფრებული მიყურებდა, მაგრამ ვხვდები, რომ სადღაც გულში თვითონაც მეთანხმებოდა. მხარს როგორ დავუჭერდი, დღედაღამ ბოეთიუსის სიტყვები მიტრიალებდა გონებაში, როდესაც კი შემხვდებოდა, „ჩვენ პელაზგიანები ვართ, გრაფინია, ხომ იცი?!" სხვები ცალცალკე შეიყვანეს კაბინეტებში და დოუმა თვითონ უქნია პისტოლეტი თითოეულს თვალწინ. ყველას ვაჟკაცობას ნუ სთხოვ!

– არ იცოდა, დოუმა რომ მოკლა? – ვკითხე მე.

– როგორ არ იცოდა! გასვენებაში დაჰპირდა დედამისს (ავგუსტუსიც ნახევრად მისი გაზრდილი იყო, სანამ ცხონებული მამამისი გადასახლებიდან დაბრუნდებოდა), არ ვაპატიებ მის მკვლელსო!

– სხვათა შორის, ავგუსტუსს სწორედ იმ ცოდვამ უწია. არ შეიძლებოდა, ძმაკაცის მკვლელი ასე დაეწინაურებინა; პოლიტიკურადაც რომ გამოუვალი მდგომარეობა ყოფილიყო, მაინც არ შეიძლებოდა! – მაგიდაზე მუშტი დაჰკრა დიდრიხმა. – როცა მთელი გულანშარო გაიძახოდა, მკვლელიაო, როცა მთელმა კუნძულმა იცოდა, რუსეთის გენერალიაო, არ შეიძლებოდა, ასე შეეფურთხებინა ხალხისთვის!

დარბაზის კუთხეში მჯდარი, აქამდე ყველასთვის შეუმჩნეველი სუსტი, სათვალიანი ტიპი წამოდგა, რატომღაც ყველას გაგვიღიმა და უჩუმრად დატოვა კაფე.

– აქაც რომ არ გვაყენებს ეს არაკაცი! – წამოიძახა ღურა ფერიმ, რასაც ჩვენი მხრიდან ჩუმი სიცილიღა მოჰყვა.

გულანშაროს წიგნადი ფონდი

სასტუმროში ყოფნა ძალიან მოსაწყენი იყო. განსაკუთრებით დღისით მიჭირდა, დღის პირველი ნახევარი, გაღვიძებიდან დუნე მდგომარეობის გასვლამდე. ადგილობრივი ბიბლიოთეკა ძირითადად წავიკითხე, უფრო სწორად, ცოტა წავიკითხე – ჩემთვის საინტერესო წიგნები – ხოლო უმეტესობა, დავადგინე, რომ საჯარო ბიბლიოთეკაში არ იყო. ყველაზე იშვიათი და ძვირფასი გამოცემები დოჟს საკუთარ სასახლეში მოწყობილ წიგნსაცავში

გადაეტანა, იქ კიდევ, აბა, ვინ მიგვაკარებდა უბრალო მოკვდავებს. ხოლო რაც ჯერაც იყო შემორჩენილი, მაგალითად, „ქალი ქვიშაში" ან „ფუკოს ქანქარა", მათი მოძებნა ბიბლიოთეკარებს ეზარებოდათ. ბიბლიოთეკის ძველი თანამშრომლები, ძირითადად, დოჟის მხარდამჭერი ქალებით შეცვალეს, ისინი კი, ბიბლიოთეკაშიც და სხვაგანაც, ყველანი ფორკისის შვილებივით ლამის დაბადებიდანვე ლამაზღაწვება დედაბრები, დოჟის მეხოტბე ქალები, ყველანაირი ასაკისა, ერთი გარეგნობისა და ერთნაირი აზროვნებისანი იყვნენ თითქოს.

ნამდვილი ბიბლიოფილები კი, რომლებიც ბიბლიოთეკის მიმალულ არასაჩინო ფონდსაცავებში განემწესებინათ, მხოლოდ მოგვიანებით, წლების შემდეგღა აღმოვაჩინე და დავმეგობრდით კიდევაც, მერე, დიდი ხნის მერე, დოჟის გადახვეწის შემდეგ ბიბლიოთეკაში ჩემი ექვსთვენახევრიანი მმართველობის დროს რომ დავაწინაურე უმეტესობა. თუმცა ეს მართლაც მერე იყო, როგორც ვთქვი, გულანშაროში ჩასვლის მეთოთხმეტე წელს. მაშინ კი სწორედ მათი წყალობით დავეწაფე ძვირფას გამოცემებს, ძირითადად უმდიდრესი ანტიკური პერიოდის ლიტერატურის უმდიდრეს თარგმანებს, რაც დოჟს გადაურჩა და დაუმალეს, ან რაც დოჟის მიერ წაღებული წიგნების მეორე ეგზემპლარებად ინახებოდა. მაგრამ ერთიცაა, წლები იყო, რაც აღარ ახლდებოდა ბიბლიოთეკა. დოჟი რამეს თუ შეიძენდა – და იძენდა თითქმის ყველაფერს, რაც კი გამოდიოდა მახლობელ სამყაროში – საკუთარი სახელობის დახურულ ბიბლიოთეკასა და პირად საარქივო ფონდებში მიარბენინებდა და, წაკითხვა კი არა, თვალს არ ავლებინებდა ვინმეს. ასე რომ, არალეგალური

გულანშაროელები, ძირითადად, ერთმანეთის წიგნებს კითხულობდნენ და მკითხველთა ჯადოსნური წრე იქმნებოდა. ხანდახან ვახერხებდით ახალი რამის, თან უცხოს, ჩაგდებას ხელში და მთელი გულანშაროს არალეგალური ნაწილი ვითავისებდით. ასე წავაკითხეთ ჩვენს წრეში ერთმანეთს მიშიმა, აბე, ფოლკნერი, დალის „დღიური", ბერგმანის „ლატერნა მაგიკა", კორნელის „მისტიციზმი", თეოდორეს „ფანტაზიები", კორტასარის „სიზმრები", ოშო, ფრომი, ცელანი, ბორხესი, ეკო, ბახი, პრუსტი, ელიადე, ერიკ ერიკსონი, ბარიკო, სალვატორე ლატინი, საგანი (გრაფინიას მოსწონდა და ყველას აკითხებდა) და „თამაში რიოში მარგალიტებით", რაც უკვე ელეაზარის გამორჩეული წიგნი იყო და, ვისაც პატივს სცემდა, ყველას ათხოვებდა ხოლმე.

ავანგარდისტების გამოფენა

კუნძულის დედაქალაქიდან ავანგარდისტები ჩამოდიანო და გრაფინიამ გამოფენაზე წაგვიყვანა მე, ნოემა, ნიმფა და თასილი. რინადორე და ვენდიტორი ნიშნობის ამბებს არკვევდნენ და უკვე ერთი კვირა იყო, რაც გულანშაროში არ იმყოფებოდნენ. თასილი ქვრივი გახლდათ, წარმოშობით პოლისის ყინულიანი კანტონიდან; პოეტი იყო და იმთავითვე ჩვენთან მეგობრობდა, თუმცა როგორღაც მაინც ახერხებდა მერიაშიც ემუშავა, რაც ბევრ ჩვენგანს საეჭვოდ მიაჩნდა. თუმცა თასილი ისეთ გულწრფელ ურთიერთობებს აფრქვევდა ალაგ-ალაგ ნიჭიერ ლექსებთან ერთად, რომ ბოლომდე ვერავინ იმეტებდა; მას შემდეგაც კი, როცა მოგვიანებით, მისი აქტიური მონა-

წილეობით, გრაფინიას ბინა ბანკში დარჩა დაგირავებული და მასზეც უკვე არაერთი ეჭვი გამოითქვა, პირდაპირ მერიაში მიდის ჩვენ შესახებ ცნობებიო. მაგრამ არალეგალურ გულანშაროს ამისი არ ეშინოდა. ისეთი მაინც რა უნდა ყოფილიყო, რასაც აშკარად არ ვამბობდით.

თუმცა ესეც მერე მოხდა, მანამდე კი თასილი პოეტური მგრძნობიარობის, სინაზისა და დედობრივი გულთბილობის განსახიერებას წარმოადგენდა. გამოფენაზე ორი ახალგაზრდა შემოქმედი წარმოგვიდგინეს: ერთი – სუსტი, მწითური, მელოტი, ჩაკარგული მზერით, რაღაცნაირი ნაზი შთაბეჭდილების მოხდენის მსურველი ხმით; მეორე – დაბალი, ხორცსავსე, ასევე მელოტი, დიდი ბრიალა თვალებითა და ბოხი, მაგრამ თითქოსდა ჩურჩულის მოსურნე ხმით. ოცდაათამდე ნახატი ჰქონდათ გამოფენილი, თუმცა ნახატი ხმამაღლა ნათქვამ სიტყვას წარმოადგენდა იმის აღსაწერად, რაც კედელზე იყო გაბნეული – გაზეთიდან ამონაჭერი სტატიების, სურათებისა და მათ დართული ფუნჯის უხეში მონასმების რაღაც ზე-სიურრეალისტური კომბინაციები. გამოფენას მასპინძლობდა პოლისის კულტურის მინისტრი, დოჟის სიძე – გამხდარი, ზრდილობიანი ქალაქელი ტიპი, რომელიც ერთადერთხელ იხილეს ქალაქელებმა ჩვეული ზრდილობიანობის გარსიდან ამომხტარი თუ ამოვარდნილი, როდესაც მასზე რაღაც წვრილმანის გამო ნაწყენმა დოჟმა კომისია მიუგზავნა სამინისტროში და ახალდამთავრებული რემონტის შემოწმება დაუპირა. „რა ვქნათ, მისმა ბრწყინვალებამ დაგვავალაო“, მოუბოდიშა გადაფითრებულმა კომისიის ხელმძღვანელმა. „რა დაგავალათო?“ არ დაიბნა დოჟის, კი არა და, ამ ხელ-

მძღვანელის მოლოდინის საწინააღმდეგოდაც კი, მინისტრი. „გარემონტებული ფართი უნდა გავზომოთ და...", მაგრამ წინადადება არ დაამთავრებინა, ეკონიას მოყვარემ, არაადამიანური ხმით შეჰყვირა: „ასე გადაეცით, მოვიდეს და აგერ ეს გამიზომოსო!" და გამწარებით მიუთითა საკუთარი შარვლის ხვანჯრის მიდამოებზე. მერე ლამის ძალით გააგდო კაბინეტიდან მკვდრისფერდადებული კაცი – აუდიტად მოგზავნილი, რუსული წარმოშობის, ქალაქის ცნობილი ეკონომისტი, და მთელი ძალით მიუჯახუნა კარი. არავინ იცის, შეძლებდა თუ არა, რეაგირების გარეშე დაეტოვებინა სიძის ესოდენი სითამამე საკუთარი წარმოშობითა და გვარით ესოდენ მოტრაბახე ეკონია სადონისკუს, მაგრამ, აბა, რომელი თავზე ხელაღებული იყო ამ სიტყვების მისთვის მთქმელი?! ქონდამაც განჭვრიტა, „ეგენი ოჯახს არ განირავენ და ისევ მე მომხვდებაო". და როგორღაც მიაწვდინა დოჟს აზრი, „ისეა შეშინებული თქვენი სიძე, ხომ არ ვაკმაროთო?" დოჟმაც, „აბა, რა, უბრალოდ შევაფუცხუნე, დაანებეთ თავი, რა დროს მისი შემოწმებაა". და შერჩა ასე ხახვივით, მთელი კუნძულის დასაცინად, ცოლისძმისთვის მიწებებული უხამსი სხარტულა. ახლა კი დოჟის გამმასხარავებელი კაცი დაბნეული იდგა ორი ჭაბუკის წინაშე და ცდილობდა, ზოგადი, ყოვლისმომცველი, მაგრამ არაფრის მთქმელი ფრაზებით როგორმე შეექო მათი ნამუშაკევი. მერე გრაფინიამაც თქვა ორიოდე სიტყვა, შეაქო ახალგაზრდათა შემართება და გამბედაობა, თან გამბედაობა რამდენჯერმე ახსენა. ჟინპისტმა, რომელიც თავის საშუალო ასაკში საკმაოდ თმაშევერცხლილი იყო უკვე, გულგრილად თქვა, „ვერაფერი გავიგე, მაგრამ რადგან თქვენ

ამბობთ, ეტყობა, მართლაცდა კარგიაო". პოეტმა ქალბატონმა აკაბუ რცხასკუმ – თარგმანის განყოფილების მენტორმა (მწერალთა გილდიაში, ახალგაცნობისას რომ მითხრა ერთხელ გრაფინიასთან მისულს, „მე უდიდესი პატივისცემით, შიშითა და ძრწოლით შემოვაბიჯე ამ სასახლეშიო", რითიც ამპარტავნებად ჩამითვალა ჩემი, ასე ვთქვათ, თავისუფლად შემოჭრა) – ახალგაზრდა შემოქმედთ მინაზებული, ძალად თავმდაბლური ტონით სთხოვა, „იქნება ზოგი რამ აგვიხსნათ და განგვიმარტოთო". ამ თხოვნამ სასტიკად დააბნია და გააწითლა ხელოვანები და ნოემას სიტყვებმაც ამიტომ მოჰგვარათ შვება: „არის რაღაცა, სადაც ღობე ფეხს ვერ იკიდებსო". მე, რა თქმა უნდა, არ მომეწონა და ლამის იყო, იმ დასკვნამდე მივედი, ხელოვნების არაფერი გამეგება-მეთქი, მაგრამ მალე მეშველა. მალე, ექვსიოდე თვის შემდეგ, როცა გავიგე, რომ დაბალი, აი, ის, დიდი შავი თვალები რომ ჰქონდა, ქალაქის ერთ-ერთი უბნის შერიფი გამხდარიყო, ხოლო მეორე – ბაზრის დირექტორის თანაშემწე. თუმცა აღმოჩნდა, რომ ერთს მაინც ეყო შემოქმედის კერიის ნაცარში მინავლული ცეცხლი, იმას, მაღალი და მწითური რომ იყო, და სამიოდე თვეში მიატოვა სამსახურიცა და გულანშაროც; და მართალია, მერე, კარგა ხნის შემდეგ, მაგრამ ცნობილი პოეტი და რედაქტორი გახდა დედაქალაქში, საკმაოდ დაფასებული გემოვნებიანი ალღოთი.

არა, საოცარი ნიჭი ჰქონდა დოჟს პოეტებისა და, საერთოდ, შემოქმედთა ვაჭრად ქცევის. აი, თუნდაც მიმა ჩამალისკუ, დიდრიხის და გრაფინიას მეგობარი, მშვენიერ მოთხრობებს წერდა, რამდენიმე კარგი მონოგრაფიაც ჰქონდა ფილიპე II-სა

და კარლოს დიდზე, ისე გადარია ღურა ფერისა და იონიხის ბოლმამ (ის მათთან ერთად მუშაობდა უნივერსიტეტში ადრეულ სიყმაწვილეში და რაღაც ღვარძლიანი სიტყვები ჰქონდა ნათქვამი იონიხს), რომ გადაწყვიტა, დოჟის გენეალოგიის შესახებ ვეებერთელა ნაშრომი გამოექვეყნებინა, სადაც ამტკიცებდა, ისტორიულად და პოლიტიკურად გულანშაროს დოჟები სწორედ სადუნისკუები უნდა იყვნენო, რადგან ისინი მეთექვსმეტე საუკუნიდან მართავენ ამ პოლისსო; თვითონ სადუნისკუ კი კუნძულის ყველაზე ძველი და წარჩინებული გვარიაო და ასე შემდეგ. მოკლედ, იმ საღამოს კაფე „სპილია" პანაშვიდის დარბაზს ჰგავდა. ნოემამ თქვა, „როგორ მახსოვს, ჟინპისტი რომ დაიჭირეს სტუდენტობისას, რექტორის კარზე ლექსი რომ გააკრა პელაზგიის თავისუფალ სულზე, როგორ მოვიდა მაშინ მიმა და ტიროდაო". დიდრიხმა თქვა, „მთვრალი იქნებოდა ალბათო". გაბრაზებულმა ნოემამ ღვეზელი ესროლა:

– ხანდახან ხომ მაინც უნდა დაიჯერო გულწრფელობა!

დიდრიხმა ირონიით უთხრა: – გულწრფელობა ისეთი რამაა, რომლითაც შეიძლება პოლიტიკოსიც კი მოატყუო! – და მისი ნასროლი ღვეზელი მადიანად ჩაკბიჩა. არც მიმას დაუწერია იმის მერე ლექსი, ყოველ შემთხვევაში, მე არ წამიკითხავს მის მიერ დაწერილი ლექსი.

მეხუთე სტიქია

როგორც იქნა, გამოვიდა ჩვენი საერთო პოეტური კრებული, ნიმფაც იყო იმ კრებულში, ნოემაც, დიდრიხიც, ცირცელიც, კვარტუმიც (მაშინ არ იყო დანიშნული ბიბლიოთეკის დირექტორად). ნოემას ის ლექსიც დაიბეჭდა, რომელიც იონიხს ეძღვნებოდა; მისი სტუდენტობის დროინდელი იყო, თან მიძღვნაში ინიციალებით ეწერა „ქ.ი.-ს", ასე რომ, დიდად არავინ იცოდა, ქრისტეფორე იონიხი რომ იგულისხმებოდა „ქ.ი"-ში, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მიძღვნები არც ერთ დროს არ უყვარდათ, პოეტური სიტყვის ძალას ყოველთვის ხვდებოდნენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, აკაბუ რცხასკუმ, ჟინპისტისა და გრაფინიას კურსელმა, კარგად რომ ახსოვდა ჯერაც ჟინპისტის – ანტიკომუნისტური სულისკვეთებისა თუ ძალისხმევისგან გამოწვეული – პატიმრობები და დოჟის თვალებახვეული მიმდევარი რომ იყო, როგორც გრაფინია აგათოტეროსი ჰყვებოდა, წიგნი ვიცემაგისტრს, ეგო გამიასკუს შეუტანა. შემდეგ ორივენი მაგისტრს ეახლნენ თურმე, ხოლო მაგისტრი მაჟრა სერვიეტასკუ დოჟს ეწვია, დოჟი ყოფილ მაგისტრს დაუკავშირდა, აი, იმას, პოეტობას ყველაზე ადრე რომ დაანება თავი და ვაჭრობას მიჰყო ხელი, იმან თავისი პროტეჟეს, აწ უკვე უნივერსიტეტის რექტორის, ირორესკუს ყურთასმენა დაატკბო ღამის სამ საათზე ტელეფონით. გათენებამდე კანკალებდა თურმე ბატონი რექტორი, ის დღე ახსენდებოდა, სახლში დაბრუნებულს თორმეტი წლის უსენიკო რომ არ დაუხვდა შინ, როგორ დადიოდა ორი კვირის განმავლობაში დოჟის სასახლეში, როგორ იცდიდა

ორ-ორი საათი მისაღებში და შემდეგ როგორ ევედ-
რებოდა მუხლებზე დაცემული, ოღონდ დამეხმარე,
შვილი მომაძებნინე და ყოფილ მერს არა თუ არ შევ-
ხვდები, არც კი დავისიზმრებო, და შემდეგ ულოშნი-
და ფეხსაცმელს. მერე ისიც ახსენდებოდა, როგორი
ისტერიკა დაემართა, როდესაც ორი კვირის თავზე
საღ-სალამათი შვილი მოუყვანეს და უთხრეს, ამ
ამბავზე ვინმემ ერთი სიტყვაც რომ გაიგოს, ჩათვა-
ლე, შვილი არც გყოლიაო. ახსენდებოდა ეს ყველა-
ფერი ირორესკუს და გრძნობდა, როგორ მოდიოდა
სიცივე ტერფებიდან, უახლოვდებოდა მუხლებს და
მიიწევდა თხემისკენ. დანარჩენი მარტივად მოხდა:
სამსახურში თათბირი მოიწვია და უნივერსიტეტის
კანცლერის, აგათოტეროსის (რომელიც აგერ უკ-
ვე ოცდაათ წელზე მეტი იყო, იქ მუშაობდა და ლა-
მის სიმბოლო იყო უნივერსიტეტის პატიოსნების და
რომელიც უშუალოდ კურირებდა ჩვენი კრებულის
დაფინანსებას) საქმიანობა განიხილა; რაც კი ცოდ-
ვა არსებობდა, მას შემდეგ, რაც ადამი ევას მკერ-
დზე მოთიმთიმე ვაშლებმა აცდუნა, ყველაფერი
დააბრალა. რა თქმა უნდა, ნოემას ლექსი არც კი უხ-
სენებია. გაოგნებულმა აგათოტეროსმა ვერაფერი
მოისაზრა, გარდა იმისა, რომ რექტორის სინდისს,
კაცობას და ადამიანობას ლაზათიანად, მთელი აღ-
შფოთებით მოუკითხა გამზრდელი დედა და დასძი-
ნა, ჩემდათავად დღეიდან აქ მომსვლელის დედაცო.
ამის თქმა იყო და, ირორესკუმ მშვიდად ამოისუნ-
თქა – იცოდა, აგათოტეროსი სიტყვის კაცი იყო.
სახლამდე არც კი იყო მისული, რომ ირორესკუს მი-
სი განთავისუფლების ბრძანებაც და დოჟისათვის
მისართმევი პატაკიც უკვე დაწერილი ჰქონდა.

ის მერე იყო, აგათოტეროსი რომ თხილის ჯოხივით გახდა; მისი ოჯახიც უმარტივეს დიეტაზე გადავიდა, რომელსაც შუა ქალაქში, კორპუსებს შორის, რამდენიმე მეზობელთან ერთად, ხუთიოდე კვადრატულ მეტრზე მოწყობილი ბოსტნის მწვანილით კაზმავდა გრაფინია; და ისიც მერე იყო, ხუთწლიანი შესვენების მერე, სონეტების კრებულიც რომ გამოსცა, სონეტების გვირგვინითურთ, რის გამოც მთელმა არალეგალურმა გულანშარომ ერთხმად აღიარა – ღირდა ამადო.

ჰელენი და ორმო

რაღაც ჟინს აყოლილივით ვრჩებოდი გულანშაროში. არ ვიცი, რა მაკავებდა, არძინბას გამოღწეულს ეკონია სადუნისკუსთან რა მაძლებინებდა, მაგრამ მთავარი, ეტყობა, ახალშეძენილი მეგობრები გახლდნენ. გარდა ამისა, შევარდნაძის საქართველოში ცხოვრება აუტანელი იქნებოდა, ამას გულანშაროდანაც ვხვდებოდი; თანაც იყო ალბათ შეგრძნება იმისა, რომ დანაშაული – რასაც წაგებული ომიდან ცოცხლად გადარჩენა ჰქვია – რაღაცით უნდა გამომესყიდა. ასე რომ, გულანშაროში შეყოვნება თითქოსდა სასჯელის მოხდას უტოლდებოდა ქვეცნობიერში, როგორც ჩანს. გარდა ამისა, მართლა მაინტერესებდა, როგორ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. არა, რომ დამთავრდებოდა, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ იმას ვფიქრობდი, სანამდე შეიძლებოდა ადამიანთა თუ ადამიანის დაცემა. განსაკუთრებით მაღიზიანებდა აფხაზეთიდან დევნილთა შეგუება დოჟის რეჟიმთან. უმეტესობა,

როგორც გითხარით, წავიდა, მაგრამ ვინც დარჩა, მშვენივრად მოახერხა ინტეგრირება გულანშაროს ლეგალურ ნაწილთან: ადრე აფხაზეთში სოჭის გავლით რუსეთთან ვაჭრობაში გაწაფულნი, აქაც მშვენივრად მოეწყვნენ. თუმცა დოჟი არ იყო მიამიტი და, გარკვეული, საშუალო სიმდიდრის დაგროვების შემდეგ, უკვე უმუხრუჭებდა ბიზნესის განვითარებას; იშვიათებმა, რომლებიც ბოლომდე ჩაეფლნენ დოჟის ნარკო- თუ კრიმინალწარმოებაში, შეინარჩუნეს შედარებითი სიმაღლეები აღებ-მიცემობის უსასრულო თუ უძირო კიბეზე. ოღონდ საოცარი იყო, რომ მაინც ძალიან მიჭირდა მათი დარწმუნება დოჟის ნამდვილ სახეში, და დიდად უკვე არც კი ვცდილობდი, არ მინდოდა მათი საფრთხეში ჩაგდება. როგორც იონიხი ამბობდა, გულანშარო ნამდვილად შამბნარი იყო დემოკრატიისათვის, ძნელად სათოხნი. ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ უფრო და უფრო ვერ ვუძლებდი „მულღაზანზაროში" ყოფნას, რომელიმე მეგობართან თუ არ ვიყავი. უმეტეს შემთხვევაში კაფე „სპილიაში" ჩავდიოდი ხოლმე, სადაც უეჭველად შევხვდებოდი ვინმე ჩემიანს.

იმ დღეს კი, სექტემბრის მიწურული იყო, მე და დანიელი ჩავეხეტეთ კაფეში და ლატასა და ელეაზარს შევუერთდით. თავიდან არც ვაპირებდით მათთან მისვლას, რადგან ვიღაც უცნობი მანდილოსანი ჰყავდათ კომპანიონად და მოგვერიდა, მაგრამ თვითონ ელეაზარმა დაგვიძახა და ჩვენც შემოვუსხედით მათ მაგიდას.

– ქალბატონო ჰელენ, ესენი გახლავან საქართველოდან, ბატონი ორთა, ან უკვე ორთა, თორემ ოდი ჰქვია, – გაიცინა ელეაზარმა, – ნიჭიერი მწერალი...

– ოო, საინტერესოა, სასიამოვნოა, – ხელი გამომიწოდა ჰელენმა.

– და ბატონი დანიელი, აწ უკვე ბოცმანი, მშვენიერი მხატვარი!

ჰელენმა ახლა უკვე დანიელს გაუღიმა და იმასაც გაუწოდა ხელი, დანიელმა კი ვაჟკაცურად ჩამოართვა და მეორე ხელისგული ზემოდან დააფარა, გულითადობის უფრო ღრმად გამოსახატავად. ახლა ჩავაფარებ ამას-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ელეაზარმა ფიქრი გამაწყვეტინა.

– იცნობდეთ ქალბატონ ჰელენს, ჩვენს საამაყო მსახიობს!

მხოლოდ მაშინ დავაკვირდი და ვიცანი ჰელენი. კაფანდარა, გაჩხინკული გოგო იყო, ბუნებრივად ცეცხლისფერი თმებით; რაღაცნაირად ვეღარ შეეწყო დედაქალაქს, გაწიწმატებულმა მიახალა გამოჩენილ რეჟისორს: საყვარლობა რომ მნდომოდა ვინმესი, თეატრალურს კი არ დავამთავრდებდი, და თანაც, რაღა შენისთანა ბეხრეწს ავირჩევდიო! გადაეკიდა ღვაწლმოსილი რეჟისორი – მეფე ლირი დაედგა ბრიტანეთში, ახალგაზრდობისას, და პელაზგიის ლეგენდა გახლდათ. ამის შემდეგ გულანშაროში დამკვიდრდა, მაგრამ ლამის არც აქ მისცეს როლი ჰელენს, ერიდებოდათ გამოჩენილი რეჟისორ-დრამატურგის, მთელ გულანშაროში გაფანტულ, მისსავე ნამოსწავლარ რეჟისორებს. უნდა ითქვას, მაინც ჰქონია რაღაც შინაგანი სიმაღლე დიდ რეჟისორს და შემოუთვალა გულანშაროელებს, არავინ გყავთ მაგის ფარდი მანდ კი არა, მთელ პელაზგიაშიო, და გაიმეტეს ისევ როლები.

მე ჰელენი სწორედ იმ ლეგენდარული სპექტაკლიდან მახსოვდა, დიდ თეატრში რომ დაიდგა, გუ-

ლანშაროს არაღიარებული ორპალატიანი პარლამენტის სენატის სხდომებს შორის, პიაფის როლში – სადღაც მეათე წუთზე საბედისწეროდ დაუცდა ფეხი და მხრით გადაეშვა სცენის სპეციალურ ორმოში. ვითომ პირველ სართულში ჩამავალი კიბისთვის გამიზნული ორმო მთავარი ატრიბუტი იყო, საერთოდ, სუფლიორის საკუთრება ალბათ დანიშნულებით, მაშინ კი, ლამის ჭკუაარეული, ხანშიშესული პიაფის როლში მყოფი ჰელენი რომ ჩაენარცხა მარცხენა მხრით, საოცარი ბუნებრიობით გააგრძელა თამაში. მგონი, ჩემ გარდა, რამდენიმემ, ნოემამ, დიდრიხმა და ორფამ გავიაზრეთ, რომ ეს სცენარში არ იყო და რა ოსტატურად გამოძვრა სიტუაციიდან, რა ბუნებრივად გააგრძელა თამაშიო, ვმსჯელობდით დადგმის შემდეგ, ქუჩაში, ნელა რომ მოვტკეპნიდით ტროტუარის ნაცრისფერ ფილებს, ჯერაც წარმოდგენისა და ჰელენის თამაშით გამოწვეულ ემოციას აყოლილნი. აი, იმას კი, რომ თურმე ამ დროს ხელი ორ ადგილას გადამტვრევია და ლავიწის ძვალი საზიზღრად გაბზარვია, ვერაფრით წარმოვიდგენდით. მერე, როცა ვიხსენებდი, კიდევ საათ-ნახევარი ამ აუტანელი ტკივილით როგორ გააგრძელა თამაში და რა დიდებულად გაართვა თავი როლს ბოლომდე, მართლაც რომ მზარავდა ტანში, ძვლები მართლა მტკივდებოდა. მერე გვითხრა ნოემას სალონში – დიდი ხვეწნა დასჭირდებაო, რომ ფიქრობდა დანიელი, მან კი, სიამოვნებით ვიპოზირებ თქვენთვისო, რომ უთხრა ბავშვური უბრალოებით – „მართლა არ მტკიოდა, არც კი. მახსოვდა ტკივილიო". „ხელს მაინც როგორ ამოძრავებდი ასე ბუნებრივად?!" – ჰკითხა შეწუხებულმა ორფამ. „რატომ არ გჯერა, მართლა არ მტკიოდა მაშინო",

გვიღიმოდა ჰელენი და შეუძლებელი იყო, არ გერწმუნა მისი. მისი კი არა და, ხელოვნების ძალის.

თუმცა ეს მერე იყო, კარგა ხნის შემდეგ. მაშინ კი, როცა ელეაზარმა გაგვაცნო, იმ როლზე არ გვისაუბრია. მე უფრო იმაზე ვფიქრობდი, რატომ უთხრა ნეტა ასე მწარე უარი კვარტუმს ცოლობაზე-მეთქი; უკვე ვიცოდი ნოემასგან, რომ სიგიჟემდე იყო შეყვარებული ჰელენზე, ლამის მასზე ეჭვიანობას შესწირვია ცხონებული მისი პირველი ცოლი, ბარონის ქვრივი.

ნიმფა და ტახტი

ჩვენი პირველი კრებულის წარდგენა მოგვიწყო გრაფინია აგათოტეროსმა, აკაბუ რცხასკუს ჯერ არ მიეტანა კრებულისა და ინიციალის ამბავი ეგოსთან და აგათოტეროსი ჯერაც კანცლერი იყო უნივერსიტეტში. გრაფინია აღტაცებული იყო, ძალიან უხაროდა, სიხარულს ვერ ფარავდა, ბოლოს და ბოლოს რომ მიაღწია ამოჩემებულს. უკვე ვამთავრებდით უნივერსიტეტს, ვენდიტორი კიბერნეტიკაზე გადაბარგდა, ნიმფა ჩემსავით დარჩა ბოლომდე ფიზიკის ერთგული, რინადორემ ასტრონომიულზე გადაიტანა საბუთები და რატომღაც ერთი წელი დაუკარგეს, მაგრამ არ უნაღვლია, იმავდროულად დაიწყო მუშაობა მასწავლებლად და საკმაოდ კარგად უთავსებდა თავის ვარსკვლავთმრიცხველობას, თუმცა ხშირად წუწუნებდა, „მთელი ენერგია სკოლას მიაქვს და ცოტა დრო მრჩებაო“. საოცარი იყო, ვინც მართლა ვერ ახერხებდა საკუთარი საქმის კეთებას, ისინი პირიქით ამტკიცებდნენ, სახელმწიფო

სამსახურში ყოფნა არ გვიშლის ხელსო. სწორედ იმ პერიოდში დაინიშნა ლედი ნიმფა უნივერსიტეტის კანცლერად, ირორესკუს მოადგილედ, და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ უკვე ვერ წერდა. ძველებურად მხვდებოდა, ჰერმესის სიმბოლიკიან ოქროს სამკერდეს აღარ ატარებდა, ასე მოწიწებით რომ მიაბნია მკერდზე მაჟრამ; მარგალიტის მძივით დადიოდა ძველებურად, ადრინდელივით ღრმა და იდუმალი სურდა ყოფილიყო და ახერხებდა კიდევაც; ჩემს წარმოდგენაში ხომ მას მომხიბვლელობა თუ ეშხი, იდუმალი საკრალურობაც რომ დასდევდა მქრქალ ფონად, არასოდეს დაუკარგავს. ლედი ნიმფა ხომ იმ ტიპის ქალი იყო, რომელიც მოჭრილ, ბეჭდიან, თითს თუ არა, ალმასხანის რაშს მაინც მოგთხოვდა, თან ისე, რომ ერთ სიტყვასაც არ გეტყოდა. არ ვიცი, რა მჭირდა და ჩემთან ქედმაღლობას დიდად არ ამჟღავნებდა: მორალს არასოდეს ვუკითხავდი, მაგრამ საკუთარი გრძნობების დასაფარავად, ეტყობა, ვაშაყირებდი და თვითონაც ცდილობდა, ბროლის კოშკიდან ყურებას მოშვებოდა, ჩემთან მაინც. ინტელექტს ნაღდად არ უჩიოდა და მუზებშემომწყრალი იმიტომაც შეეჭიდა მეცნიერებას, მაგისტრატურა ამ ფიზიკოსისდიპლომიანმა გოგომ მათემატიკური მიმართულებით დაამთავრა – რაღაც ალბათობის თეორიის სოციოლოგიური ასპექტები თუ რა ვიცი, ამისმაგვარი თემა ჰქონდა, მერე წიგნად გამოსცა, რაღაც საიდუმლო ხმით მიჩურჩულა, „ერთ ცალს მოგცემ შენო"; მაგრამ გული ვერ დავუდე, უთავბოლო მომეჩვენა, თუ მართლა იყო, არ ვიცი. მაშინ გვითხრა მე და რინადორეს, „პოეზიაზე უფრო მნიშვნელოვანია მეცნიერება და არასოდეს მოვწყდები ამ გზასო". თუმცა, ჟინპისტის თქმისა

არ იყოს: „პირველ ქმარს – კვარტუმს, და პოეზიასაც ისე ადვილად დაანება თავი, არც მეცნიერებასთან განქორწინების შეეშინდებაო". რინადორემ კი, რატომღაც, „შენი დაქალი-მეთქი", რომ ვუთხარი ერთხელ, უფრო მწარედ მითხრა, „შეუძლებელია, ფიზიკურად არ შეუძლია დაქალობა. ეგ გრძნობა თუ უნარი არ დაჰყოლია, დაბადებიდანვე მოკლებულია, ჩათვალე, შშმპ არისო". თან ისე სასაცილოდ თქვა „შშმპ", სიცილი ვერ შევიკავე. აშკარად მოჭარბებული იუმორის გრძნობა ჰქონდა.

ბარონი მადერახი და წვიმა

შემოდგომის მიწურული იყო, საღამოს „სპილიაში" ჩავედით მე და დანიელი. კოკისპირულად წვიმდა. მაგიდასთან ბარონი მადერახი იჯდა და ლამის ჭერთან დატანებული სარკმლიდან წვიმას უმზერდა, უსმენდა, და თან გვესაუბრებოდა, სულ წვიმაზე.

– ორთა, როცა წვიმს, მაშინ ვგრძნობ, რომ ვარსებობ. ამიტომ ვერ გავძელი დედაქალაქში, გულანშარო ჩემთვის წვიმაა. თუ წვიმს, ცოცხალი ვარ, ამიტომ გადაება ჩემს ბედისწერას გულანშარო. ან გულანშარო ჩასახლდა ჩემში წვიმად. ბავშვივით ვიყავი, დედაქალაქში როცა გაწვიმდებოდა, დავდგებოდი ფანჯარასთან და საათობით ვუსმენდი წვიმას. ცოლი მეუბნებოდა, შენ ცოდვა ხარ აქაო, – დანიელმა ანთებული სანთებელა მიაწოდა, ბარონმა ზედიზედ ორი ღრმა ნაფაზი გააკეთა და გააგრძელა, – უსმინეთ, როგორ უკრავენ წვეთები. მაინც ვინ დაარქვა წვიმა? იცით, აი, არ წვიმს, ჩვეულებრივი დღეა, მზიანი, ლამაზი, მაგრამ არაფერი

ხდება, არაფერი იძვრის... არა, ყველაფერი მოძრაობს, მანქანა, ადამიანი, ჩიტი, მაგრამ არაფერი ხდება, გრძნობ, რომ სამყარო სადღაც გამქრალია, არ არსებობს. და უცებ წვიმა ჩამოდის ციდან, წვეთები თავს გესხმიან და გიბრუნდება სამყარო, მხოლოდ მაშინ გრძნობ, რომ რაღაც დიადი რამ არსებობს სამყაროში და მართალია ის, რომ ჩვენ დიადის ნაწილი ვართ და რომ შეგვიძლია მთელს დავუბრუნდეთ.

მე მეშინოდა, რამე არ მეთქვა და ბარონს საუბარი არ გაეწყვიტა. დანიელიც სადღაც გადაკარგული მზერით უსმენდა, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს წვიმა მელაპარაკებოდა. სწორედ ამ დროს კვარტუმი შემოვიდა და განსაკუთრებული სიხარულით ჩამოართვა ხელი ბარონს. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა კვარტუმი ბიბლიოთეკის დირექტორად დაინიშნა და, ის-ის იყო, თავი დაანება წერას. ბარონიც გულთბილად მიესალმა, მერე წამოდგა, უნდა წავიდე, ბავშვი მყავს ავადო, მოიმიზეზა და წვიმას შეერია. შემდეგ გულდაწყვეტილი მთხოვდა: „მაპატიე, ორთა, ეს რამხელა ტყუილი ვთქვი მაშინ, ბავშვია ავად-მეთქი. და წარმოიდგინე, სახლში რომ მივედი გვიან, გვიან ღამით, ბავშვს მართლა სიცხე ჰქონდა“.

ბარონი მადერახი გულანშაროს აღიარებული პოეტი იყო. სანამ პირადად გავიცნობდი, მანამდე უკვე ისე კარგად ჰყავდათ ჩემთვის წარმოდგენილი გრაფინიას, ნოემას და ჟინპისტს, რომ როცა გავიცანი, დიდი ხნის მეგობრად ვთვლიდი. საოცარი სითბო მოდიოდა მისგან, მასთან გრძნობდი, რომ ეს არ იყო ადამიანი, არამედ პოეზია იჯდა შენთან და ადამიანებზე გესაუბრებოდა. დროებით იყო შენთან, სანამ სიტყვების ხორცს შეისხამდა. ის ჟინპის-

ტისა და გრაფინიას მეგობარი იყო, სამოცდაათს მიტანებული, თუმცა ჩვენ გვეუბნებოდა, „თქვენთან ასაკს არ ვგრძნობ, ისე თავისუფლად ვარო". იმ გამონაკლისთაგანი იყო, რომელსაც ლეგალური გულანშაროელებიც პატივს სცემდნენ, უფრო კი ეშინოდათ მისი. საკმაოდ ცნობილი იყო, არამარტო მთელ კუნძულზე, და უტეხი ბუნება ჰქონდა. კარგად იცოდნენ, ვერც გაავაჭრებდნენ და ვერც გააგდებდნენ გულანშაროდან, ასე რომ, იტანდნენ. ეკონომიკურად კი ვინმეზე რომ არ ყოფილიყო დამოკიდებული, თავი, როგორც მოქანდაკეს, გაჰქონდა. პატარა ცვილის ფიგურებს აბარებდა ხელოვნების გალერეაში და ლამის იტაცებდნენ ტურისტებიცა და ადგილობრივებიც, ხოლო მისი მარგალიტის მძივები ბრენდი იყო კუნძულზე, ბარონის ლამაზი ინიციალებით. საკუთარი ხელით ამზადებდა, რაღა თქმა უნდა, და არალეგალური გულანშაროელების უმეტესობაც მის ნაჩუქარ მარგალიტების მძივს ატარებდა. მანდილოსნებისთვის ოვალურს ამზადებდა, ბუნებრივი ფორმისას, მამაკაცებისთვის კი – ოთხკუთხედის ფორმის, შავი მარგალიტის ძენკვს, ულამაზეს ნაკეთობას, რომელზედაც ბზისგან გამოკვეთილი, საიქიოდან მომავალი და ჯერაც უკანმიუხედავი ორფეოსის ფიგურიანი მედალიონი იყო დაკიდებული, უნატიფესი ნახელავი (მე და დანიელს ღვთისმშობლის ხატით დაგვიმზადა, მართლაც იშვიათი საჩუქარი იყო). ჩვევად ჰქონდა, ყოველ შეხვედრაზე, როცა შეგვატყობდა, ფული არ გვქონდა, ამოიღებდა საფულეს ჯიბიდან და მთელ თანხას, რამდენიც ვიყავით, იმდენ ნაწილად გაყოფდა. მე ყოველთვის მერიდებოდა, მაგრამ როდესაც უკვე დავმეგობრდით, ეს კომპლექსები გაქრა. თუმცა

თვითონ იშვიათად თუ აიღებდა ჩვენგან შენათავაზებს. სწორედ ბარონმა მირჩია, ორფიკული ჰიმნები მეთარგმნა ქართულად, „რადგან არ გქონიათ, იცოდე, ძალიან გაამდიდრებს ქართულ ლიტერატურას და შენც დაგეხმარება სტილის დახვეწაშიო“. და ეს მას ვუმადლოდი, უნივერსიტეტის მეორე კურსის ერთ სემესტრში ნასწავლ ბერძნულს თავიდან რომ ჩავუჯექი, პრუდენტიას მეუღლე, დიდებული ენათმეცნიერი, ძველბერძნული ენების ბრწყინვალე მცოდნე, და სოფიაც, სიგიჟემდე რომ ჰყვარებია სიჭაბუკეში ბარონს, მისი შუამდგომლობითვე რომ გავიცანი და სამწლიანი წვალების შემდეგ ლექსიკონებითა და მასწავლებლის ფაქტობრივი თანაავტორობით რომ გავხდი კიდევაც ორფიკული ჰიმნების ქართულად ენათმაქცევი.

ახალი ეროვნული მოძრაობა

გულანშაროში ჰომეროსის ქუჩაზე მიყვარდა ხეტიალი. სამი სამხატვრო გალერეა და ხუთი ბუკინისტური მაღაზია იყო თითქმის ერთმანეთის მიყოლებით. არ მბეზრდებოდა მათში ბორიალი. ლამის მუზეუმი იყო ერთ-ერთი გალერეა, სადაც გულანშაროს სიძველეები მოჰქონდათ შეჭირვებულ მოქალაქეებს და გასაყიდად აბარებდნენ. გულანშაროს დაუწერელ ისტორიას ამოიკითხავდი მათში. ის-ის იყო, გალერეიდან გამოვედი და ბუკინისტურ მაღაზიაში ვაპირებდი შესვლას. ერთი ძველი თაობის პოეტი მუშაობდა იქ, ენვი სისინაფასკუ. მართალია, ის დოჟამდე იყო უკვე ვაჭრად ქცეული, მაგრამ მაინც წიგნებით მოვაჭრე ეთქმოდა და თან საინტერესო

ეგზემპლარები ჰქონდა. ამიტომაც მომწონდა მისი მაღაზია, ხშირად ვერაფერს ვყიდულობდი, მაგრამ მახსოვს, ერთხელ „ვეფხისტყაოსანს“ წავაწყდი მასთან – პატარა წიგნი, უნიკალური, ინგოროყვას რედაქტორობით იყო გამოცემული, 1937-ში, მგონი, თან ფორზაცზე მისივე ხელრთვა ჰქონდა, გალაკტიონისთვის უჩუქებია თავის დროზე. იქ როგორ მოხვდა, აღარ ვიცი, მაგრამ როგორღაც ვიყიდე და ძალიან მიხაროდა, სამშობლო დამებრუნებინოს თითქოს. მოკლედ, სწორედ იქ ვაპირებდი შესვლას, მაგრამ სანამ კარს შევაღებდი, აუდიტუსი შემხვდა და ჰომეროსის ქუჩას დავუყევით მუზეუმისკენ. აუდიტუსი იმ იშვიათთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელიც დოუმა პოეტობიდან ვაჭრად კი არ აქცია, არამედ პირიქით, ვაჭრობა მიატოვებინა და პოეზია შეაყვარა უფრო. მართალია, ლექსებს არ წერდა, არც მოთხრობებს, ან თუნდაც ესეებს, მაგრამ პოეტი იყო; შეუმცდარად გრძნობდა კარგ ლექსს. განსაკუთრებით, არალეგალურ გულანშაროში ადამიანთა მორალურობის ექსპერტად ფასობდა. წამისად გრძნობდა, რომელმა გულანშაროელმა მიატოვა პოეზია და ეახლა მერკურს ან რომელი აპირებდა უახლოეს მომავალში. იშვიათად ცდებოდა, მაგრამ ამ მარად დაძაბულმა მდგომარეობამ ცოტათი ეჭვიანი გახადა. თუმცა ეს მერე იყოს, ახლა იმაზე, თუ როგორ იქცა პოეტად: საძმოსთან ერთად, ორი თუ სამი პატარა გემი შეიძინა, შეაკეთა, საზღვაო გადაზიდვების პატარა კომპანია დააფუძნა და დაიწყო: სამჯერ შემოუთვალა დოუმა დიდი პატივისცემა და მოკრძალება, მეოთხედ თავი არ შეუწუხებია – ჯერ იყო და, ერთი პარტნიორი ჩამოაშორა, აი, ის, ვესპერტილიომ რომ წაართვა ერთი ტავერნა, რომლის

ამარადაც დარჩა შემდგომ თვითონაც, სანამ დოჟის შემდგომ პერიოდში იმასაც არ წაართმევდნენ – ხუთი თვე იდგნენ გემები გულანშაროს ბაღნარ პორტში რეიდზე, ერთში ფქვილი ფუჭდებოდა, მეორეში სხვადასხვა სურსათი ილუფხებოდა გაგანია მზეზე. ასე რომ, როცა გემები გაიყიდა, აუდიტუსსა და მის კომპანიონს მართალია, ვალი არა, მაგრამ აყროლებული პროდუქტების გაუნელებელი სუნი და მწარე მოგონებები კი დარჩათ; განსაკუთრებით, ერთი, ჟინპისტი რომ ახსენებდა ხშირად, როცა დათვრებოდა და აუდიტუსიც იცინოდა, თუკი მთვრალი არ იყო, რა თქმა უნდა: ახალდაწყებული საქმიანობისას, მეორე თუ მესამე გზობისას, გულანშაროს ნავმისადგომში რომ იდგა გემი, მესაკუთრეები ეწვივნენ საკუთარ ავლადიდებას დასათვალიერებლად. აქ პომპეზური ის იყო, რომ ოჯახებითურთ მოვიდნენ და, ასე ვთქვათ, ექსკურსია ჩაუტარეს ჯალაბობას. ეს ალბათ ერთ-ერთი ბოლოთაგანი იყო, როცა საკუთარი სიმდიდრით ტკბობის ილუზია შეუქმნეს მეუღლეებს. როგორც ჟინპისტი ამბობდა, მაშინ აუდიტუსის ზღვის დასალიერს მეოცნებედ მიპყრობილ მზერაში ონასისისეული დიდების იმედი კიაფობდა. ეჰ, ადამიანი ბჭობდა და დოჟი იცინოდაო, როგორც გულანშაროში ამბობდნენ. ამ ყველაფრის შემდეგ უფრო ხისტი იყო აუდიტუსი; არ პატიობდა ადამიანს – უკვე დოჟის სამსახურში გადასულს, მარცხენა ხელის ნეკით არალეგალურ გულანშაროს რომ უნდოდა ჩაბღაუჭებოდა. მახსოვს, ერთხელ მიმა ჩამალისკუ შეგვხვდა, უკვე ადამიანთა უფლებების მთავარი დამცველი იყო გულანშაროში, დოჟის ფირმანით; აუდიტუსმა უხერხულობის დასაფარავად, მაგრამ მაინც დაუნდობლად ჰკითხა:

– რას შვრები, იცავ ადამიანებს?

მიმამ, რა თქმა უნდა, ამოიკითხა სარკაზმი, იცნობდა ყოფილ მეგობარს, და გამარჯვებულის ღიმილით მიუგო:

– ეჰ, ადამიანები მანახა, თორემ როგორ არ დავიცავ!

– შენ რომ ხარ, იმ წრეში ადამიანებს რა განახებს! – მაინც არ ჩამორჩა აუდიტუსი და არც მიმა გასძალიანებია მეტს.

იმ დღესაც რაღაც ჩაფიქრებული იყო აუდიტუსი, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა და ვუთხარი, „წამო „სპილიაში", ყავის ფული მაქვს, ცოტათი გავხალისდებით-მეთქი".

ფანჯრის ქვემოთ მოვკალათდით, დარბაზის სიღრმეში; ხუთკაციან მაგიდასთან დიდრიხი ქეიფობდა, საშუალო კომპანია იყო, ნახევრად პოეტები, ყოფილი, მაგრამ ჯერ არგავაჭრებული პოეტები, და ყოფილი, მაგრამ ვერასოდეს ვერგაპოეტებული ვაჭრები. უკვე კონსულის თანაშემწედ მუშაობდა დიდრიხი. რომ დაგვინახა, შემოგვიერთდითო, გვანიშნა. არაო, გააქნია თავი აუდიტუსმა და ცალკე მაგიდასთან მოვეწყვეთ. არც იყო ადგილი დიდრიხთან, ნაძალადევად უნდა ჩაგვეჩურთა სკამები. მაშინ დიდრიხმა, რომ შეგვამჩნია ხალვათად გახლდით, ორი გულანშაროული ღვეზელი გამოგვიგზავნა. მე ვთქვი, „აუ, აუდიტუს, ამას დასალევი მოუხდებოდა-მეთქი". მან რაღაც ეშმაკურად გაიღიმა და მაცალეო, მანიშნა, მერე ხმამაღლა (ხმამაღლა საუბარი მისი მთავარი ღირსება იყო, უსაშველოდ ბოხ ხმასთან ერთად), დასჭექა:

– დიდრიხ!

– ჰოუ?

– ორთამ თქვა, ეს დიდრიხის გამოგზავნილს არ ჰგავსო!

– რატომო? – შევატყვე, შეცბუნდა დიდრიხი და მეც, სხვათა შორის.

– დიდრიხი მარტო ღვეზელს არ გამოგზავნიდა, ქანთელსაც მოაყოლებდაო!

ყავახანა, რა თქმა უნდა, ახარხარდა. „უხ, შენ რა გითხარი მეო!", გაიცინა დიდრიხმაც, მოიქექა ჯიბეები და მგონი, უკანასკნელი გულანშაროული ორგულდენიანი ამოაძვრინა. მე და აუდიტუსი ცოტათი გავხალისდით. მერე ჟინპისტი შემოგვიერთდა, აუდიტუსმა გააფრთხილა, დღეს ცუდ ხასიათზე ვარ და გემის ამბავს არ მოჰყვე, იცოდეო. ბოლოსკენ აგათოტეროსიც გამოჩნდა. რამდენიმე კარგი სონეტი წაგვიკითხა. აუდიტუსმა უთხრა, ვენაცვალე ირორესკუს, თორემ, რომ არ გამოეშვი, ხომ არ დაწერდიო. მწარედ გაგვეცინა. მაშინ თქვა აუდიტუსმა:

– დედაქალაქიდან კარგი ამბებია!

– ჰე ბიჭო, ამას გვიმალავ მერე?! – აღშფოთდა ჟინპისტი.

– ეროვნული მოძრაობის ძველი წევრები ერთიანდებიან. მიხრწნილი მელა (კუნძულის პრეზიდენტს ეძახდნენ ასე. ერთხელ ვიკითხე, „თუ იცით, საქართველოს პრეზიდენტსაც მელას, ოღონდ თეთრს რომ ეძახიან-მეთქი?" არ იცოდნენ) ცდილობს, რუსეთთან დადოს სამოკავშირეო ხელშეკრულება და ამას არ აპატიებენ.

– რომ ცდილობს, ეს ყველამ ვიცით, შენ სხვა თქვი! – არ აცალა აგათოტეროსმა.

– მოკლედ, იონიხთან მიდის მოლაპარაკება, როგორც ძველთაგანვე უკუმთქმელის, მისი ავტორი-

ტეტი სჭირდებათ. პრემიერმინისტრი ალბათ გადადგება.

– რაღაც არ მჯერა მისი,– თქვა აგათოტეროსმა.

– არა, ნაღდი გადადგება! ახალგაზრდა კაცია, ცოტა დაუღვინებელია და ჩქარი, მაგრამ მხოლოდ ის თუ აიყოლიებს ახლა ლიანგებს.

– მერე იონიხს იმდენჯერ ჰყავს სულხან ურსუსისკუ გალანძღული, როგორ იქნებიან ერთად? – გაოცებით იკითხა იმწამს შემოსტუმრებულმა გრაფინიამ.

– არა, ასე არაა საქმე, – ჩაფიქრდა აუდიტუსი, თავისი სკამი გრაფინიას მეუღლის გვერდით დაუდგა, თვითონ ცარიელი მაგიდიდან მოიტანა ახალი და გრაფინიასა და ჟინპისტს შორის მოკალათდა, – ურსუსისკუ ადრე ჩვენთან, იონიხის დასში იყო, მერე წავიდა ოქსფორდში და იქიდან უკვე მიხრწნილმა, კანცლერ მედღაშიე ვაზირისკუს მეშვეობით მიიწვია მანდატურად, ასე რომ, იონიხთან კავშირები ყოველთვის გვქონდა. აგარიანი ამით გაეპრანჭა დასავლეთს, მიიღო კიდევაც გრანტები, მაგრამ არც ურსუსისკუა ბრიყვი, რეალური ძალაა.

– ღმერთმა გისმინოს, თუ პატრიოტები გაერთიანდნენ და სულხან ურსუსისკუ ჩაუდგათ სათავეში, მაშინ მართლა შეიძლება ფიქრი ხელისუფლებაში მოსვლაზე, – ხმამაღლა ფიქრობდა აგათოტეროსი.

– სულხანი ნებით არ წავა! – წარმოვთქვი მე.

– სულხან აგარიანი წავა! ეს ძაღლიშვილი დოჟია უფრო რთული მოსაშორებელი, – წარმოთქვა აუდიტუსმა.

– იონიხი თუ იმას მოახერხებს, რომ ეროვნული ძალები გააერთიანოს და ურსუსისკუ ჩაუყენოს სა-

თავეში, ეს უკვე იქნება მისი გამარჯვება, – ჩაილაპარაკა ჟინპისტმა.

ეს მაშინ ამბობდა ასე ჟინპისტი, თორემ შემდეგ, დიდი ხნის შემდეგ, როცა გულანშაროს დოჟი თუ უკვე პრეზიდენტი (მგონი, მისმა პარლამენტმა მოასწრო ამ წოდების მისთვის მინიჭება) პეტერბურგს გაიქცა და გულანშაროს მიეცა ნება, თავისუფლად აერჩია ხელისუფლება, მაშინ უკვე ასე არ ფიქრობდა ჟინპისტი; მაშინ ყველას უნდოდა იონიხის ფრთას აეღო ხელში მმართველობა და ქლეს მერბიელისკუს არ ჩავარდნოდა ხელში გულანშარო. მაგრამ ეს მერე იყო, დიდი ხნის მერე, მაშინ კი ჯერაც არ ეტყობოდა, რომ ურსუსისკუ – გიჟისთვალება სულხანი – სრულ ჭკუაზე არ იყო.

მემკვიდრეობა

ჩვენი საერთო კრებულის გამოსვლის წლისთავზე ჩემთვის მეტად გასაოცარი სიახლე მელოდა. გზად, ჩვეულებრივი ხეტიალისას, მწერალთა გილდიის მაგისტრის მოადგილე ეგო გამიასკუ შემხვდა. ვეებერთელა იყო, საკმაოზე დიდი ღიპით, აცუნდრუკებული, შუახანს გადაცილებული, ქალური სიკეკლუცით გამოირჩეოდა. უცოლშვილო, ერთ დროს ვახსენეთ კიდეც სადღაც, ქალბატონ ფსიქეს სანახების სტუმარი. გაიღიმა და სიხარულით გაბრწყინებული სახით მახარა:

– ორთა, ჩემი წინადადებით, ლეონიდ ვულფის პრემია მოგანიჭეთ გუშინ მწერალთა გილდიის სხდომაზე.

მე გაოცების დამტევი გრძნობები არ აღმომაჩნდა, უბრალო მადლობა მოვახსენე და გავეცალე. როგორც გრაფინია აგათოტეროსმა ამიხსნა მერე, ბატონ მაჟრა სერვიეტასკუს თავისი ძმისშვილისათვის ნდომებია ამ ახალგაზრდული პრემიის მინიჭება, და მის ჯიბრზე, გავეშებულ ეგო გამიასკუს უყვირია, „რატომ მასო?" რაზეც მიუღია უჩვეულებრივესი კითხვა: „აბა, ვისო?" „თუნდაც, აი, ორთასო!" ყველანი გასუსულან, რაც კიდეც უნანია საცოდავ ეგო გამიასკუს; მას ხომ ამ პრემიის ამბავი კვარტუმმა უთხრა, რომელსაც, მას შემდეგ, რაც მაჟრას ჩაუშლიდა გეგმებს, იმედი ჰქონდა, მის ახლახან გამოსულ წიგნს, „სონეტების გვირგვინს" მოუწევდა ნანატრი პრემია – გორაკზე შემდგარი აყმუვლებული მგლის საკმაოდ მძიმე ბრინჯაოს ფიგურა და ათასი გულანშაროული გულდენი. მაგრამ ამდენი ვერ გაუთვლია ეგოს და რადგან იმწამს გრაფინიასთვის მოუკრავს თვალი, ეტყობა, ქვეცნობიერმა უკარნახა მისი აშკარა მხარდაჭერის შესაძლებლობა, თან უკვე უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა და რიხით დაუმატებია: „რა, არ ეკუთვნისო?" ამას გრაფინიას აღტაცებული მონოლოგიც მოჰყოლია და ნირწამხდარ სერვიეტასკუს ისღა დარჩენოდა, რომ გაქუცული ფრთები თანხმობის ნიშნად ჩამოეყარა. თვითონ პრემიის დამაარსებელი, ნაადრევად გარდაცვლილი ცნობილი პოეტის, ლეონის (დაახლოებით ისე იყო იქ ცნობილი, როგორც ჩვენთან ბაძაღუა) ვაჟი, აწ უკვე ორმოცს მიტანებული მაზორალი გაშმაგებულა, „ვინ ჯანდაბას მიეცით ჩემი პრემიაო?!" მაგრამ მოუთოკავს ნერვები, თანაც ნოემას მეზობელი გახლდათ და ბედს შეჰგუებია; თუმცა სადღაც გულის სიღრმეში თუ ზედაპირზე მაინც

დარჩა წყენა და როდესაც კონვერტით საპრემიო თანხა გადმომცა, მითხრა: „პრემიის ხორცშესხმულ ჰიპოსტასზე, მგლის ქანდაკებაზე წარწერას გავაკეთებინებ და მოგვიანებით გადმოგცემო“, რაც სამუდამოდ ჩაჰბარდა აუსრულებელ დაპირებათა ოკეანეს. მაშინ, რატომღაც, მაინც კეთილად განვეწყვე ბატონ ეგო გამიასკუს მიმართ.

ამიტომაც იყო, მერე, კარგა ხნის შემდეგ, როცა უკვე სენატორობა დიდი ხნის შერგებული ჰქონდა ეგო გამიასკუს და დოჟის ყველა ბრძანებასა და დადგენილებას უნერდა თუ უნევდა ხელს; როცა მისი ბელადი ავიახაზებით გაუყენეს მოუსავლეთის გზას, მეორე თუ მესამე დღეს მოწყობილ საპროტესტო მანიფესტაციაში, მეც რომ ვიყავი მონაწილე, სინანულის გრძნობამ რომ ამიყოლია. თუმცა იმ მანიფესტაციაზე მკაფიოდ მხოლოდ მწერალთა გილდიის მაგისტრის, მასმა ოფელისკუს (სენატის სპიკერობასაც რომ ითავსებდა) გადადგომის მოთხოვნა გაისმა. ჰოდა, არავინ უწყის, როცა ცუნცულა მაგისტრი ბაგეზე მიმხმარი მკვდრისებრი ღიმილით გადადგა, უფრო სწორად, მისმა ნდობით აღჭურვილმა კვარტუმმა როცა გამოაფარატინა ქაღალდი, სადაც გადადგომის განცხადება ეწერა, ხოლო მასმა ოფელისკუს სინანულზე, „რაღა ეს გამყიდველი კვარტუმი დავანიშნინე ბიბლიოთეკის დირექტორადო“ – არაფერი მართლა არავინ უწყის, ეგო გამიასკუს გადადგომა ვინ დააძალა, ან თუ დააძალა საერთოდ ვინმემ. ეს ახლაც კი, ამდენი ხნის შემდგომაც არ ვიცი. ეგო არაფრით არ აპირებდა უკვე თანშეზრდილი სავარძლისაგან განკიდეგანებას. ნირწამხდარ, მაგრამ მფარველი დედა დედოფლის მანტიამოსხმულ მარწკინალ უჩაორასკუს ვითომ

თანადგომით აღტყინებულმა ფანჯრის შუშა ჩატეხა, გაჭრილი თითიდან იცხო სისხლი შუბლსა და ლოყაზე და მისი პოეზიის მადლით გაბრწყინებულ მთელ გულანშაროს მოუწოდა დახმარებისკენ და გაჰკიოდა საწყალობლად; მაგრამ არ ისმინა გულანშარომ, მისი დახმარებით ვაჭრადქცეულთაც კი არ შეუბერტყავთ ყური, ხოლო არალეგალურებს მისი პოეზია ისედაც არ ესმოდათ. თუმცა მაინც საშინლად არ მესიამოვნა მისი ასეთი უმწეობის ხილვა.

მაგრამ ეს მერე იყო, დიდი ხნის მერე. მანამდე კი ეგო გამიასკუ ათასნაირ მაიმუნობას გაითამაშებდა ხოლმე: მწერალთა გილდიაში მერამდენედ მისულ გაპოეტებულ გენერალს ერთხელაც ამობრუნებულ მაგიდაში ჩაწოლილი დაუხვდა გულზე დაკოსებული ყვავილებით და საცოდავმა გენერალმა, მრავალბრძოლაგადატანილმა და მრავალ პოზაში გარდაცვლილნანახმა, საცოდავად ამოიძახა „ავავაიო!" და ქვედაყრილი ლექსების რვეულების წასაღებადაც არ მოსულა მერე. ასეთები არ გვიკვირდა ეგო გამიასკუსაგან, რადგან, როგორც გრაფინია ჰყვებოდა, ბაბუიდან მოსდგამდა უცნაურობები. ცნობილი ამბავი იყო, ბაბუამისი მეზობელი ქალების ქვედა საცვლებს იპარავდა თურმე, გასარეცხად გაფენილს, და სამლიტრიან ქილებში ხუფავდა, კაცმა არ იცის, რისთვის და მართალი გითხრათ, არც ადლერის, ფროიდის, ფრომისა თუ ერიკ ერიკსონის ნაშრომებში მინახავს მსგავსი პრეცედენტები. თუმცა, როგორც ვთქვი, მაინც დამწყდა გული, რომ იმ მანიფესტაციაში მივიღე მონაწილეობა. მაგრამ ეს რა გასაოცარია, როცა დოჟის სახლთან ჩავლისას გული მის აივანზე არმდგარ სათამაშო ცხენზეც კი დამწყდა; ადრე სულ იქ მხვდებოდა,

ჩრდილოეთ აივანზე, მუქი, საკონნიალო ცხენი. მე რომ მქონდა ბავშვობისას, ისეთი. მიკვირდა, რატომ მხვდებოდა ყოველთვის იქ, არ თამაშობდა ნეტავ დოჟის შვილიშვილი? თუ მოიზარდა უკვე? ერთი შვილიშვილი ჰყავდა უფროსი ქალიშვილისგან, ლამიასგან; აღმოსავლეთ კუნძულელს გაჰყვა ლამია და მერე სიძე ციხეში ჩააყუდა დოჟმა ნარკოვაჭრობისთვის. სინამდვილეში კი ვაჭრობაში წილების ჭარბად მინაწილებისათვის. გვარიც შეუცვალა ბავშვს და თავის გვარზე ჩაწერა – ეკონია უმცროსი სადუნისკუ. ძალიან უყვარდა ბავშვი, როგორც ამბობდნენ. თავის მითოლოგიურ სეხნიასავით დაუნდობელი იყო ლამია, ქმართან განშორების შემდეგ აღვირახსნილმა გაინავარდა საძოვრებზე, სქესს აღარ აქცევდა ყურადღებას, მთავარი იყო მოსწონებოდა. სასიკვდილო იყო ლამის მასთან ურთიერთობა, მისით დღისით მოხიბლულებს ღამით წელს ქვემოთ გველი ხვდებოდათ თითქოს, თანაც ისე, რომ მშვენიერებით დატკბობასაც ვერ ასწრებდნენ ხეირიანად. ვაჟთაგან უფრო უმწიფრებს ანიჭებდა უპირატესობას. მართალია, კიდევ სამი ქალიშვილი და ოთხი ვაჟი ჰყავდა მისახედი, მაგრამ ძირითადად ამ ორ უფროს შვილზე ეხარჯებოდა მთელი ყურადღება დოჟს, განსაკუთრებით კი, ლამიაზე. და მალე მეორეჯერ გაათხოვა, მაინც აწუხებდა ოჯახის სიწმინდის გარეგნული შენარჩუნება, საშინაო თუ არა, საგარეო სოციუმის თვალში მაინც. ამჯერად ლიხტენშტეინელ გრაფს გაჰყვა ლამია, არრას მქონეს, გარდა წინაპართა საგვარეულო გერბებიანი სიგელებისა. თუმცა სხვა რამ არც უნდოდა დოჟს ალბათ. მისგანაც ბიჭი ეყოლა ლამიას, ფრონტოსი. ოღონდ მისთვის გვარი არ შეუცვლია ეკონიას, მა-

შინაც კი, როცა ახალმა სიძემ ორმოცამდე მილიონი აახია და კონტესა ლამიას გარეშე გაჰქუსლა რკინისფრთებიანი მერანით ვადუცს. მე კი მიკვირდა მაშინ, ფრონტოსი მაინც რატომ არ კონწიალობს ამ ხის ცხენზე-მეთქი.

დოჟის საცხოვრისი

„მულღაზანზაროს" აივანზე, ჩემს ჰამაკში განრთხმული, ზღვას ვაყურადებდი. უცებ სირენებისა და მეგაფონიდან ამოჭრილმა ხმამ გააყრუა გარემო. დოჟი მიდიოდა მთავარი რეზიდენციიდან უშიშროების სამინისტროსკენ. სამოცი მანქანის მძივი გაიჭიმა გამზირზე. პოლიციელის მანქანა ორმოცდაათ ბიჯზე მიუძღოდა კორტეჟს და მის თავზე დაკოსებული გამაძლიერებლიდან გამწარებით გაისმოდა მორიგე კარაბინერის რაღაცნაირად განწირული ხმა: „გადააყენე მანქანა გვერდზე!" შემხვედრი მანქანები ქუჩის მარცხენა ტროტუარს მოაწყდნენ. ახორხლილი მანქანების რიგებით გაივსო ტროტუარი, ერთმანეთს შემოტყორცნილი მანქანები საცოდავად გამოსცემდნენ საყვირების ხმას და მათი სანათების შუქი ისე ირეოდა ერთმანეთში, თითქოს ღამის კლუბის ვეებერთელა სცენა მოწყობილიყოს ღია ცის ქვეშ.

უკვე სიგიჟის ზღვარზე იყო დოჟი. ახალი აკვიატება ჰქონდა – ძაღლებისა და მაიმუნების მოშენება. შუა საუკუნეების ლორდის მამულივით ვეება ნაკვეთი გამოჰყო ზღვისპირზე, უცნაური სასტუმროები აუშენა ცხოველებს, საწვრთნელი ტრენაჟორებით; დაიქირავა მწვრთნელები, მოსამსახურეები,

და ასტრონომიული ხელფასები დაუნიშნა. ნოემა ხუმრობდა, დირექციას მაინც არ ესმის ასტრონომია და ხელფასიც მათხოვრულია, ნეტა ძაღლების მასწავლებლად თუ მიგვიღებსო. ბულვარი საღამოხანს ივსებოდა ათასი ჯიშის ძაღლითა და დრილით, რომელთაც თითო მომვლელი ახლდა. მათ შორის ძალიან ბევრი ჰყავდა კავკასიური ნაგაზი. ერთი – ევროპის ჩემპიონი იყო, სახელად მანქურთი; არავინ იცის, რატომ დაარქვა დოჟმა ეს სახელი. არალეგალური გულანშარო ხუმრობდა, ეს მისი დათრგუნული ქვეცნობიერის ამოხეთქვაა. მანქურთი იყო სწორედ ის ძაღლი, რომელმაც შემდეგ, როცა ეკონიამ ძლივს გაასწრო გავეშებულ გულანშაროელებს და თვითმფრინავში ისე ავიდა, საკუთარი უმცროსი ქალიშვილის წაყვანაც კი დაავიწყდა, სამი დღე იშიმშილა. მანქურთი ერთადერთი იყო, რომელთანაც დაცვის გარეშე შეეძლო განმარტოება დოჟს.

დოჟის ბინა ოთხსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე იყო. საცხოვრისი არ გამოუცვლია, მხოლოდ შეაკეთა, ვეებერთელა ბუხარი დაურთო და საკვამური სახურავიდან კოშკივით აიჭრა ცაში. ირგვლივ მდებარე ძველი სახლები აიღეს, ქალაქის ისტორიული შენობა, სადაც პოლიცია იყო განთავსებული, „დაიწვა". მის წინ ვეებერთელა მიდამო, რომელიც ადრე ტროლეიბუსების პარკს, ვარშავის ბლოკის 5004-ე ბაზას, ოთხ ბაგა-ბაღს, მეთევზეთა ქოხებს და კიდევ ათასი ჯურის მაღაზიას იტევდა, მთლიანად გაანადგურეს და დოჟს სახლის აივნიდან ზღვამდე მზერა გაუთავისუფლეს. ყველა დანგრეული სახლის წინ რიგრიგობით ათენებდა ღამეს მათხილე შურიში, მაგრამ აბა, რას გახდებოდა?! ერთი სახლის წინ დადგებოდა, მეორეს ლეწავდა ბულდო-

ზერი, იმასთან მიიჭრებოდა, უკვე პირველს ანგრევდა ვეებერთელა ტრაქტორი. ლამის სასაცილოდ გაეხადათ ბერიკაცი, თითქოს ერთობოდნენ კიდევაც სამუშაოთა მწარმოებლები და დოჟიც, რომელიც სარკმლიდან უმზერდა მოხუცის განწირულ ბორიაყს ისტორიული სახლიდან სახლში, და შეიძლება, ესეც ბავშვობისდროინდელი თამაშების ნაწილი ეგონა. ისლა დარჩენოდა მათხილეს, სურათებითღა უკვდავეყო სახლებიც, დანგრევის პროცესიც და მუხთალი ჟამიც. მოტიალებულ მინდორზე თიფი დათესეს, ინგლისური ბალახი. არალეგალური გულანშაროელები ხუმრობდნენ, ფიფამ მინდვრების მოშენებისათვის საპატიო ოქროს გაზონსაკრეჭით დააჯილდოვაო. ქალაქელები ამბობდნენ, ამას გვერჩივნა, ვეება სასახლე აეშენებინა, ვაი ამისთანა თავმდაბლობასო.

ეს პირველ წლებში, თორემ მერე და მერე დოჟმა უამრავი სასახლე აიშენა. ერთი – ცისფერ კონცხზე, ორსართულიანი კიდული ბაღები რომ ჰქონდა უკანა ფონად; ერთიც – უძველესი ციხესიმაგრის გალავნის ეზოში, აქაოდა, ჩემი წინაპრების საკუთრება იყოო, და კიდევ ვინ მოთვლის, სად. რაც შეეხება საზღვარგარეთს: ერთი ცხრასართულიანი სასახლე ანკარაში, ოდნავ მოკრძალებული სტამბულში და ცათამბჯენი მოსკოვში, წითელი მოედნის მახლობლად. აჩემებული ჰქონდა და ისე მოაწყო, რომ ერთი მხრიდან, ყველა სარკმლიდან კრემლის კედლის ის მონაკვეთი ჩანდა, სადაც სტალინი იყო დაკრძალული. ხმა დადიოდა, მისი იდეალი პოლიტიკაში სტალინი არისო. მე და ჩემი მეგობრები კი მის იდეალად მაინც ჰერმესს მივიჩნევდით, აღებ-მიცემობის ღმერთს, თუმცა აგათოტეროსი არ იზიარებდა

ჩვენს აზრს და უფრო ვაჭართმოქმედს უწოდებდა ამ სულთამყლაპავს.

პრუდენტია ნოემას სალონში

ქუჩაში მოვსეირნობდით მე და ნოემა. მიყვებოდა თავის სოფელზე, როგორ ადიოდა, თავის მეგობარ ემესთან ერთად, დიდ თუთის ხეზე და იქ სწავლობდა გაკვეთილებს. მე ვუსმენდი და მეცინებოდა; თითქმის იგივე მაგონდებოდა – ჭადარზე რომ ჩამოვკიდე თოკის კიბე და პატარა კოშკი რომ მოვაწყვე. გზად პრუდენტია მენცარიხი შემოგვხვდა, რომელსაც დიდის ამბით მიესალმა ნოემა. იმ ლექციის მერე არ შევხვედროდი მას და ჯერაც არ ვიცნობდი ისე ახლოს, რომ მეგობრად ჩამეთვალა; სიმელოტის დასაფარავად კეფიდან შუბლისკენ გადმოვარცხნილი თმა ფაფარივით ეშლებოდა და ეწეწებოდა ქარში. მერე და მერე მის ლექციებს ხშირად ვესწრებოდით მე, ნოემა და რინადორე; დანიელი – ნაკლებად, რაც მისი ოჯახი კვიპროსში გადაბარგდა, სარეცხის თოკივით იყო გაკიდული პელაზგიასა და კვიპროსს შორის, და ისედაც არეულს მთლად გაებნა ტვინი.

ახლო ურთიერთობისას უფრო დავრწმუნდი, რომ საოცრად ერუდირებული იყო პროფესორი: სიტყვა ესმოდა ღრმად, სიტყვის მისტიკოსი გახლდათ; რობაქიძე, რომელსაც უგზო-უკვლოდ ვკითხულობდი ლამის ბავშვობიდან, ჩემზე უკეთ იცოდა. მისი ის მოთხრობებიც ჰქონდა წაკითხული, პირდაპირ გერმანულად, მე რომ მხოლოდ სათაურებით ვიცოდი. ერთ ლექციაზე ჩამოაგდო სიტყვა ცნება „ადამიანზე“ და რობაქიძისეული განმარტებით ახსნა. ახლა

რომ ვიხსენებ, თვითონაც სწორედ ადამის მატარებელი იყო საკუთარ თავში, გამორჩეული ადამიანი, რომელიც იძირებოდა სიტყვებში, როგორც კამკამა, მაგრამ უფსკერო ზღვაში.

ნოემას გამოხატული სიხარულით შეხვდა, სულ რაღაც ერთი სემესტრი უკითხავდა ლექციებს მას მაგისტრატურაში სწავლისას, მაგრამ მაინც რჩეულ მოსწავლედ მიაჩნდა. თუმცა მეგობრები უფრო გახლდნენ. მიუხედავად ამისა, თვითონ ნოემა და მე, მით უმეტეს, მაინც არ გადავდიოდით იმ ზღვარს, რაც მოძღვრის მიმართ უნდა არსებობდეს ალბათ. პოეტი გახლდათ, სიტყვის შეგრძნებით პოეტი და ამიტომაც წუთისოფლური ხორციელების არა გაეგებოდა. ეცვა თითქმის გაცვეთილი კოსტუმი, საკმაოდ შელანძღული შარვალი, მაგრამ მოხდენილად ატარებდა და არავინ ფიქრობდა მასთან საუბრისას მის ტანსაცმელზე. ეს მერე დაფიქრდნენ, მერე, ხუთიოდე წლის შემდეგ, როცა ქუჩაში ნაქცეულს და დაფლეთილი გულით ქვეჩამხობილს ქუჩამ, გულანშაროს რჩეულმა საზოგადოებამ, გვერდით ჩაუარა. ვიღაც მანანწალა ლოთიაო, იფიქრეს. მაგრამ ეს მერე. მანამდე კი ნოემამ სთხოვა, „ამობრძანდით ჩვენთან და ფინჯან ყავასთან ვისაუბროთო“. პრუდენტია სიხარულით დაგვთანხმდა. ჩემზე თქვა, „ქართველები ისევე გამორჩეულები ხართ ევროპულ მოდგმაში, როგორც ებრაელები მსოფლიოშიო“. მაშინ ამაზე არ მიფიქრია რატომღაც, უბრალო კომპლიმენტად მივიღე, მერე მივხვდი, რომ პრუდენტია მენცარიხი სიტყვას ტყუილად არასოდეს წამოიძახებდა.

– ბატონო პრუდენტია, ყოველთვის მაწუხებდა ბიბლიაში ერთი პასაჟი, – წამოიწყო ორფამ.

– რომელი პასაჟი, ჩემო ლამაზო? – იუმორიც იყო და ინტერესიც მის მიმოდსიტყვებაში. იმჟამად ჰომილეტიკის გარდა, თეოლოგიასაც კითხულობდა სასულიერო აკადემიაში და ორფაც ამიტომ ეკითხებოდა.

– რატომ ეშინოდა ღმერთს, რომ ადამი უფრო ჭკვიანი არ გამხდარიყო და კეთილი და ბოროტი არ შეეცნო? – ოდნავ შესამჩნევი გამოწვევით ჰკითხა ორფამ, ტუჩები ხაზგასმული სიკეკლუცით მოკუმა, ნიკაპი ოდნავ მაღლა ასწია, თავი რამდენიმეჯერ შეარხია (რაღაცნაირად საყვარლად აკეთებდა ამას, მისი სახასიათო მიმიკა იყო მოსაუბრესთან მეტისმეტი სითბოსა და სიახლოვის გამომსახველი) და ყურადღებით მიაჩერდა პროფესორს, რომელმაც, არც კი დაფიქრებულა, ისე უცებ უპასუხა; ეჭვიც კი შემეპარა, წინასწარ ხომ არ იცოდა, რასაც ეკითხებოდა-მეთქი?

– ღმერთს იმისი კი არ შეეშინდა, ადამი ნაყოფს შეჭამს და კეთილსა და ბოროტს გაარჩევსო, არამედ ის აფიქრებდა, კეთილსა და ბოროტს რომ განარჩევს, მერე რომელს აირჩევსო? – ღრმა, გამჭოლი მზერით მოგვაჩერდა რიგრიგობით მე და ნოემას, შემდეგ მზერა რინადორეზე გადაიტანა (რომელმაც ყავა შემოიტანა, ნოემას თხოვნით რომ მოადუღა) და საბოლოოდ ისევ ორფას მიუბრუნდა: – ღმერთის შიში რომ უსაფუძვლო არ იყო, ეს მგონი დაამტკიცა კაცობრიობის ისტორიამ. – აღმაფრთოვანა პრუდენტიას სიტყვებმა, უცებ გაიზარდა ჩემს თვალში. – ახლა, რა თქმა უნდა, ის, რომ ღმერთს ეშინოდა, აბსოლუტური ოქსიმორონია, ერთგვარად შეუთავსებელ სიტყვათა წყობა, მაგრამ აზრი მინდოდა სწორად გადმომეცა.

– კი მაგრამ, თავისუფალი ნება? – არ მოეშვა ორფა. – თავისუფალი არჩევანის უფლება?

– მე მესმის, შენ რასაც ამბობ! მოდი, ასე ვთქვათ, აქ არ დარღვეულა თავისუფალი ნების უფლება, ბოლოს და ბოლოს, ადამმა ის აირჩია, რაც მას უნდოდა. მოდი, ასე ვთქვათ: უფალი უკრძალავს. რა არის „კრძალვა?" – დასვა კითხვა პრუდენტიამ და მოგვაჩერდა. – დააკვირდით ორ სხვადასხვა სიტყვას: მოკრძალება და აკრძალვა, ფუძე ერთია! – ისევ მოგვაპყრო მზერა, გამჭოლი. – მე უფრო ასე მესმის: ღმერთმა გააფრთხილა ადამი, უთხრა, კრძალვა გმართებსო! აი, მაგალითისთვის, პატარა ბავშვმა რომ მოინდომოს ზღარბის ხელში აყვანა, ჩვენ ხომ გავაფრთხილებთ, არ ქნა, ხელს ნუ მოკიდებო, რადგან უკვე ვიცით შედეგი... როგორ არ გაეფრთხილებინა ღმერთს ადამი, მან ხომ უკვე იცოდა შედეგი?

– ღმერთმა, ამ გაგებით, ეს შედეგიც იცოდა, ბატონო პრუდენტია, – გაიღიმა ორფამ და აქ გამოჩნდა სწორედ, რომ მისი კითხვის მიამიტური კილო მხოლოდ მოჩვენებითი იყო. ეს პრუდენტიამაც შენიშნა, თითქოს არ მოელოდაო, იფიქრებდი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, მხოლოდ წამით გაიღიმა და უფრო დიდი მონდომებით დაიწყო:

– კარგი. არ მახსოვს, რომელ მოაზროვნესთან მაქვს ამოკითხული – ამ საკითხს განიხილავს, დოქტრინასავით აქვს მოცემული: ღმერთი იმიტომ უკრძალავს ცნობადის ხის ნაყოფის ჭამას, რომ, როგორც კი ადამი, ადამიანი განარჩევს კეთილსა და ბოროტს, იმწამსვე დაასკვნის, რომ ბოროტს ვერაფერს უზამს, ვერ დაამარცხებს და ეს გამოიწვევს მის სიკვდილს. ამის შემდეგ მას მოუწევს, რომ თავი მოისულელოს, ჩათვალოს, რომ არ იცის ბორო-

ტისა და კეთილის გარჩევა; მთელი მისი ცხოვრება ეს იქნება, დამალვა, დამალვა იმის, რომ იცის, რაა ბოროტი; წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვდება, ეს კი იწვევს ყოველგვარი მოტივაციის დაკარგვას ცხოვრებაში, ადამიანი განწირულია. მართალი გითხრათ, ძლიერი გონთსაზრისია, მაგრამ მე პირადად ბოლომდე ვერ ვიღებ, ბოროტებასთან ბრძოლას ასე აპრიორი სიკვდილად ვერ აღვიქვამ. ეს უღმერთობის პოსტულატი უფრო იქნებოდა, ღმერთგამქრალ ყოფიერებაში მისაღები მხოლოდ. ალბათ ამას გულისხმობდა ნიცშე, როცა ამბობდა, ღმერთი მოკვდაო...

უკვე არ კეკლუცობდა ორფა, ღრმად ჩაფიქრებული უსმენდა. მეც უფრო და უფრო მომწონდა ბატონი პრუდენტია, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში, რატომღაც ვგრძნობდი, რომ რაღაც აკლდა მის განსჯას, ქცევას, საუბარს, რაღაც აუხსნელი.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიმფასთან ვისაუბრე ამის შესახებ, ისიც ღიმილით დამეთანხმა და მითხრა: „მეც ასეთი გრძნობა მრჩება ხოლმე, მგონია, რომ ასპარეზი არა აქვს ამ კაცს; მგონია, მაინც დაკლდა ოქსფორდული თუ კემბრიჯული რაღაცა, განუხორციელებელი დარჩა ეს კაცი". საინტერესო იყო, რომ მგონი, საკუთარი თავი უფრო წარმოაჩინა ნიმფამ მაშინ, თუმცა ამაზე მერეღა ვფიქრობდი, მერე, საქართველოში დაბრუნებული. მის ამ თითქოსდა გულითად და გულწრფელ შეფასებაში ჩუმი სიხარული ვიგრძენი, სიხარული იმისა, რომ პრუდენტიას ჩემი აზრითაც რაღაც აკლდა და კარგად მახსოვს, მეც კაი გაყოლა ავადმყოფი ვარ-მეთქი, რომ გავიფიქრე.

იმ საღამოს ბევრს ვფიქრობდი პრუდენტია მენ-
ცარიხზე. „მულღაზანზაროს“ აივანზე ჰამაკში ჩა-
ზულუქებული ვარსკვლავებს ვუმზერდი და რაღაც
ფიქრი არ მასვენებდა. ხან ვედავებოდი პრუდენტი-
ას, ხანაც ვამართლებდი, ხანაც მწყინდა, რომ ისეთი
უბრალო რაღაცები არ მესმოდა მანამდე, რაც მან
ასე მარტივად ახსნა. რაღად უნდა ადამიანს კემბრი-
ჯის დამთავრება, თუკი იმას, რაც იქ იმდენი წელი
უნდა ასწავლონ, თავისით მიხვდა აქ, აგერ, გულან-
შაროდან გაუსვლელად? ან ხარ ვარსკვლავი და ანა-
თებ ზესკნელს ათასობით, ათიათასობით, მაგრამ
მაინც ვარსკვლავთა გვერდით, ან სხვის სინათლეს
მიფიცხებული, მონასავით დასტრიალებ გარს დე-
დამიწას ან რომელიმე ასევე უნათლო ცდომილს.

მასმა ოფელისკუ

გულანშაროში ყოფნის მეშვიდე წელს მწერალ-
თა გილდიაში ცვლილებები მოხდა. ბატონი მაჟრა
სერვიეტასკუს თავგადადებული შრომა დააფასა
ბატონმა დოჟმა, ხუმრობა ხომ არ იყო მისი მოღ-
ვაწეობის რაღაც ხუთ წელიწადში ასობით ნიჭიერი
პოეტის, პროზაიკოსისა და მხატვრის ვაჭრად ქცე-
ვა. მართალია, ეს ყველაფერი მთლად სერვიეტას-
კუს თვითშემოქმედება არ იყო და მას მაინც დოჟის
ფრთებქვეშ მოქმედება ერქვა, მაგრამ აღსრულე-
ბასაც ხომ უნდა ნიჭი, მიხრა-მოხრა?! აი, ისეთი პე-
ნი, ჩვენი თამარი, მნათი, საფიცარი და ასე შემდეგ,
ლტოლვილ ნაუფლისწულარს რომ შეუუღლა, ზო-
რაბაბელისეულ გაქანებას ვგულისხმობ.

ჰოდა, ყოველივე ამ დამსახურებისა და ნიჭისა და მარიფათის წყალობით, და ასევე ერთგულების, ძაღლური ერთგულების, ისეთის, მანქურთმა რომ გამოამჟღავნა დოჟის მიმართ, როცა ძაღლი მაინც თავისი პირველი პატრონისა და გამომკვებავის ერთგული რჩება უკუნისამდე, დაინიშნა მაჟრა ვიცე-დოჟად. მართალია, ძალიან ხელოვნურად ჟღერდა სახელოს სახელიც და თვით სახელოც ხელოვნური გახლდათ, ძირითადად, უფუნქციო და ჩვენთან რომ ამბობენ, მახათგასაყრელი, მაგრამ ზეპურ საზოგადოებაში ჟღერდა მაინც! ძირითადად, კი, ბატონი სერვიეტასკუ ფეხის ტილოს მოვალეობას ასრულებდა, სანამ დოჟთან შევიდოდნენ, მასზე შეიწმენდდნენ სინდისის გაცვეთილ ლანჩებს. გვიან მიხვდა მაჟრა, მხოლოდ თვითონ მიხვდა, სხვას არ უმჟღავნებდა, რომ დააქვეითეს, თან ისე, რომ დაწინაურება ეგონა და ყოველდღე, ყოველ წამსა და ჟამს ეშინოდა პატიჟის. რამდენჯერ დაუნახავთ მდივნებსა და თანაშემწეებს, რაღაც ქაღალდებით ხელში როგორ იდგა მაჟრა დოჟის კაბინეტის კარებთან, იდგა დიდხანს, მერე შეავლებდა ხელს სახელურს, მერე გაფითრებული მოსცილდებოდა, შევიდოდა თავის ოთახში და ისევ გამობრუნდებოდა, მაგრამ მაინც ვერ იკრებდა დოჟის კარზე დაკაკუნების გამბედაობას. ამ დროს შეარქვა აგათოტეროსმა ფსიქოპომპი მაჟრას, პოეზიიდან ვაჭრობაში სულთა გამცილებელი, მაგრამ პრუდენტია ეკამათებოდა, ეგ უფრო დოჟს შეჰფერის, მაჟრა მაგდენს ვერ ქაჩავსო. მოკლედ, განთავისუფლდა მწერალთა გილდიის მაგისტრის ტახტი და დაეძგერნენ ერთურთს ბატონი ეგო გამიასკუ, ჯერაც მოადგილე და დოჟის დოსტი, როგორც თვითონვე ამბობდა, და ბატონი მასმა ოფე-

ლისკუ, რომელიც ტრაბახობდა, დოჟის ტაბლასთან ჩემი პირადი ასტამი დგასო; სამოცდაათს მიტანებულ-ლი, ჭაღარა, დახვეწილი ვაჭარი, რომელიც ლექსებს წერდა, ხატავდა და მეცნიერებაშიც მოღვაწეობდა, გულანშაროს ანტიკუნძულური განწყობის (რაც უხ-სოვარი, ოტომანთა დინასტიის ზეობის დროიდან იღებდა სათავეებს) გამოძერწილი სახე. ადრე ისიც ფსიქეასთან ყოფილა ნამიჯნურალი და მას შემდეგ ისიც სწორედ ისევე ვერ იტანდა წვერიან მამაკა-ცებს, როგორც ეგო გამიასკუ, რადგან მისი მკურ-ნალი ექიმიც, უსაშველოდ გაუთავებელი ლაპარაკი რომ იცოდა, ქუინი მუცურეში (იუნგის რეფერენტი მგონი, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ტრაბა-ხობდა), წვერს ატარებდა. მე ქარჩხაძის „მდგმური" რომ აღმომაჩენინა, იმით დამამახსოვრდა უფრო; წაკითხული არ მქონდა საერთოდ ქარჩხაძე მაშინ, და იუნგის ციტატით, ხმალივით რომ იქნევდა უგ-ზო-უკვლოდ: „სიამოვნებით გადავულოცავდი თე-ოლოგიას ამ მართლაცდა ურთულეს მოვალეობას, ჩემი პაციენტების უმრავლესობა თეოლოგები რომ არ იყვნენო". მოკლედ, კარგი ის იყო, რომ არალე-გალურ გულანშაროს არ დასჭირდებოდა დელფოს ორაკულის წინასწარმეტყველება, ყველამ იცოდა, რომ ბატონი მასმა ოფელისკუ იმთავითვე ვაჭართა გილდიას ეკუთვნოდა. მისი ამბავი ადრევე იღებ-და საწყისს, საბჭოთა ოკუპაციის წლებიდან, როცა ბატონმა მასმამ, საკუთარი ლექსების კრებულის ავანტიტულზე, წიგნი რომ სხვებზე ადრე გამოეცა, დიდი საზედაო ასოებით დაურთო – თარგმანი გუ-ლანშაროული ენიდანო. ამით ორ კურდღელს იჭერ-და: ჯერ ერთი, მცირერიცხოვანი ერების ენებიდან თარგმანი უფრო ადრე გამოიცემოდა, და მეორე,

გულანშაროელები, ისევე როგორც დანარჩენი კუნ-ძულის მცხოვრებნი, პელაზგები იყვნენ და ენაც საერთო, პელაზგური ჰქონდათ. გულანშაროელები დანარჩენი კუნძულელებისგან არაფრით განსხვავდებოდნენ, უბრალოდ, ჯერ თურქთა ასწლიანმა ბატონობამ და შემდეგ საბჭოთა კავშირთან ერთად სოციალისტურ სისტემაში მოხვედრამ გულანშაროელების ნაწილში ტრადიციული რელიგია შეასუსტა და, ორფიზმის ნაცვლად, ათეიზმი და ისლამი გაბატონდა; თუმცა კუნძულთან კვლავ შეერთებისა და საბჭოთა იმპერიის დაქცევის შემდეგ ათეიზმი, ფაქტობრივად, მამაპაპურმა რელიგიამ ჩაანაცვლა და მუსლიმურ თემშიც შესამჩნევად იდგამდა ფესვებს კვლავ არეოპაგეტული ორფიზმი. ასე რომ, ბატონი მასმას თითქოს ეს უწყინარი წარწერა აშკარად სეპარატიზმს უსვამდა ხაზს და ამიტომაც საჩქაროდ გამოუცა საბჭოთა მმართველობამ წიგნი. მართალია, ეს ლამის ნახევარი საუკუნის წინ მოხდა, მაგრამ არ უვიწყებდნენ ბატონ მასმას. თვითონ ძალიან სურდა, ყველას დავიწყებოდა და თავს იმართლებდა, სტამბაში შეეშალათო; უცნაური მაინც ის იყო, რომ ეროვნულ-პოლიტიკურ კარიერაში ამ მცირე სეპარატისტულ ამოვარდნას მისთვის ხელი არ შეუშლია: როგორც კი სოცსისტემამ დაშლა დაიწყო და მთელი პელაზგია, და მათ შორის გულანშარო, კვლავ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად აბობოქრდა, მასმამ მოახერხა და პირველი ეროვნული პარლამენტის, რომელშიც სწორედ ავგუსტუსმა გაიმარჯვა, ქვედა პალატის გულანშაროელი კონგრესმენი გახდა, სხვათა შორის, გრაფინიასთან, სერვიეტასკუსთან, უჩაორასკუსთან, პროვატა ელოსისკუსა და მიმა ჩამალისკუსთან ერთად. ეს მა-

შინ, როცა იონიხი და გაჭა ზედა პალატის სენატორები გახდნენ ნახევარკუნძულიდან. მას შემდეგ კი, რაც ავგუსტუსი დაემხო და კუნძულზე სულხან აგარიანი გაპრეზიდენტდა, მიხრწნილ მელად წოდებული, დოუს მიეკედლა და, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ტრაბახობდა, საკუთარი ასტამი მიდგას პოლისის ბელადის ტაბლასთან, კვირაში ერთხელ მიბარებს და რჩევას მეკითხებაო. დოუი არ უარყოფდა კუნძულის ერთიანობას, უბრალოდ, ეტყობა, სეპარატიზმი მდგომარეობის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა; სეპარატიზმი ათეიზმისა და ისლამის მოძლიერებით სურდა გაემყარებინა, ათეიზმის ერთ-ერთ მამამთავარს კი სწორედ მასმა ოფელისკუ წარმოადგენდა. ათეიზმთან ბრძოლა არცთუ ისე ადვილი იყო სოციალისტური ბანდის თუ ბანაკიდან ახალდაღწეული ქვეყნისათვის.

ამ, ასე ვთქვათ, გიუმაუებთან ჭიდილში არალეგალური გულანშარო ერთს კი შეეცადა, თავისი კანდიდატისათვის დაეჭირა მხარი, გრაფინია აგათოტეროსს ვგულისხმობ, მაგრამ გრაფინიამ უსასოდ ჩაიქნია ხელი, „ვაჭარი მე ვერ გავხდები, პოეტი მაგათ მწერალთა გილდიის მაგისტრად არ უნდათ და რა აზრი აქვს ფხაკუნსო“.

მართალიც იყო. არალეგალური გულანშარო ცდილობდა, საკუთარ უსასოობას შებმოდა, თორემ, რომ ვერ გავიმარჯვებდით, ისედაც ვიცოდით. მოკლედ, შემოქმედთა საფიხვნომ, რომლის წევრები კი იყვნენ ბატონი აგათოტეროსი, გრაფინია, ჟინპისტი, აუდიტუსი და რამდენიმე პოეტ-მწერალი, მაგრამ უკვე უმრავლესობას ვაჭრები წარმოადგენდნენ, მაგისტრად, რა თქმა უნდა, მასმა ოფელისკუ აირჩია. დოუიც საპატიო მაგისტრად იჯდა

საფიხვნოს თავში, უკვე არც კი კადრულობდა, რომ თვითონ მიეღო მონაწილეობა უშუალოდ არჩევნებში. მის სურვილს უსიტყვოდ ასრულებდნენ, მხოლოდ ეგო გამიასკუ არ შერიგებია უხმოდ დოჟის სურვილს, არა, დოჟის სურვილს კი არა – დოჟის სურვილის წინააღმდეგ წასვლას როგორ გაბედავდა – მასმა ოფელისკუს გამაგისტრებას. დააცადა, სანამ დოჟი წამოკრეფდა სხეულს ტახტიდან, სანამ დაესეოდნენ დაცვის წევრები და ტახტრევანზე შეაბრძანებდნენ და ოთხი შავგვრემანი ყმაწვილი, ვაჭართა გილდიისა და სამინისტროების თავკაცების შვილები, მხრებზე არ შეიდგამდნენ ტახტრევანს და გარეთ არ გაიყვანდნენ, შემდეგ არ ჩააბრძანებდნენ ოქროცურვილ „როლს როისში“ და სამოცი შავი „კადილაკის“ თანხლებით არ გააბნელებდნენ იქიდან, და დაიწყო ყვირილი ტირილს შერთული, დაიწყო კრულვა მწერალთა გილდიის წევრების; ბატონ მაჟრას სულ ნაძირალა უძახა მემკვიდრის არასწორად დატევებისთვის. შემდეგ ჯერი ეგო გამიასკუს ოჯახზე მიდგა, დედა და და დერეფანში დადგნენ და კივილი მორთეს. ალბათ სვედავსილ ავგუსტუსსაც კი არ ღირსებია ასეთი გულწრფელი გლოვა. ცრემლებითა და ზარით დაიტირეს მწერალთა გილდიის წევრები ქალებმა. „მართლა მეგონა, რომ უკვე არც ერთი მზიანი დღე არ გაუთენდებოდათ ბატონ მწერლებს, ყოველ შემთხვევაში, იმათ მაინც, რომელთაც მარჯვენა ხელი აღუპყრეს და თანხმობა მისცეს მასმას გამაგისტრებას, – გვეუბნებოდა მერე გრაფინია, – მაგრამ მოვტყუვდი, მხოლოდ მცირე მათგანი თუ გახდა ცოტა ხანში ვაჭარი. დიდი ნაწილი ვაჭრადქცეული იყო ისედაც“.

ტრისტიტია ტორჩიხი

ერთხელაც დანიელის სიტყვებზე დაფიქრებული – „ლედი ნიმფა მიყვარს სიგიჟემდე და არ ვიცი, რა ვქნაო" – უთავბოლო ხეტიალისას თრაკოლოგიის ხელოვნების ინსტიტუტთან ახლოს აღმოვჩნდი. ვიფიქრე, მოდი, ტრისტიტია ტორჩიხს ვნახავ, იქნებ სხვა რამეზე გადავერთო და კვარტუმთან სულ რაღაც ერთი თვის წინ განქორწინებული ლედიც და ჩემდა ჭირად (თითქოს საკუთარი ვნებათაღელვა არ მეყოფოდა) მასზე შეყვარებული დანიელიც გადამავიწყდეს დროებით მაინც-მეთქი.

წარმოშობით დედაქალაქელი ტრისტიტია, მესამე კლასიდან გულანშაროში მცხოვრები, მთავარი პალეოგრაფი გახლდათ პოლისში. ადრე სალონში მუშაობდა ექსპერტად, მაგრამ იქ მოსულმა გულანშაროს ტყიანი კანტონიდან ახლად ჩამოქალაქელებულმა უფროსმა უთხრა, ჩვენთან პრიორიტეტი ადგილობრივი კადრები უნდა იყოსო და, პრინციპში, არ მოუხსნია, მაგრამ არცთუ ისე ცუდი ფსიქოლოგი იყო, ეტყობა. მიხვდა, ასეთებს ბატონი ტრისტიტია ვეღარ გაუძლებდა. თუმცა კონფლიქტი, როგორც იტყვიან, არ გაღრმავებულა, რადგან იქვე შემთხვევით მყოფმა გულანშაროს აღიარებულმა, მაგრამ ოდესღაც კუნძულის დასავლეთიდან ჩამოსულმა მხატვარმა არტე წოხონერიმ უთხრა, „ტრისტი, ხომ იცი, რომ თრაკოლოგიის ხელოვნების ინსტიტუტი იხსნება და ჩვენთან წამოდი პალეოგრაფიის ასოცირებულ პროფესორადო". რაც შეეხება ინსტიტუტს, ის ადრე საგამოფენო გალერეა გახლდათ და დოუმა თრაკოლოგიის ხელოვნების ინსტიტუტად ჩამოაყალიბა. ეს მმართველობის საწყის წლებში მოხდა,

როცა ეკონია ჯერაც ფრთებგაშლილი ვერ ებრძოდა პელაზგიის ერთიანობას და შეფარული გზებით ცდილობდა, რეგიონის უზარმაზარი შემოსავალი (რომელიც ზღვასავით ივსებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის, შემდინარე სავაჭრო, სატრანზიტო თუ საბაჟო ნაკადებით, ცალკე კიდევ უმდიდრესი სოციალისტური სისტემის დროინდელი სანაოსნოს დიდებული ხომალდების საჩქარო გაყიდვით და, როგორც ამბობდნენ, იარაღისა და ნარკოტიკების ვაჭრობითა და აღვირახსნილი ტრეფიკინგით) პელაზგიის ბიუჯეტისთვის გაენანილებინა. და იგონებდა ათასგვარ კაზუისტურ გზებს თანხების ადგილზე დასატოვებლად, ქმნიდა საბიუჯეტო ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, თანამდებობებსა და სახელოებს. სწორედ მაშინ ჩამოაყალიბა ეს ინსტიტუტი და ათასკაციანი შტატისთვის გაწერა ხარჯთაღრიცხვა, სინამდვილეში კი ასამდე ადამიანი თუ იქნებოდა იქ დასაქმებული. მენეჯერად უკვე დანიშნული იყო არტეს მეუღლე, ცნობილი არქეოლოგ-რესტავრატორი, თანაც გულანშაროს თორმეტი უძველესი გვარიდან ერთ-ერთის წარმომადგენელი, ფრაუ კრუსტახი.

მოკლედ, ტრისტიტია ინსტიტუტში იყო და თანაც ლექციებიც მოთავებული ჰქონდა. გაუხარდა ჩემი ნახვა და ინსტიტუტის ლუდხანაში დამპატიჟა. თუმცა, სანამ დერეფნიდან ქვის გრანდიოზული საფეხურებით სარდაფში ჩავიდოდით, გზაზე თქვა, „ეს ლუდხანა ინსტიტუტის დაცვის ბიჭებით იქნება გამოტენილი, მოდი, ბარემ თუ დასვენებაა, დასვენება იყოს, „სპილიაში“ წავიდეთო“. მეც სიამოვნებით დავეთანხმე და ნაბიჯებს ავუჩქარე. მიუხედავად იმისა, რომ ტრისტიტია გალეული, სუსტი

და, როგორც იტყვიან, ლანდი გასდისო, ისეთი გახლდათ, ჩქარი სიარული იცოდა. „სპილიაში" სიხალვათე დაგვხვდა. შუადღე იდგა. მხოლოდ ფილოსოფიის დოქტორი არძა ართიხი გახლდათ კაფეში და ჩვენც მის მაგიდას შემოვუსხედით.

– არძა, ორთას დავპირდი, დოჟის საცავში რომ წაგვიყვანეს, იმას მოგიყვები-მეთქი, – მიახარასავით ტრისტიტიამ.

არძამ, როგორც სასიამოვნო მოლოდინის დროს იცოდა, თავი ოდნავ გვერდზე გადახარა, ნიკაპი მცირედით წამოწია, გაიღიმა და გვითხრა:

– სიამოვნებით მოგისმენთ.

– ჰო, მოკლედ, რაღა გაწვალოთ, წაგვიყვანეს დოჟის სასახლეში.

– ვინ წაგიყვანათ? – არ აცალა არძა ართიხმა.

– ვილაც დაცვის უფროსი იყო, მგონი, რა მნიშვნელობა აქვს. ეგ არაა მთავარი, – თქვა ტრისტიტიამ, სიგარეტს მოუკიდა, კვამლი მარცხენა ხელით ისე გაფანტა, თითქოს კოლოების ესკადრას იგერიებსო და განაგრძო, – ესე იგი, სუფთა სატანისტია! აი, ჰიტლერის მსგავსი! ჰუსეინი ხომ იყო დიქტატორი, აი, ეს სუფთა სატანისტია! – თვალებში მოგვაჩერდა და ჩვენს ემოციას დაელოდა, შემდეგ განაგრძო: – რომ შედიხარ, პირველი სართული ჩვეულებრივია და მარჯვნიდან...

– რომელზე ამბობ, აგურებიან სასახლეზე? – დაინტერესდა არძა.

– ჰო, რა, სადაც ცხოვრობს და მუშაობს, დოჟის სასახლე! – გაბრაზებული კაცის სახე მიიღო ტრისტიტიამ და ორივე ხელის მტევანი წინ ისე გაიშვირა, თითქოს იატაკიდან რაღაცის სიმაღლეს აჩვენებსო.

– პირველი სართული ჩვეულებრივია, თუ, რა თქმა უნდა, იმას არ ჩავთვლით, რომ ფანჯრები არა აქვს...

აქ უკვე მე ვერ მოვითმინე:

– ფანჯრები როგორ არა აქვს! იმხელა სარკმლებია, ახლახან არ შეაკეთეს?

– კი, ჩემო ორთა, გარედან ჩანს ფანჯრები! – მრავლისმეტყველი მზერა მომაპყრო და გაიღიმა. – შიგნიდან ვეებერთელა, თაღიანი, ალბათ სამმეტრიანი სიგანის კედლებია ამოყვანილი და მხოლოდ ზემოთ, ჭერთან აქვთ პატარა სამერცხულივით დატანებული პატარა სარკმლები, ალბათ შუქი რომ შემოვიდეს, დღის სინათლე. მღვიმესავითაა, რა! ჰო, კარგი ახლა, მაცალეთ! – ისე აიქნია ხელი, თითქოს გვანიშნა, გამაგრძელებინეთო. – ქვემოთ ჩაგვიყვანეს. მართალი ყოფილა, რასაც ამბობდნენ: მინისქვეშა დერეფნები, რაღაც ბროლის სანთლებივით განათებები... სხვათა შორის, შენს სამშობლოში როა მღვიმე...

– ახალ ათონზე ამბობ? – გამკრა გულში, სადღა იყო ჩემი...

– ჰო, მგონი, არ მახსოვს ზუსტად, ვარ იქ ნამყოფი... რატომღაც ის ამოტივტივდა გონებაში. შევედით ოთახში, სადაც ისე უწესრიგოდ იყო დაყრილი სურათები, გული შეგვიღონდა.

– ვინ იყო შენ გარდა? – ჩაეკითხა არძა.

– არტე და მისი ცოლი, ფრაუ კრუსტახი, – რატომღაც პაუზა გააკეთა ტრისტიტიამ და მოგვაჩერდა, – იქ იყო დალის ჯვარცმა, მატისი, როდენი... – უცებ კილო შეიცვალა, უფრო მნიშვნელოვანი რამის სათქმელად მოემზადა თითქოს. – კაკაბაძის ადრეული, პარიზული პერიოდის სამი სურათი და ერთი ფიროსმანი... – მომაჩერდა და ბოლო ფრაზებს

თვალებით მიმეორებდა უსასრულოდ (ვიცოდი, რომ ფიროსმანი უყვარდა განსაკუთრებით, ადრე რამდენჯერმე საათობით უსაუბრია ჩემთან მასზე, მაგრამ მაინც მაოცებდა მისი ერუდიცია, პალეოგრაფისტმა ასე ღრმად რომ იცოდა ხელოვნება). ყველაზე უფრო მაინც დალის ჯვარცმამ გადამრია, – განაგრძობდა ტრისტიტია, – კედელზე იყო გვერდულად მიყუდებული, კინაღამ გული წამივიდა. შევეხვეწე, დამტოვეთ ერთი კვირა, ყველაფერს მოვაწესრიგებ-მეთქი. იმ ჩვენს ზედამხედველს ჩაეღიმა, „ორმოცი წუთი კიდევო", – გვითხრა და ჭერში, სხვენზე აგვიყვანა. იმ მახინჯს ყველაფერი თავის ზომაზე აქვს გაკეთებული, სხვენში მოკაკული დავდიოდით! – მე და არძა ავხარხარდით. – ორთა, გაგიუდები, რა ხელნაწერები უყრია იატაკზე! რა წიგნები აქვს! – ბურთის დაჭერის მოლოდინში მყოფი მეკარის პოზა მიიღო ტრისტიტიამ და გაირინდა. – აი, ამხელა ფორმატის ალბომი ლეონარდო და ვინჩის! – დაახლოებით კვადრატული მეტრის ოთხკუთხედი შემოხაზა ჰაერში. – ოქროში ჩასმული ბიბლიები, ყურანი, ჰომეროსი, შექსპირი, ვეფხისტყაოსანიც იყო... რომ ვტრაბახობთ პროკლეს ხელნაწერით, იქ შეუჩურთავს... მოკლედ, სული იქ დავტოვე! – უხმოდ გააგრძელა სიგარეტის ქაჩვა.

– ინსტიტუტს გადმოსცემს ამ ყველაფერს? – შეეკითხა არძა.

– გეკადრება?! საკუთარი არქივი და მუზეუმი აქვს! ქანდაკებები იყო ათასგვარი, ძირითადად, საჩუქრები. „ვერსაჩეს" ჭურჭელი და ავეჯი.

– სად, სხვენზე? – ველარ მოვითმინე.

– არა, ბიჭო! მის კაბინეტთან რომ ჩავიარეთ, ქონდას ოთახში შევედით. აი, ცხენირმების ქანდა-

კება რომ დგას გარეთ, იმ მხარესაა ქონდას ოთახი. გეუბნები რა, დარწმუნებული ვარ, ესპანეთის მეფეს არა აქვს ისეთი ავეჯი!

– კარგი რა, ნუ ამეტებ! – ვერ დავიჯერე მე. – რა აქვს ასეთი?!

– გეუბნები, შეკვეთით დამზადებული, ოქროში ჩასმულია ყველაფერი. გეუბნები, ორთა! არც ქონდას ოთახშია ფანჯრები. დამიჯერეთ, ხალხნო! სუფთა სატანისტები არიან, ათასი ქურუმი, მღვდელი და პაპიც რომ მიიყვანო იქ, გამოალოცვინო და აკურთხებინო, იმ საზიზღარ აურას იქიდან ვერასოდეს გამოდევნიან!

ირორესკუს ზმანება

უნივერსიტეტის შესასვლელში ლედი ნიმფა შემხვდა. მივესალმე. მითხრა, „როცა გოგოს ესალმები, ყოველთვის ქვემოდან ზემოთ აათვალიერე, თორემ იფიქრებს, რცხვენია და თავი დახარაო, გოგოებს კი გამბედავი ბიჭები მოსწონთო". მე რჩევისათვის მადლობა გადავუხადე და თან ჩვენს კრებულზე ვუთხარი, კარგი რეცენზია იყო დაბეჭდილი ჟურნალ „ლაოკოონში"-მეთქი (დედაქალაქში გამოდიოდა, ძალიან პრესტიჟული იყო). „არ მაინტერესებსო", მითხრა, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, აშკარად წაკითხული ჰქონდა. ძირითადად, მისი პოეზია იყო განხილული, გულანშაროელი პროფესორის, ცალი ფეხით უკვე ვაჭრადქცეულის, გილარდე უსენისკუს ნახელავი იყო. მაშინ გავიფიქრე პირველად, ეს გოგო არაფრის წინაშე დაიხევს უკან-მეთქი, რაც შემდეგ, სამწუხაროდ, გამართლდა. ეს მერე,

როცა აგათოტეროსი მოხსნა ირორესკუმ უნივერსიტეტის კანცლერობიდან და ერთ თვეში ლედი ნიმფა დანიშნა. მას შემდეგ ლედიმ ორიოდე კრებული კი გამოსცა, მაგრამ შიგ არც ერთი ლექსი არ იყო. მის ლექსოფილიას ბოლო წერტილი ირორესკუსადმი მიძღვნილმა ლექსმა დაუსვა, სადაც მას კვიპროსის მითოლოგიურ მეფეს – კინირასის ადარებდა. სწორედ ამ კინირასის უხსოვარ დროში, პელაზგიაში სტუმრობისას, პოლისის სწორედ ის მდინარე, ლეტასქური, განევლო, რომელიც ზემო კანტონიდან ქალაქში ჩამოსვლისას გადმოლახა თურმე შარვლისტოტებსაცვლებამდე აკაპინებულმა ირორესკუმ. მას შემდეგ ლედი ნიმფამ, რაკი შეატყო, ლექსებს ვერ წერდა, მეცნიერებაში გადაინაცვლა, და ორიოდე ნაშრომიც კი დაწერა ფიზიკაში. თუმცა მიხვდა, მაინც ასცდა აპოლონის გზას და ირორესკუს მსგავსი რამდენიმე მამფალი გამოიცვალა, მათ შორის, გილარდე უსენისკუც. ამ ამბავმა ასევე ძლიერ მომიკლა გული, უფრო სწორად, ამ ჭორებმაც კი დამაღონა, თორემ რეალურად მას რა ურთიერთობა ჰქონდა გილარდესთან, მართლა არავინ უწყოდა და არც დაუძრავს მასზე ჩვენთან სიტყვა არასოდეს. სამაგიეროდ, დანიელს უთხრა მკაცრად, „არც კი იფიქრო ჩვენ შორის სასიყვარულო ურთიერთობაზე, ყველანაირად კარგი ადამიანი ხარ, მაგრამ იცოდე, არანაირად არ ვეწყობით ერთმანეთს, არაფერი გამოგვივაო". ლამის მოკვლა მომინდა დანიელის, როგორ ვერ ხვდება ჩემს გრძნობებს-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ შემდეგ გამახსენდა, რომ არასოდეს სიტყვაც კი არ გადამიკრავს მისთვის ჩემს დამოკიდებულებაზე ნიმფასთან. და ამიტომაც სულ სხვა რაღაც ვუთხარი: „როდის ნახე, და რა

ჯანდაბამ გადაგახსნევინა გული?“ მაგრამ ისე იყო დათგრუნული, სიტყვა აღარ გამიგრძელებია. ვერც ვუშველე ვერაფერი. ან რას ვუშველიდი, საკუთარი თავისა თუ ნებისყოფისთვის ვერ მეწამლა. და გაქუსლა დანიელმა სკანდინავიაში. წინა ზაფხულს გულანშაროს ხელოვნების ინსტიტუტში გაცვლითი პროგრამით მყოფმა ახალგაზრდა ნორვეგიელმა მხატვარმა, რომელთანაც როგორღაც საერთო ენა გამონახა და მიწერ-მოწერაც ჰქონდა, დაპატიჟა და არც ერთი წამი არ უყოყმანია. ნორვეგიელს რაღაც სამხატვრო სახელოსნო ჰქონდა ლონგიირბიუენში, ერიკა ერქვა; საკმაოდ ლამაზი იყო, ოდნავ მოუხეშო სკანდინავიური სახით, მაგრამ აშკარად მიმზიდველი ქალი ეთქმოდა; საკმაოდ ნიჭიერი გრაფიკოსიც იყო, მაგრამ იმ ეტაპზე რაღაც თიხის თუ კერამიკის ფიგურების ბიზნესი ჰქონია წამოწყებული მამის დახმარებით და დანიელთან ერთად სურდა გაეგრძელებინა საქმე. გრძნობასთან ერთად, ალღომაც არ უმტყუნა, ეტყობა, დანიელის შერჩევისას და საკმაოდ კარგადაც ააწყვეს პატარა საწარმო.

არაერთხელ დამეხმარა მერე, კარგა ხნის მერე, დანიელის გამოგზავნილი თანხა, ზოგჯერ სულზეც კი მოუსწრია ჩემთვის მის ნობათს. თუმცა ესეც მერე მოხდა. მანამდე კი ირორესკუმ დაუსვა წერტილი საკუთარ პოეზიას; ჯერ იყო და, მეგობრის, აგათოტეროსის სახე ესიზმრებოდა ზედიზედ სამი კვირა, შემდეგ კი შვიდი ღამე, შეუცვლელად, ასეთი რამ ეძილისშორისა: თითქოს ლექსს წერდა ზეპირად. ბოლომდე ზეპირად ჩამოურაკრაკებდა ჯორკოს სიმაღლეზე ელექტროხერხით ლამაზად გადაჭრილ ცაცხვის კუნძზე ჩამომჯდარ აგათოტეროსს, ის კი ეკვედრებოდა, ჩაიწერე, ბიჭო, არ დაგავიწყდეს და

არ დაკარგოო, მაგრამ თვითონ ხელს აუქნევდა, თან ტირიფის ჩამოძენძილ ტოტს ჩამოქაჩავდა და ზამბარასავით ჩამოჭიმული, სწრაფად რომ აქანავდებოდა ზემოთ, ეუბნებოდა, რა დამავიწყებსო; მერე გამოიღვიძებდა და, რა თქმა უნდა, არაფერი ახსოვდა. უფრო სწორად, ნათლად ახსოვდა, მაგრამ როგორც კი სასთუმალთან, ნიშაში მიგდებულ წიგნაკს წაატანდა ხელს და საწერ-კალამს მოიმარჯვებდა, ერთ სიტყვასაც კი ვერ იხსენებდა. ასე დაანება ირორესკუმ თავი წერას.

რინადორე

რინადორე მომწონდა, რა თქმა უნდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ იყო სიყვარული. ლედი ნიმფას სახე უფრო მირევდა თავგზას, მისი დამოუკიდებლობა, განუმეორებელი ხასიათი, რაღაც დოზით, სკარლეტ ო'ჰარასეული. ქართულ ლიტერატურაში ვინ გვყავს, არ ვიცი, რომ შევადარო; შუშანიკი არა ალბათ; არც ნესტანი, იქამდე ვერ ადიოდა. პრინციპულობა იმდენად არ იყო ნიმფას თვისება, რამდენადაც თავნებობა; როგორც მერე, დიდი ხნის მერე აღმოჩნდა, უფრო სიჯიუტე. სიჯიუტეს არქმევდა ყველა, თუმცა ცოტათი მაინც ერია ამ სიჯიუტეში თვითმყოფადობა, თუ თვითმყოფადობა არა, თვითმყოფადობის სურვილი მაინც, როცა არ გინდა, სხვისი კარნახით იცხოვრო და იაზროვნო. თუ აიჩემებდა, შეეძლო უკანმოუხედავად გაჰყოლოდა ბილიკს, თუნდაც სცოდნოდა ევრიდიკესავით, ბილიკის შამბნარში ჩასაფრებულ გველს სასიკვდილოდ

უნდა დაეკბინა და სიცოცხლის ნახევარი ჰადესში გაეტარებინა. ესეც ხასიათი იყო.

ვენდიტორს რომ არ გაჰყვა ცოლად, ესეც ხასიათი იყო, მაგრამ კვარტუმ ნასინდალისკუს რამ გააყოლა, ამას ვერ ვათავსებდი ვერც მის ხასიათში, ვერც მის ბუნებაში და ვერც მის ასე უსაზღვრო სიამაყეში. არ მჯეროდა, რომ მხოლოდ ბიბლიოთეკის დირექტორობის გამო (როგორც „სპილიაში" დაასკვნეს) გაჰყოლოდა. უკვე კარგა ხნის დაწყებული ჰქონდა ურთიერთობა ირორესკუსთან და თუ კარიერულ წინსვლაზეღა ფიქრობდა, ირორესკუც ეყოფოდა, ყოველ შემთხვევაში, კვარტუმი ისეთს ვერაფერს მისცემდა, რაც ირორესკუს არ ხელეწიფებოდა. ზედმიწევნით განსაზღვრული ხასიათი ჰქონდა, ეტყობა, კარიერისა თუ ორფიკული საქურუმოების უმაღლესი საფიხვნოსაკენ მიმავალი გზის აღქმის. რაც არ უნდა დამეძალებინა ჩემი გონებისთვის, ზედ წიხლებითაც რომ შევდგომოდი, ნიმფას ქორწინებას კვარტუმთან ვერაფრით ვერ აღვიქვამდი ჰიეროგამიად. საღვთო კი არა, მიწიურ ქორწინებადაც ვერ აღვიქვამდი, მხოლოდ ნერვების ამწენავი შეჯვარება იყო ჩემს თვალში, როგორც დიდრიხი აჯვარებდა კენგურუებს. როგორც ჩანს, იმის შეგრძნებაც თუ გააზრებაც მაცოფებდა, რომ აშკარად ჩემზე მეტი ხარისხი ჰქონდა თავისუფლების, ლიბერტიანიზმის გაგებით. მე კი ჩემს არალეგალურ მეგობრებთან ერთად ჩავიკეტე, ეტყობა, გაურკვეველი იდეისა თუ მრწამსის ტყვეობაში. მგონი, მაინც ცდებიან გულანშაროელები, სიყვარულიც არაა მარადიულობა და არც საწყისი. ორფიზმი არა, გებჟალია კოჭათი, როგორც ჩვენთან იტყვიან. სიყვარული რომ პირველსაწყისი და

ღვთაება ყოფილიყო, არ იქნებოდა ასე წარმავალი და ქრობადი. სიყვარული კი არა, ახურვებული სხეულის დაცხრომაა ეგ გრძნობა. შტერები კი არ არიან დასავლეთში, დაავადებათა ნუსხაში რომ შეიტანეს! ორფეოსი კიდევ გადაგვარებული მამრია, სუსტი ნებისყოფითა და დაჩიავებული ვნებით!

ასეთი ხმამაღალი ფიქრისას გამაჩერა რინადორემ, მამუნათებდა: „ეგ წამიერი სისუსტეა! არ შეიძლება, ამ დამპალ დოჟს რომ არ ვეთაყვანებით და ვაჭრობას არ ვიწყებთ, ეგ მონურ სულს ნიშნავდეს, თავისუფლების სინაკლებე იყოს! სიყვარულზე კიდევ, ძალიან გთხოვ, ნიმფათი და კვარტუმით ნუღა განსჯიო!“ ეს იმ საბედისწერო კოცნა-ხვევნამდე ერთი კვირით ადრე იყო. უკვე ვიცოდი, რომ კვარტუმს მიჰყვებოდა ნიმფა. ნეფერტიტა ასტრახანში რომ გათხოვილიყო, სამი დღის წინ მქონდა გაგებული, სახემოჟამულმა დანიელმა მითხრა, მოსკოვში მყოფ ბიძამისთან უსაუბრია ტელეფონით, და საშინელ განწყობაზე ვიყავი. სწორედ ამ დროს მომადგა კარზე. მეათე ხელ ჯოკერს ვურახუნებდით ტრადიციული განლაგებით: მე, დათო, გია და კაჭა. ისე სიტყვის უთქმელად გაიკრიფნენ, თითქოს დათქმა გვქონოდეს, თუ რინადორე გამოჩნდება, ასე ვიქცევითო. ჩემს საშინელ განწყობას რინადორეს მოტანილმა მაწონმა ქილით საერთოდ მოუსავა. „რა ჰოსპიტალში ავადმყოფის მნახველივით ხარ-მეთქი?!“ გაიცინა და არც კი მიაქცია ყურადღება. საბეჭდ მანქანაზე შერჩენილ ფურცელს დაუწყო შესწავლა.

– არ გინდა, რინა, – ჩუმად, მაგრამ მკაცრად ვუთხარი; მეორე წელი იყო ვმუშაობდი, ჩემი რომანი თავიდან უნდა გადამებეჭდა, უკვე მრცხვენოდა უმეტესი ნაწილის, ეგ როგორ წავაკითხე გრაფი-

ნიას-მეთქი? მიმაჩნდა, რომ გავიზარდე, როგორც მწერალი, სინამდვილეში კი უბრალოდ ასაკი მომემატა და ეგ იყო. დრო და ურთიერთობები კი სჭირდება მწერლობას, მაგრამ ეს რომ შველოდეს და გადამწყვეტი იყოს, გენიოს პენსიონერ მწერალთა ცვენა გვექნებოდა. თუმცა იმხანად მაინც არ მეპარებოდა ამაში ეჭვი, რაღა თქმა უნდა, ბევრ რამეს შემძენდა გულანშაროელ მოაზროვნეებთან ურთიერთობა-მეთქი, გემოვნება აშკარად დამეხვეწა-მეთქი, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვთვლიდი. ყოველ შემთხვევაში, ჩემი რომანის ათასი გვერდიდან შვიდასი უკვე წაშლილი მქონდა და ესეც ხომ ნიშნავს რაღაცას-მეთქი? მოკლედ, სანამ ბოლომდე წაშლა-გადაკეთებას დავამთავრებდი, არ მინდოდა, ვინმეს წაეკითხა.

– ეს ის რომანია, გრაფინია რომ დააპორნიალებდა აქეთ-იქით? – იუმორი მაინც ჰქონდა ცინცხალი. ეტყობა, საბოლოოდ მაინც ამან დამაახლოვა მასთან.

– კი, ეგ არი.

– და მაინცდამაინც მე არ უნდა წამაკითხო? – ჩაღიმებული ტუჩები მკაცრად მოკუმა.

– ჯერ არ დამიმთავრებია.

– აბა, იმათ რა წააკითხე?

– თავიდან ვწერ, რინა, ხომ ხედავ?! საბოლოო სახე უნდა მივცე.

– გეხვეწები, წავიკითხავ, რა! – უფრო დაინტერესდა. ლამის შევეჭვდი, მისთვის უარის თქმას თუ მოვახერხებდი.

– გპირდები, როგორც კი დავამთავრებ, პირველს შენ წაგაკითხებ! – წავედი დათმობის უკიდურეს ზღვარზე.

– როდის დაამთავრებ? – უკმაყოფილოდ დაეჭვებულმა გადმომხედა.

– ცოტა დამრჩა, მაგრამ რად გინდა – საბეჭდი მანქანა გამიფუჭდა.

– რა დაემართა?

არ ველოდი, თუ ასე ჩამყვებოდა ქვესკნელში, მეგონა, ტექნიკა დიდად არ აინტერესებდა, როგორც ზოგადად ქალებს. როგორც ზოგადად წარმოგვიდგენია კაცებს.

– უკან არ გადადის, ეტყობა, ზამბარა მოეშალა.

– გინდა, ჩემი ძმა მოვიყვანო?

უკვე მე შევხედე ეჭვით.

– ამის სპეციალისტიცაა, კაცო?

– აბა, რა! – უზომოდ გაუხარდა. – ზეგ მოვიყვან და უცებ გაგიკეთებს.

– მოიცა, რინა, ბავშვი ხომ არაა, ასე შევაწუხო! – ვიცოდი, მისი ძმა ცხრა წლით იყო მასზე უფროსი და იმ დროს უკვე სამი შვილის მამა გახლდათ, თან საავიაციო ქარხანაში მუშაობდა.

– შენ რა გინდა, მე მეხმარება!

– არა, მართლა მერიდება, რინ, – აშკარად არ მინდოდა მისი მოსვლა ამ სასტუმროში, ეტყობა, მაინც ოჯახთან დაახლოებად ვთვლიდი ქვეცნობიერში, ეს კი ნამდვილად არ იყო ჩემს მიზნებში.

– მორჩა, ზეგ მოვალთ და კრინტი არ გავიგო! – მერე ჩემთვის არც კი უკითხავს, ჩემი მინიბიბლიოთეკის დალაგებას შეუდგა – დერეფანში ჩამოხსნილი, გაუქმებული სახანძრო კარადისგან შეჭედილ ნიგნების საცავს მიადგა. საკმაოდ მაღლა მქონდა ჩამოკიდებული, ფეხზე დამდგარს თავს ზემოთ მიწევდა, ოთახის ქვედა სივრცე რომ თავისუფლად გამომეყენებინა. მის წინ სკამი დადგა, ფეხზე გა-

იძრო და სათითაოდ ჩამოალაგა წიგნები. ტანში სასიამოვნოდ დამიარა ურუანტელმა, არ ვიცი, ვიღაც შენს საყვარელ ნივთებს რომ ეხებ-ეფერება და მასზე ზრუნავს, მხოლოდ ამ შეგრძნების გამო თუ იმის აღმოჩენისგანაც, რომ საკმაოდ მიმზიდველად მოუჩანდა სხეული სკამზე, როგორც კვარცხლბეკზე, ქალღმერთის ქანდაკებასავით წამოსკუპებულს.

პრეზიდენტის მემკვიდრე

სულ უფრო გაუსაძლისი ხდებოდა ცხოვრება გულანშაროში. არალეგალური გულანშაროელები ნელ-ნელა ტოვებდნენ ქალაქს და მათ ბინებს, ძირითადად, რუსი სამხედროები და თურქი ვაჭრები ყიდულობდნენ და მკვიდრდებოდნენ, და ამკვიდრებდნენ პრეისტორიულ ტრადიციებს. თვითონ ეკონია სადუნისკუც ხომ რუსეთის არმიის გენერლის წოდებას ატარებდა და ამადაც გრძნობდნენ თავს ზურგძლიერად, ელამის ტომივით შემოესივნენ გულანშაროს და ქალაქურ ცივილიზაციასთან შეჯახებისას დოჟის მხარდაჭერა იგრძნეს. კუნძულის მიხრწნილი პრეზიდენტი უკვე როგორც თანატოლს, ისე აღიქვამდა დოჟს და საზიზღრობა ის იყო, რომ სურდა, სხვებსაც ასევე აღექვათ. ხელი ჩაიქნია მიხრწნილმა მელამ, დაასკვნა თავისთვის, დოჟსა და რუსეთს ველარ მოვერევი და სჯობს შევეკრა და სარგებელი მაინც ვნახოო. და ახერხებდა, რაღაც პირადს გამორჩენოდა სახელმწიფოს ხარჯზე. მორიგი დათმობა – გულანშაროს ტერიტორიაზე არჩევნებში სრული ჩაურევლობა და თვითნებობა უფეშქაშა. კუნძულის შვიდი პოლისიდან ექვსის

სამოცდათორმეტ კანტონში თვითონ აყალბებდა ნაწილობრივ შედეგებს, მეშვიდე პოლისის, გულანშაროს თორმეტ კანტონში კი დოჟი – პირწმინდად, ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს იწერდა; თან ამომრჩეველთა რაოდენობას ორასი პროცენტით მეტს აჩვენებდა, ამიტომაც დოჟს, თითქმის ყველა მოწვევის პარლამენტში, დეპუტატების ლამის ერთი მესამედი ჰყავდა. ხელისუფლებაში მოსვლის მესამე წელიწადს პარტია ჩამოაყალიბა, „რენესანსი" დაარქვა – „პელაზგიის რენესანსის უნია", რაც პირველ ხანებში რაღაც პოპულარობით სარგებლობდა კუნძულზე. დედაქალაქის დამშეულ ინტელიგენციას და შემოქმედთა ნაწილს აფინანსებდა და ისინიც ენაზე ქაფმომდგარნი აქებდნენ და კუნძულის პატრიოტს უწოდებდნენ; ამას დამატებული, როგორც ვთქვით, ნახევარკუნძულის ასპროცენტიანი გარანტირებული საარჩევნო შედეგები, და საკანონმდებლო ორგანოში მყარად გრძნობდა თავს. რუსეთი უკვე მიხრწნილი პრეზიდენტის აშკარა მემკვიდრედ ამზადებდა.

ობელისკი და საძმო საფლავი

სასტუმრო „მულღაზანზაროშიც" გაიფილტრა ხალხი საბოლოოდ. ძირითადად, მაინც რუსეთში წავიდნენ. თუმცა გია ისევ აქ რჩებოდა და უკვე იურისპრუდენციას სწავლობდა. ნამდვილი სიახლოვე სოხუმელებიდან (დანიელს აღარ ვთვლი, რაღა თქმა უნდა) დათოსთან მქონდა და ისიც დაბრუნდა საქართველოში. მართალია, დანიელის სასტუმრო საკმაოდ შორს იყო „მულღაზანზაროდან", მაგრამ

მაინც ხშირად იყო ჩვენთან. ნორვეგიაში სამწლიან გაუჩინარებამდე უამრავი სოხუმელი ნაცნობი ჰყავდა აქ და ჩემზე უფრო იცნობდა მის მცხოვრებლებს. რაც შეეხება ჩემს არალეგალურ გულანშაროელ მეგობრებს, ყველასთან ჩემსავით მეგობრობდა. მის სასტუმროს, ქალაქის დასაკარგავ ჩრდილოეთ ნაწილში, „მეზღვაურები" ერქვა, ამიტომაც აუდიტუსმა მას „ბოცმანა" დაარქვა, ასევე ეძახდა ყველა და ლამის მეც ხანდახან, როგორც ის – „ორთას". თავისებური ხუშტურები ჰქონდა, მოკლედ, გვგავდა ამით არალეგალურ გულანშაროელებს და იმათაც თავის სწორად მიიღეს; უყვარდა რუსული ლიტერატურა, რუსულად ბაასი, როგორც ყველა სოხუმელს, და სიბრძნითმეტყველება; თავის თავს გამოასოებულს ეძახდა და კამათიც არ ღირდა, იტყოდა, წერისას ასოები მეშლება ხშირად და ამიტომო; თუ სერიოზულ საუბარს შევყვებოდით, ძველი ბერძნებიდან იწყებდა და მაინც ღმერთის აღიარებამდე მიდიოდა. უამრავ სექტანტურ ლიტერატურას იცნობდა, სანამ ძირისძირობამდე არ გადაჩხრეკდა, მანამ არ უარყოფდა. ორიგენესა და ტერტულიანეზე კი შეჩერდა საკმაო ხანს, საბოლოოდ მაინც ყველა მწვალებელი უარყო, რა თქმა უნდა, რაც კი გაგვეგონა. და მართლმადიდებლობას უცნაურად შეურწყა ინდურ-ჩინური ფილოსოფია, განსაკუთრებით, აღმოსავლური სამკურნალო და საბრძოლო ხელოვნების განხრით. ათასნაირ ვარჯიშებს სწავლობდა, ჰქონდა ნებისყოფა და დიდხანს ჩაუჯდებოდა ხოლმე. ამადაც გამკრავდა ეჭვი ხანდახან, შეუძლებელია ვერ ხვდებოდეს ჩემს გრძნობებს ნიმფასადმიმეთქი და ცოტათი გამიცივდა მისდამი მეგობრული

გრძნობა, ცოტათი – რამდენადაც შეიძლება გაცივდე საბავშვო ბაღის მეგობრის მიმართ.

მაგრამ ეს მერე იყო, კაი ხნის შემდეგ. მაშინ კი ჯერაც არ იყვნენ ნიმფა და ნასინდალისკუ განქორწინებულები. „სპილიადან" ამოვდიოდით მე, დანიელი და ნოემა. ტრისტიტია შემოგვხვდა აღელვებული, ისედაც გალეული იყო და გაბრაზებისას თუ აღგზნებისას სულ ჩია ჩანდა, ძვლებზე გადაკრული ტყავი. ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს მის ძარღვებზე მიმდინარე ყოველი ფარული თუ უჩინარი იმპულსი თუ ნერვული ტოკვა აშკარად ჩანს-მეთქი.

– ტრისტიტია, როგორ გიკითხო? – გაუღიმა ნოემამ. – რაღაც სიმპათიურად გამოიყურები დღეს.

– რა შემატყვე, გოგო, დღეს სიმპათიურობის, გადარეულს ვგავარ, ვერ მხედავ?!

– რა იყო, ტრისტიტია? – ვკითხე მე და რაღაც საინტერესო ამბის მოლოდინში სასიამოვნოდ გამაჟრჟოლა. ტრისტიტიამ კარგი მოყოლა იცოდა, თანაც მუდამდღე რაღაც ფათერაკში ეხვეოდა ხოლმე.

– ლექციიდან მოვდიოდი დილით, ხელოვნების აკადემიიდან.

– ვა, ეს რომელი, ახლა რომ გახსნა დოჟმა? – ჩაეძია ნოემა.

– რა ახლა გახსნა, ერთი წელია, – ჩაიქნია ხელი ტრისტიტიამ და მარჯვენა ხელის მტევანი ისე ასწია, თითქოს ანიშნა, ნუ მაწყვეტინებო, მაგრამ ნოემა არ შეეპუა:

– ტყუილად არ გეუბნები, აგერ, დანიელს უნდა ლექციებს დაესწროს, განსაკუთრებით, არტე წოხონერის გაკვეთილებს ფერწერაში.

ტრისტიტიამ წამით განმსჯელი მზერა მიაპყრო დანიელს, მერე მოსხლეტით მოჭრა:

– მერე, ეგ რა პრობლემაა?! მოდი ხვალ დილით, დანიელ, ოლონდ აკადემიაში არა, თრაკოლოგიის ხელოვნების ინსტიტუტში, არტეს გაგაცნობ და თვითონვე შეთანხმდებით ლექციებზე! მოკლედ, – გადაერთო ისევ თავის ამბავზე, – ქალაქში რომ შემოვდიოდი, მემორიალს მოვკარი თვალი... არა, ჯერ იმას გეტყვით – რომ მივდიოდი, მემორიალთან რაღაც ამწეები და ასეთები იდგა; ვიფიქრე, მიხვდნენ, როგორც იქნა, რომ ეს შედევრი გაწმინდონ-მეთქი და გამიხარდა. რად გინდა! მოკლედ, აქეთობისას რომ შევხედე, რას ხედავს ჩემი თვალები: სულ თეთრად ქათქათებს! მანქანა გავაჩერე, ჩამოვედი და მუშას ვკითხე, „ეს რა გიქნია-მეთქი?" „რას ამბობ, ბატონო, საუკეთესო საღებავიაო!" – დაამთავრა ტრისტიტიამ და ხელი თავზე შემოირტყა.

მე მახსოვდა ეს მემორიალი. სპილოსძვლისფერი მარმარილოთი იყო ნაგები, უშველებელი ოთხკუთხედის ფორმის სვეტისებრი მონუმენტი, ზედ ლამაზი ჩუქურთმებით იყო ამოტვიფრული 1825-1829 წწ., გულანშაროს კუნძულთან შემოერთების თარიღი. გამახსენდა, თვალწინ წარმომიდგა და გამეცინა. ნოემა გაოცებული იდგა და დაბნეული იყურებოდა.

– მოიცა, ვერ მივხვდი. თუ შეათეთრა, ცუდია? – ამასობაში კი გაიაზრა და თვითონაც გაეღიმა.

– არა, სულ გაუტია მამაცხონებულმა! – ხელი ჩაიქნია ტრისტიტიამ.

ის მერე იყო, კარგა ხნის მერე, ურსუსისკუმ, კუნძულის გიჟისთვალება პრეზიდენტმა, ეკონიას გადახვეწის შემდეგ საერთოდ რომ აიღო ეს მემორიალი, დინამიტით ააფეთქებინა და ლამის ზედ

შეახოცა მუშები. სამწუხაროდ, ტრისტიტია ისე იყო მოხიბლული მაშინ უკიდურესად ლიბერალური ღირებულებების მატარებელი ურსუსისკუთი და არამზადა დოჟის მოცილებით, რომ ამ შედევრის განადგურებაზე საერთოდ არაფერი უთქვამს, რამე ძვირს ვერ ათქმევინებდი სულხანზე. მხოლოდ მათხილე ბორგავდა ისევ და რამდენიმე ნამსხვრევი, წარწერების ფრაგმენტი რომ იყო ზედ, ისეთი, შემოუნახა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს... ეს ადგილი კი რესტორნისთვის დასჭირდა მაშინ ახალგაზრდა პრეზიდენტს, „ზღვას გადაჰყურებს ლამაზად, აქ ობელისკს რა უნდაო"; ვიღაც თურქი ინვესტორი ნახა, რომელსაც, ქვეცნობიერად, რესტორანზე მეტად ამ ობელისკის გაქრობა სურდა ალბათ, საკუთარ კომპანიას ათასამდე მუშაც შემოაყოლა და დაამკვიდრა კიდევაც გულანშაროში. დემოგრაფიულადაც უტევდა უკვე თურქეთი ყოფილ კოლონიას.

მაგრამ ესეც მერე იყო, კარგა ხნის შემდეგ. მაშინ კი, საუბრისას, უბაცე შემოგვიერთდა და ახლა იმას აუტყდა ისტერიული სიცილი, როცა სიახლე მოისმინა. უბაცე გულანშაროს პერიფერიიდან იყო, ოღონდ იმ მხრიდან, საიდანაც დანარჩენ კუნძულს ესაზღვრებოდა გულანშარო – დასავლეთიდან. იქაური მცხოვრებლები ზნე-ჩვეულებებით ცოტათი განსხვავდებოდნენ გულანშაროს დანარჩენი ნაწილისაგან და თავს არც კი თვლიდნენ გულანშაროელებად; ხუმრობდნენ კიდევაც მათზე, რომ ჰკითხავთ, გეტყვიან, გულანშაროელები არ ვართო; აბა, კუნძულელი ხარო? არაო, გიპასუხებენ. აბა, ვინ ხარო, და ამბობენ, გვალასქურელები ვართო. და ხუმრობდნენ მათზე, რომ არც თევზია და არც ხორცი. გულანშაროს თორმეტი კანტონიდან აშკარად

გამოირჩეოდა ამით. ცოტათი საქართველოს მაგონებდა მათი ამბავი, აი, გალელებზე რომ ხუმრობენ ხოლმე.

ისევ შორს გამიტყუა სიტყვამ და უბაცეზე ვამბობდი, თავგადაკლული არალეგალური გულანშაროელი გახლდათ, დოჟს ვერ იტანდა, ასევე სძულდა ყველა ათეისტი. „სპილიაში" მოიძია იონიხი და დაუახლოვდა, გვალასქურში არალეგალური გულანშაროს ლიდერი გახდა, თუმცა იმ პერიოდში იქ დოჟის პოზიციები განსაკუთრებით ძლიერი იყო და ათიოდე თანამოაზრის მეტი ვერ შემოიკრიბა. სონეტები უყვარდა, სონეტები და ლირიკა საერთოდ, ათეისტებივით სძულდა ყველა, ვინც კუნძულიდან სეპარატიზაციაზე ლაპარაკობდა – თუმცა არა, ლაპარაკით, ძირითადად, არავინაც არ ლაპარაკობდა – ვინც ფიქრობდა. დოჟის ცოლიც გვალასქურელი იყო, უშიშროების მინისტრიც. დოჟის ცოლისძმა გახლდათ, კუნძულის „რენესანსის უნიის" თავმჯდომარე კოლი ანდროსკუ ასევე გვალასქურელი, დოჟის ცოლის ბიძაშვილი იყო. გვალასქურის გამგებელიც ცოლოურიდან დანიშნა დოჟმა, ბატონი ყუბ ემფთისკუ, რომელსაც, ჭორებს თუ დავუჯერებთ, სამი კლასი ჰქონდა დამთავრებული, როგორც იტყვიან, მწარე ათეისტი გახლდათ, სოცსისტემის დროს ხალხს სალოცავებში რომ არ უშვებდა, იმათთაგანი და, რაც მთავარია, მისთვის სამყარო გულანშაროთი შემოიფარგლებოდა. სწორედ ამ ბატონ ყუბ ემფთისკუსთან გაუჭირდა უბაცეს ფრიად, თუმცა არც ყუბ ემფთისკუს უადვილდებოდა მასთან ჭიდილი; როცა მოსყიდვითა და დაპირებით ვერაფერს გახდა, ვერც იმით, რომ უბაცესთვის საკუთარ ნათესავებსვე ათქმევინა, „გაჩერდი, თორემ

ჩვენ ამოგვწყვეტს ეს სატანაო“, პირდაპირ ქმედებებზე გადავიდა.

– ამასწინეებზე ხეზე ვიყავი გასული და ვენახს ვსხლავდი, – გვიყვებოდა უბაცე და თან წინასწარ ეღიმებოდა, – ჩამოიარა „კადილაკით“ ჩემს ჭიშკართან. ეტყობა, ყოველთვის თვალთახედვის არეალში რომ ვყავარ. შემამჩნია, გააჩერა მანქანა, გადმოვიდა და დოინჯშემოწყობილმა ამომხედა მაღლა. მე ჩამოვიხედე და ეს რომ ვნახე, სიცილი ამივარდა. რაღაც კომიკური ფიგურაა. იტაცა ჯიბეში ხელი და ნაგანი ამოიღო, „ჩამოგიღებ შაშვივით, შე ჯიშის მოღალატეო!“ და მესროლა. გეფიცები, ნოემა, სასხლავი ჩამაფშვნა ხელში!

– ბიჭოს! ასე კარგად ისვრის? – გაოცება ვერ დამალა დანიელმა და უბაცეს სიტყვებით დაზაფრულ ნოემას დანიელის სიტყვებზე სიცილი წასკდა.

– რას ისვრის, წან! – გაიოცა უბაცემ. გულანშაროში „წან“ ისევე იყო მიმართვაში, როგორც ჩვენთან „ტო“ ან „სიმონ“. – შემთხვევით მოუხვდა. მეძროხე იყო მთელი ცხოვრება.

– ძმაო, მეძროხე იყო ჩვენთან თუთაშხია, მაგრამ მთელი ჟანდარმერია ვერ სჯობნიდა სროლაში! – გაულიმა დანიელმა. თუთაშხია მე წავაკითხე და კინოც ვანახე უბაცეს და მთელ ჩემს გულანშაროელ მეგობრებს. ძალიან მოსწონდათ. ამიტომაც გაიღიმა უბაცემ და დანიელს მიმართა:

– არა, წან! ეს მართლა მხოლოდ მეძროხე იყო, ტლუ; მოკლედ, მერე მძღოლმა და დაცვის წევრებმა დაუშალეს. „კიდევ გნახავო“, მომაძახა და წავიდა.

– უბაცე, ჩვენ ვიცინით, მაგრამ ცოტა ფრთხილად იყავი, – შემკრთალი ხმით უთხრა ნოემამ.

– არ მოხვალთ, ხალხნო? – დაგვიძახა ამ დროს აუდიტუსმა, მაკედონელის ქუჩის გაღმა მხარეს იდგა საქმიანად, რედაქციის კედელთან.

– სადა? – ჰკითხა ნოემამ.

– დღეს დამოუკიდებლობისათვის ბოლო ბრძოლებში დაღუპული ჯარისკაცების საფლავთან ვიკრიბებით! არ იცოდით? ორთა, არ იცოდი?

– კი, ვიცოდი, მოვდივართ, – ვუთხარი და ყველანი დამოუკიდებლობის მოედნისაკენ დავუყევით.

– ნოემა, გახსოვს, შენი სურათი რომ იყო სტენდზე? – ჰკითხა ნოემას ლატა ნებგუახიმ, იმწუთას რომ შემოგვიერთდა ჰომეროსის ქუჩიდან.

– როგორ არ მახსოვს, – გაიცინა ნოემამ, – სამი დღე დავდიოდით მე და ემესი, რომ მომეპარა.

მე დამაინტერესა, რა სურათზე იყო საუბარი.

– საფლავებს რომ ამზადებდნენ, დიდი საძმო საფლავი იყო, მსხვერპლშენირვისას, სანამ ნეშტებს დაკრძალავდნენ, საფლავში ჩავედით, ოცამდე ვიქნებოდით. და ამოსვლისას გადაეღო იმ ოხერ მათხილე შურიშის. საზიზღარი სანახავი ვიყავი. მოვიდა იმ საღამოს ლატა და მეუბნება, „ნოემა, შენი სურათი ზუსტად იქაა, სადაც უნდა იყოსო. არ გეყო, ხომ, პატარა საფლავი და საძმო საფლავში ჩახტიო?!" თურმე იმ შტერს ეს სურათი დიდ სტენდზე გამოუკრავს, რა თქმა უნდა, სხვა სურათებთან ერთად.

გიჟებივით ვიცინოდით, ნოემაც სულს ვერ ითქვამდა, ძლივს ჰყვებოდა.

– ჩამოხიეთ, მერე? – ცრემლები მოიწმინდა ტრისტიტიამ.

– გაგიგონია?! რამდენჯერაც დავაპირე, ისეთ მზერას წავაწყდი დამთვალიერებლებისგან, თოფივით მოშვერილს, შემეშინდა, ამ ხალხს მეც ათეისტი

და სეპარატისტი არ ვეგონო-მეთქი და მთელი ორმოცი დღე ვიყავი გაჭიმული სტენდზე.

– ეხ, რა დრო იყო, რა პატრიოტული აღტყინება! – დანანებით თქვა აუდიტუსმა. – აბა, ახლა ნახეთ: ხუთი კაკალი არალეგალური გულანშაროელი თუ ვიქნებით იქ შეკრებილი.

– ეს საფლავი რომელ წელს გაკეთდა? – ვიკითხე მე.

– ოთხმოცდაათში, – მითხრა აუდიტუსმა და მოგონებებში გადავარდა, – იონიხმა, ჟინპისტმა და ღურა ფერიმ აიჩემეს, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, სამოცდაცხრა წლის წინანდელი ამბავი იყო, გადმოცემით თუ ვიცოდით, რომ აქ, ამ ადგილას იყვნენ დასაფლავებული.

– გენერალიც აქ იყო? – ჰკითხა უბაცემ.

– არა, გენერალი დედაქალაქშია დამარხული. აქ ის სამასი ჯარისკაცია, ვინაც გულანშაროდან ბოლო თურქული ძალების განდევნისას დაიღუპნენ, პირველი მსოფლიო ომის დროს. ერთი მოხუცი იყო, ასე თქვა, ვესწრებოდი დამარხვის ცერემონიალსო; ლენინის და სულთან აზიზის ძეგლები რომ იდგა, მერე ყმაწვილი ჰერმესის ქანდაკება რომ დადგეს, იქიდან, ასე, ორმოცდაათ ნაბიჯზე იქნებოდა ქვემოთ, მთისკენო. იცი, როგორ გვეშინოდა? თან ეგ ძეგლები ერთი კვირის წინ გვქონდა დანგრეული და სულხან აგარიანსა და გულანშაროს ქალაქის საბჭოს ეს არ ჰქონდა ჯერ მონელებული. მართლა ძალიან საშიში იყო, – თქვა აუდიტუსმა.

– რა იყო საშიში? – მაინც ვერ გაიგო დანიელმა.

– როგორ თუ რა, ეხუმრები სოციალისტებს? ვარშავის ძალები ჯერაც აქ იდგა და ისედაც რისკზე მივდიოდით და რომ არ აღმოჩენილიყო, ნაღდი დაგ-

ვიჭერდნენ. ისედაც მიზეზს ეძებდნენ. ამას მოეშვი, ხალხი უკვე აღარ აგვყვებოდა, ეროვნული მოძრაობა ახლად იდგამდა ფეხს. ისედაც უსაქმურებს და ქვეყნის მტრებს გვეძახდნენ ალაგ-ალაგ. ხომ ხედებით, ვისი დავალებითაც. წარმოიდგინე, პირველსავე ამოთხრაზე ჩონჩხი ვიპოვეთ. შვებით ამოვისუნთქე! როგორც წყაროებში იყო მითითებული, სამასი მეომარი იყო უწესრიგოდ, ლამის ერთიმეორეზე დასაფლავებული.

„გადადექით!" „გადადექით!" – გაისმა უცებ ყურისგამაწვრილებელი ხმა მეგაფონიდან. ტროტუარზე ახორხლება ძლივს მოვასწარით. დოჟის ოქროცურვილმა „როლს როისმა", საფირმო მონოგრამის ნაცვლად, სუფთა ოქროსგან დამზადებული ჰერმესის, დოჟის სურვილს მორგებული სიმბოლო და მფრინავი ქალღმერთის მაგიერ ფრაუ კრუსტახის ესკიზის მიხედვით დამზადებული ჰერმესისავე ოქროს ქანდაკი რომ უმშვენებდა კაპოტს, და სამოცმა შავმა „კადილაკმა" ჩაგვიქროლა.

– ჰადესში! – მიაძახა აუდიტუსმა.

ვნება

გულანშაროს ობსერვატორიაში ფილოსოფიის დოქტორის, არძას თანაშემწედ მუშაობის მესამე წელი იყო, როდესაც საბოლოოდ გადაწყვიტა რინადორემ, ვენდიტორს არ წაჰყოლოდა. ვერაფრით ვერ აპატია სტუდენტობის მეხუთე კურსზე ნიმფასთან წამიერი თუ ერთკვირიანი (კრეტაზე გაემგზავრნენ ტურისტული ტურით) სასიყვარულო ტკბობა, ვერც ის, ასე გამწარებით რომ სთხოვდა, ცოლად

გამომყევიო, ნიმფამ კი ირონიული უარი რომ მიახალა და რაღაც გაუგებარი ქორწილი მიაყოლა კვარტუმთან, რამაც რინადორეზე და თვით ვენდიტორზე მეტად მე გამანადგურა. სერაფიტას ჯერ რუსეთში გადახვენის და, ცოტა ხანში კი, გათხოვების შემდეგ ეს უკვე საბოლოო ლახვარია-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ნელ-ნელა ვეგუებოდი ამ განუმარტავ სიცარიელეს. ვენდიტორი უფრო სწრაფად შეეგუა მგონი და რინადორეს სთხოვა კიდევაც ხელი. რინადორე არც გადაჭრილ უარს ეუბნებოდა და არც მიჰყვებოდა, თუ უფრო – ვენდიტორს არ მოჰყავდა, ველარ გავერკვიე ბოლომდე. რინადორემაც მესამეჯერ მითხრა უკვე, რომ საბოლოოდ გადაწყვიტა, ვენდიტორს არ გაჰყოლოდა და ამიტომაც მის ნათქვამს მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. თან ვენდიტორთან ჩემი ურთიერთობა უკვე საკმაოდ გაფუჭებული იყო, დოჟის მიმართ სიმპათიას არ მალავდა, „პოლისის ღირსებას იცავსო", უკვე ნათქვამი ჰქონდა ჩემთვის. მოკლედ, მესამედ რომ გადაწყვიტა რინადორემ, არ გავყვებიო, სწორედ იმ საღამოს ამოვიდა ჩემთან. ყავა აადუღა, ჩამაცივდა, „თუ მოგეწონაო?" მე ვუთხარი, „კი-მეთქი". გაფითრდა, „ეს ხომ ყველაზე საზიზღარი ყავაა, რაც კი მომიდუღებია, როგორ მოგეწონაო?!" შემდეგ კი თითქმის საათ-ნახევარი მიყვებოდა ვენდიტორის შესახებ, რომელიც იმჟამად გერმანიაში იყო, „დიდი ბრილიანტის ბეჭედი გამომიგზავნაო, მისი ძმა მაკითხავს და მეხვეწება, უარი არ უთხრა ჩემს ძმასო", და ასე შემდეგ. უკვე კარგა ხანი იყო, რინადორე მაღიზიანებდა. თვითონაც გრძნობდა ამას და არც ერთხელ არ ახსენებდა ნიმფას, თუმცა ხვდებოდა, როგორ მაინტერესებდა მისი ამბავი. მაგრამ როცა

ნავიდოდა, მერე ვფიქრობდი, რომ სრულ მარტოობას ისევ მასთან საუბარი სჯობდა. მეგობრების და ჩემს ლექსებს ვუკითხავდი. ჩემი განსაკუთრებით მოსწონდა, მე ვცოფდებოდი, „რა ჩლუნგი გემოვნება გაქვს-მეთქი". უკვე მე ვაგიჟებდი, განზრახ ვეუბნებოდი, „ჩემს მეგობრებზე ეჭვიანობ-მეთქი". „როგორც გინდა, ისე იფიქრეო", მითხრა, „ქრისტიანად ვინათლებიო". მე გამიკვირდა, ნახევარი წლის წინათ იყო, ბუდიზმით მიტენიდა თავს. დავეჭვდი, „ჩემ გამო ხომ არ მოიფიქრე-მეთქი?" „მაგარი ეგოფილი ხარო!", მითხრა. ტერმინებით მეპრანჭებოდა. მე ვუთხარი, „შენსავით ეგოფობი მაინც არ ვარ-მეთქი" და ქუინი მუცურეშის ნათხოვარი იუნგის წიგნიდან ამოწერილი ციტატა ამომიტივტივდა გონებაში, რატომღაც ლედი ნიმფასთან დაკავშირებით რომ ჩამრჩა გონებაში: „ხან ინდურ იოგას მისდევს მთელი გულმოდგინებით, ხან დიეტას იცავს, ზეპირად სწავლობს თეოსოფიას, მონოტონურად იმეორებს მაგიურ ტექსტებს – და ეს იმიტომ, რომ საკუთარ თავში ვერ გარკვეულა და არც იმის სჯერა, რომ საკუთარ სულშიც შეიძლება ნახოს რამე სასარგებლო." მგონი, რინაზე უფრო მიდის-მეთქი, გამიელვა აზრმა – იმ დღეს რატომღაც რინადორეზე ფიქრი ადრევე ამეკვიატა. ოთახში აუტანელი სიცხე ამთქნარებდა, ვენტილატორი გამიფუჭდა, უფრო სწორად, თავისი პირვანდელი სახე დაკარგა, ნახევარი საათი სჭირდებოდა ასამუშავებლად და მოლოდინით დაღლილს უკვე ხალისიც მეკარგებოდა. უაზროდ ვუყურებდი კედელს. მიუხედავად იმისა, რომ ნელ-ნელა გაუფერულდა კედელზე წარწერა, მაინც შეიძლებოდა მედოს მუდარის ამოკითხვა. რატომღაც მოუსვენრად ვწრიალებდი, მინდოდა

რამე დამეწერა, მაგრამ თავს ვერ ვუყრიდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, სადაცაა, ნოემა დაიძახებს ქვემოდან და სადმე სახეტიალოდ გავეშურებით-მეთქი. სწორედ ამ დროს დააკაკუნეს კარზე. გავაღე, რინადორე იდგა და მთელი თავისი მომხიბვლელობით ილიმებოდა. მხოლოდ მაშინ დავაკვირდი, რამხელა პირი ჰქონდა, თუმცა ღიმილისას არ ეტყობოდა. თითქოს აკვიატებული ფიქრების გაგრძელება იყო მისი მოსვლა.

– არ მელოდი? – მკითხა მოგონილი განცვიფრებით, განცვიფრებით, რომელსაც ხელოვნური გულწრფელობის გამოსამზეურებლად იყენებენ.

– შენ წარმოიდგინე, კი, – გავიღიმე მეც.

ლოყა მომიშვირა. ვაკოცე.

– თუ შეიძლება, შემოვალ.

– რა მარტოა ადამიანი! – არ ვიცი, რატომ ვგესლავდი. – გესმის? გამიხარდა შენი მოსვლა. – იმდენად ჭკვიანი იყო, რომ ახერხებდა თავის მოკატუნებას, ვითომ ვერაფერს მივხვდიო. – არ ჩამოვიდა ვენდიტორი?

– არა, ბატონო, – გაასავსავა ხელები, – რაც მთავარია, ბეჭედი აგერ მაქვს, სად გაიქცევა. ამას წინათ რომ ველაპარაკე, არ მოგყვები-მეთქი, შეეშინდა და გუშინწინისწინ თავისი ძმა მეორედ მომიგზავნა საჩუქრებით... – ოთახის თვალიერება დაიწყო.

– როდის გადაწყვიტეთ ნიშნობა? – ვკითხე. თან გამეცინა გუნებაში, იმდენად სულელია, რომ ჰგონია მაეჭვიანებს?

– არ ვიცი, ძვირფასო! – ჩაიმღერა ბოლო სიტყვა. – ისევ მიმოყარე ეს წიგნები? – საქმიანად მომაჩერდა. შემდეგ თეთრი ქათქათა კოფთა გაიხადა და სკამზე გადაკიდა, ბამბის თხელი მაისურიდან

ანტიკური ქანდაკებების სიშიშვლით ილანდებოდა აზღუდის გარეშე დარჩენილი ძუძუსთავები. სკამზე აძვრა და კარადის თავზე შეუდგა წიგნების დალაგებას, თან თითქმის ყველას სათითაოდ კომენტარს ურთავდა. მე საწოლზე ინახით ვიყავი მიწოლილი და სიგარეტს ვეწეოდი, ვერ ვარკვევდი, ავსებდა რინადორე ჩემს სიცარიელეს თუ, უბრალოდ, უფრო ფიტავდა სიცოცხლეს. ერთი კი იყო – რაღაცნაირად მაინც მსიამოვნებდა მისი ყოფნა. თან ასეთი ხორციელი ზრახვების აღმძვრელად ადრე არც მენახა. ღმერთო ჩემო, მაინც რამხელა პირი აქვს!

– რინ, იქნებ მითხრა, რა ჰქვია ჩვენს ურთიერთობას?

მხრები აიჩეჩა და ტუჩები გამობუტა.

– ცოტაც ამიტანე და ნავალ, – მითხრა. სახიდან ოფლი მოიწმინდა და დაღლილი მეორე ლოგინზე წამოწვა, ხელები თავზემოთ ჰქონდა გადაგდებული, მარჯვენა ფეხის ცერს მარცხენას ტერფზე ასრიალებდა. სერაფიტას სახე ამიელვარდა თვალწინ, სემინარები არ წაიკითხოო, რომ მითხრა, იმწამიერი, და საშინლად გავბრაზდი. „რინა, წადი, თორემ გაკოცებ-მეთქი!" გაეცინა. „შენ, რა, არ გეშინიამეთქი?" „შენი როგორ უნდა მეშინოდესო?!" ჯერ გამიძალიანდა, თითქოს არ უნდოდა ეკოცნა, მერე თვითონაც მკოცნიდა. ვუთხარი, „არ მიყვარხარ-მეთქი!" „ვიცი". მაინც სინდისი მქენჯნიდა, ხომ არ შეიძლება, იმის გამო, რომ შენ მარტოსული ხარ, სხვა ტანჯო. რინადორესთან ასე დაიწყო ყველაფერი. დაიწყო თუ გაგრძელდა. უსასრულო წრედ. ეტყობა, ვენდიტორისადმი საბოლოოდ მქონდა მეგობრული სითბო დაკარგული, საერთოდ არ მანუხებდა სინდისი, ან შეიძლება, უფრო იმიტომაც, რომ

რინადორესა და ვენდიტორის ურთიერთობას თავიდან ბოლომდე რინადორეს მოგონილად ვთვლიდი.

ტბის დაშრობა

მმართველობის მეთორმეტე წელიწადს ახალი იდეა გაუჩნდა თუ დაესიზმრა დოჟს, იდეა, რამაც გარკვეულწილად წყალი შეუყენა მის ხელისუფლებას, რღვევის პირველ ნიშნად გამოჩნდა მის მოღვაწეობაში: გულანშაროს მთავარი ტბის დაშრობა დაიწყო. არა, ეს თავიდან მოეჩვენა ყველას, რომ დაშრობა დაიწყო. მერე და მერე გამოირკვა, რომ დაშრობა არ უფიქრია, უბრალოდ, ადგილის მონაცვლება დაუპირა: თუკი ტბა ადრე, როგორც უბუნებრივესი წესი, გულანშაროს ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაპირას მდებარეობდა, გადაწყვიტა, რომ ახლა ის დასავლეთ ნაწილში გადმოეტანა, ყოველ შემთხვევაში, ორასიოდე ბიჯით გადმოეწია მაინც, თანაც სწორედ უძველესი პარკის მიმართულებით. პარკი, რომელიც ათასწლოვანი აგნისანით იყო დამშვენებული, სადაც ისეთი კედრების, მუხებისა და წაბლების კორომები იყო, რომელთაც კუნძულის დაბადება ახსოვდათ ალბათ, ყოველ შემთხვევაში, სამი კედარი აშკარად სამი ათასი წლისა გახლდათ; ამ პარკში იყო პატარა ნაკვეთი, რომელიც თავის დროზე რუსეთის იმპერატორს, ალექსანდრე პირველს გაუშენებია და საინტერესოა, რომ სწორედ აქ აპირებდა თურმე სვედავსილი ქართველი უფლისწულების გადმოსახლებას, მაგრამ მაშინ თურქების წინააღმდეგობით თუ რომანოვების ტახტისადმი უტახტოდ დარჩენილი ბაგრატიონების თავგამოდე-

ბული ერთგულების წყალობით, მათი მაინც რუსეთში დატოვება უმჯობინებია. მე ფიქრმა გამკრა, იქნებ მამის მკვლელებისა თუ ბაგრატიონთა ტახტის გაუქმების ცოდვებით დამძიმებული ფიქრობდა აქ თავის შეფარებას-მეთქი. ჰოდა, სწორედ ამ პარკს დაუმიზნა დოჟმა. პარკის, ტბასთან მდებარე, ოთხმოცი პროცენტი წითელი თოკით შემოღობა, აქაოდა არ მიეკაროთ, სამუშაოები იწყებაო, და შემდეგ მიუსია ტბას მანქანები. ჯერ წყლის საქაჩი ტუმბოები მთელი თვე განუწყვეტლივ მუშაობდნენ, ზღვაში მიერეკებოდნენ ტბის წყალს; საკანალიზაციო არხები, რომლებიც ტბაში შედიოდა, გადაჭრა და მათი უშუალოდ ზღვასთან მიერთება ბრძანა, მაგრამ სანამ ზღვისკენ გაჭრიდნენ სადინარებს, ქალაქის სამხრეთი ჭორომები ყავისფერი წყლითა და ნიაღვრით გაივსო. მაინც ვერ ამოაშრო თუ ამოხაპა ტბა: ტბის ძირას ათამდე უჩინარი ნაკადული მოჩქეფდა და ისევ ავსებდა აუზს. მაშინ ასი დამატებითი ტუმბო მოატანინა დოჟმა და ბრძანა, ღამითაც არ გამოერთოთ. ახლა კი მიაღწია საწადელს – გამოუჩნდა ძირი ტბას. მაგრამ გულანშაროს სტუმარ ტურისტებს არ გაუმართლათ, მთელი საბანაო პერიოდი გაფუჭდა: შავი, საზიზღარი, ტალახიანი მდინარის ჩქერალი ჩაედინებოდა უშველებელი მილიდან ზღვაში და მთელ სანაპიროს შავად აპრიალებდა. გაიქცნენ დამსვენებლები გულანშაროდან და პოლისის პერიფერიას, გვალასქურს, მიაშურეს. აღფრთოვანდნენ გვალასქურელები, გარდა ძვირფასი ზეთისხილის ბაღებისა და უნიკალური, უმუქესი საფირონისფერი ყურძნის ჯიშისა, რომლისგანაც ელიტარულ ღვინოს – „იაგუნდს“ წურავდნენ, მათი მთავარი შემოსავალი საზღვაო ტურიზმიც იყო, რომლისგანაც

ახლა ათმაგად გაეზარდათ მოგება, მათ ხომ ყველა საცხოვრისი სახლი სასტუმროებად გადააკეთეს და ტურისტების მიღება-გამასპინძლებას მიჰყვეს ხელი. უკვე ყველა ოჯახში იყო მაღაზია, სასტუმრო თუ დუქანი.

ეს დიდად არ ეპიტნავათ გულანშაროელ საქმოსნებს და აღშფოთდნენ, თუმცა რომელი ვაჭარი ამოიღებდა ხმას? არალეგალური გულანშარო თავიდან მხოლოდ გაოცების გამომსახველ სახეს უშვერდა ქალაქის მტვერს, მაგრამ როგორც კი ტბის ამოშრობა დაამთავრა დოჟმა და პარკის გაჩეხვას შეუდგა, მაშინ კი განრისხდნენ. ერთმანეთის მიყოლებით ეცემოდნენ ასწლოვანი ნაძვები და საუკუნოვანი მემატიანე კედრები და მუხები, პალმებსა და ტირიფებს, ფიჭვებსა და ჭადრებს უკვე სათვალავში არ აგდებდნენ. მიესივნენ ცივი კანტონებიდან გასულ შემოდგომაზე ჩამოსახლებული გულანშაროელები მოკლულ ხეებს და წამისად აქციეს შეშად; ჯერ სამასალედ უნდოდათ, მაგრამ არ ქნა დოჟმა, ამას უფრო მეტი დრო უნდაო. ერთ კვირაში მოასუფთავეს პარკის ნახევარი, ამის შემდეგ ტრაქტორებითა და სხვა ათასი ჯურის მანქანით დააცხრნენ ტბას, უფსკრულივით პირდაფჩენილი ორმოები გაჩნდა ქალაქში, ათასობით სატვირთო ეზიდებოდა მიწას ტბად გამზადებული ახალი ფსკერიდან. გულანშაროს გზატკეცილები და ქვაფენილები მტკაველის სისქე ტალახის სამფენოვანი მასით დაიფარა, წვიმიან ამინდში ქუჩებში გადაადგილება ფაქტობრივად წყდებოდა, ტროტუარები და სახლების პირველი სართულის კედლები შავად შეიღება, მაღაზიების, კაფე-ბარებისა და სხვა დაწესებულებების ვიტრინები სქელი, იდუმალტალა-

ხიანი მასის ბუნდოვანებაში გაუჩინარდა. ახლა კი ამოიღეს ალაგ-ალაგ ხმა გულანშაროელებმა, არალეგალურ ნაწილს ვამბობ, ვაჭრებმაც კი, როგორც კი ზარალის ნიშნები შეამჩნიეს აღებ-მიცემობის საქმეს, მართალია, კულუარებში და ჩურჩულით, მაგრამ მაინც დაიწყეს უკმაყოფილო ბურტყუნი. გრგვინავდა არალეგალური გულანშარო, ცოტაც და, ტბისპირა სამ ათასწლოვან კედარს მიადგებოდნენ ხისმჭრელები, მაგრამ შეშინდა დოჟი, ამბობენ, მასმა ოფელისკუმ შეჰკნავლა ტაბლასთან, „ქალაქელები ნაწყენი არიან საზაფხულო თეატრის, რესტორან „გულანშაროს", სამორინეს, ზღვისპირის, ცირკის, საცურაო აუზის, სტადიონის და გემთმშენებელი ქარხნების დანგრევითა და დაწვით. და აი, იმ სამ კედარსაც თუ მოვჭრით, შეიძლება, ხმამაღლა თქვან საყვედურიო." დოჟს თვალები აევლვრა თურმე და ბრძანა, ცოტა ხანი იყოს ის ხეებიო. ის სამი კედარი, ორი ტირიფი და ერთი პალმა დატოვეს ასიოდე კვადრატულ მეტრზე და ირგვლივ მიწა შემოაცალეს. ასე რომ, პატარა კუნძული გამოვიდა ტბაში, რომელსაც ნელ-ნელა ტბის წყალი გვერდებს ურეცხავდა და გულანშაროელები ამბობდნენ, ის კედრები მალე ან წაიქცევიან, ან გახმებიანო. ასე იყო თუ ისე, ჯერჯერობით არ ჭრიდა და გულანშაროელების ნაწილს მოეშალა სასაყვედურო, თუმცა დენდროლოგიური პარკის დანარჩენი ტყიანები ერთიანად მოაპირწმინდავა. ტბის აღმოსავლეთი ნაწილი, ორასი ბიჯის სიგრძის, მიწით ამოავსო და მოიწევდა დასავლეთისკენ, ბუნებრივად ოვალური ტბა სწორი ოთხკუთხედისა ხდებოდა, მკაცრად დაცული სიმეტრიით, მართკუთხედის ფორმით. ქუინი მუცურეში გვიხსნიდა, „ამ მახინჯს ნეკროფილის

თვისებები აქვს, ყველაფერი გარკვეული და განსაზღვრული მოსწონსო". პირველი წიგნი მიმა ჩამალისკუმ დაწერა ტბის რეფორმის დასაცავად, მეორე – აკაბუ რცხასკუ იყო პოეტური ციკლით; მას კვარტუმიც აჰყვა, „ტბის მოგზაურობა დაისისკენ" დაარქვა კრებულს, რომელიც მართლაც მის გარდა არავის ჰქონდა ათ გვერდზე მეტი წაკითხული ალბათ. მაგრამ არალეგალური გულანშაროელების სხარტ სტატიებსა და ნარკვევებთან, რომელიც, რა თქმა უნდა, კუნძულის სხვა ტერიტორიაზე გამომავალ პრესაში იბეჭდებოდა, რას გახდებოდნენ; ამას კი დაემატა სრულიად მოულოდნელი და დოჟისათვის სისხლისგამათეთრებელი მოვლენები: პელაზგიის საპარლამენტო არჩევნებში კუნძულის პრეზიდენტის პარტიამ პირწმინდად წააგო სულხან ურსუსისკუსა და იონიხის პოლიტიკურ გაერთიანებასთან ჭიდილში, მაგრამ პირწმინდა გამარჯვებულად გამოიცხადა თავი. კუნძულელებმა არ დათმეს და მთელი პელაზგეთი დედაქალაქს მიაწყდა, ველარ იტევდა მომიტინგეებს. გაუჭირდა სულხან აგარიანს, იგრძნო მიხრწნილმა პრეზიდენტმა, რომ ხელისუფლებაში მის ყოფნას წერტილი უნდა დასმოდა და მიმართა მავედრებელი მზერა დოჟს. დოჟმაც კარგად უწყოდა, ხელისუფლებას კუნძულზე ურსუსისკუ და იონიხი თუ აიღებდნენ, თვითონაც ბილეთი უნდა შეეკვეთა უკვე, თანაც ცალმხრივი, და თავი დაანება პარკს, უფრო სერიოზული საქმე გამოუჩნდა. დადგა რიგი გულანშაროს სადგურში, უფრო სწორად, იმ სადგურგამხდარ მეისრის ჯიხურში; მატარებლებს მატარებლებზე ავსებდა გულანშაროელებით და გზავნიდა დედაქალაქში. ურსუსისკუ და იონიხი თუ მერიასთან ატარებდნენ

ზღვად გამხდარ მიტინგს, პრეზიდენტმა სულხანმა პარლამენტთან წამოიწყო ძალადმომხრეთა თავმოყრა, მაგრამ ვერ აავსო მოედანი, ასიოდე კაცი თუ მოქერქეტდა, ისიც სახაზინო დაწესებულებებიდან ხელმძღვანელის მიერ იძულებით გამორეკილი, და დაიწყო გულანშაროელების წყება-წყება რაზმებმა ჩამოსვლა კუნძულის პარლამენტთან და ივსებოდა მოედანი ხალხით; როგორც კი შეთხელდებოდა მიტინგი, გულანშაროდან მატარებელთა ახალი შემადგენლობები დაიძვრებოდნენ. მაგრამ გაძნელდა მალე გულანშაროდან ხალხის გაგზავნა. მაშინ პოლისის ყინულიანი კანტონების მოსახლეობას მიმართა თხოვნით დოჟმა და ავტობუსებით, მანქანებით, სატვირთოებით, ცხენებითა და ურმებით დაადგა ყინულიანი გულანშარო კუნძულის დედაქალაქისაკენ მიმავალ გზას. თუმცა ზოგმა ვერც ჩაუსწრო პრეზიდენტს პოსტზე.

მაგრამ ეს მერე მოხდა. მანამდე კი დოჟი და დოჟის „რენესანსის უნიის“ ლიდერი კოლი ანდროსკუ გრგვინავდნენ, ყველა სკოლას, უნივერსიტეტსა თუ კოლეჯს უბრძანეს, წარეგზავნათ ხალხი მიტინგზე. მერეტრიქსი უწევდა ორგანიზებას ხალხის იდეურ მომზადებას სასწავლებლებსა და მთის კანტონებში. როგორც ერთხელ ვახსენე, გვალასქურის ცნობილი სასტუმრო „ინტერნაციონალი“ ცხოველთა საშენად რომ გადააკეთა დოჟმა, სწორედ მაშინ ჩამოიყვანა დედაქალაქელი ავანტიურისტი მერეტრიქს ბაკურისკუ და დაუნიშნა მენეჯერად. იმავდროულად, ის „რენესანსის უნიის“ ვიცეპრეზიდენტობასაც ითავსებდა, კოლი ანდროსკუსთან ერთად; ფაფარივით გაშლილი წითელი თმის უწყვეტი გადავარცხნით ჰქონდა მარცხენა ხელი დაკავე-

ბული, მარჯვენა ხელის საოცრად ყალბი ჟესტიკულაციით კი საქმის საჭიროების უალტერნატივობა სურდა გაემძაფრებინა. დაცარიელდა გულანშაროს ქუჩები, მხოლოდ არალეგალური გულანშაროელებიღა ვიყავით ქალაქში. არც პოლისის სხვა მხარეებში იყო უკეთესობა, გვალასქურშიც კაცის ჭაჭანება არ იყო, უბაცე და მისი თანაგუნდელებიღა იყვნენ ქალაქში. მთიანი გულანშარო საშემოდგომო მოსავლის აღებას ვერ ახერხებდა, ხალხი არ იყო, ფუჭდებოდა ყურძენი, ზეთისხილი, ბამბა, კარტოფილი, ბრინჯი, პურის ყანა, კივი, მანდარინი, ანანასი, ბანანი... კაცი არ იყო პატრონი. ძალიან გაუჭირდა დოჟსაც, აღარ ეშინოდათ თითქოს, პარლამენტის წინ გამართული მიტინგიდან იპარებოდნენ გულანშაროელები. ფულის დარიგებამ მოუწია დოჟს, და ატყობდა, რომ ხარჯი განუზომლად ეზრდებოდა. სწორედ ასეთ ვითარებაში მოუვიდა კოლი ანდროსკუსაგან თხოვნა, კიდევ ერთი ეშელონი გამოეგზავნა ხალხით სავსე. დაფიქრდა დოჟი და დაუკავშირდა პელაზგიის ევრიდიკეს მთავარი ტაძრის მთავარ ქურუმს, ავგუსტუსთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული, მაგრამ სწორედ მისი სიკვდილის შემდეგ ჯერაც დაუდგენელ ვითარებაში ჩაცხრილული ახალგაზრდა დისიდენტის ქვრივს, მიხრწნილი პრეზიდენტის რუხი კარდინალი რომ იყო, ფაქტობრივად (ვისი ოფიციალური მოთხოვნითაც მოაკვლევინა სპეცრაზმელებს შეთქმულების შედეგად ხელისუფლებიდან ჩამოგდებული პრეზიდენტი ავგუსტუსი, პელაზგიის დასავლეთ ტყიანებს რომ აფარებდა თავს და ჭოჭმანობდა, გაჰყოლოდა მალტიდან მისი ძველი მეგობრის მიერ გამოგზავნილ გემს თუ გაეგრძელებინა ბრძოლა სულხან აგარია-

ნის რეჟიმის წინააღმდეგ) – მაზა კვალისკუს, ცნობილ ქალბატონს ეროვნული მოძრაობიდან (როგორც მერე, კარგა ხნის მერე გაირკვა, ქალბატონი მაზა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საიდუმლო სამსახურის აგენტი ყოფილა, დისიდენტებთან შეგზავნილი), და ჰკითხა, „რითი გადამიხდის ბატონი სულხანი ამდენ ვალსო?" პრეზიდენტმა შემოუთვალა: „მე რითი გადაგიხდი, დადგები შენ პრეზიდენტად და თვითონ ამოიღებ შენს დანახარჯსო!" შეეფაკლა ღაწვები დოჟს, აცუნდრუკდა და ამსუბუქდა სამოცდაათს გადაცილებული, „რენესანსის" ოცდაცამეტივე ქარხანა გააჩერა, გააჩერა პორტი, განათლების სამინისტრო, ჩასხა ქუდზე კაცი ავტობუსებში, გულანშაროს პოლიციელების ნახევარი „პიკაპებში" ჩაკუჭა და დედაქალაქისკენ გზას გაუყენა. გაახელა ხალხი სულხან აგარიანის ასე დაჩიავებამ, კუნძული დოჟის გაპრეზიდენტებას უკვე არ აპატიებდა მიხრწნილ მელას და ურსუსისკუმაც პარლამენტის ახალი სხდომის გახსნა არ აცალა პრეზიდენტს, გაუძღვა მომიტინგეებს და შევარდა პარლამენტში უკანა შესასვლელიდან. იონიხი და გაჭა ტელოსი ედგნენ მხარში ამ დროს, დანარჩენმა ლიდერებმაც კი ვერ გაბედეს აჰყოლოდნენ მას იმწამს. გაჭამ პარლამენტის კარის შეღებისას მარჯვენა მხარიც კი ამოიგდო. შევარდა ურსუსისკუ და გიჟის თვალებითა და გამყინავი ხმით შესძახა პრეზიდენტს: „წილი ნაყარია! წილი ნაყარია!" მიხრწნილი პრეზიდენტი ასი პარლამენტარისა და მილიონობით მაყურებლის წინაშე არც კი შეფიქრიანებულა, ზოზინით, დამარცვლით აგრძელებდა მაზა კვალისკუს მიერ ახალი პარლამენტის პირველი სხდომის გახსნისთვის მომზადებული ვრცელი ტექსტის

კითხვას. ამასობაში ივსებოდა პარლამენტის დარბაზი მოჯანყეებით და ურსუსისკუც უახლოვდებოდა ტრიბუნას. პრეზიდენტმა მინერალური წყლით სავსე ჭიქისკენ წაიღო ხელი, რომ გამშრალი ხახა დაესველებინა, ამდენი კი ვეღარ მოითმინა დაცვამ: მიესივნენ პრეზიდენტს და ერთ-ერთმა, გოლი ათისკუმ, შემდეგ ურსუსისკუს სხეულის განუყრელი მცველი რომ გახდა და ყველა კადრიდან ურსუსისკუს ზურგს უკან ჩანდა, იღლიაში ამოიჩარა მიხრწნილი სულხანი; პრეზიდენტს ქაღალდებისათვის არ გაუშვია ხელი, კვლავ აგრძელებდა კითხვას, გოლიმ კი ორმოცდაათამდე შეიარაღებული კარაბინერის თანხლებით, ასე ატატებული გამოასწრაფა შენობას პრეზიდენტი და რეზიდენციისკენ გააქანა (რადგან პრეზიდენტის სასახლე მედღაშიე ვაზირისკუსა და ჯვეშ ჯუინელის – ავგუსტუსის ლამის ერთადერთი შემორჩენილი ერთგული თანამებრძოლის – მეთაურობით მომიტინგეთა მეორე ნაწილს ჰქონდა უკვე დაკავებული). ტრიბუნასთან მიჭრილმა ურსუსისკუმ, სანამ მთელ პელაზგიას რევოლუციის გამარჯვებას ამცნობდა, პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ პრეზიდენტის მიერ დატოვებული მინერალური წყალი დალია სულმოუთქმელად და სამი დღის განმავლობაში არ გამოჩენილა მერე, რამდენიმე წუთით თუ გაიელვებდა ეკრანზე, მადლობას ეტყოდა კუნძულის მამაც მოსახლეობას და უჩინარდებოდა უსაშველოდ კუჭაშლილი – ეს ერთი რამ მაინც მოიფიქრა მიხრწნილმა პრეზიდენტმა, მიუხედავად სიბერისა, წინასწარჭვრეტისა და ინტრიგანობის ბრწყინვალე გამონათებები ბოლომდე შერჩა. გულანშაროელებმა კი გამოქცევით უშველეს თავს. ვისაც ჭკუა და პატრიოტიზმი ეყო,

დედაქალაქშივე დარჩა, კუნძულელთა ზეიმს შეუერთდა და სულ „ურსუსისკუ!" „ურსუსისკუ!" იძახა. მხოლოდ კოლი ანდროსკუ ვერ გადაურჩა ადვილად კუნძულელებს, თუმცა სამიოდე პანჩურისა და თავში თაქუნის შემდეგ ისიც გამოიძურწა პარლამენტიდან და გულანშაროსკენ გამოიქცა ჯერ მთიელებისაგან ნათხოვარი ცხენით, მერე სატვირთოთი, და მხოლოდ გულანშაროსთან მიახლოებულს მიაგება „კადილაკი" დოჟმა.

თუმცა ეს მერე იყო, მერე. მანამდე კი, სანამ ურსუსისკუ დაამხობდა პრეზიდენტს და აიღებდა ხელისუფლებას, იონიხი ჩამოვიდა გულანშაროში, ჩამოვიდა და იცოდა, რომ აქედან ერთ საარჩევნო ხმასაც კი ვერ წაიღებდა. მაგრამ ურსუსისკუსა და სხვების შორსმჭვრეტელური გათვლებით, იონიხის დოჟთან ჭიდილი „ახალ ეროვნულ მოძრაობას" კუნძულის მასშტაბით შემატებდა პოპულარობას. უკვე იწყებდა კუნძული იმის მიხვედრას, რომ დოჟი სეპარატისტი გახლდათ. თუმცა მარტო მიხვედრა არ კმაროდა, დამტკიცებაც უნდოდა, და გამოემგზავრა იონიხი გულანშაროში, სადაც არჩევნებზე კუნძულის პარლამენტში მოსახვედრად სწორედ კოლი ანდროსკუს უნდა დაპირისპირებოდა.

ჟინპისტი და მენუა

– რაღაცნაირად არასრულფასოვნების კომპლექსი ჰქონდა, მე მგონი, საოცრად ჯიბრიანი იყო. შეიძლება ითქვას, ძმა იყო, ერთად გაზრდილები ვიყავით და ოჯახის წევრებში არ გამომერჩეოდა. ურარტუელი რომ იყო და არა პელაზგი, მხოლოდ

დიდობაში გავიგე. მგონი, თვითონაც. ურარტუელები მხოლოდ ჩვენთან არიან, ფაქტობრივად, შემორჩენილნი, ანტალიასა და მცირე აზიაში დედაბუდიანა ამოწყვიტეს და ასიმილირება მოახდინეს ხომ მათი, საბოლოოდ მაინც – ოსმალეთის ხანაში. ხოდა, ჩვენთანაც, ჩათვალე, პელაზგები არიან, რა, არ გამოირჩევიან არაფრით. ურარტული ენის სწავლასაც ჩვენი განათლების სისტემა აძალებდა ყოველთვის, მესამე კლასამდე მაინც, თვითონვე არ უნდათ სწავლა, ოჯახშიაც კი არ ლაპარაკობენ ურარტულად, არადა, მართლა მარგალიტივითაა მოსავლელი! არა, მაინც თურქულად საუბარს ამჯობინებენ და მხოლოდ სახელმწიფო დამოუკიდებლობა აკერიათ პირზე. აშკარად ხელოვნურად მოწყობილი კონფლიქტია და, კიდევ კარგი, ეგ ჯგუფი, პელაზგიის მეგობრები რომ ჰქვიათ შენგენსა და ნატოს ზონაში, ასეთსავე კვალიფიკაციას აძლევენ. და მადლობა ღმერთს, რომ ეგ ავიამზიდი, ფაქტობრივად, დატოვეს ჩვენს სანაპიროზე, თორემ შუაზე გაიყოფდნენ კვიპროსივით რუსები და თურქები, პირველ რიგში, კუნძულის მთელ ჩრდილოეთს მაინც! – ზემოთ აიხედა ჟინპისტმა, თითქოს მადლობას სწირავს უფალსო. – ეგ ეროვნული მოძრაობა რომ არა, მაშინ, სოციალისტური სისტემის რღვევისას რომ დაიწყო, ვერც მივხვდებოდით, რომ მათ რამე აწუხებდათ, – რაღაც დანანებით ამბობდა ჟინპისტი და მეც სულ ჩვენი ანალოგიები მედგა თვალწინ. მაგიტომაც მიყვებოდა, ჰგავს ერთმანეთს ჩვენი ბედიო. – სამი განუყრელი მეგობარი ვიყავით, სულს გავიმეტებდით ერთმანეთისთვის, თვითონაც ასევე, მოკვდებოდა შენთვის. მაგრამ ეს საოცარი თვისება, პირველობისა თუ უპირატესობის მოპოვების ჟინი,

ამოუხსნელი დარჩა ჩემთვის. ქალებშიც საოცრად წუწკი იყო, მაინცადამაინც იმ ქალს დაუწყებდა შებმას, რომელსაც მე ან აგათოტეროსი დავადგამდით თვალს. ამიტომაც ვუცდიდით, სანამ საბოლოოდ აირჩევდა რომელიმეს და მერე ვიწყებდით ფლირტს დარჩენილ ორთან. არადა, ესეც არ გვშველოდა ხანდახან. შუა ფლირტისას თუ გადაწყვეტდა, რომ ჩემი ან აგათოტეროსის ლამაზმანი ჯობდა, ეგრეევე, ყოველგვარი რიდის გარეშე დაუწყებდა შებმას თვითონ. ასეთი ძაღლი ბუნება ჰქონდა, თან წარმოიდგინე, ამას აქ, გულანშაროში აკეთებდა. ხომ ხვდები, არ აკლდა ჩვენს ზღვისპირს ათასი ჯურის ტურისტი თუ დამსვენებელი ქალი, იმ დროს კი განსაკუთრებით – სლავი ლამაზმანები, კი ხედავ, საქართველოშიც ხომ ეგრე იყო? ვარ ერთხელ გაგრაში ნამყოფი ერთი კვირით და თავი გულანშაროში მეგონა. მე მგონი, ბუტიკებიცა და ოციანი წლებიდან მოყოლებული შენობებიც ერთნაირი მეჩვენა. პრინციპში, ეგ რა გასაკვირია, სოფიაშიც მაგ აზრზე დავრჩი, მაშინ რომ ვიყავი, კონფლიქტოლოგიაში რომ ვმუშაობდით ერთად მე და იონიხი, – ხელი ჩაიქნია სევდიანად, – გაჭრილი ვაშლივით ერთნაირი პრობლემა ჰქონდა ბულგარეთსაც ეთნიკურ მუსლიმ ბულგარელებთან, თავს მაკედონელებს რომ უწოდებენ, როგორიც ჩვენ გვაქვს ჩრდილოეთით საზღვარზე ამ უცნაურ ერთ ბენო ტომთან, თავს რომ ურარტუელებს უწოდებს და არავითარი კავშირი იმ ურარტუსთან რომ არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან, პელაზგებთან მეტი აქვთ საერთო და მაინც ურარტუელებად თვლიან თავს, უკანასკნელი ტომი ვართ მათიო. მე კიდევ, რა თქმა უნდა, მათ ვემხრობი. ადამიანი ისაა, რადაც თავს თვლის. გაგონილა,

ძალად აძახებინო კატალონიელს, ესპანელი ვარო, ან ბასკს? – გაოცებით მომაჩერდა ჟინპისტი.

– კი, მესმის. მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, ახლა აფხაზებივით ყველა ქართველი გამოაყრევინო რუსს ამ ტერიტორიიდან და მერე იძახო, დამოუკიდებელი სახელმწიფო მინდაო? თან გეგონოს, რომ მაგ დამოუკიდებელ სახელმწიფოს მხოლოდ რუსეთის ერთ-ერთი გუბერნიის წიაღშიღა მიაღწევ?

– ვიცი, რომ არა აქვს გამართლება, ორთა, ვიცი. მაგრამ მეორე მხრივ, მართლაც დგას თვითგამორკვევისა თუ იდენტიფიკაციის პრობლემა: ქურთი არ მიიჩნევს თავს თურქად, მგონი, მასზე მეტი კულტურაც კი აქვს, მაგრამ თითქმის შეუძლებელია სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.

– მაინც მგონია, რომ შოტლანდია-უელსის მაგალითია ალბათ ზედგამოჭრილი, დამოუკიდებელი რესპუბლიკა ერთიან ინგლისში. რაღაც ბავშვური გამოდის, მაგრამ რაღაცნაირად შესაძლებელია, მგონი, თორემ სხვა მხრივ მივიღებთ კვიპროსს. კონფლიქტის მოგვარება იარაღით შეუძლებელია. იარაღით შესაძლებელია კონფლიქტის მონაწილე ერთი მხარის მოსპობა, როგორც რუსეთი აკეთებს ჩრდილოეთ კავკასიაში, ანდაც ჩინეთი ურუმჩიში, გნებავს, ტიბეტში...

– დღევანდელ სამყაროში, როდესაც დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრიობა ლამის ფიქციაა – შევხედოთ ევროკავშირს და დავინახავთ, რომ ასეა – ასეთ პირობებში ცივილიზებულ ერებს, ხალხს, არ უნდა ჰქონდეს მიდრეკილება ასეთი ღრმა კონფლიქტისკენ. მე მართლა ვფიქრობ, რომ პელაზგიაზე უკეთ ამ ურარტუელების კულტურასა და თვითმყოფადობას ვერც ვერავინ შეი-

ნარჩუნებს, და არც იქნებოდა ეგ კონფლიქტი კრემ-ლსა და ანკარაში, იმპერიულ რუკებში თავჩარგული სადისტები რომ არა! – ორი თლილი მაღალფეხიანი არყის ჭიქა შეავსო ქანთელით ჟინპისტმა, „დიდება თავისუფლებასო", გაიღიმა და გადავკარით. ეს მე-ათე ჭიქა იყო უკვე. გულანშაროული თიხის საწყაო, ლაგვანი ერქვა, ზუსტად გვქონდა გაზომილი, ოცი ჭიქა ჩადიოდა და მისი გამოცლისას გვარიანად მთვრალები ვიყავით. თავისუფლად შეგვეძლო, არ გაგვეგრძელებინა, მაგრამ ჟინპისტი არ აპირებდა შეწყვეტას და არც მე გავძალიანებივარ, როცა მარ-თამ, „თქვენ არაფერი გეშველებათოს" გამომხატ-ველი ღიმილით მოგვიტანა მეორე ლაგვანი. ოღონდ ეგ წინას ნახევარი იყო, ათჭიქიანი. „მე ნოემასთან მივდივარ, ბავშვს სძინავს და ყურადღება მიაქციე-თო", დაგვიბარა მერე და ფრთხილად გაიხურა კარი. ჟინპისტმა კი განაგრძო:

– მე მაინც მგონია, რომ სწორედ კოლექტიურ ქვეცნობიერს რომ ეძახიან, ისტორიული კოლექტი-ური ქვეცნობიერი ამოძრავებდა მენუას, როცა სურ-და, ყოველივე საუკეთესო მას დარჩენოდა, თითქოს ეს მისი თვითგადარჩენა იყო. მოკლედ, პირველ კურსზე ვართ და ვუყვები, „მილენასთან ვსეირნობ-დი გუშინ-მეთქი, მე მგონი, მიყვარს-მეთქი". „არაა ეგ გოგო ქალიშვილიო". მე ვუთხარი: „რომელ საუ-კუნეში ცხოვრობ, რა სისულელეებს ამბობ-მეთქი? ან საერთოდ რა იცი, ერთად იწექით-მეთქი?" „არა, მაგას არ ვამბობო", მეუბნება. თან რომ იცოდა, ისე გულცივად და ნიშნის მოგებით ელიმება: „არ ვიწე-ქით, მაგრამ დავნაძლევდეთ, ხვალვე დავწვები, თუ მომინდებაო". ხშირად ხომ მაბრაზებდა და ვკამა-თობდით, მაგრამ ეს უკვე მართლა მეტისმეტი იყო,

ახლა ამას გავგლეჯ შუაზე-მეთქი, გავიფიქრე. და „ვინც არა, არაკაცი იყოს-მეთქი!" ვუყვირე. „მოსულა, მოდი ხვალ ჩემთან ბინაში, სამზარეულოში დაჯექი და ხმა-კრინტი არ ამოიღოო". – კიდევ ერთხელ შეავსო ჭიქები, შევსვით და გაჩუმდა.

– ჰოდა?.. – ვკითხე მოუთმენლად.

– ოდნავ შეღებული კარიდან ვხედავდი, ზურგით ჩემკენ მყოფი სათნო, ქათქათა მილენა რა ოსტატურად აჯდა ამ მუგუზალივით შავ მენუას, როგორც ამერიკელი ქაუბოი როდეოზე – გავეშებულ ხარს. გეფიცები, მართლა ქაუბოივით, ცალი ხელი ზემოთ ჰქონდა აშვერილი, თითქოს წარმოსახული მათრახი უჭირავსო და მეორით მის ხელს იყო ჩაჭიდებული, თითქოს ეშინოდა, უნაგირიდან არ ჩამოვვარდეო. თან, საუბედუროდ, ვერც გავიდოდი ბინიდან, მაშინ საძინებელი უნდა გამევლო, მაგრამ ამით, ჩათვალე, მოვკლავდი მილენას და, გამწარებულს კი გამკრა ერთი პირობა ტვინში, მაგრამ მივიკუნჭე მერე სამზარეულოში... – ისე ვიცინოდი, კინაღამ ქანთელი გადამცდა. ამბავი ამბად, მაგრამ ჟინპისტს ჰქონდა მოყოლის მსახიობური ნიჭიც. – თითქოს დამიმტკიცა, რომ ურარტუს უნდა მინიჭებოდა სუვერენიტეტი და კუნძულზე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო.

– ახლა სადაა?

– იქაა, ხუთი წელია არ ჩამოსულა გულანშაროში. ერთი თვის წინ დამირეკა მობილურით, საოცარი სევდა ეტყობოდა ხმაში. მე მგონი, საბოლოოდ გადახარშა ურარტუს მოგონილი სახელმწიფოებრიობის ხიბლი და პელაზგიის ისტორიული ნოსტალგია შეეპარა. გაუმარჯოს მენუას და ყველა ჩვენს სიყრმის მეგობარს! – თქვა სევდით და ჭიქა მომიჭახუნა.

სამაგიერო

არალეგალურ გულანშაროს მსუბუქ სევდად გადაუარა ხმამ კულტურის მინისტრად კვარტუმის დანიშვნის შესახებ. ბიბლიოთეკის დირექტორობა თითქოს მაინც არ ნიშნავდა, გარეგნულად მაინც, მთლად გადოუებას, მინისტრობიდან კი უკან დასახევი აღარ იყო. „კიდევ ერთი სული წარიტაცა ჰერმესმაო", მწარედ გაიღიმა აგათოტეროსმა. ნოემა ისე განიცდიდა, საუბრის თავიც არ ჰქონდა. იონიხს დაუსვეს კითხვა ჟურნალისტებმა, „თუ იცნობთ კვარტუმ ნასინდალისკუსო?", იმან კიდევ, როგორც სჩვეოდა და ჩანდა, დამცინავი ღიმილით, სინამდვილეში იმედგაცრუებას რომ ასახავდა, მიუგო: „დიდი ვერაფერი დანაკლისია ჩვენთვის და არავითარი შენაძენი „რენესანსისთვისო". მე ვუთხარი ჟინპისტს, „აუჰ, მოკლა კაცი-მეთქი", იმან გაიღიმა და მითხრა: „მართალი იქნებოდი, კვარტუმისა და იონიხის სიძულვილი, უფრო სწორად, კვარტუმის უსაზღვრო სიძულვილი უკვე ცამეტი წლის ისტორიას რომ არ ითვლიდეს. და, პრინციპში, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ სწორედაც ერთი წინადადების, მაგრამ იმ ცამეტი წლის წინანდელის ბრალია, „სპილიაში" რომ უთხრა იონიხმა; მართალია, ჯერაც სულხანი იყო სოციალისტური პელაზგიის გენერალური მდივანი და იონიხიც ახალჩამოსული იყო ციმბირიდან, მაგრამ უკვე ირყეოდა სისტემა და უკვე მოურიდებლად ტოვებდნენ კომუნისტურ პარტიას. ჰოდა, მაშინ უთხრა იონიხმა კვარტუმს: წან, დახიე ეგ პარტბილეთი, სანამ გორბაჩოვს დაუსწრიაო."

როგორც ორფა თირიხიმ მითხრა ერთხელ, უკვე დამთავრებული იყო მათი ოცდაერთთვიანი ქორწი-

ნებაც. ნიმფასთან განქორწინების შვიდი თვის თავზე მოიყვანა ცოლად კვარტუმმა, თითქოს ეშინოდა, არ გამექცეს ორფა სადმეო. მოკლედ, მაშინ მითხრა ორფამ: „ეგ ისეთი ბოღმაა, არც ერთი წყენა არ ავიწყდება, სადღაც გულის სიღრმეში ინახავს, აი, თქვენ, ქრისტიანები, ღვთის სამკვიდრებლად რომ თვლით, იმ მიუვალ ალაგასო". იუმორის დიდი ნიჭი ჰქონდა ორფას, იუმორის და სითბოს ისეთი გულწრფელი სახით გამოხატვის, ეჭვსაც ვერ შეიტანდი მის ბუნებრიობაში. მე კი ჟინპისტის ნათქვამის არ მჯეროდა. არა, ნათქვამის როგორ არ მჯეროდა, მისი დასკვნა არ მიმაჩნდა მართებულად. კვარტუმს უფრო მიწიერი და სარფიანი სარგებელიც უნდა ჰქონოდა იონიხის სიძულვილის, მარტო ეგ წინადადება არა მგონია, ყოფილიყო ეგოდენი ზიზღის მიზეზი. ლატა ნებგუახიმაც თითქმის იგივე გაიმეორა „სპილიაში": „დიდი ვერაფერი დანაკლისია კუნძულის მწერლობისთვისო".

თვითონ ლატა ჩვენს წრეში მწერლად ითვლებოდა, ყოველ შემთხვევაში, ვაჭრების გილდიას ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა, თუმცა მისი დაწერილი რომანი ან მოთხრობა მე არ მენახა და მგონი, არც სხვას. ნოემა ამბობდა, პირველი მოთხრობა ჩემს დაქალს, ემესს უძღვნაო. არ ვიცი, ემესს მოეწონა თუ არა, მაგრამ უმალვე გათხოვდა და მგონი, იმის მერე არც ლატას დაუწერია რამე. მე პირადად მაინც მის დანახვაზე ყოველთვის დაუწერელი თეთრი ქაღალდებით გადათოვლილი მაგიდა მახსენდებოდა.

ერთადერთი კაცი დიდრიხი იყო, ვინაც დაიცვა კვარტუმი, თანაც დაიცვა ძველი მოტივებით, „მირჩევნია, რაც შეიძლება ბევრი კარგი ადამიანი

იყოს დოჟის სამსახურშიო". ნოემამ კი ვერ აპატია. როგორც თვითონ თქვა, საკუთარ ახალგაზრდობას ვერ პატიობდა, და „სპილიაში" ძველებური რიხით შემოსულ კვარტუმს მთელი აგრესიულობით ჰკითხა: „დოჟის დაცვა თან გახლავსო?" კვარტუმმა კი შეძლებისდაგვარად სასტიკად გადაუხადა ნოემას: მთელ ქალაქს მოსდო, ჩემს კრიტიკას თავი გაანებოს, ამ ქალაქსაც, და მშობლიურ ლესბოსს მიაშუროსო. ბუნებრივია, ამას ნოემას არავინ ეტყოდა, თვითონ კვარტუმი მით უმეტეს.

ამის შემდეგ მესაუბრა სნორედ გრაფინია.

მიმა ულარიშის – სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე, ოთხმოცდათხუთმეტი წლის ასაკში რომ მიიღეს თავისი მთელი ცხოვრების საოცნებო მწერალთა გილდიის წევრად – გასვენებიდან მოვდიოდით, „სპილიაში" რომ შეამკო ნოემამ კვარტუმი, იმ დღეს, ორიოდე საათის შემდეგ. მე და ნოემა ადრე ჩამოვედით ავტობუსიდან. ჰოდა, კვარტუმმა, რომელმაც აქაოდა, მინისტრობას არ გავუამაყებივარო, პირადი მძღოლი და „კადილაკი" რომ გაუშვა და ჩვენთან ერთად რომ იყო გასვენებაზე, რაღაცა კი მოგვაძახა, რასაც სიცილი მოჰყვა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. ყოველთვის ვხუმრობდით ხოლმე სამეგობროში.

იმავე საღამოს „სპილიაში" საგანგებოდ მომძებნა და მესაუბრა გრაფინია. საოცრად აღელვებული იყო, ადრინდელივით გაწონასწორებულსა და მზრუნველს არ ჰგავდა, უფრო მაფრთხილებდასავით, „იცოდე, ორთა, ჩვენ ნოემაზე დიდი ხანია ვიცით და ვწუხვარ, რომ აქამდე შენთვის არ გვითქვამსო". შემდეგ კი მომიყვა, „ეგ ამბავი მაინც უფრო იონიხს უკავშირდებაო". სტუდენტობიდან

უყვარდათ თურმე ერთმანეთი, მთელ რუსულ და პელაზგიის უშიშროებას ზეპირად სცოდნია იონიხისა და ნოემას სასიყვარულო ბარათების შინაარსი, იონიხის პოლიტპატიმრობისას რომ სწერდნენ ერთმანეთს. მართალია, ნოემამაც და იონიხმაც მშვენივრად უწყოდნენ, რომ მათ წერილებს კითხულობდნენ და ათასგვარი მითოისტორიულთეოლოგიური ქვეტექსტებით და მოზომილად წერდნენ, მაგრამ გრძნობებს ხომ მაინც ვერ დამალავდნენ?! ჩანს, მაინც შეცდომა იყო გამოცდილი იონიხის მხრიდან საკუთარი გრძნობის ასე გამხელა გველეშაპისთვის, მაგრამ ადამიანური არსი ვერ იცვლება; სწორედ სიყვარული აშიშვლებს, ეტყობა, ადამიანს ყოველგვარი გარეგნული სიბრძნისგან. „ნოემას სიყვარულმა გამაძლებინაო", უთქვამს ერთხელ გრაფინიასთვის იონიხს და სწორედ ამ სისუსტეს მოუღერეს დაშნა მიხრწნილმა პრეზიდენტმა და მოგვიანებით, ხელახლა, უზნეო დოუმაც. მართალია, კი ამტკიცებდა რომელიღაც ანტიკური ხანის ფილოსოფოსი, ორჯერ ვერ შეხვალ ერთსა და იმავე მდინარეშიო, მაგრამ, როგორც ჩანს, ცდებოდა. გულანშაროს საზოგადოებისთვის ორჯერვე იმუშავა ერთმა და იმავე ამბავმა. პირველად სულხან აგარიანის საბჭოური მმართველობის დროს დარხეულა გულანშაროში ხმა ნოემას ორიენტაციის შესახებ, ეს, როცა უშიშროების იზოლატორში მყოფ იონიხს თანამოაზრეების გამხელას აძალებდნენ და არაფერი გამოუვიდათ. სწორედ მაშინ გადაიხვეწა ნოემას ძმა, თუბალი, უკანმოუხედავად, თუმცა არავინ იცოდა, უკავშირდებოდა თუ არა ეს უშიშროების ინტრიგებს. ემესი მიყვებოდა ადრე, „ღმერთო, რა დაძმობა ჰქონდათ! როგორ არ უნდა ეთქვა რამე

ნოემასთვის, თუ ვალი ჰქონდა, თუ ვინმე დასდევ-
და მოსაკლავად და ამიტომ გადაიხვეწაო!“ ყოველ
შემთხვევაში, ნოემა, ძმის გადახვეწის დღიდან მო-
ყოლებული, არასოდეს შეხვედრია იონიხს პირის-
პირ მარტო, თუ იმ ერთ შემთხვევას არ ჩავთვლით,
როცა ფაქტობრივად იხსნა სიკვდილისაგან. ლამის
ძაძებით შემოსილიყო ძმის გადაკარგვით დამწუხ-
რებული და გულანშაროულ ყველაზე მძაფრ სიგა-
რეტს ბაგეებიდან აღარ იშორებდა. გრაფინია დარ-
წმუნებული იყო, რომ მაშინაც კვარტუმმა მიაწოდა
ეგ აზრი უშიშროებას: „ეჭვი არ მეპარება! ნოემასაც
უშიშროების დავალებით უთხრა იონიხზე მოსა-
ლოდნელი თავდასხმის შესახებ. ეგ მაგას თავისით
ვერ გაბედავდა, ან საიდან გაიგო, თუ მართალი კა-
ცია“. მაგრამ თვითონ ნოემა უმადლიდა კვარტუმს,
უზარმაზარ სიკეთედ უთვლიდა და, არც ცდილობ-
დნენ მეგობრები, საპირისპიროში დაერწმუნები-
ნათ. თან, გრაფინიას გარდა, არავინ ფიქრობდა
კვარტუმზე მსგავს რამეს. არც მე მიმაჩნდა, რომ
კვარტუმი ამის გამკეთებელი იყო. მაგრამ ნოემა-
ზე ასეთი ამბით გულშელონებულს, ნიმფას გამო
ამეწვა ისევ, როგორ გაჰყვა ამ არსებას-მეთქი! ეჭ-
ვი მღრღნიდა, ნეტა ნიმფაზეც ხომ არ იცოდა რამე
კვარტუმმა და ხომ არ დააშანტაჟა-მეთქი?

ამხელა დარტყმა აფხაზეთის ომში დამარცხების
შემდეგ არ მიმეღო. ნოემა მართლაც გარდაცვლილ
დედას მაგონებდა და ძალიან ჩემიანად ვთვლიდი.
ლამის თეთრად გავათენე, რინადორეს კარი არ გა-
ვუღე იმ საღამოს, იფიქრა, ალბათ სადმე პოეტებშია
გადაკარგულიო და გაბრუნდა. ალიონზე გავემარ-
თე დიდრიხისკენ. ამერიკის კონსულის მრჩეველი
კი იყო, მაგრამ ქალაქში არ ჰქონდა ბინა, გულანშა-

როსთან ახლოს ცხოვრობდა, სოფელში. იქ ასვლა იმადაც მიყვარდა, რომ ხელისგულივით მოჩანდა გულანშარო და ზღვა, უსასრულო ნაპირებით. დიდრიხს ძალიან გაუხარდა, როგორც ყოველთვის. მარტო იყო სახლში დარჩენილი, ცოლოურთან ჰყავდა ოჯახი დასასვენებლად და მარტო თოხნიდა ზეთისხილის ძირებს. წავეხმარე ცოტა, ისედაც მონატრებული მქონდა მიწა, გზადაგზა კი ვსაუბრობდით. „აბა, რა გითხრაო, – ამბობდა, – მართალი გითხრა, ეჭვად გვაქვს. არავინ უწყის, მართლა განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია აქვს თუ არა. მაგრამ ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. ჩვენი სტუდენტობისას, და მერეც, აი, შენხელა რომ ვიყავით, უსიტყვოდ ვიცოდით ყველამ მისი ორიენტაციის ამბავი; გოგოებს არ უნდოდათ დაჯერება და ამიტომ ხელს არ უშლიდათ ეს ამბავი. ბიჭმა კი, მოგეხსენება, თუ ფაქტი არ იცი, არც უნდა თქვა. და მარტო კვარტუმი წამოაყრანტალებდა რამეს ხანდახან, ბუნებრივია, ზურგს უკან მხოლოდ და მაშინაც მოვაკეტინებდით ხოლმეო“.

– ახლა, რა ნატურალური ორიენტაციაც არ უნდა ჰქონდეს კვარტუმს, რა, ჯობია რამეში ნოემას? – გულწრფელად თქვა დიდრიხმა. – ძმაკაცობაშიც კი ქალი ნოემა ჯობია, მამაცობასა და ადამიანობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ! – დასძინა სევდით თითქოს და გაიცინა.

– კი მაგრამ, ეჭვების გამო შეიძლება ასე გაიმეტო ადამიანი?

– აბა, რა გითხრა, ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა. დარწმუნებული ვარ, არც იონიხისთვის ჰქონდა მნიშვნელობა; პირადად მე რამდენჯერ მითხრა, სთხოვე, რომ დამელაპარაკოსო. თავს იკლავდა

ნოემა, ძმის გადახვეწის შემდეგ არაფრისდიდებით არც შეხვდა და არც დაელაპარაკა.

მისი კი მჯეროდა, მაგრამ გულანშარო მაინც პატრიარქალური საზოგადოების ნაწილი იყო ჯერაც, ჩვენი გულანშაროს – ფატმანის დროინდელისაზე მეტად ალბათ, ამიტომაც მიაღწია თავისას უშიშროების სამსახურმა, დოჟმაც და კვარტუმმაც.

– მაშინ როგორ მოხდა, რომ ამდენს ჭორაობენ თურმე? – ვუთხარი მე გამწყრალმა.

– არც ჭორაობენ, ორთა. იმ დროს მოუკლეს გული იონიხსაც და ნოემასაც, ისიც თუბალის გადახვეწით, თორემ ვერას დააკლებდნენ ისე. ახლა უკვე მხოლოდ კვარტუმის ბუნებას თუ ელამუნება მალამოდ ასეთი მდაბალი აზროვნება, ავყიაა ბუნებით და შენ და ნოემა რომ ჩახვედით, მანქანიდან წაიირონია ცოტა. შურისძიება უნდოდა ნოემას იმდღევანდელი ნათქვამის გამო. ამან გააცოფა გრაფინია, „სულ ეს ხარო?" უთხრა.

– ჰო, მაგრამ, ვმეგობრობთ, ასე ჰქვია და ზურგს უკან ჭორაობას, გეთქვა, შენ მაინც.

– ვერ და არც გეტყოდი, ორთა! გიმეორებ, ჩემთვის მის პირად ცხოვრებას და, საერთოდ, არავის პირად ცხოვრებას არა აქვს მნიშვნელობა!

– მე აშკარად შემეცვალა განწყობა.

– ორთა, რომ არა ის ირონია, არც გრაფინია გეტყოდა, მაგრამ ხომ იცი, შვილივით უყვარხარ და ამიტომაც ვერ მოითმინა, რომ არ ეთქვა.

შორს ხმელთაშუა ზღვა უერთდებოდა ცას და ყველაფერი ჰორიზონტის მიძირებაში უჩინარდებოდა, უფერულდებოდა, როგორც სამშობლონაცვალის სამეგობრო.

იმ საღამოს, როცა სასტუმროში მივდიოდი და იქვე ტროტუართან დაგდებულ ძაღლის გვამს ჩავუარე, რატომღაც, უწინდელისგან განსხვავებით, მძაფრად ვიგრძენი მძორის სუნი. მომეჩვენა, რომ არალეგალური და ლეგალური გულანშარო ერთი იყო ორივე, სხვაობა ძნელი მოსაძებნია-მეთქი, ვფიქრობდი. იმ საღამოს ადრინდელზე უფრო მოსაწყენი მეჩვენა ჩემი ოთახი და გულანშაროში ყოფნის შვიდი წლის თავზე პირველად მომინდა სამშობლოში დაბრუნება. ცოტა ხანს ბახის რომანს ვკითხულობდი, თუმცა უგულოდ. შემდეგ ძახილი მომესმა: „ორთა!" აივანზე გაუსვლელად გავიხედე სარკმლიდან: ნოემა და ორფა იძახდნენ. ცხოვრებაში პირველად არ მომინდა მათთან საუბარი, ვიდექი ფანჯარასთან კრეტსაბმელს მიღმა და ვუყურებდი, როგორ ამაოდ იძახდა ნოემა, შემდეგ კი როგორ, თითქოსდა უსუსურად გაუყვნენ ის და ორფა ტბისპირა ბილიკს; ვუყურებდი, სანამ ხეივანში არ გაუჩინარდნენ. შემდეგ ზღვას გავხედე, ინვა ვეშაპივით, საერთოდ არ იძვროდა, ათასგვარი შენაკადებით დაღარული, დევების სარბენი ბილიკები იყო თითქოს, უზარმაზარ დევების ჭალაში გაჩარხული. მერე და მუდამ, როცა ეს ამბავი მახსენდება, გარდა უმწეობისა და სირცხვილის გრძნობისა, ყოველთვის უცნაურად ცხადად ჩამესმის მამლის ყივილი, გამთენიის მამლის ყივილი.

ცირცელი

როგორც ჩანს, სინდისი მომეტებულად მქენჯნიდა და ამიტომაც მეორე საღამოს ნაადრევად ვესტუმრე ნოემას. მის სალონში თუ ძმის ოქროს სამჭედლოში, რა მნიშვნელობა აქვს, ცირცელი და გრაფინია დამხვდნენ. ცირცელი რაღაც ადრინდელზე უფრო გაბრნყინებული მეჩვენა, არ ვიზიარებდი ნოემას აღტაცებას მის მიმართ, რატომღაც მეგონა, რომ ზედმეტად ამაღლებული განწყობით უყურებდა. ამ მითქმა-მოთქმის შემდეგ კი საერთოდ არეული ვუყურებდი მის ურთიერთობას ნებისმიერ ქალთან. თავიდან იმიტომ დაუახლოვდა, რომ ზარნასა და უბაცეს მეგობარი იყო; შემდეგ აღმოჩნდა, რომ წინა საღამოს ნოემაც და ცირცელიც „პოლი და ვირჟინს" კითხულობდნენ, რამაც ორივე აღაფრთოვანა. ამას დაემატა ცირცელის ღვთისმოსავი გუნება-განწყობილება: თეთრ მოკლე ტუნიკას იცვამდა, დიდი პლედი ჰქონდა შემოხვეული, ყოველი ლუკმის წინ ლოცვას წარმოთქვამდა, იესუს ლოცვასავით მოკლე ფრაზას, ორფეოსის ჰერმესისადმი მიძღვნილი ჰიმნიდან. თუმცა არცთუ ისე ხშირად უხდებოდა ლოცვა, სამიოდე ლუკმას თუ შეჭამდა, შემდეგ მთელი საღამო ზეცისკენ აღპყრობილი თვალებით იმზირებოდა. ეს თავისთავად მუდამ მშიერს ტოვებდა ზარნას, რომელსაც პირველივე დანახვით შეუყვარდა ცირცელი, რამაც ორფიზმის საოცრად მგზნებარე მიმდევარი გახადა, სასწრაფოდ გაიარა ინიციაცია და თეოლოგიურ აკადემიაშიც ჩაირიცხა; მაგრამ სწორედ აქ ცირცელმა საკუთარი მისია შესრულებულად ჩათვალა და გრძნობისმიერ ურთიერთობებს წერტილი დაუსვა. ნოემა ეხუმრე-

ბოდა, ღვთის ნებით, ეს ბიჭი მოაქციე და ახლა ისევ არ გადაინათლოსო, რაზედაც ცირცელს ეღიმებოდა. ეს მაშინ იყო, თავიდან, როდესაც წარმოდგენაც არავის ჰქონდა, რა ბედს უმზადებდა წუთისოფელი. ან – რა ბედს იმზადებდა თვითონ ცირცელი: ჯერ იყო და, თითქმის ქორწინებამდე მისული საქმე, უბაცესთან, ჩაშალა; შემდეგ ადგილობრივი მაფიოზური სინდიკატის ერთ-ერთ ახალგამოსწორებულ წევრს გაჰყვა ცოლად, პოეზიას თავი ანება, მალე – ქმარსაც; შემდეგ ყვავილების ბირჟის დირექტორს გაჰყვა ცოლად, რომელმაც გერი ვერ აიტანა და ცირცელი მასაც დაშორდა; შემდეგ არალეგალური გულანშაროს ერთ-ერთი ლიდერის, ქლეს მერბიელისკუს საყვარელი გახდა.

თუმცა ეს მერე, როცა არალეგალურმა გულანშარომ, კუნძულის დიდთვალება ნახევრად გიჟი პრეზიდენტის დახმარებით, ბოლოს და ბოლოს, მოიშორა დოჟი, სანკტ-პეტერბურგს გააგდო და, ადამიანთაგან შეძულებულს, სამი დღის ნაშიმშილარი კავკასიური ნაგაზი სპეციალური ავიარეისით გაუგზავნა, რადგან კინოლოგთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის მუქარანარევი წერილის შეეშინდა, რომელიც აფრთხილებდა, ევროპის სამგზის ჩემპიონი ძაღლი პატრონს დაუბრუნეთ, არაფერი დაუშავდესო.

სად გამიტყუა სიტყვამ, არადა, იმას ვიხსენებდი, ცირცელთან და გრაფინიასთან ერთად, ნოემასთან რომ ვიყავით სტუმრად და აივნიდან მათთვისაც უკვე გაუცხოებულ გულანშაროს გადავყურებდით. სწორედ მაშინ თქვა ცირცელმა, ნეტავ ემიგრანტი მაინც ვიყო, ასე მწარედ არ განვიცდიდი ჩემი ქალა-

ქისა და ქვეყნის უბედურებას, ამ ერთი ციდა პარანოიკის ხელში ჩავარდნილისო.

შემდეგ იყო, ნოემამ მითხრა, „კარგად ჩახედე თვალებში ცირცელსო". მე არ გავიგონე. მეორეჯერაც მითხრა და ვითომ ისევ ვერ გავიგონე. ძალიან გავბრაზდი ნოემაზე, და სამაგიერო იმით გადავუხადე, რომ მის სალონში ყოფნისას, უბაცე და ნიმფაც იქ იყვნენ, „ინანა ხარ-მეთქი". „რატომო?", არ ახსოვდა კარგად ის ეპიზოდი, მეც წავუმღერესავით „დედაკაცისა მამაკაცთან მიმყვანებელი". როგორც წესად ჰქონდა, გაბრაზებისას, გულანშაროს ყველაზე მწარე სიგარეტის ზედიზედ სამი ღრმა ნაფაზი დაარტყა და თვალები მილულა. შემდეგ, კაი ხნის შემდეგ კი აღიარა, რა სულელი ვიყავიო.

კამარა მეორე

გამოღვიძება

იონიხს ერთ ხელში მობილური ეჭირა ყურთან მიტმასნილი, მეორე ხელით კი ხალხს ესალმებოდა უხმოდ. არალეგალური გულანშაროელები ვიკრიბებოდით „სპილიას" წინ, პატარა ქუჩაში, ოვიდიუსის მუზეუმთან. თავიდან ორასიოდე ადამიანმაღა მოვიყარეთ თავი. შემდეგ, თითქმის ყველა, ვინც ამ მიტინგს გამოაკლდა, ან საშინლად ნანობდა, ან ცდილობდა, ამ შეკრების როლი დაეკნინებინა, როგორც ღურა, ამ მიტინგზე არყოფნის კომპლექსმა რომ დატანჯა და გამოუღრღნა სულისკნელი და, საბოლოო ჯამში, ამ ბოღმამვე რომ წააჩხუბა იონიხთან.

დოჟის ხელისუფლება მწვერვალზე ტანკენარობდა და სწორედ ამიტომ გვეიმედებოდა – მწვერვალიდან დაშვება დაიწყება მალეო. ოქტომბერი იდგა. კუნძულზე გადამწყვეტი არჩევნები ტარდებოდა, საპარლამენტო. კუნძულის პოლიტიკური ორიენტაცია საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო – დარჩებოდა პელაზგია აზიის ჰარამხანაში და რუსეთის სამხედრო გავლენის ქვეშ, თუ აეკვრებოდა ისევ ევროპას, როგორც უძველეს დროში, ვიდრე ოტომანები მოჰგლეჯდნენ დასავლეთს, როგორც ძუძუს ჩაფრენილ ჩვილს. ქუხდა პრეზიდენტი, მიხრწნილი

სულხანი, მაგრამ ხმაში ხრინწი ჰქონდა უკვე ღრმად შესამჩნევი. ჰქონდა დოჟის იმედი, და დოჟსაც მისი. ამიტომაც ჩანდა ძალიან დონკიხოტურად იონიხის ჩამოსვლა გულანშაროში და სწორედ აქ კენჭისყრა, კოლი ანდროსკუს დამარცხებისა და გადეპუტატეების სურვილი. დოჟის ბრმად მორწმუნეებსაც კი ვერ წარმოედგინათ მაშინ, ამას თუ ვინმე გაბედავდა, ხოლო იმას, რაც იონიხმა საარჩევნო კამპანიისას ჩაიდინა, ალბათ ვერც ურსუსისკუ ივარაუდებდა: ვეებერთელა დარბაზში, სამედიცინო სფეროს სამი ათასამდე წარმომადგენელთან სააგიტაციო შეხვედრისას შეუსწრო თუ შეუვარდა დოჟს, ყველა ტელეარხი იღებდა. ყბა უცახცახებდა დოჟს. იმ დღის დაცვის მორიგე ბიჭები სასტიკად აცემინა ქონდამ, იმავე საღამოს სამი გადაჰყვა კიდეც ცემას. ვერ მიმხვდარიყო დოჟი, როგორ შემოუშვეს საერთოდ დარბაზში იონიხი, ერთადერთი ჩია თანამებრძოლის, შკურნას ამარა. „თუ შეიძლება, მეც შევხვდები ამომრჩეველს, და მეც და ბატონ კოლი ანდროსკუს რიგრიგობით დაგვისვან კითხვები. ელექტორატის წარმომადგენლები ბრძანდებიან და შეადარონ ერთმანეთს პასუხებიო", ამაყად, სრული სიმშვიდითა და ოდნავ შესამჩნევი ღიმილით უთხრა სამ ნაბიჯზე, პრეზიდიუმში, კოლი ანდროსკუს გვერდით მოკალათებულ დოჟს იონიხმა. თავდაპირველი გაშეშების შემდეგ ძლივს ამოილუღლუღა დოჟმა: „არ აჰყვეთ პროვოკაციას, მეგობრებოო", ამასობაში კი პირადი დაცვის ოცამდე წევრი მიეჭრა, ციმციმ გაარონინეს იონიხი და შკურნა დარბაზიდან და გამზირზე დასვეს, თუმცა დარტყმა და სხვა დოჟისებურები არ უკადრებიათ იმ დღეს.

თუმცა ეს მოგვიანებით იყო. ჯერ კი გულანშაროში ჩამოსვლასა და არჩევნების გაძღოლაზე უფრო დონკიხოტური და გიჟური სწორედ ამ მიტინგის ჩატარება იყო: მოემზადნენ არალეგალური გულანშაროელები თავის გასახეთქად, გამოემშვიდობნენ ახლობლებს და მოვიყარეთ თავი სამიტინგოდ. ეგრეევე ამყვა შეგრძნება, რომ მსხვერპლი იქნებოდა, აუცილებლად მოკლავდნენ ვინმეს, ყველაზე უფრო მაინც იონიხზე ვფიქრობდი; რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მოკლავდა დოჟი. და მერე, მიტინგის მერე, გაოცებული ვიყავი, არ მჯეროდა, რომ არავინ შესწირვია ამ წარღვნას. იონიხი არ ღელავდა, ყოველ შემთხვევაში, არ ეტყობოდა. ყოველ ახალ მოსულს ღიმილით ესალმებოდა, იმ ღიმილით, საოცრად დამცინავი რომ ჩანდა, გამჭოლი, და ასე აგიჟებდა მოწინააღმდეგეს. მაგრამ ჩვენ, ვინც ახლოს ვიცნობდით მას, ვხვდებოდით, რომ ეს არ იყო ირონიული ღიმილი. არც სარკასტული. არა, ზოგჯერ სწორედ ასე ჩანდა, მაგრამ არ იყო. კუნძულის დედაქალაქიდან ველოდით „ახალი ეროვნული მოძრაობის" სხვა ლიდერების ჩამოსვლასაც, ამბობდნენ, ურსუსისკუც ჩამოვაო. თუმცა ჩვენ ეჭვი გვეპარებოდა. რატომღაც დარწმუნებული ვიყავით, რომ თუკი ურსუსისკუ ჩამოვიდოდა, სულს თუ არ გააფრთხობინებდა, დაასახიჩრებდა მაინც დოჟი. მერე, დიდი ხნის მერე, როცა იონიხიც უკვე გრაფინიასავით შეიზვარაკა დოჟის პოლიტიკურმა განადგურებამ, მერე გამოაქვეყნეს პრეზიდენტ სულხანისა და დოჟის საუბრები, სადაც სულხანი სთხოვდა, „იქნებ გულანშაროში ტრაგიკულად დაიღუპოს იონიხი. ვიცი, ურსუსისკუს განადგურება გაგიჭირდება და ამიტომ იქნებ იონიხი მაინც მომაშოროო".

თავმოყვარეობაზე აგდებდა პრეზიდენტი, მაგრამ დოჟი რომც მოტყუებულიყო, რუსეთის უშიშროებას რას მოატყუებდა მიხრწნილი მელაც კი. „მეც ვფიქრობ მაგაზეო", იყო მაშინ დოჟის პასუხი.

თუმცა ეს მერე იყო, მანამდე კი დიდხანს ველოდით სტუმრებს. ბოლოს გავიგეთ, რომ გვალასქურის შემოსასვლელთან დიდი ხნის დაყოვნების შემდეგ მაინც შემოუშვეს გულანშაროში „ახალი ეროვნული მოძრაობის" წევრები. „ხუთას კაცამდე იქნებიანო", გვეუბნებოდა იონიხი, „ურსუსისკუ მერე შემოგვიერთდება. ახლა ჯეიკობ დაშდუხი, ჯვეშ ჯუინელი და ფურსი ნასკუ მოჰყვებიანო". ზოგი ამბობდა, ჩილაი ცხაპისკუც, რომელმაც შემდეგ მწარედ იძია შური „რენესანსის" ახალგაზრდული ფრთის ლიდერზე, ჟურნალისტად რომ მიაჩნდა თავი და თავის დროზე ავგუსტუსთან რომ ჰქონდა ნამუშევარი, თავმომწონე ჟორჟ არძასკუზე, რომელიც მართალია, სულ რაღაც ერთი დღით, მაგრამ მაინც გამოამწყვდია იზოლატორში, ირდიხას ჩქილირდესკუს ძმას სადაც ამოხადა სული დოჟმა, იმ ოთახში, და კინაღამ ძვლების ათქვეფამდე სცემა, „ვის ჩააფარე თავში, შე სიროო!"-ს ძახილით, მაგრამ მოუსწრო ურსუსისკუს ზარმა: „რას შვრები, ხომ არ შეიშალე, ჯერაც აგარიანს ჰყავდა ეგ ჩვენს მსტოვრად ჯერ ავგუსტუსთან და იქიდან დოჟთან, ახლა პრინციპში კარგიც კია, ისევ იმათიანი ეგონებათ, მაგრამ ეყოფა, გამოუშვიო".

დოჟის გაქცევიდან ჟორჟ არძასკუს დაჭერამდე შუალედში კი სწორედ მე შევეფეთე სიკვდილივით გაფითრებულ ჟორჟს და გაოცებული ვუმზერდი, როცა მეუბნებოდა, „ორთა, იქნებ მიშუამდგომლო იონიხთან და გადამარჩინოო?!" თასილის შორეული

ნათესავი იყო, ოდესღაც წერდა კიდეც ლექსებს და ახლოს გვიცნობდა მე და ნოემას. „რა გჭირს, არავის იჭერენ, ხომ ხედავ-მეთქი?“ „ხო, მაგრამ მე დამიჭერენო“. გაკვირვებით რომ შევხედე, მერე დასძინა: „მიტინგზე ჩიღაი ცხაპისკუს გავუერთიანე თავ-ყბა და არა მგონია, მაპატიოსო“. მე კიდევ გაოცებულმა, „დალოცვილო, რაღა ჩიღაი შეარჩიე... და დაიმალე მაინც სადმე-მეთქი“. მაგრამ, როგორც გითხარით, ვერ მოასწრო. ან კიდევ, დარწმუნებული იყო, უკვე გაიგებდა, ურსუსისკუს ჩანერგილი რომ ვიყავიო, და არ მახლებს ხელსო.

თუმცა ეს, როგორც გითხარით, მერე იყო და ახლა კი ასე ამბობდნენ ჩიღაიზე, აქ არის, ურსუსისკუ იმის გარეშე არც ერთ მოვლენას არ აჭაჭანებს, ბოლომდე მხოლოდ მას ენდობაო. გვალასქურელები უკვე გულანშაროში იყვნენ უბაცე მეღრალიშის მეთაურობით. უბაცე, ჩვეულებისამებრ, იღიმებოდა. მე რომ დამინახა, ხელი დამიქნია, ნახე, ვინ მოგიყვანეო, და სოხუმელი ირაკლი გამაცნო. ირაკლის ვიცნობდი, მაგრამ ათი წელი იყო, არ მენახა და გამიჭირდა გახსენება. ან რას გავიხსენებდი, ბოლოს რომ ვნახე, ცხრა წლის იყო. გამიხარდა, ორად ორი სოხუმელი ვიყავით არალეგალურ გულანშაროელებში. აქ მყოფი სხვა დევნილები დახლებიდან ვერ ავაგლიჯე, გიას ფეხს როგორ მოაცვლევინებდი, დანიელი კიდევ ნორვეგიაში იყო ისევ, ოღონდ იმხანად ერიკა ვაარსენსონის სახელოსნოში არა, რაღაც სასწაულით და ერიკასგან მოწოდებული ინფორმაციით, ერთწლიანი კურსები გააძრო დევნილებისთვის ლონგიირბიუენის სამხატვრო აკადემიაში. სხვები კი ჩემთან საუბარსაც ვერ ბედავდნენ დოჟის შესახებ. მე ვუმტკიცებდი, თუ რუსეთი კუნძულზე

ძალაუფლებას დაკარგავს, ამით საქართველოსაც შეუმსუბუქდება ბრძოლა ამ მონღოლთა ნაშიერებთან-მეთქი. გაგონებაც არ სურდათ. ირაკლიზე მეტად, რა თქმა უნდა, ლედი ნიმფას ნახვამ გამაოცა. „ვახ, ლედი, მოგენატრა თაბაშირი-მეთქი?" ნაიღიმა, „მე არაფრის არ მეშინიაო" და ყელზე მარგალიტების მძივი შეისწორა. აშკარად რიოში იყო, იმწუთას შევამჩნიე. მე ბარონ მადერახის ნაჩუქარი მარგალიტების შავი ძეწკვი მქონდა, ბზის მონუმენტური ჯვარცმით (ბარონის მიერ ადრე ნაჩუქარი, დანიელს გავატანე დედასთან და როგორც კი გაიგო ბარონმა, ერთ კვირაში გამიკეთა ახალი და სპილიაში გადმომცა საზეიმოდ, საკმაოდ შეცბუნებულს), ოღონდ არც კი ჩანდა გარედან, ძირითადად ისე ვატარებდით, რომ არ ჩანდა, ეს ნიმფას უნდოდა, ყველას დაგვენახა – ჰერმესის მედალიონს კი არა, მეც მარგალიტებს ვატარებო. თუმცა ვიცოდით, რომ ნაღდ მარგალიტს ვეღარ ატარებდა. „საზიზღრად გაუღიზიანა კისერიო", დეიდამისი ჰყვებოდა თურმე, „იმწუთას ქავილი ეწყება, როგორც კი მარგალიტს მიიკარებსო". კვარტუმს კარგა ხნის დაშორებული იყო და იმ ეტაპზე გილარდე უსენისკუსთან მეგობრობდა, რამდენჯერმე ვცადე კვარტუმთან განშორების შემდეგ შევხვედროდი, რატომღაც ან სერიოზულად არ აღიქვა, ან კიდევ არ სურდა, ვეღარ დავადგინე და როგორც მეგონა, საბოლოოდ დავივიწყე. ამ მიტინგის შემდეგ ჰყვებოდნენ, კარგა ხნის მერე, ბოროტად: ნიმფაც ამშვიდებდა სასტუმრო„არაბეთში" გავეშებულ გიჟისთვალება პრეზიდენტს, თავისი მარადქალური სხეულით, როცა გულანშაროში არ შემოუშვა დოჟმა და ლამის ანგრევდა კედლებსო. თუმცა ეს მართლაც მერე იყო,

დიდი ხნის მერე, როცა ნიმფა უკვე გულანშაროელ მანდილოსანთა ლიდერად მოგვეევლინა დოჟის წინააღმდეგ ბრძოლაში, როცა უკვე გილარდესაც გამოემშვიდობა და ქლესის უახლოესი გახდა. პრეზიდენტის ფირმანი ისედაც ჰქონდა და მისი ამბიციების პატრონს აბა, ვინ დაუდგებოდა წინ?!

მაშინ კი მართლაც გამიკვირდა ამ მიტინგზე ნიმფას ყოფნა, თუმცა ცოტა ხანში წავიდა, მსვლელობის დაწყებამდე, სანამ დედაქალაქიდან შემოგვიერთდებოდნენ. „სტუმრების მოსვლამდე მეც მოვალო", თქვა და წავიდა. მე გამეღიმა. თუმცა მიტინგის დასრულების შემდეგაც ვნახე დარბეულ კაფეში. თვით მიტინგზე იყო თუ არა, ვერ დავადგინე და არც არავინ უწყოდა მერეც.

ამასობაში სეფესიტყვა შემოთვალა დოჟმა: „არ გაბედოთ, სიმონ, დე მონფორის ქუჩით წამოსვლა და თეატრთან მიტინგის გამართვაო; მიტინგი თუ გინდათ, განაპირა, მარშალ გრევეს ქუჩით იარეთ და სტადიონზე ჩაატარეთო". იონიხმა მეგაფონით გასცა ბრძანება, გრევეს ქუჩისკენ დავიძრათო. უმეტესობამ შვებით ამოისუნთქა, შეიძლება აგვცდეს ცემა-ტყეპაო. ასიოდე ნაბიჯი გავიარეთ გრევეს ქუჩით და გააჩერა მანიფესტაცია იონიხმა, მთელი ხმით ჩასძახა მეგაფონს, „აბა, დავიძარითო!" და სიმონ დე მონფორის ქუჩისკენ გაუყენა მომიტინგეთა ლიანგები. „ახალი ეროვნული მოძრაობის" ასამდე შავ-წითელი დროშა და რამდენიმე პლაკატი ფრიალებდა. უკან რომ მოვიხედე, სასიამოვნოდ გამაჟრჟოლა, გამზირი გაჭედილიყო, თითქმის სამას მეტრზე გაჭიმულიყო მანიფესტაცია. მალე სტუმრებიც შემოგვიერთდნენ და ატყდა ძახილი და ყიჟინა. პირველი ლოზუნგი გამოცრა იონიხმა: „ძირს დოჟის

დიქტატურა!" „ძირს!" შესძახა თორმეტი ათასამდე ხმამ და აგრგვინდა გულანშარო. მაშინ მეგონა, რომ მხოლოდ მე ვიგრძენი, თუ როგორ აბარბაცდა მიწა. მომეჩვენა-მეთქი, მაგრამ არ მომჩვენებია: იმავე საღამოს აჩვენა გულანშაროს ტელეარხმა დოჟის კაბინეტი და მოსასვენებელი ოთახი – საშინელი ბზარები ჰქონდა, წერეთლის მიერ მოხატული კედლები იავარქმნილიყო. არადა, არც ერთ სადგურს სეისმური გარჯილობანი არ აღუნუსხავს, არც გულანშაროს ნახევარკუნძულზე და არც მთელ პელაზგიაზე. იმავე საღამოს მოხსნა ტელეარხის დირექტორი დოჟმა, სეისმოლოგიური ლაბორატორიის დირექტორი კი ციხეში ჩააყუდა და ამით უშველა კიდევაც: დოჟის გაქცევის შემდეგ, რაც დოჟის ეპოქაში ფული იშოვა, იმისი ნახევარიღა გამოჰგლიჯა ახალმა მთავრობამ და, გმირის სახელით, კვლავ ლაბორატორიის დირექტორად დანიშნა. აი, ტელეარხის დირექტორს კი არ გაუმართლა – რაც ფული ჰქონდა ნაშოვნი, ყველა დახარჯული აღმოაჩნდა ქერა თუ შავტუხა ლამაზმანებში და ჩააყუდეს ციხეში.

თუმცა ეს ყველაფერი მერე იყო, ჯერ კი მიტინგი მიჰღელავდა სიმონ დე მონფორის ქუჩით დოჟის სასახლისკენ, ნახევარკუნძულის ტყიანი კანტონების დამეწყრილი მოსახლეობისათვის გაეროდან გამოყოფილი ფულით რომ აღადგინ-გაამშვენიერა თავის დროზე, ძალაუფლების მოხვეჭის გარიჟრაჟზევე. არ მეგონა, თუ ამდენი ადამიანი გაბედავდა გამოსვლას. არალეგალური გულანშაროელები გაოცებული სიხარულით ვათვალიერებდით ერთმანეთს, აივნებზე გამოეფინა ხალხი. შევამჩნიე, რამდენიმე ვერანდიდან დოჟის სურათი ჩამოხიეს ბინადრებმა და „ვაშას" ძახილით გვიქნევდნენ

ხელს. გამოჩნდა პირველი კორდონი: პლასტმასის ფარებითა და რეზინის ხელკეტებით შეიარაღებული გვარდიელები. შემდეგ ვნახე კადრებში, თავიდან ჟურნალისტები გაძვრნენ, მათ შორის ყველაზე ადვილად შესამჩნევი ვეებერთელა დიდრიხი იყო, ზღვის ტალღასავით რომ მიარღვევდა ფორმიანებს. ამასობაში კი, რომაელი ლეგიონერებივით მიასკდა მომიტინგეთა მასა და გაარღვია კორდონი. ნახევარი მიტინგის ჩამოჭრა სცადეს, მაგრამ დაცალკევებული არიერგარდი მალე წამოგვეწია და ისევ ერთიან მასად მივღელავდით ფართო გამზირზე. მეორე კორდონი ასიოდე ნაბიჯზე გველოდა: რკინის ფარებით, ავტომატური იარაღებითა და ელექტროშოკური ხელჯოხებით. „ძირს ჯუჯა დოჟის ტირანია!" – იბღავლა იონიხმა და მომიტინგეები ძუნძულზე გადაიყვანა, ხოლო როდესაც ათიოდე ბიჯიღა იყო დარჩენილი კორდონამდე, მთელი ძალით გასწია და შევასკდით კორდონს: პირველი, რაც ვნახე, არამხუტუ ფანთქუალიხის დამსხვრეული სათვალე იყო, ხელით სისხლს იწმენდდა მარჯვენა თვალიდან და იგინებოდა. „არამხუტუ, როგორ ხარ-მეთქი", მოვასწარი თქმა, მარცხენა ხელით რინადორეს ვიჭერდი, რომ ბრბოში არ დამკარგოდა; „არა უშავს, თქვენ გააგრძელეთ გზა!" მოგვაძახა მან და ჩვენც გავყევით მიტინგს, რომელიც უკვე ჯგუფებად იყო დაშლილი. წინა გუნდი ხელჩართულ ბრძოლაში იყო ჩაბმული. რინადორეს შევხედე, წუთით ვორჭოფობდი, ხომ არ შევუერთდე-მეთქი. ამ დროს იშენ ჩილათირიხი მოვარდა, „ამათი დედა ვატირეო!" შესძახა, პალტო გაიძრო და შევარდა მოჩხუბართა „ბორბალში"; ცოცხალ ენციკლოპედიას ეძახდნენ იშენს, იონიხის ძმადნაფიცი იყო. სწორედ მისი სახელის

გაგებისთვის აწამეს დამატებით სამი დღე იონიხი, მაგრამ არაფრით გასთქვა, თუ რას ნიშნავდა დისიდენტური ჟურნალის ბოლოში ერთ-ერთ სტატიაზე მიწერილი „ი.ჩ“ და ციხის გარეშე გაატარა მთელი დისიდენტობა იშენმა. ზნეობისა და ნიჭის ეტალონიაო, მიაჩნდათ ქალაქში. ეს მერე იყო, მერე, დოჟის გადაშავების შემდეგ რომ დარჩა ურსუსისკუსთან და მწარედ რომ განაცხადა მიკროფონთან იონიხმა, „სამწუხაროდ, მისი წასვლით ბევრი რამ წავაგეთ ჩვენ და უდიდესი სიმდიდრე მოიხვეჭა ურსუსისკუმო“. თუმცა იონიხის მკვლელობის შემდეგ, მართალია, ჟინპისტივით იმავე დღეს არა, მაგრამ მაინც დატოვა ურსუსისკუს დასი იშენმა. მაგრამ შერცხვა პრეზიდენტს თუ ლიანგების განწყობაზე იმოქმედა, „არ მოხსნათ კულტურის კომისიის თავმჯდომარეობიდანო“, შემოუთვალა ხრისალიდა პუპასკუს.

თუმცა ეს, როგორც ვახსენე, მერე იყო. ახლა კი გამწარებული შევარდა მოჩხუბრებში იშენი და გაუჩინარდა, და უფრო ახალგაზრდებმა ძლივს გამოათრიეს ბრბოდან საკმაოდ ნაბეგვი. ამასობაში მოჩხუბრები როგორღაც დაშორიშორდნენ, თუმცა კვლავ შეტაკების ზღვარზე ვიდექით. ისევ გაერთიანდით გაფანტული მომიტინგეები. ჩვენ წინ ლამაზად, სიმეტრიულად ჩამწკრივებული თორმეტი ტანკი იდგა, ისე მჭიდროდ კეტავდნენ ქუჩას, თითს ვერ გააძვრენდი. ტანკებზე რუსი გენერლის, ანატოლი ნოგოვიცინის გაწვრთნილი მებრძოლები იდგნენ. მათ უკან დოჟის დაცვის წევრები მოკალათებულიყვნენ ხელში კანაფის გრძელი თოკებით, რომელთა ბოლოებში, არ ჩანდნენ, მაგრამ გაწვრთნილი მაიმუნები – დრილები – იგულისხმებოდნენ. ათიოდე მეტრში კი დოჟის სასახლე იდგა, ჩა-

მუქებული ფანჯრებით, რომელთა სიღრმეში დოჟს ვგუმანობდით სრულებით ამაოდ; ეს მერე გაირკვა, რომ თურმე სარდაფში მოწყობილ ბუნკერში იჯდა და მერე, ჯერ სტამბულს, იქიდან კი სანკტ-პეტერბურგს გაქცეული სიგიჟემდე ნანობდა, რომ კოლი ანდროსკუს დაუჯერა და არ უბრძანა ნოგოვიცინს, მომიტინგეებისთვის ესროლა. ბოეთიუსი დასიზმრებია წინა ღამით, აცახცახებულს გაღვიძებია, თურმე ბამბის ტამპონებს აწვდიდა ბოეთიუსი და ეეედრებოდა, ჭრილობებში ჩამჩურთე, თორემ ვიცლები სისხლისგანო. სწორედ ამ სიზმარს უბიძგებია მისთვის ბუნკერში გამაგრება.

„ახალი ეროვნული მოძრაობის" ლიდერები კი მდგომარეობას აფასებდნენ: იონიხს პალტო ჰქონდა ჩამოგლეჯილი, ჯვეშ ჯუინელი მხოლოდ აწითლებული იყო სახეზე; აი, ჯეიკობ დაშდუხს კი სახის მარცხენა ნაწილი პირწმინდად ზანგქმნოდა, ხოლო სახის ნახევრით იღიმებოდა და მედგრად ვარო, იძახდა; ქლეს მერბიელისკუ ორივე ლოყაზე იწმენდდა სისხლს, მის მიმართ განსაკუთრებული ზიზღით მოქმედებდნენ დოჟის მიმდევრები – ის ხომ გვალასქურელი გახლდათ. წინ წასვლა შეუძლებელი იყო და იონიხმა მიტინგი მარჯვნივ დაძრა, ვიწრო ქუჩით, სპარსეთის საკონსულოსკენ. ოციოდე ნაბიჯი გავიარეთ და აღმოვაჩინეთ, რომ ყველა გზა მოჭრილი გვქონდა: სამი მხრიდან დოჟის უძინართა ლეგიონის წევრები, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი სამხედროები და სპეცრაზმელები იდგნენ საბელზე გამობმული დრილებით ხელში. მაიმუნებისა და ძაღლების სასტუმრო იმ დროს უკვე აშენებული ჰქონდა დოჟს, მერეტრიქსის თავკაცობით, მწვრთნელებად ფილიპინელები და რუსი

მწვართავები დაუქირავა. ძირითადად, ადვილად იგეშებოდნენ თურმე დრილები, განსაკუთრებული მადით შინაური ცხოველების, კერძოდ კი, კატებისა და ძაღლების ხორცს ჭამდნენ. აღარ დარჩნენ გულანშაროს ქუჩებში მაწანწალა ძაღლები. თანდათან უკვე სახლებში უვარდებოდნენ დოჟის დაცვის წევრები მოქალაქეებს და თავიდან ნახევრად ჯიშიან, ბოლოს კი წმინდა სისხლის ძაღლებს ართმევდნენ. კატებს თვითონ დრილები იჭერდნენ და ნახევარ წამში ხლეჩდნენ შუაზე ბასრი კბილებით. ეკვატორული გვინეიდან ჩამოყვანაზე ძვირი მათი გამოკვება უჯდებაო, ამბობდნენ დაცვის ბიჭები.

მოკლედ, ერთი გზაღა გვრჩებოდა მომიტინგეებს – მარშალ გრევეს ქუჩით უკან, იონიხის საარჩევნო საფიხვნოდ მოწყობილი სახლისკენ. იონიხმა გადაწყვიტა, აქვე ჩაეტარებინა მიტინგი. მცირედი ამაღლება მოძებნა ტროტუარზე და მეგაფონი მოიმარჯვა: „ძირს შეშინებული დოჟის მარაზმი!" „ძირს!" – შეჰღრიალა მიტინგმა. გაისმა მაიმუნების კბილების ღრჭენა და სამხედროების მამაპაპური გინება. „ბებერი რუსეთის იმპერიის ჯუჯა გენერალი ცდილობს, გულანშაროს დაჩოქებით კუნძული დააჩოქოს. ვერ მოესწრება!!!" – ხმა ჩაეხლიჩა იონიხს. მიტინგმა ტაშით დააჯილდოვა, გვარდიელებმა – დედის გინებით. „მტარვალი მოდის და გეუბნება, – აგრძელებდა იონიხი – უნდა გაგანადგურო, უნდა ნაცარტუტად გაქციო, შენს ოჯახს უნდა გადავუარო... შენ ბიჯიც არ უნდა მოიცვალო უკან!!!" აპლოდისმენტები გაისმა. „გეუბნება, უნდა დაგახრჩო, გვარი უნდა წაგიშალო, ერი უნდა წაგიშალო! შენ ნახევარი ბიჯიც არ უნდა მოიცვალო!" აღფრთოვანებული ყიჟინა გაისმა. „მოდის და გეუბ-

ნება: შენი წინაპრების საფლავები უნდა დავანგრიო და ზედ ფეხსალაგები გავმართოო. შენ არც კი უნდა მოიხედო უკან! წინ წასვლაც კი არაა აუცილებელი, უბრალოდ ნაბიჯიც კი არ უნდა გადადგა უკან! თორემ მართლა იზამს! ფეხი არ უნდა მოიცვალო უკან! არც კი უნდა გაივლო გონებაში ფიქრი უკან დახევაზე!!!"

მიტინგი აღრიალდა და ტაშში დაახრჩო დრილებისა და სპეცრაზმელების ღნავილი. შემდეგ ჯვეში გამოვიდა სიტყვით, ძმობისკენ მოუწოდა დოჟის დამცველებს; შემდეგ ქლეს მერბიელისკუმ აიღო მეგაფონი ხელში.

ამდენს კი მართლა ვეღარ გაუძლო კოლი ანდროსკუმ და ანიშნა: გოთური ღრიალით გამოიჭრნენ მაიმუნები და მათი პატრონნი, ქლეს მერბიელისკუ გაიგდეს ფეხქვეშ. იონიხი და სხვა ლიდერები სპორტსმენებმა, ძიუდოსა და რაგბის ფედერაციის წევრებმა წინ გაირეკეს, თავიანთ თავზე აიღეს დარტყმა და საფიხვნოსკენ გააქანეს ორგანიზატორები. მოქროდა ჰუნების ბრბო და ქელავდა ყველაფერს, რაც წინ დახვდებოდა: მანქანას, ქუჩას, საათს, ჰაერს. რაღაც წამებში მოვასწარით მე და რინადორემ სადარბაზოში შეღწევა; გრიგალივით ჩაგვიქროლეს მიტინგის ნარჩენებს გამონთებულებმა. „ვაი დამარცხებულთ", გამიელვა საიდანღაც ფიქრმა. შედეგი საშინელი იყო: ოცდაათი ჟურნალისტი საკაცეებით მიასვენეს საავადმყოფოებში, ასამდე მომიტინგე სახლებში გადავანაწილეთ, რადგან გვეშინოდა, საავადმყოფოში არ დაეპატიმრებინა ხელისუფლებას.

გრიგალმა როგორც კი ჩაგვიქროლა, მერეღა მივყევით რინადორე და მე ნიაღვრის დანატოვარ კალაპოტს. ჩვენ გვერდით ნოგოვიცინის გვარდიე-

ლები მოდიოდნენ. მათ თავად ნოგოვიცინი მიჰყვებოდა და რუსულად აძლევდა ბრძანებებს, მოეხიკათ დროშები. ერთ გოგონას, რომელიც დედაქალაქელი სტუმარი იყო, თავად მიმართა, მომეცი დროშაო. დაბნეულმა გოგონამ მისცა, მერე კი, როცა ნოგოვიცინმა დაკუჭა და ჩანთაში ჩაიჩურთა, გონს მოეგო და დაუწყო ქაჩვა ხელზე, „დამიბრუნე ახლავეო". „წადი, დამანებე თავი, მე შენი!.." – ავად შეუღრინა გენერალმა. მე და რინადორემ ძლივს დავიყოლიეთ გოგონა, თავი დაენებებინა და ჩვენთან ერთად წამოსულიყო. მალე იონიხის საფიხვნოს მივუახლოვდით: იონიხი აგურის ორსართულიანი ლამაზი სახლის წინ იყო, ქუჩაში მშვიდად სცემდა ბოლთას და ყოველ სიახლეს მშვიდად ისმენდა. კუთხეში ჩიღაი ცხაპისკუ იდგა, მობილურის მიღმიდან, რომელიც ნახევარ სახეს უფარავდა, სასაცილოდ აცეცებდა თვალებს და გამალებული საუბრობდა, აშკარა იყო, ურსუსისკუს უყვებოდა ყველაფერს.

ბოლომდე გაჰყვა სულხან ურსუსისკუს ამ მიტინგზე არყოფნის დარდი. იმდენად დასწყდა გული, რომ შემდეგ, როცა დოჟი მოსკოვში იხრჩობოდა – გულანშაროს კი არა და, ძალაუფლების ნოსტალგიით – შემდეგაც, როცა საბოლოოდ გაიყარა იონიხისა და მისი გზები, აზეიმებულ გულანშაროელებთან მოიტყუა კიდეც: მე იმ მიტინგის დროს გულანშაროში ვიყავი, ერთ კეთილ ოჯახში შემიფარეს და ხაჭაპურით გამიმასპინძლდნენო (გულანშაროს ხაჭაპური განთქმულია, ჩვენებურ მეგრულს ჩამოჰგავს: ოღონდ ესაა, კვერცხს არ უშვებიან და უფრო კანოეს ფორმა აქვს). მასთან დარჩენილ თანამებრძოლებსაც კი შერცხვათ პრეზიდენტის ამ სიცრუის.

თუმცა ეს მერე იყო, როცა უზურპატორების ჩამომხობისთვის ბრძოლა წარმატებით ჩაამთავრეს „ახალი ეროვნული მოძრაობის" წევრებმა და ერთმანეთს ძალაუფლების გადანაწილებისათვის დაეძგერნენ, აწ უკვე ნამდვილი დემოკრატიული წყობის დამყარების სახელით.

ჯერ კი მშვიდად ბორგავდა საფიხვნოს წინ იონიხი და ახლა თვითონ ესაუბრებოდა ურსუსისკუს; ყოველ შემთხვევაში, გავიგონეთ, როგორ თქვა, „არა, არა, ნუ ჩამოხვალო". ჩვენ არაფერი გვითქვამს, თვითონ გვკითხა ღიმილით მე და რინადორეს: „გადარჩითო?" შემდეგ კი ერთ პუტკუნა, სამოც წლამდე, საკმაოდ კომიკური გარეგნობის მამაკაცს მიუბრუნდა:

– შენც აქა ხარ, ფონიას?

– ა, ხედავთ, მიცნო?! – გაიღრიჭა ფონიასი. როგორც გაირკვა, მას მოგვიანებით ჰქონია თავისი როლი დოჟის სცენარში: მიტინგის ბოლოს კამერების წინ უნდა ეგინებინა დედა, გაჭრილად, იონიხისთვის. სწორედ ფონიას ჩიჩიესკუ მეთაურობდა იმ ათეულს თურმე, ვინაც დაურბია ოჯახი იონიხს და მიმოულეწა ბინა ათიოდე წლის წინ, დოჟის ბრძანებით. დაგლახაკავებულ-დაჩიავებული იყო, მხოლოდ დიდრიხმა იცნო და უთხრა იონიხს. გაბადრული ღიმილით უმზერდა იონიხი. გაოცებული და დაბნეული აცეცებდა თვალებს ფონიასი და აღარ იცოდა, როგორ გადაეკეთებინა სცენარი თავისი ნებით, როლიდან აშკარად ამოვარდნილს. მაინც მოახერხა იმდენი, რომ ვითომ შეუმჩნევლად და, თავისი ჭკუით, ღირსეულად გაშორდა „ახალი ეროვნული მოძრაობის" საფიხვნოს.

რინადორე და ნოემა ერთად წავიდნენ. ნოემას ბავშვები ელოდნენ სტუდიაში. წამის რაღაც მეასედში მოვასწარი მომეკრა თვალი, როგორი მზერა გააყოლა იონიხმა მას და ისე ჩამოჯდა საფიხვნოს წინ ძელსკამზე, თითქოს ყოველგვარი ხალისი დაეკარგოს.

უკვე გადავლილი გვეგონა გრიგალი, თუმცა კოლი ანდროსკუ ასე არ ფიქრობდა: გამომძვრალიყო დოჟი მაგიდის ქვეშიდან, ბუნკერიც მიეტოვებინა და სასტიკი ბრძანებები გაეცა. ათასამდე გვარდიელი, სამოქალაქო ტანსაცმელში, მოუახლოვდა საფიხვნოდ ქცეულ სახლს. სპორტსმენებმა მოასწრეს იონიხისა და სხვა ლიდერების შენობის მეორე სართულზე აყვანა და რკინის კარების შიგნიდან ჩარაზვა, თუმცა მანამდე კიდევ ერთხელ მოახერხეს ქლეს მერბიელისკუს დათრევა კარაბინერებმა და ტვინის შერყევამდე ურტყეს.

შემდეგ კი ამბობდა იონიხი, როცა ქლესი პრეზიდენტის ბანაკში დარჩა და თანამებრძოლებს დაუპირისპირდა, რომ „ქლეს მერბიელისკუ ნაღდად ვერ გადარჩებოდა, ტვინის ნასახი მაინც რომ ჰქონოდა, ტვინის შერყევით გააფრთხობდა სულს იმავე დღესო". ეს – მერე, მანამდე კი მორაგბეებმა გამოჰგლიჯეს ქლესი გვარდიელებს და ზემოთ ჩაკეტეს, სხვა ორგანიზატორებთან ერთად.

კოლი ანდროსკუ რკინის კარების აფეთქებას აპირებდა, მაგრამ „სი-ენ-ენი" პირდაპირ ეთერში გადმოსცემდა თურმე ამ „ბასტი-ბუბუს" და დოჟმა დაურეკა, „დღეს შეეშვით ლიდერებსო". მე, არძა ართიხი და რამდენიმე არალეგალური გულანშაროელი ოფისის პირდაპირ, სადარბაზოსთან ვიდექით. ჩვენ გვერდით რამდენიმე უცხოელი, საერთაშო-

რისო ორგანიზაციის წარმომადგენელი გატრუნულიყო, არჩევნებზე დასაკვირვებლად რომ იყვნენ ჩამოსულნი. არ ვიცი, მათ უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს დაუთეთქვაობას იმ დღეს თუ, უბრალოდ, ვერ გვიცნეს, თუ სულაც მასხრად აგვიგდეს, ფაქტია, რომ ხელი არ დაგვაკარეს. უბრალოდ, თავაზიანად ჩამოართვეს დამკვირვებლებს კამერები და ფოტოაპარატები, სულ ღიმილით ჩამოგლიჯეს ჩვენ თვალწინ კუნძულის, ურსუსისკუსა და იონიხის პლაკატები. დიდი ბანერი წარწერით „ძირს დოჟის დიქტატურა" თვითონ უშიშროების მინისტრმა ჩამოხსნა, დაკეცა და თქვა: „თითის ანაბეჭდებს ავიღებთ და ვინც ეს გააკრა, აუცილებლად დავაპატიმრებთ გულანშაროს კონსტიტუციის პრეამბულის დარღვევისათვისო" (დოჟის ღირსების შეურაცხყოფა ისჯება კანონითო – ასე ეწერა პრეამბულაში, თუმცა იონიხი ამბობდა, შეუძლებელია დოჟის ღირსების შეურაცხყოფა, ჯადოქარი უნდა იყო ან შემოქმედიო).

შემდეგ შტაბს მიუბრუნდნენ, მოჭარბებული მთამსვლელური ნიჭი გამოამჟღავნეს, მეორე სართულზე კედლებიდან აცოცდნენ და დროშები და პლაკატები ჩამოგლიჯეს; საფიხვნოს პირველ სართულზე ვიტრინები და რკინის გისოსებიანი კარი შელეწეს და დოკუმენტები გამოყარეს; ნაწილი აარჩიეს უშიშროების მინისტრის მეთვალყურეობით, ხოლო დანარჩენი – პლაკატები (რომლებზეც ურსუსისკუ და იონიხი იყვნენ ერთად გამოსახულნი და ღიმილით მოუწოდებდნენ გულანშაროელებს, ეცხოვრათ დოჟის გარეშე, და რომელიც აცოფებდა დოჟს, ხოლო მისი რუსეთში გამზითვების შემდეგ – ურსუსისკუს), ასევე, სხვა ათასგვარი რეკლამა, ათამდე

კომპიუტერი, სკამები, წიგნები „ახალი ეროვნული მოძრაობის“ წევრების ავტორობით, საარჩევნო პროგრამები – ყველაფერი საფიხვნოს წინ მოაქუჩეს და კოცონი დაანთეს.

საკუთარ მოედანზე ვეებერთელა შეცდომა დაუშვა დოჟმა, მთელმა მსოფლიომ პირდაპირ ეთერში იხილა ყოველივე და დოჟის ხელისუფლება ოფიციალურად გააფორმა დოჟიზმად. თავისმა ფულისმიერმა ევროპელმა მეგობარმა შიმლერმაც ველარ უშველა დოჟს, ეს იყო მწვერვალიდან დაშვების საწყისი. იჩქარა დოჟმა, როცა თავი ღვთის სწორად და გულანშაროს თვითმპყრობელად გამოაცხადა. მისთვის ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ მწვერვალზე მყოფმა, ამ მიტინგის დარბევით ბაგირები გადაყარა უფსკრულში. დარწმუნებული იყო, არ დასჭირდებოდა მწვერვალიდან დაშვება. არადა, უკვე იყინებოდა იმ სიმაღლეზე, საფიხვნოს წინ დანთებული კოცონი ველარ ათბობდა, თანაც მალე ჩაქრა ცეცხლი, არ იწვოდა კარგად პლაკატები და პლასტმას-შუშის კომპიუტერები. არა, ნაღდად ჩაიყინებოდა დოჟი მწვერვალის უგურყელებსა და ჩაზვინულ იწროებში, უფრო კი – ჩაიუფსკრულებდა, რუსების მაშველთა ვერტმფრენს რომ არ მოესწრო დიპლომატ ივანოვის მეთაურობით, რომელიც გამოირჩეოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში რუსთა მფარველობაში მყოფი დიქტატორების მშვიდობიანი დაბინავებით; საქართველოშიც ხომ სწორედ ის იყო იმავე მისიით, თანაც ორჯერ.

მაგრამ ეს მერე იყო, კარგა ხნის მერე. იმავე საღამოს კი საფიხვნოს წინ ვიდექით მე და ჟინპისტი. მან დაურეკა საფიხვნოს მეორე სართულზე ჩაკეტილთ და გაიგო, რომ, იონიხის გარდა, ყველა სას-

ტიკად იყო ნაცემი. წააგო დოჟმა ინფორმაციული ომი და იძულებული გახდა, ლიდერებისთვის ქალაქის დატოვების ნება მიეცა. ეუთო-ს წარმომადგენლების თანდასწრებით ჩასვეს ჩილაი ცხაპისკუ (პერანგის საყელო მორღვეოდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ყური ჰქონდა ახეული), ჯეიკობ დაშდუხი, ჯვეშ ჯუინელი და კიდევ რამდენიმე ცნობილი სახე „ლიმუზინში" და დედაქალაქისკენ წაიყვანეს. ქლეს მერბიელისკუ გულანშაროს საავადმყოფოში დააწვინეს, იონიხმა კი უარი თქვა ქალაქის დატოვებაზე, „სანამ არ დავრწმუნდები, რომ გულანშაროელებს არაფერი ემუქრება, არ ნავალო". ვერაფერი შეცვლიდა იონიხს, ლამის მთელი სოცსისტემის ქვეყნების ციხეებში შვიდწლიანი პოლიტპატიმრობის, განსაკუთრებით კი, ვაცლავ ჰაველთან ერთად საპყრობილეში გატარებულ ცხრათვიან გამოცდილებას – ასე შურით რომ უყურებდა ურსუსისკუ და ლამის სიზმარასავით სთხოვდა, დამითმე შენი ბიოგრაფიის ეგ ნაწილიო – ვერაფერი წაართმევდა.

ცდუნება

განსაკუთრებით დედაქალაქელი სტუმრები იყვნენ ნაცემ-ნაგვემნი, თუმცა შუაღამისთვის ყველანი გავისტუმრეთ გულანშაროდან. მხოლოდ ქლესის საქმე იყო შემაშფოთებელი; საავადმყოფოდან ვერ მოგვყავდა, იქ კი ის გვაფიქრებდა, ღამე არ გასწორებოდნენ. მეორე დილით იონიხმა და საფიხვნოს რამდენიმე სხვა წევრმა გვალასქურში წაიყვანეს ქლესი, თავის მშობლიურ სოფელში აიყ-

ვანეს, ხეობისთავში. სანამ განახლებულ ეროვნულ მოძრაობაში ჩააბამდა უბაცე, სწორედ აქ დასცა სავანე და მეფუტკრეობით ირჩენდა თავს ქლესი. ამიტომ ეხუმრა ჟინპისტი მერე, დიდი ხნის მერე, როცა ურსუსისკუმ პირველკაცად არ დაამსჭვალა გულანშაროს და მხოლოდ ჯანმრთელობის კომისიის თავმჯდომარეობა აკმარა, „ახლა გულანშაროში წამლები სულ ფუტკრის ნესტრისგან დამზადდებაო". სოფელში ცოტაოდენი ფული და წამლები დაუტოვეს და გამობრუნდნენ გვალასქურში. იონიხმა გადაწყვიტა, გვალასქურის საფიხვნოც მოენახულებინა, უბაცე მეღრალიშიც მიჰყვა საფიხვნომდე და რამდენიმე სხვა გვალასქურელიც. მას მხოლოდ ერთი მეგობარი ახლდა, რომელსაც მძღოლობა შეეთავსებინა. არადა, ეხვეწნენ ლიდერები იონიხს, წამოდი ჩვენთან ერთადო. „ახლა ასე მალულად რომ წავიდე, მაშინ არასოდეს არ უნდა დავბრუნდე ჩემს ქალაქშიო!" იონიხმაც კი არ იცოდა, რომ მეორე მანქანით კუნძულის მთავარი ოპოზიციური ტელეარხის ოპერატორი და ჟურნალისტი მოჰყვებოდნენ. გვალასქურის შესასვლელში ის კი შენიშნეს, რომ ორი მანქანით დოჟის გვარდიელები ჩაუკვალდაკვალდნენ, მაგრამ ნირი არ შეუცვლია იონიხს. აი, მის მეგობარს, შკურნა ფილიხს კი ააკანკალა. შემდეგ იგონებდა შკურნა, იონიხმა მითხრა: „რაც უნდა მოხდეს, არ ჩაერიო, მათ შენ არ სჭირდები, როგორმე გადამიყვანე გაღმაო". ეკრანზე ჩანდა გვალასქურის ოფისის წინ, დამსხვრეულ ვიტრინებთან, ჩაფიქრებული იონიხი; შემდეგი კადრი იყო, რა იმედიანად ესაუბრებოდა მის ირგვლივ შეკრებილ საზოგადოებას. ეტყობა, მეტი ველარ მოითმინა დოჟმა, სძლია ჩინგისხანის დროინდელმა მონღოლურმა

წარსულმა და საბოლოოდ ყველა გულანშაროელს შიშის სარეცელზე დაუპირა ცახცახით განრთხმა: გვალასქურის გასასვლელში გააჩერეს იონიხის მანქანა და ეს იყო დოჟის მეორე, გულმოდგინედ მოფიქრებულ-განჩინებული, საბედისწერო შეცდომა, წინა დღიდან მოყოლებული, თუმცა ზოგადად ამ საფეხურს მიღწეულ დიქტატორთათვის გარდაუვალი: ოპერატორის თვალწინ გადმოათრია იონიხი მანქანიდან ათიოდე სამოქალაქო სამოსში გადაცმულმა უძინართა ლეგიონერმა და დინჯად, გეგმაზომიერად, წესების გარეშე ბრძოლის ილეთებით გვემა. შკურნა კი გადმოვიდა მანქანიდან, მაგრამ საჭის მხრიდანვე აეყუდა მას და როგორც იონიხმა დაარიგა, ელოდა, როდის მორჩებოდნენ თუ გაძღებოდნენ იონიხის ბეგვით, რომ იქნებ ცოცხალი გადაეყვანა პოლისის ადმინისტრაციულ საზღვარზე. იონიხი ჰყვებოდა მერე, „ათას ციხე-ციხე ნათრევმა, ინსტინქტურად დავიფარე თავზე ხელები და იმასღა ვფიქრობდი, თუკი გადავრჩი და გადავფოფხდი მდინარე ჟირწყლის (გულანშაროსა და დანარჩენ კუნძულს შორის ადმინისტრაციულ საზღვართან მოწანწკარე მდინარე) გაღმა, ამ ციდამტკაველა ტირანს კი გაუდნა ყინულისგან შეკრული ტახტიმეთქი“.

„ოლიმპია მონიკა“

მგონი, არც დაუკაკუნებია, ისე შემოაღო კარი რინადორემ. საწოლზე ვიყავი ინახით მიწოლილი და ნიმფაზე ვფიქრობდი. სეირნობისას მოვკარი თვალი. ლეტასქურის ნაპირის გაყოლებაზე მიყვარდა

ბოდიალი. ჟინპისტის სახლიდან მოვდიოდი, სადაც მართა გვიყვებოდა, როგორ მოინათლა და (გვალასქურიდან იყო, ქლეს მერბიელისკუს დასში ითვლებოდა ადრე, სანამ გათხოვდებოდა) მთელი სოფელი შეაწრიალა თურმე ყუბ ემფთისკუმ, გამგებელმა, „სადაა, სახალხოდ უნდა ჩავქოლოთ ეგ კუთხის მოღალატე, ორფეოსის მადლი გასწყრომია მაგ არარაობასო!" იცინოდა მართა: „ორფეოსი ჰგონია მაგას ჩვენი რელიგიის აღიარებული ღმერთი, დარწმუნებულია, პელაზგიაში ასე სწამთო".

მდინარე არ იყო დიდი, უფრო არხიც კი ერქვა, მაგრამ სანაპირო თუ კალაპოტი ჰქონდა ულამაზესი, სულ მრავალფერი ყვავილებით მოჩითული, რაც ზღაპრულ სილამაზეს სძენდა, წალკოტს გაგახსენებდა ქვეცნობიერად კი არა, ცნობიერადაც, ოდესღაც ერთი ნაკბეჩისთვის თუ პირველდედის აღუვსებელი ცნობისწადილის გამო რომ დავკარგეთ. იმ მხარეს არასოდეს მისეირნია. შეიძლება, მინდოდა კიდეც, ბოლოს და ბოლოს, კვარტუმის სახლის დანახვა. ვგონებ, არ ვუტყდებოდი საკუთარ თავს, თორემ სწორედ იმის იმედი მქონდა, იქნებ ნიმფას მოვკრა თვალი-მეთქი. ზღვისპირად ჰქონდა კვარტუმს ორსართულიანი სახლი, ტერასებიანი აივნებით. პირველი ცოლისგან დარჩა, ქალაქის პირველი საბჭოს ხმოსნის, ბარონ დალფონსის შვილიშვილის ქვრივისგან, პოლონელი ქალბატონისგან. ათი წლით მასზე უფროსი იყო განსვენებული ბარონესა და კვარტუმის აწგარდაცვლილი მეუღლე. მაშინ გულანშაროს მერის თანაშემწედ მუშაობდა, როცა კვარტუმს შეჰყვარებია სტუდენტობისას, როგორც დიდრიხი მიყვებოდა. უცნაურად ლამაზი სახლი იყო, წითელი და მწვანე ხელოვნური ქვით მოპირკე-

თებული, სახურავამდე აჭიმული ერკერებით; იმაზე მდიდრად წარმოაჩენდა მის პატრონს, ვიდრე სინამდვილეში იყო. მხოლოდ მონაყოლით ვიცოდი ამდენ ხანს. სანამ არ იქორწინეს ნიმფამ და კვარტუმმა, მანამდე აზრადაც არ მომსვლია მისი ნახვა, არადა, გულანშაროში იმდენს დავეხეტებოდი, ლამის ზეპირად ვიცოდი მისი ყველა ქუჩა, ჩიხი თუ შუა საუკუნეების ისტორიული შენობები. ქალაქის ჩრდილოეთ სანაპიროსთან, მდინარის ზღვასთან შეერთების ადგილას, ვეებერთელა ხიდით მარცხენა სანაპიროსკენ გავუტიე და შუაგზაზე, ხიდის ყველაზე ამაღლებული ადგილიდან მოულოდნელად გამოჩნდა კვარტუმის სახლი. ჯერ იყო და, მის ცნობას რაღა უნდოდა, მერე კიდევ ახლომახლო არც ერთი სხვა სახლი არ იდგა; ჰქონია ბარონესას გემოვნება-მეთქი, გამიელვა ფიქრმა. სახლი მაღალ ხიმინჯებზე იდგა, ეტყობოდა წყლის კვალი, სეზონური წვიმებისას მარტის ესხერებში სანამდეც აღწევდა. ხიმინჯებს შორის საკმაოდ მოზრდილი, ორჩხომელმზიდზე შემდგარი, სადღაც ხუთკაციანი თეთრი იახტა მოჩანდა, კიჩოსკენ გადაკეცილი ანძით, შავი „კადილაკის" უკან. ტერასაზე, ლამაზი ქოლგის ქვეშ მაგიდას უსხდნენ კვარტუმი და ნიმფა. ნიმფა სახით ჩემკენ იჯდა და სადღაც, ჩემ უკან, შორეულ მთებს გასცქეროდა. სასწრაფოდ გამოვბრუნდი უკან, როგორც სოხუმის მისადგომებთან ბოლო შემოტევებისას. თუმცა დარწმუნებული ვიყავი, შემნიშნა ლედიმ ამ აწოწილ ხიდზე მისკენ მოცქერალი. ვერაფრით ვიშორებდი ფიქრებს, ნიმფაზე ფიქრებს: ლამის შიშველი იყო ნიმფა, საცურაო კოსტიუმში, ყვითელ, ოქროსფერში გარდამავალ, მოელვარე ლიფში გამოკვართული.

და როცა „მულღაზანზაროში“ ჩემს ოთახში შემოსული რინადორე დავინახე – ისე იყო ლოგინი, რომ კარის გაღებისთანავე ვერ ხედავდი, ვინ შემოდიოდა (ერთფეროვანი, სოციალიზმის ჟამს აგებული სასტუმროები, ბორდელის ქალებივით განურჩევლები და ერთნაირები იყვნენ ყველგან. ჯერ პატარა შემოსასვლელივით იყო, რომლის მარჯვნივ ან მარცხნივ სააბაზანო იყო და მერე იწყებოდა მთავარი ოთახი) – ჰოდა, როცა რინადორე დავინახე, გამიხარდა, ნიმფაზე ფიქრებს მოვიშორებ-მეთქი. მაგრამ მალე მას საკმაოდ მოზვინული, სიმსუქნე კარგადშეპარული მამაკაცი მოჰყვა ფეხდაფეხ. გუნება უარესად წამიხდა და უნდილად წამოვდექი ლოგინიდან. გარდა იმისა, რომ არავის – უცხოს – დანახვა არ მინდოდა, მით უმეტეს არაფრად მინდოდა, ვისთანაც წევხარ, იმ ქალის ოჯახის წევრი მამაკაცის ასე მოულოდნელად თავზე წამოდგომა. მაინც ქართველურ-ტრადიციულად შევშფოთდი. რინადორემაც შემატყო ნაძალადევი ზრდილობიანობის მიღმა დაგუბებული სიბრაზე და იღიმებოდა თავისთვის, მაგრამ ჩემს დასანახად. თითქმის არ ამოულია ხმა რინადორეს ძმას, ჩუმად გამეცნო; ხელის ჩამორთმევისას, „პარვე წყონდაშიო“, – მითხრა და სასწრაფოდ მიუჯდა საწოლის პატარა კარადას, სადაც საბეჭდი მანქანა იდგა, და დაუწყო კირკიტი. რინადორემ ყავა მოგვიდუღა, მერე – როგორც ჩანს, საკუთარი ეზოდან წამოღებული – ატმები ამოალაგა ჩანთიდან და მაგიდაზე დააწყო; პატარა განჯინაში კი თიხის ორი ნახევარლიტრიანი ქილით მაწონი შეაწყო. მიუხედავად იმისა, რომ შეეცადა არ დამენახა, მაინც მოვკარი თვალი და უსასრულო განწირულობისა და ნაღველის შეგრძნებამ საზიზღრად

დამიარა სხეულში, ყველა ძვალს ჩამოჰკრა თითქოს პიანისტმა გაწაფული, მაგრამ უხეში თითები. შემაჟრჟოლა, რაც შენიშნა რინადორემ და ცოტათი ნირწამხდარმა შემომხედა. პარვე აუღელვებლად, უდიდესი ინტერესით უკირკიტებდა საბეჭდ მანქანას, გრაფინიას ნაჩუქარ 1974 წლის „ოლიმპია მონიკას". თითქმის ბოლომდე დაშალა. მე უიმედოდ და საკმაოდ შენიღბული ბრაზით ვუმზერდი, დარწმუნებული ვიყავი, ვერ გააკეთებდა. მით უმეტეს მაშინ გამიმძაფრდა ეს შეგრძნება, როცა ხუფი ვერაფრით ვერ მოარგო და ნახევარი საათი იწვალა; მოხსნიდა, რაღაცას შეუჩხიკინებდა, მოსინჯავდა, ველარ არგებდა, მოხსნიდა ისევ და თავიდან ცდილობდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხუფი ჩატკაცუნდა და ახლა კლავიშებზე გადაერთო. და აი, მაგ წამს დავიჭირე მის სახეზე ატმასნული სიამოვნების ღიმილი: მთელი შეგრძნებით განიცდიდა სიხარულს და მივხვდი, რომ შეაკეთებდა, და, ჩემდა მოულოდნელად, მადლიერების შეგრძნებამ გამითბო გული.

– მორჩა, საათივით იმუშავებს, ოდი... ოდი ხომ გქვია? რინადორემ, ორთაო, და დავიბენი, – გაიცინა გულიანად.

– მეგობრები ორთას მეძახიან, – გამეღიმა მეც.

– ხანდახან, აი, ამ ადგილას ზეთი ჩააწვეთე, სულ ერთი ან ორი წვეთი, აგერ დაგიტოვებ, ეს მთელი საუკუნე ეყოფა, – პატარა, ალბათ ორასგრამიანი, უცნაურ გრძელთავიანი ალუმინის მათარასავით საწყაო დამიტოვა.

– არა, როგორ გეკადრებათ, ვიყიდი თვითონ.

– რატომ უნდა იყიდო, ან სად უნდა ეძებო, ამის მეტი რა მაქვს?! – გაიცინა პარვემ და საჩქაროდ ჩა-

ანყო სხვა ხელსაწყოები ლამაზ, ტყავის, საკვოიაჟის სტილის ჩანთაში.

რინადორე ღიმილით, მიმტევებელი დიდსულოვანი ღიმილით გვიმზერდა ორივეს.

– რინა, ჭირიმე, მე გავიქცე უნდა. კიდევ ხომ არ გჭირდებათ რამე? – მოგვიბრუნდა ორივეს.

– არა, რას ამბობთ, ისედაც შეგაწუხეთ...

– ახლა არაფერი, პარვე, საყვარელო. რომ დარჩე ცოტა ხანს, კარგი იქნებოდა, ისე.

– არა, ვერაფრით! აბა, კარგად... – ხელი ჩამოვართვი მადლიერმა და დერეფნის ბოლომდე, ლიფტის კარამდე მივაცილე. ხანდახან გვქონდა ბედნიერება და ლიფტიც მუშაობდა.

მეცამეტე ჟამის მევენახეები

თუკი 9 ოქტომბრის მიტინგი ლიდერების პროვოკაციად შეფასდა, იონიხის ცემა-ჯგლეთას უკვე ვერავინ აუარა გვერდი. „ახალი ეროვნული მოძრაობის“ მთავარმა ოპოზიციურმა კონკურენტმა კი, მოქმედი სენატის თავმჯდომარემ, ქალბატონმა უთოლ ლასგურასკუმაც ვერ დაფარა აღშფოთება და რიტორიკულად დასვა კითხვა: „გულანშაროდან მომავალი იონიხის ცემა უკვე რაღა იყო მაინც!“ არადა, წინა დღის მიტინგის დარბევაზე ამბობდა, „ვითარებას შევისწავლი, უპასუხისმგებლო ლიდერების საქციელსაც დავაკვირდები და მერე გავაკეთებ კომენტარსო“. გვიანი იყო: „ახალი ეროვნული მოძრაობის“ რეიტინგმა ერთბაშად საგრძნობლად მოიმატა და არა მარტო პელაზგიის პოლიტიკურ რუკაზე. კუნძულის არჩევნებამდე ერთი თვეღა

რჩებოდა, ხელისუფლების ბლოკის რეიტინგი ორი პროცენტი იყო, „ახალი ეროვნული მოძრაობის" – ოცდათვრამეტი, და სხვა კონკურენტ ოპოზიციურ პარტიებს მთელი ათი პროცენტით უსწრებდა. მაგრამ ურსუსისკუც შეაშფოთა, ჯერ კიდევ მაშინ, იონიხის ასერიგმა პოპულარობამ. ბზარიც მაშინ გაღრმავდა მათ შორის. ფარულად დაავალა მისგან მართულ ტელევიზიებსა და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურებსაც, იონიხი არ მოეწვიათ სტუდიებში და ინტერვიუც არ აეღოთ მისგან.

ხოლო მერე, მერე, როცა უკვე არც სულხანი დირიჟორობდა კუნძულზე და დოჟიც მოსკოვმა შეილუჟკოვა, აი, მაშინ, როცა იონიხმა თქვა, მე ცხრა ოქტომბრის მიტინგზე ხაჭაპურს არ ვჭამდიო, კიდევ ერთხელ ინანა ურსუსისკუმ ის სულელური ტყუილი და საბოლოოდ დაშორდა იონიხს.

თუმცა ჯერ მანამდე შორი იყო, ჯერ დოჟი იყო დასამხობი. დოჟი შეცდომებს კი უშვებდა, მაგრამ ქმედებით მოქმედებდა, არალეგალური გულანშაროელების იმედი – ირნელ კველაში დანიშნა განათლების მინისტრად. ამოიოხრა გულანშარომ, კიდევ ერთი კაცი დავკარგეთო. „სპილიაში" ვერავის გაეგო, როგორ დათანხმდა ირნელი. უკვე დოჟისტებსაც კი აეჭვებდათ დოჟის დარჩენა გულანშაროს თვითმარქვია პრეზიდენტად. აუდიტუსმა თქვა, „ხომ გეუბნებოდით, მაგ კაცს განპატიჟოფობია სჭირს-მეთქი!" საქმე ის იყო, რომ დოჟის გაქალაქისპირველკაცობამდე სწორედ ირნელი იყო განათლების კომისიის თავმჯდომარე და სწორედ დოჟმა მოხსნა სრულიად უმიზეზოდ, უმიზეზოდ, გარეშე თვალისთვის მაინც.

იონიხი გვეგულებოდა არალეგალურ გულანშაროელებს იმედად და სწორედ მასთან დაკავშირებით მოხდა ამოუხსნელი რამ: ურსუსისკუს გაპრეზიდენტების შემდეგ იონიხი არ ჩამოვიდა გულანშაროში. ერთნი ამბობდნენ, პრეზიდენტი უკვე აღარ ენდობა იონიხსო; მეორეთ მიაჩნდათ, რომ ჩამოვიდეს, იონიხს ნამდვილად მოკლავს დოჟი და დაიძაბება მდგომარეობაო. ასე იყო თუ ისე, იონიხმა დედაქალაქში ჩამოაყალიბა მოძრაობა „ორფიკული გულანშარო" და თვითონ თითქმის არ ჩანდა, ლიდერებად ნახევარკუნძულელები, წარმოშობის მიხედვით, ქლეს მერბიელისკუ, ღურა ფერი და ოჭვალარ ქრიმატასკუ დანიშნა. ქლესი და ღურა გასაგები იყო, ყოველთვის იყვნენ ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ ოჭვალარის გალიდერება ცოტა გაუგებარი დარჩა არალეგალური გულანშაროსთვის. გაუგებარი რა, საწყენი, თორემ მოტივები ადვილი გამოსაცნობი იყო: ის გულანშაროს ძირძველი მაგნატის შვილი იყო; ჯერ ერთი, თავისი გავლენებით ბევრს მოიმხრობდა ქალაქში და მეორეც, დოჟის დამხობას აშკარად სჭირდებოდა ბლომად ოქროს გულდენები. ოჭვალარი კი, როგორც ამბობდნენ, საკმაოდ ხელგაშლილი იყო. დიდრიხი ახსენებდა ხშირად, რომ ის ერთხელ საკმაოდ გულუხვად დაეხმარა მას, როცა კენგურუების ფერმაც გაუნადგურა დოჟმა და უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა. ამ სამი ლიდერიდან გულანშაროში მხოლოდ ღურა ფერი იმყოფებოდა. ქლესი და ოჭვალარი რომ ჩამოსულიყვნენ, იონიხის არ იყოს, ტყვია არ ასცდებოდათ, ღურა კი თავიდანვე აქ იყო; თან „ახალი ეროვნული მოძრაობის" წევრი არ ყოფილა და ფიქრობდნენ, იმდენად არ გააღიზიანებდა დოჟს. ასე რომ, მოუწევდა ღურას,

მოსალოდნელი მკვლელობის ზღვართან მოღვანეობას შეგუებოდა. თუმცა დიდრიხი ამბობდა: „სწორედ ღურამ დაარწმუნა ლიდერები, არ ჩამოხვიდეთ, თორემ გაგაგორებენო; ამასობაში კი თვითონ იგდო ხელთ ბელადობაო". ეს დიდრიხი ამბობდა ასე; ასეთ დროს ასეთ წვრილმანებზე ფიქრის თავი მხოლოდ მას ჰქონდა. დაიბნა გულანშარო. ღურამ არალეგალურ გულანშაროელებს ალმაცერად დაუწყო ცქერა. იცოდა, ისინი იონიხის ამღიარებლები იყვნენ, თუმცა იმას ვერ ბედავდა, მთლიანად უარეყო. ხვდებოდა, დოჟს მხოლოდ არალეგალური გულანშარო თუ დაამხობდა, ურსუსისკუსთან დადებული მთავარი პირობა კი სწორედ ეს იყო. მაგრამ ასე გამოდიოდა – საქმე არალეგალურ გულანშაროელებს უნდა გაეკეთებინათ, მმართველი რგოლი კი ღურა ფერის გემოვნებით უნდა დაკომპლექტებულიყო. საფიხვნოს უფროსად გილარდე უსენისკუ დანიშნა; ის, მართალია, თავის დროზე ვაჭრად ვერ აქცია დოჟმა, მაგრამ წერა მიატოვებინა და ურსუსისკუ რომ არ მოსულიყო პრეზიდენტად, კაცმა არ იცის, რომელ გზას გაუყვებოდა. საფიხვნოს წევრად უკულ ლუდაუშეც შეიყვანა – ის ჯერ კიდევ მერობისას გაავაჭრა დოჟმა, თუმცა ისე, რომ თვითონაც ვერ ხვდებოდა და არალეგალურ გულანშაროელებს ძველებური რიხით ესალმებოდა. ასევე მთავარ წევრად შეიყვანა საფიხვნოში უსენ პოპლიკასკუ, რომელიც ურსუსისკუს გაპრეზიდენტებამდე ორიოდე თვით ადრე დოჟის გუნდში იყო. ეს კი იმით ახსნა, „დოჟის მომხრეებიც უნდა წავახალისოთ, რომ ჩვენკენ გადმოვიდნენო". უსენ პოპლიკასკუ თავის დროზე მხატვარი იყო; ერთ-ერთ პირველთაგანს მას წაავლო კლანჭები დოჟმა – სახელიანი გვარის

წარმომადგენელი გახლდათ ყინულიანი გულანშაროს კანტონიდან, და ერთ დროს, შუა საუკუნეებში, პოლისის მმართველებიც კი იყვნენ მისი წინაპრები, – ჩაავლო კლანჭები და დაითრია, მრავლად აკეთებინა ბნელი საქმეები, ვაჭართუხუცესადაც კი დააწინაურა. ეს მეორე სახელო იყო გულანშაროში. ამბობდნენ, დოჟმა წინასწარ გათვალა და რამე რომ მოუვიდეს, უსენს დატოვებს მემკვიდრედო. მასაც დოჟივით სძულდა კუნძული, პირწავარდნილი ათეისტი იყო, ეს მან უწოდა პირველად დოჟს პრეზიდენტი, ბოეთიუსის მოკვლამდე ორიოდე დღით ადრე, როდესაც ლამის თორმეტივე კანტონის უხუცესობა ჩამოიყვანა მიტინგზე დოჟმა, „გვჩაგრავენ ნახევარკუნძულელებსო". მაგრამ შეატყო უსენმა, კოლი ანდროსკუში ცვლიდა დოჟი, მერეტრიქს ბაკურისკუზე რომ აღარაფერი ვთქვათ, და უგანა.

გაუჭირდა არალეგალურ გულანშაროს უსენის მიღება. სხვა გზა არ იყო, ახლა სანუკვარ მიზანს დოჟის დამხობაღა წარმოადგენდა. აუდიტუსმა ისიც კი უთხრა ღურას, „შენ დოჟის აგენტი ხომ არ ხარო?!" გილარდემ საკმაოდ წონიან წევრად შემოიყვანა ლედი ნიმფა საფიხვნოში, პრესსპიკერის როლს ასრულებდა, ფაქტობრივად. ურსუსისკუსთან მისი სიახლოვის ჭორები უკვე დაფარფატებდა ქალაქში და ღურას წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, თუმცა უკვე თვითონ გილარდესათვის გახდა საკმაოდ აუტანელი, პრეზიდენტის სითბოთი განებივრებული ნიმფა როგორ გულცივად, მხოლოდ საქმიანად ექცეოდა მას. ეტყობა, პატრიარქალური გონებით, მტკიცედ სწამდა, რადგან სარეცელი გაიყო მასთან, სიკვდილამდე მისი ერთგული იქნებოდა ნიმფა. ნიმფასაც და ეპოქასაც ძალიან ცუდად იცნობდა გი-

ლარდე, მიუტევებლად ცუდად. თვითონ აუდიტუსი, ჟინპისტი, დიდრიხი, აგათოტეროსი და გრაფინია საფიხვნოს მხოლოდღა რიგითი წევრები იყვნენ, ტელევიზორის ეკრანებზე გამოჩენაში თუ უწყობდა ხელს ღურა მათ, თორემ რეალური ძალაუფლების მიცემას არც უპირებდა. შედარებით გულისხმიერად ჟინპისტს ექცეოდა. ჟინპისტი უგულწრფელესი კაცი იყო და თვით ღურაც კი მოხიბლა ამით; ვერ პატიობდა თავის თავს ღურა, თუნდაც ერთი წლით რომ დატოვა გულანშარო, იონიხის დასი, და კუნძულის ახალშექმნილი პარტიის „ეკონომიკური შოკის" წევრი გახდა. ამიტომაც ჰქონდა ქვეცნობიერი ზიზღი არალეგალური გულანშაროელების მიმართ. რატომღაც გრძნობდა მათ უპირატესობას და ცოფდებოდა, თუმცა ზღვა სამუშაოში ჩაძირულს ეს ჯერჯერობით არ ეტყობოდა. აუდიტუსმა მოახერხა და მეც შემიყვანა საფიხვნოში, ოღონდ სათათბირო ხმითღა, როგორც მიგრანტების წარმომადგენელი.

შეწუხებული ვესწრებოდი საფიხვნოს სხდომებს, მესამედსღა წარმოადგენდნენ არალეგალური გულანშაროელები, მეორე მესამედს – ნეიტრალური, თუმცა შემოქმედება რომ მიატოვეს და ვაჭრობა დოჟის შიშით ვერ დაიწყეს, ისეთები, მესამე მესამედი კი ყოფილი წონიანი დოჟისტები იყვნენ უსენის მეთაურობით. ერთი გაურკვეველი ბანაკის წარმომადგენელიც იყო, ქუდო სკიდისკუ, რომელმაც საფიხვნოს წევრობა იმით გაინაღდა, რომ დოჟისტებმა დრილები მიუქსიეს და დაკბენილ-დაფლეთილი გადაისროლეს ზამთრის ზღვაში, როგორც თვითონ ამბობდა მერე ინტერვიუში, მაგრამ როგორღაც მოახერხა, ოჭვალარ ქრიმატასკუს მიერ საფიხვნოს წევრებისთვის დარიგებული მობილურით ღურას

დაკავშირებოდა და გადაურჩა სიკვდილს. ადრე ვალუტისმიერი კავშირი ჰქონდა, როგორც ამბობდნენ, დოჟთან და როგორც ყოფილ „მათიანს", განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ. თუმცა მერე, დიდი ხნის მერე გაირკვა, რომ დოჟს კი არა, ყოფილი ცოლის ნათესავებს უცემიათ ასე გამეტებით. არადა, ღურამ ლამის გმირად შერაცხა საავადმყოფოდან დროებით საფიხვნოში ბორბლებიანი სავარძლით მოგორებული ქუდო, შემდეგ კი გულანშაროს დოჟგადაგდებული ეპოქის ხმოსნადაც შეაყვანინა ურსუსისკუს. სხვათა შორის, ის იყო პირველი, ვინაც დოჟისშემდგომ გულანშაროში გაფიცულები – მემწვანილეები დაარბია, ბაზრის ახალ შენობაში შედით და იქ ივაჭრეთ, ქუჩაში არ დაგინახოთო.

თუმცა ესეც მერე იყო. ახლა კი იმის შესახებ, რომ შეცდომებს შეცდომებზე უშვებდა დოჟი და საფიხვნოს წევრებიცა და, მთლიანად, ოპოზიცია უკვე პოსტდოჟისტური გულანშაროს სახელოებზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე ბრძოლის ტაქტიკასა და შედეგებზე. არალეგალურ გულანშაროელებს ყველაზე მეტად სწორედ ამის გვეშინოდა; არ ვფიქრობდით, რომ ასე ადვილად წავიდოდა დოჟი. მსხვერპლს ითხოვდა დრაკონი.

იონიხი ჟინპისტთან

გადავსებული საფიხვნოს შემხედვარეს ის მახსენდებოდა, თავიდან ათიოდე ადამიანი ძლივს რომ შემოიკრიბა იონიხმა; მაინც აშინებდათ არალეგალურ გულანშაროელებს დოჟის შურისძიება, ერთი

იყო „სპილიაში“ რომ შემოეხვეოდნენ გარს, მაინც კაფე იყო და დოჟის მოლმოსხმული გზირებიც კი ვერაფერს იტყოდნენ. აი, „ახალი ეროვნული მოძრაობის“ გულანშაროს ოფისში მისვლა კი აშკარა მხარდაჭერად ჩაითვლებოდა და ღმერთმა უწყის, რას მოიმოქმედებდა ტირანი; იმ დროს იყო მისი ძალაუფლების მწვერვალი, ცა ქუდად არ მიაჩნდა მაგ პერიოდში. მე და ჟინპისტი მივდიოდით ქუჩაში, ის-ის იყო, ლეტასქურის არხი უნდა გადაგვეჭრა პატარა ბოგათი, რომ ნელა მიმავალი ძველი „მერსედესის“ წინა სავარძელში, ჩამოწეული შუშიდან გულანშაროს უძველესი სახლებისკენ ნაღვლიანად მომზირალ იონიხს მოვკარი თვალი.

– ჟინპისტ, შეხე, იონიხი!

საჩქაროდ გააყოლა მზერა ჩემს საჩვენებელ თითს და როგორც კი დალანდა, იყვირა:

– ქრისტეფორე!

იონიხი წამსვე მობრუნდა ჩვენკენ და ეტყობა, მძღოლს უთხრა, გააჩერეო, რადგან ათიოდე მეტრში საკმაოდ მოუხერხებლად, ლამის შუა გამზირზე დაამუხრუჭა მანქანამ. ჩვენ სირბილით გადავჭერით ქუჩა და მანქანის უკანა სავარძელში მოვთავსდით.

– ჟინპისტ, ძმა ხარ, მაგრამ გეხვეწები, სხვა დროს ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ნუ ჩამაგდებ, ხომ იცი, ისედაც კუდზე გვასხედან! – საკმაოდ გაღიზიანებულმა უთხრა საჭეს ჩაფრენილმა და ნახევრად უკან მოტრიალებულმა შკურნა ფილიხიმ ჟინპისტს. უხერხულად შევიშმუშნე. იონიხი ხმას არ იღებდა, ჩუმად და უშფოთველად განაგრძობდა მანქანიდან გულანშაროს თვალიერებას.

– ბოდიშს გიხდი, შკურნა. ისე გამიხარდა თქვენი დანახვა, ვერ მოვითმინე! – როგორც სჩვეოდა, აღელვებით და გულწრფელად თქვა ჟინპისტმა.

– ზეგ ვხსნით გულანშაროში „მოძრაობის" საფიხვნოს. ძლივს დავითანხმეთ ერთი ძველთაძველი ქალაქელი, – მოგვიბრუნდა იონიხი.

– უფრო ის მიკვირს, რომ საერთოდ დაითანხმეთ ვინმე. ვინაა, მე არ ვიცნობ?

– კი უნდა იცნობდე, ჩვენზე წინ სწავლობდა, ჰელენ დე ცარესის მამა, კარგა ხანია დედაქალაქში ცხოვრობენ და უფრო იმიტომ დაგვითმო ალბათ.

– კი, ვიცნობ. მართლა კარგი კაცია, როგორც მე ვიცი.

– დღესვე მინდოდა, მაგრამ ნათესავები ჰყავს სტუმრად და ჰელენმა მთხოვა, ზეგამდე გვაცალეო.

– ფორე, რა ხანია არ ყოფილხარ ჩვენთან, ამ ღამეს ჩემთან რომ დარჩე?

კარგა ხანს არ გაუცია პასუხი, მერე მოსხეპით თქვა: – კარგი. შკურნა, მიგვიყვანე ჟინპისტის სახლთან და ხვალ დილით გამომიარე, თუ შეძლებ.

შკურნას აღარაფერი უთქვამს, უხმოდ მოუხვია ჰომეროსის ქუჩისკენ.

ჟინპისტს ბაბუის დანატოვარი ორსართულიანი, მაგრამ პატარა სახლი ჰქონდა, მინიატურული ეზოთი, ლეტასქურის არხს გადაჰყურებდა სამხრეთიდან. მიუხედავად მცირე ზომისა, ორი ლეღვის, ერთი კაკლის, სამი ზეთისხილისა და თითო ვაშლისა და ბლის ხე კი ხარობდა მის ბაღში. ცოლი გვიან შეირთო და ხუთიოდე თვის ბიჭი ჰყავდა, უილიამი. მის ცოლს, მართას, ძალიან გაუხარდა იონიხის დანახვა, მისი შორეული ნათესავი იყო და როგორც ადამიანსაც, ძალიან აფასებდა. იმ საღამოს კიდევ

უფრო გამოჩნდა, როგორი ინტელექტუალი იყო იონიხი, თითქმის არ იყო სფერო, რომელშიც საფუძვლიანად არ ერკვეოდა. ისე მარტივად აგვიხსნა პელაზგიის ურსუსისკუს მიერ შესწორებული კონსტიტუციის ნიუანსები და შესაძლო უარყოფითი შედეგები, შეუძლებელი იყო, არ დათანხმებოდი. მსოფლიოს თითქმის ყველა განსხვავებული ძირითადი კანონიდან მოჰყავდა მაგალითები ანალოგიებად და დაღეჭილ ლუკმად გვაძლევდა. ცოტ-ცოტას ვწრუპავდით გულანშაროულ ოცგრადუსიან ქანთელს, კამკამი გაუდიოდა ჭიქაში, ჭვავის მსუბუქი სურნელი დაჰკრავდა, ვარდის სურნელს შერეული, რასაც მართას მიერ ეზოში, პატარა თონეში გამომცხვარი, ჩვენებური ლავაშისმაგვარი, ოღონდ დისკოს ფორმის, უფრო სქელი და უფრო ხმიადი პურის დიდებული ოხშივარი ემატებოდა და ერთიორად გვიმდიდრებდა ნადიმს. ახალშემოტანილი ცხელი პური იონიხმა გახლიჩა ხელით და ორივეს მოგვაწოდა.

– ჟინპისტ, მოდი რა, ერთი წუთით. ბოდიში, მეგობრებო, – გაგვიღიმა მართამ, ერთ ხელში პატარა უილიამი ეჭირა, მეორეში კი – წყლის ჭურჭელი, სპილენძის ძველებური, გრძელხელიანი და მაღალყელიანი თუნგი.

– იყავი შენ, – უთხრა იონიხმა, სასწრაფოდ წამოდგა და თბილი წყლით სავსე ჭურჭელი გამოართვა მართას. მე და ჟინპისტიც წამოვდექით და აივნისკენ გავყევით მათ. ერთი სიამოვნება იყო იმის ყურება, რა რუდუნებით უსხამდა იონიხი წყალს პატარა უილიამის დაბანით გართულ მართას ხელებთან. ფიქრებით სადღაც შორს იყო, ოდნავშესამჩნევი ნეტარების ღიმილი დასთამაშებდა და ჩემთვის

გავიფიქრე, სრულიად უადგილოდ, ალბათ ასეთი სახე ექნებოდა, როდესაც ნოემას წერდა წერილებს-მეთქი.

მობორიალენი

ვერც რევოლუციური კატაკლიზმები შველოდა ძაღლის გვამს. სასტუმროსკენ მიმავალი ახლაც გაოცებული ვუმზერდი, მუმიფიცირებულს ჰგავდა ძვლებზე გადაკრულტყავიანი მძორი, რაღაც გამოუცნობ გრძნობას ინვევდა ჩემში, ამიტომაც მხოლოდ ჩავიღიმე და ისე ავუყევი სასტუმროს კიბის საფეხურებს. ოთახში, საწოლზე წამოწოლილი, სინანულით ვიხსენებდი სამსახურს, ვიცემენეჯერის ზიზღნარევ სიტყვებს, „ჩამოთრეულ ემიგრანტებს ვინღა გეკითხებათ დოჟის მოხსნა-არმოხსნას, შუბლს გაგიხვრეტ, მეორეჯერ რომ თქვაო"; მეც თავი ვერ შევიკავე და „შენგან კი ველი-მეთქი". ამაზე მთლად გაცოფდა ბერიკაცი, ჟინპისტი რომ არ ყოფილიყო, შეიძლებოდა, შეხლა-შემოხლაში გადაზრდილიყო; ჟინპისტმა უთხრა: „ეს კაცი იმას ამბობს, რასაც კუნძულის პრეზიდენტიო" (ურსუსისკუ უკვე ხმამაღლა მოითხოვდა, გადადგეს დოჟიო); დაშოშმინდა, „პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, შეუძლია თქვასო", აღიარა პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებები. თან შემატყო, რომ მიუხედავად მისი ასაკისა, უკან არ დავიხევდი. შემდეგ, იმის წარმოდგენაზე, რომ შეიძლებოდა ხელი დამერტყა ასაკით ამდენად უფროსი კაცისთვის, საკუთარი თავის მიმართ ზიზღის გრძნობა მიჩნდებოდა. სამსახურში უკვე აუტანელი იყო გაჩერება. გულანშაროს მაღალი ტექნოლოგიების მუზეუმში ვმუშაობდი, გრაფინი-

ას, აუდიტუსისა და ნოემას თავგამოდების წყალობით შევრჩი უნივერსიტეტიდან პრაქტიკებზე მყოფი მუზეუმს, თანაც ჟინპისტიც იქ მუშაობდა და ამიტომაც ვითმენდით. თითქმის არავინ იყო, ჩემსა და მის გარდა, არალეგალური გულანშაროელი სამსახურში. ერთი ფრანგოფილი მოვიდა შემდეგ, კოლო მუჯორიში, თუმცა ბოლომდე ვერც მე და ვერც ჟინპისტმა ვერ გავარკვიეთ, რომელი გილდიის წევრი იყო. ჩვენთან მეგობრობდა. ნოემას მეგობრის, წარმოშობით ქანაანელის, ორფა თირიხის მოსწავლე გახლდათ და ამის წყალობით დაგვიახლოვდა; ორფა თირიხი არალეგალურ გულანშაროელად ითვლებოდა, კუნძულის დასავლეთიდან იყო, თუმცა სტუდენტობიდან გულანშაროში ცხოვრობდა. ჩვენ ხუმრობით ქანაანელს ვეძახდით, რაც სიამოვნებდა. ფრანგულის სპეციალისტი იყო, განსაკუთრებით, გიიომ აპოლინერი უყვარდა და თარგმნიდა კიდეც. პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა მაინცდამაინც; ბავშვობაში ერთმა ხეიბარმა შეიყვარა და თავს არ ანებებდა, მისი შიშით მშობლებმა გულანშაროელ ასკერზე გაათხოვეს – მდიდარი გაგულანშაროელებული თურქი იყო, საკმაოდ სიმპათიური კაცი, მაგრამ თურქეთის სამსახურში მყოფი. თვითონ ირონიით ამბობდა, „ამას ისევ ის ხეიბარი ჯობდაო“. ორიოდე წელიწადში დაშორდა, მაგრამ ასკერი არ ეშვებოდა და გულს უწყალებდა, თუმცა ძმისა და არალეგალური გულანშაროს წყალობით ჩამოიშორა როგორღაც. ისიც ნოემასთან ერთად სტუდიაში მუშაობდა, თარგმნიდა ფრანგულიდან, საკუთარსაც წერდა; მაგრამ როგორღაც დასცდა ღურა ფერის ერთხელ: „ყველაფერს ნუ იტყვით მასთან, მაინც ასკერის ცოლყოფილიაო“. რა თქმა უნდა, მი-

უვიდა ორფას ეს სიტყვები და არ გაჰკარებია მას შემდეგ ღურა ფერისა და იონიხის პოლიტიკურ დასს, არალეგალურ გულანშაროელებთან ურთიერთობითლა შემოიფარგლებოდა. მე „სპილიაში“ გავიცანი, ჯერ არც დაქორწინებული იყო კვარტუმზე და, ბუნებრივია, არც განქორწინებული. ნოემამ გამაცნო, იმჟამად მასთანვე ცხოვრობდა ბინაში, ძალიან ახლობლები იყვნენ. ძმის ლექსებს კითხულობდა. პოსტმოდერნისტული ლექსები იყო, მერე ვთხოვე, გამაცანი ძმა-მეთქი, ღიმილნარევი ცრემლებით მითხრა: „როგორც კი დატოვებს იზოლატორს, აუცილებლად გაგაცნობო“. მერე და მერე გავიგე, მისი ძმა სწორედ იმ ჯგუფში ყოფილა, პირველად რომ აუმხედრდა დოჟს. ეს ადრეული წლები იყო. როდესაც კუნძულის პირველი პრეზიდენტი ავგუსტუსი დაამხეს და სულხანმა დაიბრუნა საბჭოთა დროინდელი ძალაუფლება, იმედმოცემულებმა, ყოფილი ვაჭართუხუცესის, ირდიხას ჩქილირდესკუს მეთაურობით, რომელიც თვითონ აპირებდა გადოჟებას, შეთქმულება მოუწყვეს დოჟს. ჯერ არც მემორიალი ჰქონდა შეღებილი ეკონიას, აგათოტეროსიც არ იყო მოხსნილი მაშინ, აი, ბოეთიუსი კი უკვე ჩაცხრილული ჰყავდა და საცხოვრებელი სახლის სარკმლიდან ზღვამდე ტერიტორია მოპრიალებული ჰქონდა. გეგმით, დოჟის ან შეპყრობა, ან მოკვლა სურდათ. ალყაში მოაქციეს დოჟის ბინა, სამი შეთქმული, ორფას ძმის მეთაურობით, შეიჭრა საძინებელში და დოჟის ცოლი, სამი ქალიშვილი და შვილიშვილი მძევლად აიყვანეს. მოესწრო რუსეთის უშიშროებას დოჟის გაფრთხილება და რუსეთის საკონსულოში იმალებოდა რუსი მედესანტეების მოსვლამდე, საკუთარი შეიარაღებული ძალების

ფორმირება ჯერაც არ დაეწყო და მხოლოდ კარაბინერების იმედად ვერ დარჩებოდა. მიხვდნენ მეამბოხეები, მთელი ოჯახიც რომ ამოეწყვიტათ, დოჟი მაინც არ ჩაჰბარდებოდათ. თანაც დოჟმა შემოუთვალა: „თუ სხვა დანაშაული არ გაქვთ ჩადენილი, ამას – თუკი ჩამბარდებით – არ გაზღვევინებთო". არ გაუტეხავს სიტყვა დოჟს: ცხრავე წევრს ჰქონდა, ან თქვეს, რომ გვაქვსო, ათასგვარ სისხლის სამართლის დანაშაულში ხელები ანაკაპინები. სათითაოდ დაამუშავა ყველა. სამმა ვერ გაუძლო წამებას და სული დალია. ექვსმა კი, ორფას ძმის ჩათვლით, სასამართლოში თავი რეციდივისტად გამოაცხადა. ერთი სვედავსილი ეშერელი ემიგრანტიც ერია მათში და სასამართლოს სხდომებს ორფასთან ერთად მეც ვესწრებოდი. მხოლოდ ახლობლებს უშვებდნენ, მე თავი ემიგრანტის ახლობლად გამოვაცხადე და მასწრებდნენ სხდომებს გაჩხრეკისა და ათიოდე კამერით დაფიქსირების შემდეგ. სამს განაჩენი – დახვრეტა გამოუტანა კუნძულის დედაქალაქიდან ჩამოსულმა უმაღლესი სასამართლოს წევრმა, ირდიხასისა და მისი ძმის ჩათვლით, რომელთაც ორგანიზება წაუყენეს ბრალად, დანარჩენთ კი – ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა, მათ შორის, ორფას ძმასაც. შემდეგ ჰყვებოდნენ, მოსამართლე ლეონიდე შიბონილისკუსთვის ყველა მათგანისათვის დახვრეტის მისჯა უთხოვია დოჟს, მაგრამ ვერ გაურისკავს ლეონიდეს. არადა, კუნძულზე სულხანის გაპრეზიდენტების შემდეგ მისი მოღვაწეობა სწორედ იმით გამოირჩეოდა, რომ სულხანი თავის მოწინააღმდეგეებს სწორედ ლეონიდეს უნიშნავდა მოსამართლედ. ასე მიესაჯა დახვრეტა ავგუსტუსის ყოფილ სარდალს, პარლამენტის ყოფილ ვიცეს-

პიკერს, ცნობილ დისიდენტს, ავგუსტუსის თანამებრძოლს. მოკლედ, კუნძულზე მას მეტსახელად „ჯალათას" ეძახდნენ. მანაც კი ვერ გაბედა, ორფას ძმისთვის – ჩილა თირიხისთვის (როცა გავიცანი, ჯერაც ყოფილი ქმრის გვარს – მეშხეზადეს – ატარებდა ორფა, მაგრამ მერე ისევ საკუთარი გვარი დაიბრუნა, აქაოდა უცხოეთში წავალ და ვერ მომაგნებენო, მაგრამ, როგორც ამბობდა, კვარტუმის გადამკიდემ, ვერ მოახერხა და გვარი კი შერჩა ბოლომდე) – უმაღლესი სასჯელი დაეკისრებინა. ივარგა ორფამ, ააწრიალა მთელი კუნძულის სახელისუფლო ზეპურნი, რასაც წინ უძღოდა არალეგალური გულანშაროს განამაწია, ფულის მოხვეტა, იატაკქვეშეთური მუშაობა და უშიშარი აგათოტეროსის რედაქტორობით ჩილა თირიხის ერთტომეულის გამოცემა, სადაც ნოველები, ლექსები და პეტრარკას სონეტების თარგმანები გაერთიანდა. ამ კრებულით ხელში დადიოდა ორფა ბიუროკრატებს შორის და აუკანკალდა ხმა ლეონიდეს. ჯერაც არ გადასწურვოდა იმედი დოჟს, რომ ყველას ჩააძაღლებდა და უმზერდა პირდაპირ ჩვენებას საკუთარ კაბინეტში მხოლოდ მისთვის მოწყობილი ტრანსლაციით და ჩაიგუბა ბოღმა გულში, თუმცა მაინც გამოხატა შემდეგ, როცა ლეონიდეს მარტო ერთი კეისი ფული გაატანა სამის ნაცვლად და არც კი შეხვდა თვითონ. და რისი „ჯალათა" იყო ლეონიდე, ეს რომ ეპატიებინა: სასამართლოს მიერ გაუთვალისწინებელი დოკუმენტები გადასცა სულხან აგარიანს და იმანაც ჯერ ხელახალი და უსასრულო ძიება დააწყებინა პროკურატურას უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამასობაში კი გაპრეზიდენტებულმა ურსუსისკუმ საერთოდ შეინყალა

ირდიხას ჩქილირდესკუ. მაგრამ არ გამოუშვა დოჟ-
მა, უმალ ლომებთან შევიდოდა გალიაში, ვიდრე ირ-
დიხასს გამოუშვებდა გალიიდან. და ინანა, რომ არ
ჩააძაღლა საკანში ირდიხასიც, მისი ძმის მსგავსად;
ინანა, რომ დაუჯერა თავის იურიდიულ მრჩეველს,
რომელმაც აუჩემა, დახვრეტაზე მორატორიუმია
გამოცხადებული კუნძულზე ეუთო-ს მეთვალყურე-
ობით და რომ დახვრიტო, პირდაპირ მკვლელობად
ჩაგითვლიანო; ინანა და ლამის იყო, ის იურიდიული
მრჩეველი მიასიკვდილა ირდიხასის ნაცვლად. მაგ-
რამ გაასწრო ევროპაში ჯგირდროს ნანტელიმ, ერ-
თადერთმა ჭკვიანმა იურისტმა მის გარემოცვაში,
რომელმაც არადა არ მოუწერა ხელი ათასგვარ სუ-
ლელურ ბრძანებულებაზე დოჟს.

ეს მერე იყო, კუნძულის თოვლიანი მწვერვა-
ლების კანტონიდან რომ მოიწვია იურისტი დოჟმა,
ავგუსტუსის ყოფილი თანამებრძოლი, სულხანს
კრიჭაში ჩამდგარი ინმო რალისკუ და კარგა ხანს
ითვლებოდა „ახალი რენესანსის უნიის“ წამყვან
სახედ, მაგრამ ვერ გაიყო კოლი ანდროსკუსთან
დოჟის ფავორიტობა; თანაც კუნძულის დაშლა პო-
ლიტიკურად დამოუკიდებელ შვიდ რესპუბლიკად,
როგორც ეს რუსეთსა და თურქეთს სურდათ და
დოჟსაც ფარულად ეძილისშორისებოდა, მაინცდა-
მაინც არ მოსწონდა; თავისებურად მასაც უყვარდა
სამშობლო და დაშორდა ნელ-ნელა დოჟიზმს, თუმ-
ცა არ დაპირისპირებია. და ამადაც აპატია დოჟმა,
მხოლოდ მსუბუქი ავტოსაგზაო შემთხვევა მოუწყო,
რომლის დროსაც ყველა კიდური დაეფშვნა და ხერ-
ხემალი დაუზიანდა, თორემ ცოცხალი კი დარჩა და
დადიოდა პარლამენტის სხდომებზე ინმო ხეიბრის
ეტლით და ხშირად აძლევდა შენიშვნებს სპიკერს,

ქალბატონ უთოლ ლასგურასკუს: „რად მაცდევინებ მიკროფონთან ამდენ ხანს ხეიბარ კაცსო?!" და უთოლიც ყოველ ჯერზე უბოდიშებდა, თან აშკარად რევანშისტული ღიმილი, თუმცა გამოუცნობი, აენიღბებოდა სახეზე ყოფილი სარკასტული მოწინააღმდეგის ასე დახეიბრებულად ხილვაზე.

საჰაერო ბურთები

ღურა ფერის ლოიალობა აოცებდათ და აფრთხობდათ გულანშაროელებს. აუდიტუსი და გრაფინია განსაკუთრებით ვერ მალავდნენ განწყობას; აუდიტუსი ყველა შესაძლო შემთხვევაში სადისტურად შიშველ სიმართლიან რეპლიკებს ესროდა ღურას, მაგრამ ეტყობა, აცრილი იყო ღურა, როგორღაც ახერხებდა, პასუხი არ გაეცა; იცოდა, ერთი შეპასუხება და, გასკდებოდა ჯებირი, რომელიც ვინ იცის, ვის წალეკავდა. ერთხელ გრაფინია ძლივს განვარიდე ღურას, ვატყობდი, გაფითრებული ღურა უკვე წონასწორობას კარგავდა და ყვიროდა გაეშებული. საერთოდ, მაზოხისტურად შრომისმოყვარე იყო ღურა, ამით ცოტათი განსხვავდებოდა იონიხისაგან, რომელიც არისტოტელესეული მოცალეობის ტრფიალი იყო. და ცდილობდა ღურა, რომ სხვებსაც მასავით ემუშავათ, ღამეებს გვათენებინებდა საფიხვნოში თვით წვრილმან საქმეებზეც კი. ერთხელ ოთხი საათი ვიხილავდით საჰაერო ბურთების ბედს. ბურთები დედაქალაქიდან ჩამოიტანეს, სამი ათასი ცალი. თუ კარგად გაბერავდი, ლამაზი წარწერა იკითხებოდა: „ძირს პირსისხლიანი დოჟი!" ღურამ საფიხვნოს ოცდაათსავე ნევრს დაგ-

ვირიგა ას-ასი და გვითხრა, ჩვენივე ხელით გაგვევრცელებინა. შემდეგ საფიხვნოს მეორე მესამედის – ჭაობად რომ მონათლა საფრანგეთის ისტორიამ – წევრმა, ჭოკა სკუმ, ჭკვიანურად შენიშნა: „ეს ბურთები რომ გავბეროთ და ისე დავარიგოთ, დოჟისტები ყველას ადვილად გაანადგურებენ – ნაართმევენ ხალხსო; ამიტომ, ხომ არ ჯობია, მაღლა დავკიდოთ ხეებზეო". აუდიტუსმა ჰკითხა: „დაბლა გავბერო თუ ხეზე რომ ავალთ, მერეო?" ატყდა ხარხარი. გაცოფდა ღურა, აბრახუნა მუშტები მაგიდაზე და დაუჯდა ჭკუაში ჭოკას აზრი. ამიტომაც იყო, რომ შემდეგ, დიდი ხნის შემდეგ, როცა გულანშაროს დროებით საბჭოში ვერ მოახვედრა ჭოკა, იმდენი ქნა, რომ მერისა და ქალაქის საკრებულოს ერთიან არჩევნებზე მაინც ჩატენა უმრავლესობის სიაში, მაჟორიტარადაც აყრევინა კენჭი და სწორედ იონიხს დაუპირისპირა. კიდევ კარგი, ცოცხალი ვერ მოესწრო შედეგებს იონიხი, მაგრამ ეს მერე იყო. ახლა კი აშკარად დაუჯდა ჭკუაში ღურას ბურთების ხეებზე დაკიდების აზრი. უსენიც კი შეწუხდა, „ამ ხნის კაცმა ხეებზე როგორ ვიძრომიალოო?!"

– დაავალე შენი სექტორის წევრებს, ტყუილად რომ გყავს!

პოპლიკასკუ არ შეეპუა:

– რატომ მყავს ტყუილად?! რასაც სხვების სექტორებში აკეთებენ, იმას ჩვენც კი ვშვრებით!

ბოლოს ქიკნი ტყოფინიხიმ გადააფიქრებინა ღურას:

– ბატონო ღურა, რაც არ უნდა მაღლა დავკიდოთ ეს ბუშტები, ჩამოივლიან დოჟის გვარდიელები და, ჩვენ რომ წვალებით ვიძრომიალებთ ხეებზე, ისინი ძირიდან გასტკლიცავენ ყველას საფანტით. მე მგო-

ნია, რომ ჯობია საგანგებო აირით გავბეროთ, აქცია მოვაწყოთ მიკენის მოედანზე და სახალხოდ გავუშვათ ჰაერში.

– ვაახ! კარგია! – იმწუთასვე დაეთანხმა ღურა. ქიკნი მისი წინადადებით იყო საფიხვნოში არჩეული, ის ნეიტრალურ გულანშაროელებს წარმოადგენდა, თუმცა ასეთი არ არსებობდა გულანშაროში. ეს ის ნაწილი იყო, რომელიც არ ეგუებოდა დოჟს, თუმცა არც ეწინააღმდეგებოდა.

მართლაც კარგი აქცია გამოვიდა: საჰაერო ბუშტებს პლაკატებიც გამოვაბით და მთელი მოედანი გადაფარა ბუშტებმა. ქიკნიმ, გრაფინიამ, ქუდო სკიდისკუმ და ღურამ კარგი კომენტარები გააკეთეს მასმედიასთან და აუშვეს ბუშტები – გადააფერადა გულანშაროს ცა პლაკატებმა და წარწერებმა „ძირს დოჟი!", „ძირს პირსისხლიანი დოჟის დიქტატურა!" და კიდევ ვინ მოთვლის, რა სხარტულები არ იყო, ოთხივე სექტორის აქტივისტები საკუთარი ფანტაზიის მრავალმხრივ გაშლაში არავის შეუზღუდავს. კარგა ხანს ესროდნენ ბუშტებს დოჟისტები ათასგვარი იარაღიდან, მაგრამ უკვე ყველა ტელეარხით გადმოიცემოდა გულანშაროს ეთერში მონავარდე სურვილები და ვერტმფრენით ბუშტებს გამოდევნებული გვარდიელების იარაღის ლულებიდან ცეცხლის ზალპები. ძალიან უხაროდა გრაფინიას, რაღაც ქმედება მაინც არისო. დოჟი კი, როგორც მასთან დაახლოებულნი ამბობდნენ, ყოველ დღე იკლებდა თურმე სიმაღლეში, ხერხემლის რაღაც დაუდგენელი დაავადება დამართნია და თვეში ნახევარი სანტიმეტრით დაბლდებოდა; ექიმს უთქვამს, „თუ დროზე არ შეიცვლი ცხოვრების წესს, პროცესი არ შეწყდებაო". მაგრამ ვერ გაარკვია, რა

უნდა შეეცვალა. ეს მერე, მოსკოვში მიხვდა, როცა სხეულმა კლება შეწყვიტა. აღშფოთებული იყო უკულ ლუდაუშე, „მეტი რა უნდა დაპატარავდეს ეს ციდამტკაველიო?!" უკულ ლუდაუშე ჯერაც წერდა მაშინ. მართალია, მისი ლექსები უკვე აღარ ჰგავდა ლექსებს, მაგრამ საბოლოოდ წერა მერე შეწყვიტა, მერე, როცა დოჟი გაიქცა და თვითონ აკადემიის მენეჯერად დანიშნეს, აი, მაშინ, როცა აკადემიაში არც ერთი არალეგალური გულანშაროელი არ გააჭაჭანა, აქაოდა, „ძველ თანამშრომლებს ხომ ვერ გავუშვებ სახლში, შურისძიებად ჩაგვითვლიანო". მანვე გააჟღერა პირველად პოსტდოჟისტური მმართველების უსაყვარლესი თეზა: „არალეგალურ გულანშაროელებს თოთხმეტი წელია არ უმუშავიათ და პროფესიონალიზმი აკლიათო". არადა, უკულ ლუდაუშე იყო პირველი, ვინაც შეეტლიკინა აკადემიაში გამართულ გულანშაროს ინტელექტუალების გაფართოებულ კრებაზე დოჟს, ურსუსისკუს დედაქალაქში გამარჯვების შემდეგ და სწორედ ამ სიმბოლურობის გათვალისწინებით დანიშნა ურსუსისკუმ მენეჯერად, დოჟის დამხობის აკვნად ჩაითვალა აკადემია და სტუდენტობა; ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი გრაფინიასთვის კი ძლივს გაიმეტა, სიკვდილის შემდეგ, მესამე ხარისხის თავდადების მედალი. ცოცხალი გმირები უყვარდა მხოლოდ ურსუსისკუს და გრაფინიას დავიწყებას ლამობდა რატომღაც. უკული პირველი იყო უდოჟო გულანშაროში, ვინაც ვაჭრობა დაიწყო.

თუმცა ეს მერე იყო, როგორც გითხარით. ჯერ კი გრგვინავდა დოჟი. ორასი მილიონი ოქროს გულდენი მისცა მის უახლოეს ქონდა ქარისკუს, აი, იმას, ყველა მკვლელობის ორგანიზატორი რომ იყო, თა-

ვისივე მოგვარე, მაჟრა ქარისკუ რომ მოკლა, ჩვენი „სპილიას“ დიასახლისის და, როგორც ვხვდებოდით, ელეაზარის სიჭარმაგის მუზის, მადამ თილიკოსის შვილი. მაშინ კი მადამ თილიკოსმა, სამთვიანი მცდელობის შემდეგ მხოლოდ, შემთხვევით ბულვარში ორიოდე წუთით გამოსულ დოჟს, დაცვის წევრების მუხლებთან გამძვრალმა ძლივს შეანათა ცრემლებით დასივებული თვალები და შეევედრა: „დააბრუნებინე ჩემი შვილის ცხედარიო“. მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნეს შვილის მოკვეთილი თავი, ტანი კი მერე იპოვეს, როცა მთლად გაცოფდა დოჟი და ტბის ამოშრობა დაიწყო; მაშინ იპოვეს გვამი მუშებმა, თილიკოსის შორეულმა ნათესავებმა, და მიუსვენეს სახლში. ხელზე დაბნეული სამაჯურით იცნეს, თუმცა სხეული კარგად იყო შენახული. ეს ფენომენი ბიოლოგებმა და ნატურალისტებმა ვერ ახსნეს, ტბაში ნაპოვნი ყველა სხეული ახალივით იყო დაცული. ტბის ფსკერზე უჩინარ რომელიღაც მინერალურ ნაკადულს მიაწერეს შემდეგ, თუმცა გამოკვლევით მაინც ვეღარ გამოიკვლიეს ზუსტად.

ორფა

თავზარი თუ არა, გაუგებრობა მაინც იყო ჩემსა და ჟინპისტის სახეზე აღბეჭდილი, როცა ორფას ყოფილმა ფრანგოფილმა მოსწავლემ სამსახურში გვითხრა: „ორფას თუ მიულოცეთ?“ „რა-მეთქი?“ დავასწარი ჟინპისტს.

– პარლამენტში დაინიშნა... – ამ გოგოსაც გამოუცნობი ღიმილი ასალტვოდა ოვალურ სახეზე. უკვე მაშინ ეტყობოდა, რომ მერე, მართლაც დიდი

ხნის მერე, მინისტრის მოადგილედ დაინიშნებოდა, ოლონდ გიჟთვალება პრეზიდენტის შემდეგ, როცა ისიც განდაქარდა. მაგრამ ეს უკვე მე მხოლოდ ინტერნეტიდან გავიგე. იყო მასში რაღაც პატივმოყვარეობაში აღრეული, თანამდებობის პირებისადმი თბილი, ურთიერთობითი შემგუებლობა მასწავლებლისგან აქვს ათვისებულიო, ამბობდა ხოლმე დიდრიხი. თუმცა ამას მხოლოდ დასწავლით ვერ შეიძენ. მახსოვს, როგორ სიცილით მიყვებოდა ორფა, დამირეკა და მითხრა, „გახსოვს, მე და შენ რომ აპოლინერს ვთარგმნიდით, ეს სტროფი როგორ გადმოვიღეთო?" „როდის ვთარგმნიდით, გოგო, მე და შენ-მეთქი?", ავკისკისდი მეო, იმან კიდევ: „მაცალე, ორფა, ხელმწიფისტოლა ხალხს ვეტრაბახები ახლაო". მეათე კლასში იყო მაშინო, მიყვებოდა მერე, დიდი ხნის მერე. მაშინ კი გაოგნებულმა ჰკითხა ჟინპისტმა:

– რომელ პარლამენტში?

– გულანშაროს, – თითქოს მიამიტურად ჩაიღიმილა ფრანგოფილმა, – დოჟის მრჩეველია ფრანგული კულტურის საკითხებში.

მაშინ დოჟიზმი მთლად მწვერვალზე არ იყო, მიდიოდა მისკენ და მწვერვალიდან მომავალი თოვლიანი სუსხი მოგვწვდა მე და ალბათ ჟინპისტსაც. მაშინ ჯერაც არ იყო გამართული დოჟის სეფეშეტევა კუნძულის პრეზიდენტობაზე, როცა მთელი კუნძულის ყველა ჯურის პრორუსული პოლიტიკოსი შეიკრიბა და „ახალი რენესანსის" ბლოკში გაერთიანდნენ. მათ შორის – ლუნყურე ტყარაბურასკუ, რომელიც ავგუსტუსის ვიცეპრეზიდენტი იყო და, გარდა მართლაცდა ზებუნებრივი მახსოვრობის უნარისა და საკმაოდ დიდი ინტელექტისა, იმით იყო

ცნობილი, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელის მოწერის დროს თავის კაბინეტში ეძინა და კარგა ხანი აძებნინა ავგუსტუსმა. ის პირველი გამოექცა ავგუსტუსს (როცა მას შოიგუს რაზმებმა აგარიანის ბრძანებით ქვემეხები დაუშინეს) დოჟთან და, გულის მანკის მკურნალობის მომიზეზებით, სამოქალაქო ომის გასრულებამდე არ გაუყვია ცხვირი ნახევარკუნძულიდან; ბლოკში იყო კუნძულის სოციალისტური ოკუპაციის, სულხანამდელი მმართველი ფოხი კოჩანასკუ; ასევე, კომუნისტების ლიდერი ქერ ქეტასკუ, რომელმაც სულხანთან მოკავშირეობისას მთელი კუნძულის ჰესები შეისყიდა ჩალის ფასად და მამასისხლად ყიდდა მერე; მაშინ ახალგაზრდა ურსუსისკუ და მედღაშიე ვაზირისკუ სულხანთან იყვნენ ჯერ კიდევ და სულხანის რეფორმატორულ ფრთად ითვლებოდნენ. ეს მაშინ დაირქვა ურსუსისკუმ სულხანი და სანანებელი გაუხდა მერე, თუმცა შეიძლება და არა, რადგან სწორედ ასეთი, ერთგულების გამომხატველი მანერებით დაუახლოვდა მიხრწნილ პრეზიდენტს, თორემ შეიძლებოდა რიგითი არასამთავრობო ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივნის სახელოსაც ვერ გასცდენოდა მთელი ცხოვრება. სწორედ მაშინ ჰქონდა, საკუთარი ნებით, ბოლო შეტევა დოჟს პელაზგიის პრეზიდენტობაზე; შემდეგ უკვე ნახევარკუნძულის ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოყოფაზე იბრძოდა, ვიდრე ისევ არ ცდუნდა ბოლოს და, პრეზიდენტობის დაპირებით, სულხანმა გულანშაროს ლამის მთელი მოსახლეობა მატარებლებით სულ დედაქალაქში არ ჩამოაყვანინა „სულხან, სულხანისა“ და „დოჟი, დოჟის“ ძახილით.

ლამის იყო, გამოიგლოვეს „სპილიაში“ კიდევ ერთი არალეგალური გულანშაროელი, მაგრამ როცა ბარონმა მადერახმა თქვა: „ასე სულმოკლეები როგორ ხართ, როგორ ვერ ხვდებით, ძმის გამო რაზე შეიძლება წავიდეს ქალი?!“ მთელი დარბაზი გაისუსა, თითქოს შერცხვათ საკუთარი ფიქრებისო; მას მერე აუგად არავის უხსენებია ორფა. ის იყო მხოლოდ, რომ რამდენიმეს ალბათ მაინც გაჰკრავდა შინაგანი ეჭვი და ურწმუნობა. თუმცა მაშინ არც შეპასუხებია ვინმე. მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ სხვა გზა არ ჰქონდა, თორემ არაფრის მომცემი იქნებოდა მისთვის ეს სახელო. ლექსებისა რა გითხრათ და, ამის შემდეგ წიგნები კი დაწერა და გამოსცა ორფამ, ზოგი ფრანგულ ლიტმცოდნეობაზე, ზოგიც თარგმნის ხელოვნებაზე. თუმცა ლექსების ვერა, მაგრამ როგორც კი გიჟისთვალება პრეზიდენტი გარდახდა, არ ვიცი, ნებელობის რომელ ნაკადს ჩაებღაუჭა ორფა საკუთარ თავში, და საქართველოში, ინტერნეტიდან ვგებულობდი, რომ საკმაოდ ცნობილ პოეტად იყო უკვე აღიარებული მთელ პელაზგიაში. ჰერმესის პირველყოფილი მადლი დანათვლია-მეთქი, ვფიქრობდი მერე ჩემთვის.

დოჟდრილები

ერთ-ერთი ბოლო მიტინგი იყო ალბათ. როგორც იქნა, მოიკრიბა არალეგალურმა გულანშარომ ძალა და თავი მოიყარა დოჟის გადადგომის მოთხოვნით. ახალგაზრდა, მიზანსწრაფული, გიჟისთვალება პრეზიდენტი არჩეული იყო უკვე. ამით იმედმოცემულებმა გავმართეთ მიტინგი, თუმცა ნახევარი ძა-

ლით, რაც გამოიყენა დოჟმა და გაცილებით დიდი მიტინგი დაგვიპირისპირა, მოშორებით, დოჟის სასახლესთან, ჰერმესის ძეგლთან ახლოს. ქალაქში ევროსაბჭოს პრეზიდენტი იყო ჩამოსული და მის დასანახავად ფაფხურობდა შუაგაყოფილი ქალაქის ორივე მხარე. მიტინგის მიწურულს, როდესაც ბატონი შიმლერი არალეგალურ ნაწილს ხვდებოდა, დოჟის პირადი მცველები და მისი შვილის მიმდევრები დაგვესხნენ თავს, იქნებოდნენ ასე ათას კაცამდე, ყველას ტყავის ქურთუკი ეცვა, ერთნაირად გაპარსულნი, თმაშეკრეჭილნი და გამობროლებული თვალებით მოდიოდნენ, წინ გრძელ თოკებზე დაბმული ყავისფერი დრილები მოუძღოდნენ. საშინლად აკვესებდნენ თვალებს პრიმატები. ქალაქისთავის მომხრეებს, რომლებიც მეურვეობდნენ მათ, როგორც რუსი მედესანტეები – საკუთარ ნაგაზებს, უფრო ჩაწითლებული თვალები ჰქონდათ, ეტყობა, ყაყაჩოს ნექტარი ეგემათ უკვე. მაიმუნებს პოლისის დროშები ეჭირათ. როგორც კი მოგვიახლოვდნენ, ცხოველებს თოკები შეხსნეს და მოგვისიეს. დაგეშილი პრიმატები, პირველ რიგში, კუნძულის დროშებს ეცნენ და დროშის ტარებით მისდგნენ მომიტინგეებს. ზოგიერთმა თავი ვერ შეიკავა, რამდენიმეს გადაამტვრია საკუთარივე დროშა და აწკმუტუნებული გააგდო, მაგრამ ძირითადად მაინც მომიტინგეები დაშავდნენ. დრილები გამეტებით ურტყამდნენ ადამიანებს ჯოხებს, რკინის ნაჭრებს და ქვებს. არალეგალურმა ნაწილმა დიდხანს გაუწია წინააღმდეგობა მაიმუნებსა და მათ რობოტ მეურვეებს, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდნენ, გაქცევით ეშველათ თავისთვის. შიმლერი გაოცებული უყურებდა ამ ყოველივეს. ბოლოს, როგორც

იქნა, შეაღწია არალეგალური გულანშაროელების ოფისში. უკუმთქმელთა ლიდერებმა ურჩიეს, „საუბარი არც ღირს, შეავლეთ თვალი და ესაა ჩვენი სათქმელიო“.

საოცრება იყო, როგორ მოახერხეს. როგორც ჩანს, დიდხანს წვრთნიდნენ; მაიმუნები უწყვეტად ღმუოდნენ: „დოჟი!“ „დოჟი!“ „დოჟი!“ თანაც დორბლებს ყრიდნენ სიტყვების ძახილისას, შემდეგ კი ერთდროულად აღმოხდებოდათ: „ჰუ, ჰუ, ჰუ, ჰუ. ვჰოუ, ვჰოუ, ვჰოუ“, მერე ისევ თავიდან: „დოჟი!“ „დოჟი!“ „დოჟი!“ მალე სპეცრაზმელებიც აყვნენ. ცოტა ხანში ჩვენი ოფისის კართან შეიკრიბნენ. ჩვენ სპეცრაზმელებსა და ქალაქისთავის ნარკოშეფიცულებს ვეხვეწებოდით, ისევ დაებათ მაიმუნები და ხელი არ გაეშვათ. ისინი გვპირდებოდნენ, ოღონდ ოფისის მიდამოები დატოვეთ და ყველა დრილს ისევ დავიბამთ საბელზეო. ჩვენ მივუხვდით განზრახვას და ფეხი არ მოვიცვალეთ, არ მოვიცვალეთ ჩვენი ნებით. მაგრამ გვაიძულეს. მაიმუნების კბილებდაკრეჭილი ლიანგები მთელი ძალით გვაწვებოდნენ. მცირე ხანში ოფისის ვიტრინებიანი შესასვლელი მთლიანად დოჟის მომხრე რაზმელებისა და პრიმატების ხელში აღმოჩნდა. დოქტორი შიმლერი ჯერ გაოცებული აკვირდებოდა გარეთ მიმდინარე მოვლენებს, ოპოზიციის ლიდერებს ცალი ყურითღა უსმენდა, ხოლო როცა ცხოველებმა ბრჭყალებით ვიტრინის ფხაჭნა დაიწყეს, შეშინებული წამოხტა, ფერდაკარგულს ყბა უთრთოდა. ღურა ფერიმ – რომელსაც ბევრჯერ ეწვნია დოჟის სიმკაცრე საკუთარ ტყავზე (ერთხელ, ადრე, სანამ დედაქალაქში გადაბარგდებოდა, დოჟის მითითებით გაიტაცეს და მდინარე ლეტასქურის ნაპირზე, ვებერთელა

ტირიფზე ჩამოკიდეს ისე, რომ სამი დღე მდინარის მორევს გადაჰყურებდა თავჩაღმა), მიმართა შიმლერს: „რა დემოკრატიაზეა საუბარი ამ ხალხთან, ან რა ინფორმაციას ითხოვთ ჩვენგან, თვითონაც ხომ ხედავთ ყველაფერს?" საინტერესოა, რომ ევროპის დიდებული ემისარი ბევრს ვერაფერს ხედავდა, რადგან ნახევარიოდე საათში დედაქალაქიდან აძლევდა ინტერვიუს, ყველაფერი რიგზეა გულანშაროში, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ ადამიანთა უფლებები მთლიანად დაცულიაო. რაღა თქმა უნდა, დოჟმაც მოისმინა მისი პატარძლისეული სიმორცხვით აღსავსე განცხადება, რადგან ცოტა ხანში გასცა ბრძანება, სპეცრაზმელებსა და საბელჩაბმულ დრილებს სრული თავისუფლება მისცემოდათ. კარაბინერები უკვე ავტომატების კონდახებით დაერივნენ მომიტინგეებს, პრიმატები კი – ბრჭყალებითა და კბილებით; განსაკუთრებით შავ-წითელი დროშები აღიზიანებდათ. თუმცა მაიმუნებსა და კარაბინერებს შორის მსგავსებაც იყო – მხოლოდ იმათ ერჩოდნენ, ვინც გარბოდა. მე და ჟინპისტი სწორედ ამან გვიხსნა, მით უმეტეს, მათთვის თვალებში შეხედვას თუ მოასწრებდი, ხელს არ გახლებდნენ. ცხოველებში არ ვიცი ამ ინსტინქტს რა იწვევდა, მაგრამ კარაბინერებში გასაგები იყო; მათი უმეტესობა ქალაქელი იყო და ასწლეულობით ჩამოყალიბებული ტრადიციები არცთუ ისე ადვილი დასარღვევი იყო. მომიტინგეთაგან დარჩენილებმა მაინც ოფისის სიახლოვეს მოვიყარეთ თავი და სწორედ აქ წავაწყდი ვენდიტორს: ტყავის ქურთუკში გამოკრული იდგა; რომ დამინახა, გაწითლდა. მაინც გულთბილად მივესალმე.

– რას შვრები, ვენდი, გავიგე, გერმანიიდან მანქანები ჩამოჰყავსო?

– ჰო, რა, ვცოდვილობ! – თავი დახარა, – მთავარია, მშვიდობა იყოს!

– სწორია, მშვიდობა პოეზიასა და კომერციას ერთნაირად სჭირდება, – ვუთხარი და გამოვემშვიდობე, თითქოს იმწამს დავემშვიდობეთ სამუდამოდ.

უკუმთქმელთა ლიდერების ბედი გვაწუხებდა, ხაფანგში მომწყვდეულივით იყვნენ. მოულოდნელად, თითქოს ბრძანება მიიღესო, ოფისის წინ მიდამო მთლიანად დაცალეს დოჟის მიმდევრებმა, დოჟდრილებმა, როგორც აგათოტეროსმა შეარქვა მათ, და მოატიტვლეს მოედანი; მომიტინგეებმა კი ამოისუნთქეს შვებით, მაგრამ უმეტესობამ არ დავიჯერეთ ასეთი უშურველი სიკეთე მათი მხრიდან, ავის მოლოდინით გავისუსეთ და მართალიც აღმოვჩნდით: მალე ოფისისკენ მომავალი ცხრა-ათი წლის ბავშვების, ბიჭუნების დაახლოებით ასკაციანი გუნდი გამოჩნდა, ვიტრინას გაუსწორდნენ, მხარზე ხურჯინებივით გადაკიდებული აბგებიდან ქვები დააძრეს და ოფისს დაუშინეს; ზრიალით ჩამოწვა სქელი შუშის ნამსხვრევები ასფალტზე, ბავშვებმა ელვისუსწრაფესად დაცალეს აბგები და ისევე სწრაფად გაუჩინარდნენ, როგორც გამოჩნდნენ. ვიტრინებჩამსხვრეული ოფისისკენ კი ღრიალით გამოემართნენ კბილებდაკრეჭილი მაიმუნები და დოჟის სპეცრაზმელები.

შემდეგ, მეორე დღეს, როგორც ღურამ გვითხრა, უკანა გასასვლელით გაპარულან. იუმორით ჰყვებოდა, როდესაც ბრძოლას გადარჩენილი ჯარისკაცებივით შევიკრიბენით საფიხვნოს დარბაზში, უფრო სწორად, დარბაზის ნარჩენში, მაგიდის, მინის,

მოაჯირის კარებისა და ფანჯრების ნამსხვრევთა შორის.

– წარმოიდგინეთ, ეს მოხუცები რა სიმარდით გადაბობღდნენ სამმეტრიან კედელზე, ქალები კი (სად იყო მორიდება, რამე არ გამოგვიჩნდესო) შესაშური მოქნილობით გადაევლნენ კედელს, ჭოკით მხტომელები მახსენდებოდა და თან ბოღმა მკლავდა!

ჩვენ ავხარხარდით, ხოლო დიდრიხმა თქვა:

– კარგია, ასეთ დროს თვითირონია გამარჯვების ნახევარს ნიშნავს!

ალმაცერად შეხედა ღურამ დიდრიხს. ვერ პატიობდა, პოეზიას რომ დაანება თავი, დოჟის მიმართ კომპრომისად უთვლიდა და ამკვიდრებდა ამ თვალსაზრისს. თუმცა, თვითონ კუნძულის დედაქალაქში გახიზნულძურწული, არ ითვალისწინებდა, რა ძნელი იყო გულანშაროში ცხოვრება დოჟის რეჟიმში. სანამ დიდრიხი პოეზიას თავს დაანებებდა და საკონსულოში დაიწყებდა მუშაობას, ბევრი სხვა გზაც მოსინჯა, რომელიც ჩვეულებრივი სიტყვების საკრალურად გარდაქმნაში ხელს არ შეუშლიდა და თან საარსებოც ექნებოდა; ჯერ იყო, ყუთებს ჭედდა ზეთისხილისთვის, მაგრამ მიჰქონდათ და ფულს არ აძლევდნენ, ან უგვიანებდნენ, ან დოჟის წყალობით კოტრდებოდნენ და ვერ უხდიდნენ. შემდეგ უფრო სერიოზულ დურგლობას მიჰყო ხელი, მაგრამ დოჟმა იმ უბანში შუქი გამორთო და დაზგას ვეღარ ხმარობდა. თუმცა ამასაც უშველა: ქარის წისქვილის მსგავსი რაღაც მოიგონა და ძრავას იმით ამუშავებდა. მაშინ დოჟმა მისგან ორმოცდაათიოდე მეტრზე ქარხანა გახსნა, „რენესანსი“, და მართალია, ნაგებაზე ამუშავებდა, მაგრამ იმდენი მაინც შეძლო, დიდრიხს მომხმარებელი გაჰქრობოდა ნელ-ნელა,

მაგრამ მთლიანად, დილის ცვარი რომ ქრება მზის ამოსვლისას. ამის შემდეგ იყო, რომ ყველაზე ორიგინალური გზა გამონახა და კენგურუები მოამრავლა; თამაშ-თამაშით დაიწყო საქმე, თან მეზობლებსაც ჩუქნიდა თითო-ორ-ორს და მალე მთელ სოფელს ჰყავდა კენგურუ. თან არც რესტორნები იბარებდნენ ძველი რიხით ხორცს და არც ფაბრიკები – უიშვიათეს ტყავს. ჩამოსვლოდათ დოჟის მუქარა. ტყავის ქარხანაც კი, სადაც მისი გავლენიანი ნათესავები მუშაობდნენ და პირდაპირ ვერ დაავალებდა, დიდრიხის მოტანილი საქონელი არ მიიღოთო, საშინელ დღეში ჩააგდო, აუდიტები მიუსია და სამი თვით გააჩერა. საბოლოო წერტილი კენგურუების საქმეს მაინც დიდრიხის ყოფილმა მოსწავლე გოგონამ, თხუთმეტი წლის ბაცამ დაუსვა, რომელმაც ყოფილ მასწავლებელს მის მიერვე ნაჩუქარი კენგურუ მიუყვანა და სთხოვა, სქესი გაერკვია, ხოლო როცა დიდრიხმა ჯერ ჩანთაზე მიუთითა და მერე ღიმილით უთხრა, დედალიაო, გოგონამ სოფლური მიამიტურ-გულუბრყვილო კილოთი გულითადად სთხოვა:

– თუ დედალია, დამიმაკეთ, რა, დიდრიხ მასწავლებელო!

კიდევ ათასგვარ ხერხს მიმართა დიდრიხმა, რომ როგორმე თან ეარსება, თან კი ეწერა. ახლა ყველას არ ჩამოვთვლი, აი, თუნდაც იმას, რა შიშითა და ფარულად აიყვანა სოფელში, სადაც ძირითადად მუსლიმი მოსახლეობა იყო, ორი გოჭი და რა კონსპირაციულად ზრდიდა, და როგორ გაიპარნენ გოჭები და რარიგ ჭყივილით დარბოდნენ სოფელში და რა სიცილ-ხარხარით დასდევდნენ სოფლელები, „დიდრიხის გოჭები, დიდრიხის გოჭებიო!" და ყოველივე

ამის შემდეგ ძნელი იყო გეთქვა დიდრიხისთვის, რატომ დაანებე წერას თავიო. თუმცა ერთიცაა, მიუხედავად იმისა, რომ არალეგალური გულანშარო დოჟს ებრძოდა, თვით არალეგალურთა შორისაც იყო ბრძოლა პირველობისთვის და ღურამ იცოდა, რომ ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი ლიდერის მანტიის მოსარგებად სწორედ დიდრიხი გახლდათ. ამიტომაც უსვამდა ხაზს ყოველთვის, რომ დიდრიხმა წერა მიატოვა, დოჟის ნებას დაჰყვაო. მაგრამ ეტყობა, სწორია ის გამოთქმა: რისიც გეშინია, ის ხდებაო. უნდა ითქვას, მხოლოდ საქართველოში გავიგე ეგ ამბავი და არ შევსწრებივარ, მაგრამ გიჟისთვალება პრეზიდენტის არჩევნებით დამხობის შემდეგ, მართალია, მთავარი კურსი, სრული აღებ-მიცემობისკენ სწორება არ შეუცვლია ურსუსისკუს დამმარცხებელ, სოროსის ორგანიზაციის ადგილობრივ მილიარდერ მაგნატს, სულხან მერკანტისკუს, თავისი სულ რაღაც ერთწლიანი მმართველობისას, და რომელიც ნატოში პელაზგიის შესვლიდან ორი კვირის თავზე სამასიათასიანმა მიტინგმა აიძულა, ხუთი თვითმფრინავის ამარა გაძურწულიყო კუნძულიდან, მაგრამ დიდრიხი კი განუმწესებია ამასობაში გულანშაროს გაზეთის რედაქტორობიდან ნატოში, პელაზგიის ელჩის მოადგილედ. და მე თუ მკითხავთ, სწორედაც რომ ზედგამოჭრილი იყო მისთვის.

გაბრძოლება

გულანშაროული ორასი მილიონი ოქროს გულ-დენი მისცა დოჟმა ქონდა ქარისკუს, როგორც ად-რევე ვახსენეთ, მოხერხებული სკივრებით. ფული მოსახლეობაში უნდა დაერიგებინა, განსაკუთრე-ბით, გულანშაროს პოლისის ტყიან და ყინულიან კანტონებში მცხოვრებთათვის. ძირითადად, იქ იყო ათეისტური მოსახლეობა და სწორედ მათ ეყრდნო-ბოდა დოჟი. მხოლოდ მილიონი გაიმეტა ქონდამ, დანარჩენი ლიბანის ბანკში მიირიცხა; უკვე აშკა-რად წყალი შეუდგა დოჟიზმს, რადგან ისიც კი ვერ გააკონტროლა, თუ როგორ გადაზიდა სკივრები ქონდამ ვეებერთელა, შავაფრებიან, ავტოლიკოსის ყოფილ ორჩხომელში და გასცურა ბეირუთისკენ უკანმოუხედავად. ჯილდო ეკუთვნოდა ქონდას ურ-სუსისკუსგან.

ამ პერიოდშივე ჩაატარა ნოემამ გულანშაროს მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე გმირის, ლეონ მარჩქინალის მოსაგონარი საღამო. არალეგალური გულანშაროელების კონფე-რენციას ჰგავდა, ლეონ მარჩქინალი წინააღმდეგი იყო, რომ გულანშარო ქალაქი პოლისი ყოფილიყო და პირველმა მოითხოვა ტერიტორიული მოწყობი-სას ნახევარკუნძულის პირდაპირი მიერთება კუნ-ძულთან და პელაზგიის უნიტარულ სახელმწიფოდ გამოცხადება. პირველმავე უარყო ათეიზმი და ოდესღაც, მისი გვარის წინაპრების, კაპერნაუმელ მახვამერთა ორდენის წევრების საკრალური ხსოვ-ნით, მართლმადიდებლად მოინათლა. ის იყო პირვე-ლი, ვინც პელაზგიის დედაქალაქში დაკრძალეს, მუ-ზეუმის ეზოში, სადაც კუნძულის დიდ მოღვაწეებს

კრძალავდნენ (ჩვენი დიდუბის პანთეონის მაგვარი). გაცოფდა დოჟი, სტუდიის მიხრწნილ მენეჯერს, წარმოშობით ურარტუელ, კულტურულ, მაგრამ საკმაოდ უინტელექტო ქალბატონს, ჯუანა ლიმ-ხონასკუს, შავი დღე აყარა. გაათავისუფლეს ნო-ემა სტუდიიდან. ჩვენ ვულოცავდით, მაგ მარაზმს მოშორდიო, მაგრამ თვითონ სასტიკად განიცდი-და. შემდეგ დიდი ხნის წინ დარეგისტრირებული და სანახევროდ უყურადღებოდ მიტოვებული „თარ-გმანის ხელოვნების სკოლა" განაახლა, და ოცამდე საკმაოდ ნიჭიერი ბავშვით გაასოცმაგებული ენთუ-ზიაზმით ჩაუჯდა ან უკვე მართლაცდა თავის საყ-ვარელ საქმეს. დოჟი კი არ ცხრებოდა და ერთ-ერთ მივარდნილ ქუჩას სასწრაფოდ გადაარქვა ლეონ მარჩქინალის სახელი; ასმეოცე სკოლასაც, რომე-ლიც ლეონ მარჩქინალის სახელობის იყო, უმალ უც-ვალა სახელი და გრაფ ოსტენ-საკენის სახელობის გახადა, აქაოდა მისი ცოლისდა ასწავლიდა ოდეს-ღაც ამ სკოლაშიო, ეს მაშინ, როცა გრაფი თურქებს ებრძოდა და წაართვა გულანშარო, და მთელი ნახე-ვარკუნძული ოტომანებს და რუსეთის იმპერიას და-უქვემდებარა, რომელმაც დაინარჩუნა კიდეც 1917 წლის გაუგებარ რევოლუციამდე დე იურე, ხოლო სოციალისტური ქვეყნების სისტემის გარდაქარვე-ბამდე – დე ფაქტო.

ცანცარი

აშკარა იყო, რომ ღურასავით ლოიალური ვერ იქნებოდა გრაფინია და პოსტდოჟისტურ გულანშაროში არალეგალური გულანშაროელების საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამიჯვნას არ შეეპუებოდა. თითქოს მისუსტებული ჩანდა უკვე დოჟის მმართველობა, მაგრამ მერე, როცა დოჟი მთლად შეირყა ჭკუიდან და კუნძულთან დამაკავშირებელი ყველა ხიდი ააფეთქა, გასუსულ გულანშაროში სნორედ გრაფინიამ ააზვირთა მწერლები, მოძღვრები, სტუდენტები და ლექტორები და დოჟს მიტინგი აუფრიალა, გვარდიელების ავტომატების ტყვიებს კი – დროშა. შემდეგ „ევრონიუსის" კადრებში ჩანდა, თითქოს მართლა შეაჩერა ტყვიები დროშამ. მეც იქ ვიდექი, თორმეტიოდე ბიჯზე, როცა ავტომატების მოკლე ჯერი გაისმა და შემდეგ გვარდიელთა ბრბომ გახვეტა მიტინგი და სამი კილომეტრი სდია მონაწილეებს. უცებ ვერ ვიპოვეთ გრაფინია, ვიფიქრე, სხვებივით გაჰყვა უწესრიგოდ გაფანტულ მიტინგს-მეთქი. მთელ მოედანზე მხოლოდ ისღა იყო და გასისხლიანებული ბაირაღი...

მაგრამ ეს მერე იყო. გრაფინიას გარდა, იმ მიტინგზე სამი სტუდენტი დაიღუპა და შვიდი ლექტორი, მათ შორის, იონიხის ძმა, ფილოსოფოსი პროკლე, მცირეთაგან ერთ-ერთი ნათელი წერტილი გულანშაროს უნივერსიტეტში.

თუმცა ეს მერე იყო, გასრულებისკენ. მანამდე კი გავეშებული გრაფინია ძლივს გავიყვანე ოთახიდან, გამწარებით უკიოდა ღურას, „ამდენი ნაგავი სად ნახე ამ პატრიოტულ საფიხვნოში გასაწევრიანებლადო?!"

ესეც მერე იყო, კუნძულის გიჟისთვალება პრეზიდენტმა ნოემას სტუდიის მენეჯერი (ნოემა რომ გამოუშვა სამსახურიდან, სწორედ ის) – ჯუანა რომ დანიშნა გულანშაროს განათლების კომისიის თავმჯდომარედ და არალეგალურ გულანშაროელებზე უკულის მიერ უკვე ნათქვამი თეზა გაიმეორა: „მათ მუშაობის პრაქტიკა და პროფესიული გამოცდილება არ გააჩნიათ, ოცი წელიწადი უმუშევრად იყვნენო“.

ესეც მერე იყო, ორფა რომ განათლების კომისიის თავმჯდომარის მრჩეველი გახდა. და ისიც მერე იყო, ლედი ნიმფა რომ გახდა გულანშაროს საკრებულოს კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ერთ-ერთ დისკოთეკაზე რომ დათვრა, გამიზეზებულ-გასივებული ყელიდან რომ მოიგლიჯა ნაღდი მარგალიტების მძივი და დაუყვა გულანშაროს ქუჩებს წელზევით შიშველი; მოღელავდა ნაყოფიერების უძველესი ქალღმერთივით, ძუძუები გავეშებით ეხეთქებოდნენ მარჯვნივ და მარცხნივ, ზემოთ და ქვემოთ; გულანშაროელები ტოვებდნენ დუქნებს, მაღაზიებს, მინიმარკეტებს, სუპერმარკეტებს, საყასბოებს, სადალაქოებს და ტროტუარებზე ახორხლილნი უმზერდნენ ველური ექსტაზით მომავალ ნიმფას; ნაიადებთან ერთად მოღელავდა ჰომეროსის ტრანსპორტის მოძრაობაგაშეშებულ გამზირზე.

ნაიადები ურსუსისკუს თანაშემწე ქალები გახლდნენ, ლამის იყო, კახპებად მიაჩნდა ყველას, მაგრამ კარგი იურიდიული განათლებითა და სილამაზით გამოირჩეოდნენ. ასე რომ, მთლად მსუბუქი ყოფაქცევის ქალებად ვერ აღიქვამდი, უბრალოდ, ეს იყო, რომ სახელებით არ მოიხსენიებდნენ – ეს თანამდებობა ურსუსისკუმ შემოიღო ჯერ კიდევ

სულხანის პრეზიდენტობისას, პრემიერმინისტრად ყოფნისას, და შემდეგ უცვლელად გადმოიტანა. სამი ნაიადი იყო მუდმივად, ასაკის მატებასთან ერთად ცვლიდა მათ პრეზიდენტი შემდგომ, როტაციის პრინციპით, წელიწადში ერთხელ ერთი მესამედით ანახლებდა, ამიტომ არავის ახსოვდა მათი სახელები. ნიმფაზე ნაკლები სილამაზისა არ იყო არც ერთი, იმათაც არაფერი ემოსათ წელს ზემოთ, ოღონდ ის იყო, სამივეს ბარაქიანი ძუძუების შესაყრელთან თავაწყვეტით უთამაშებდა თანამდებობის სიმბოლო – ოქროს ძეწკვზე დაკიდებული ვეებერთელა ბრილიანტისთვლიანი მედალიონი, ურსუსისკუს პროფილის ბარელიეფით. მერბიელისკუმ მოუსწრო მანქანით და წაიყვანა ნიმფა პრეზიდენტის ნაჩუქარ ახალ ბინაში, სადაც კედელზე ჩამოკიდებულ ჩარჩოში ტანკენარობდა პრეზიდენტისვე ჯილდო, დოჟის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის.

ესეც მერე იყო, მანამდე კი, დილის ხუთ საათზე სამი „ლიმუზინით" მოადგნენ ადმინისტრაციულ საზღვარს, კუნძულ პელაზგიის გულანშაროს ნახევარკუნძულთან დამაკავშირებელ ვიწრო ყელთან მოწანწკარე მდინარე ჟირწყალთან, პრეზიდენტი ურსუსისკუ და მთავრობის სხვა წევრები. დოჟი კრემლში იყო და რუსეთის უშიშროების მინისტრს ხვდებოდა. ურსუსისკუ აპირებდა, ამით ესარგებლა. ქლესმა ურჩია თურმე: „დოჟი არ არის, შევიდეთ გულანშაროში, თქვენს დანახვაზე მთელი გულანშარო ფეხზე დადგება და დოჟი ვერც კი ჩამობედავს პოლისშიო". აქაც დაასწრო რუსეთის უშიშროებამ, რამდენიმე საათით ადრე გააფრთხილეს დოჟი: ჟირწყალი გვარდიელებით სავსე დაუხვდა

პრეზიდენტს, სანგრები გაეთხარათ (როცა ტელევიზიით გვაჩვენეს, გუმისთის ნაპირი გამახსენდა წამიერად, ჯარისკაცებით მიმოფენილი, ზეგანის მთის თვალსაწიერიდან), ორასიოდე ტანკი და ხუთასამდე სხვა საბრძოლო-სატრანსპორტო მანქანა ჩაემწკრივებინათ და ორი ათასამდე ნიღბოსანი განელაგებინათ ადმინისტრაციულ საზღვართან. პრეზიდენტს საკუთარ ქალაქში არ უშვებდნენ: გაეშებული იყო ურსუსისკუ, როგორც ჰყვებოდნენ; იქვე, გულანშაროს პოლისთან ახლოს მდგარ სასტუმრო „არაბეთში" დასცა ბანაკი და ახლიდა თურმე თავს კედელს; ლამის იყო, გაეცა ბრძანება, დაეძრათ კუნძულის მთელი შეიარაღებული ძალები და ამოეუუჟათ, ვინაც კი გაბედა წინ გადადგომოდა; მთელი გულწრფელობით განიხილავდა თურმე, „ქალაქი რომ თვითმფრინავებიდან დავბომბოთ, ძირითადად, დოჟის სადისლოკაციო ადგილები, დიდი მსხვერპლი იქნებაო?" მაგრამ დააშოშმინეს თურმე როგორღაც მედღაშიე ვაზირისკუმ, იონიხმა და საფრანგეთის კონსულმა კუნძულზე, ოდრი აზულაიმ, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა მის აცოცებაში ხელისუფლების მწვერვალზე. ბრაზისაგან ტუჩებს იკვნეტდა ურსუსისკუ, შავი, უნაკლო ქოჩორი ერთ დღე-ღამეში გაუთეთრდა ახალგაზრდა კაცს (მერე, კარგა ხანს რომ ერიდებოდა თმის შეღებვა, დაავიწყდეს ჯერ ხალხსო, რომ ფიქრობდა, მერე კი ხან რომ შეიღებავდა, ხან კი ჭაღარად იტოვებდა, იმის მიხედვით, ახალგაზრდა და ძლევამოსილი სურდა გამოჩენილიყო თუ დაბრძენებული პატერ პატრია); იცოდა, ახლა უკან დახევა ყოფილი მიხრწნილი პრეზიდენტის მომხრეების თავის ანევას და შეიძლება, მის ნაჩქარევად დამხობასაც კი

ნიშნავდა. არადა, მართლა შეიარაღებული ძალები რომ შეესია გულანშაროსთვის, ამას არა მარტო მისი დამხობა, შეიძლება, კუნძულის დაღუპვაც გამოეწვია, ისედაც გამადიდებელი შუშით აკვირდებოდა თურქეთის ხელისუფლება აქ მიმდინარე მოვლენებს, კუნძულზე და, მათ შორის, გულანშაროში ჯერაც მტკიცედ დავანებულ რუსულ სამხედრო ბაზებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

გაისუსა კუნძული, გაისუსა გულანშარო. ორიოდე საათში გაიქცა ქალაქიდან ღურა ფერის მიერ საფიხვნოში შეჩურთული წევრების უმეტესობა, გახიკეს ცოლ-შვილი სამშვიდობოს. მოსახლეობის უმრავლესობამ მოიმარაგა თვეების სამყოფი სურსათ-სანოვაგე, გულიანად გაიღიმილა რუსეთის პრეზიდენტმა და შემოუპრესკონფერენცია ურსუსისკუს: „კარგი პოლიტიკოსი საკუთარ შეცდომებზე სწავლობსო". დიდების შარავანდედი შემოიფინა დოჟმა, მე მგონი, პირველად ვნახე გაღიმებული, თვალებმოწკურული იდგა, პიჯაკი პირდაპირ მაისურზე ეცვა; ეს მისი საიმიჯო ჩაცმულობა იყო მას შემდეგ, რაც ურსუსისკუ მოვიდა ხელისუფლებაში; ეჯიბრებოდა თითქოს, შენზე ნაკლებ ახალგაზრდად არ ვგრძნობ თავსო.

თვითგანადგურების ზღვართან

ეს დოჟის პირველი გამარჯვება იყო ურსუსისკუსთან, პირველად მოაკაკვინა თითი, ზეიმობდა ზღვარგადასულად, ბრიფინგს ბრიფინგზე აწყობდა კრემლის დარბაზებიდან, ირონიულად იხსენიებდა ურსუსისკუს: „არა, ახალგაზრდა კაცია, ახალგაზ-

რდობით მოუვიდა, ჯერაც შეიძლება მასთან დიალოგიო". სიხარულის ელვარება გაუდიოდა კოლი ანდროსკუს ლინზებიდან, „გულანშაროს დასაპყრობად მოდიოდა პრეზიდენტიო!" – თითქმის დაარწმუნეს ხალხის ნაწილი. განწირული ფერის აჩრდილი დასთამაშებდა არალეგალურ გულანშაროს – „ნუთუ ესეც უკან იხევსო, არ გვეღირსა ლიდერი ამ კაცუნასთან ბრძოლაშიო!" აუდიტუსმა გვითხრა, „იონიხს ვესაუბრე (უკვე ღრმა ფაზაში შედიოდა მისი პრეზიდენტთან განკიდეგანება, დოჟის სიძულვილიღა აერთიანებდათ), ასე თქვა, არ გვისმენს, გამოჩიტებული ქლესის ჭკუით დადისო". კინაღამ შუაზე გაუხლეჩია საცოდავი ქლეს მერბიელისკუ, ისედაც ენაბრგვილს საერთოდ წართმევია მეტყველების უნარი, საცოდავად ბლუკუნებდა თურმე; ისევ ურსუსისკუს შესცოდებია და „გამეცალე, თვალით აღარ დამენახოო!" – შეუღრენია; ხოლო უკვე მძვინვარების მინავლებისას პრემიერისთვის – მედღაშიე ვაზირისკუსთვის (ყოფილი პრეზიდენტის შვილობილი პოლიტიკოსისთვის, ვინც გერად გაზარდა აგარიანმა, მაგრამ არ იკმარა მან გერობა და ღვიძლობა მოსთხოვა, ღვიძლობა კი მხოლოდ საკუთარისთვისღა ემეტ-ეიმედებოდა სულხანს და ამიტომაც გერმა, ურსუსისკუსთან ერთად, დაამხო კიდევაც, როგორც ვთქვით, პოლიტიკის კვარცხლბეკთან) უთქვამს: „არ მომაშორებ ამ კაცუნას და – შენივე ნებით ამოეშალე კუნძულის ისტორიიდან, სადაც გინდა, გაქრიო!"

კი გაუღიმია მედღაშიეს, როგორც პირველი კლასის პოლიტიკოსს შეეფერებოდა, მაგრამ ყველას შეუმჩნევია – სახიდან ის უფერო ფერიც გაჰქრობია, ჩვეულებრივად რომ ედო. მაგრამ ვახსენეთ კიდეც,

უმაღლესი კლასის პოლიტიკოსი იყო, მთელი ღამე იმუშავა იონიხთან და გაჭასთან ერთად და მოხაზა ორგვერდნახევრიანი, მაგრამ ისეთი გეგმა, მართლაცდა გლობალურად მოაზროვნე, მაგრამ მაინც ნახევრად გიჟმა ურსუსისკუმაც გაოცებისგან დააღო თურმე პირი.

მაგრამ სანამ ამ გეგმას ნახავდა, მანამდე კვლავ ბორგავდა გულანშაროს პერიფერიის მისადგომებთან სასტუმრო „არაბეთში" დაბანაკებული პრეზიდენტი: „ფეხს არ მოვიცვლი აქედან, სანამ გულანშაროს საკითხს არ გადავწყვეტო, არ ჩამოვუშვებ დოჟს გულანშაროშიო!" ბრძანება გასცა: „დოჟის თვითმფრინავისთვის დახურეთ კუნძულის საჰაერო სივრცეო!" გადაირია სიხარულით დოჟი (ეს მედღაშიე ვაზირისკუსთან მოუთათბირებლად განაცხადა პრეზიდენტმა, ანუ ემოციით). გაბადრული სახის მიმიკითა და უხმოდ გაშლილი ხელებით გამოხატა კომენტარი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და გაეცალა ჟურნალისტებს. შუაღამით გადასერა დოჟის ლაინერმა რუსეთის ცა, სამჯერ შემოწერა წრე კუნძულის თავზე, მერე შევიდა თურქეთის საჰაერო ზოლში, ისეირნა კარგა ხანს და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთიდან შემოსრიალდა გულანშაროს აეროპორტში, რომელიც დანგრევის პირას იყო – სამჯერ შეიჭამა ევროპული ორგანიზაციების გრანტი (ამბობენ, ნახევარი მომცემმავე დაიტოვაო), მხოლოდ დირექტორის კაბინეტი იყო მოწესრიგებული.

მოკლედ, მთელი პოლიტიკური ისტებლიშმენტი დახვდა დოჟს აეროპორტში, გულანშაროს – მოქმედი, ხოლო დედაქალაქის – პოლიტიკური ნარებიდან ჩამოსკუპებული პოლიტმოღვაწეები. ისევ მაისურზე გადაცმული პიჯაკით იყო დოჟი. თოხლა პრე-

ზიდენტმა. დაჩოქილი ეევედრებოდა თურმე მედღაშიე, „ცოტა მაცალე, მივყვეთ ამ გეგმას და ხონჩით მოგართმევ ამ ციდამტკაველას დედაქალაქშიო“. ნირწამხდარმა, მაგრამ მაინც ომახიანად წაუკომენტარა ურსუსისკუმ: „საერთაშორისო საჰაერო ნავიგაციის კანონები დაარღვია დოუმაო“, და მეორე დღეს დანიშნა სეფეპრესკონფერენცია. მთელი ღამე ლოცულობდა თურმე რუსეთის სამხედრო მინისტრი: ნეტა შეუსიოს ჯარი გულანშაროს ურსუსისკუმო. სვედავსილი ალექსანდრე გამახსენდა საქართველოს მარადტანჯული ისტორიიდან, მთელი ღამე რომ ლოცულობდა და ფიქრობდა, გავაუქმო ბაგრატიონთა სამეფო დინასტია და გავაძლიერო რუსეთი თუ ვუერთგულო ჩემ მიერვე ჩამომხობილი მამის ფიცს, არ ვცოდო უფალს და მართალია, ერთი ციდა ნაკუწებადქმნილი ქვეყნის, მაგრამ მაინც მართლმადიდებელი მეფის ღვთით კურთხეული ტახტი არ გავაცამტვეროო.

არა, ბევრი რამით ჰგავდა კუნძული საქართველოს, ეს იყო, ალბათ ერთიოდე ნაბიჯით მაინც ჩვენზე წინ იყო.

იჩქარასავით კოლი ანდროსკუმ: მოუწოდა რუსეთს, „სასწრაფოდ ჩააყენეთ თქვენი სამხედრო კონტინგენტი გულანშაროსა და დანარჩენი კუნძულის გამყოფ საზღვარზეო“. თავიც გაისეპარატისტა ოფიციალურად კოლი ანდროსკუმ და რუსეთის პოლიტიკური მიზნებიც „ჩაუშვა“. ამაო გამოდგა მინისტრის ლოცვა – მოითმინა ურსუსისკუმ იონიხისა და მედღაშიეს ძალისხმევით და სეტყვასავით გამოსცა ულტიმატუმი: მოითხოვა მისი წარმომადგენლების დაყენება საბაჟოებზე – პორტებსა და აეროპორტში, საჩქარო განიარაღება და ასე შემ-

დეგ. გაიღრიჭა დოჟი: „ასე შენ ვაზირისკუს ესაუბრეო!" მაგრამ საქმეც მოაყოლა პრეზიდენტმა: დოჟის სამივე ბანკის ანგარიში გაყინა და გემებს მიახლოებაც კი აუკრძალა გულანშაროსთან. ახლაღა მიხვდა დოჟი, რომ დროს ჩამორჩა – გაეროცა და ევროკავშირიც, ფორმალურად, რუსეთიც, გულანშაროს კუნძულის განუყოფელ ნაწილად ცნობდა; ასე რომ, გულანშაროზეც ვრცელდებოდა საერთაშორისო, განსაკუთრებით, საფინანსო კანონები. ორიოდე კვირაში მიიღო შედეგი ურსუსისკუმ: დათანხმდა დოჟი პრეზიდენტის შემოშვებას, ჩამოფრინდესო, ბრძანა. „არაო, იმ დანაღმული შუკით შემოვალ, სადაც გზა გადამიღობესო, ამდენ ხანს ტყუილად კი არ ვცხოვრობ სოფლის ორვარსკვლავიან სასტუმროშიო!" – პრეზიდენტმა. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა დოჟს, ფულს ველარ ამოძრავებდა.

გამარჯვების რეპეტიცია გახდა პრეზიდენტის შემოსვლა: მდინარე ჟირნყალთან ათასი კარაბინერი კი მიაგება მას პოლისის არაღიარებულმა პრეზიდენტმა „დოჟი, დოჟის!" ძახილით, მაგრამ შედეგად იმასღა გამორჩა, რომ საბურავებისაგან ადენილი მტვრით გამოუტენა ხახა ჯარისკაცებად მიჩნეულ სამართალდამცავებს. გულანშაროსკენ მიმავალ მთელ დანარჩენ შუკაზე გამოეფინა პოლისის მოსახლეობა. ჩამოსწია შუშები სულხანმა და ესალმებოდა გზად დამხვდურთ, რამდენიმე ადგილას ჩამოვიდა და მცირე ხნით გაესაუბრა ხალხს. საშინელ დღეში იყო ურსუსისკუს დაცვა, შემოსეულ მიმსალმებელთა ზვირთებისგან ძლივს იცავდნენ.

გულანშაროში მზადება იყო. ღურა მიტინგს ამზადებდა დიონისეს ტაძრის წინ, ვეებერთელა მოედანზე. რამდენიმე აგური მოატანინა და საფიხვნოს

დარბევისას მომძვრალი კარი დადო ზედ. გაოცებულნი ვუყურებდით, აქ როგორ დადგეს პრეზიდენტიო.

გაესაუბრა ერთადერთი მცველის, გოლი ათისკუს თანხლებითღა შესული ურსუსისკუ დოჟს, დაითანხმა რწმუნებულების ჩასმაზე პორტებში, სახელმწიფოს საზღვარზე და საბაჟოებში. არ ვიცი, დაჰპირდა თუ არა, დოჟი ირწმუნებოდა, „დედა დაიფიცაო", მაგრამ ბანკის ანგარიშები ისევ გაყინული დაუტოვა და გამოვიდა მიტინგზე. მთელი დღე ელოდებოდა ხალხი, ალბათ ნახევარი გულანშარო გამოეფინა, სამჯერ მოგვიახლოვდა საბელზე დაბმული მაიმუნებიანი სპეცრაზმელების ლეგიონი, მაგრამ შეატყვეს, რომ გაილახებოდნენ და გაგვეცალნენ. შემოვიდა ურსუსისკუ, მახლობელ სახლში ავიდა და ცოტა ხანში გამოჩნდა მეორე სართულის აივანზე. მიტინგი უსმენდა, უფრო სწორად, უყურებდა – მღეროდა, კიოდა, ტიროდა, ყვიროდა ხალხი, „ურსუსისკუ!" „ურსუსისკუ!" და ლამის ისტერიკაში ვარდებოდნენ მომიტინგეები. ერთი ის იყო, რომ სიმღერა არ იცოდა სულხან ურსუსისკუმ, თორემ არც ერთ როკ თუ პოპჯგუფს არ ღირსებია ასეთი აუდიტორია. არ აღიარა დოჟმა, მაგრამ მიხვდა, რომ წააგო. თუმცა ჯერაც ვერ წარმოედგინა ალბათ, რომ ხიდებს ააფეთქებდა. ამას არც ჩვენ ველოდით, არც გრაფინია, რა თქმა უნდა. მაშინ იყო, ძლივს რომ გამოვტაცე ხელიდან ღურა: უკიოდა, „რა ჯანდაბა ტრიბუნაა ეს, როგორ დადგეს პრეზიდენტი ამ ბარიკადაზე, ისევ დაგვცინოს გინდა დოჟდრილებმაო?!" შემდეგ იყო, გველის დანახვასავით აკანკალებდა ღურას გრაფინიას ხილვაზე.

მხოლოდ მერე, დიდი ხნის მერე, როცა უკვე ღურა პროფესიონალი ვაჭარი გახდა და პრეზიდენტთან სეფესიტყვა ეთქმოდა გულანშაროს სახელოების გადანაწილებაში, მერე, როცა დოუის ჩამომხობის სამ წლისთავს ვზეიმობდით და სიგელებს არიგებდა, და როცა გრაფინიასთვის განკუთვნილს, მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმულს მე მაძლევდა აგათოტეროსისთვის გადასაცემად (ძლივს რომ დავანიშნინე ჩემს მოადგილედ ხრისალიდას ერთკვირიანი ხვეწნის შემდეგ და, რომ არა გაჭას ჩარევა, მაინც ვერ გავიტანდი ალბათ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ექვსი თვის დანიშნული ვიყავი ბიბლიოთეკის დირექტორად, ჩემდა გასაოცრად, კვარტუმის წინადადებით და აუდიტუსის აქტიური მხარდაჭერით), სწორედ მაშინ, წამის მეათედითღა გაუელვა, თუ მომეჩვენა, რომ გაუელვა თვალებში სინანულმა ღურას, სიკვდილის ფერი რომ ედო რატომღაც სახეზე; არა იმდენად გრაფინიას დაღუპვის, რამდენადაც იმ გზის გამო, რომელსაც საკუთარი სურვილით შეუდგა, რასაც ასე გამწარებით არ ანებებდა გრაფინია. თურმე რა ამაოდ ექაჩებოდა – ღურას უკვე კარგა ხნის არჩეული ჰქონდა, აშკარად, ეს სავალი.

ჯერ კიდევ მაშინ დაასკვნა გრაფინიამ დანანებით, „პოლიტიკაში ჩარგულ შემოქმედს ისევ ვაჭრობაში ჩათრეული ჯობნებიაო“.

ისევ შორს გამიტყუა სიტყვამ, ესეც ხომ მერე იყო, ხიდების აფეთქების შემდეგ, იმ გადამწყვეტი მიტინგიდან დიდი ხნის შემდეგ, გრაფინია, სტუდენტები და ლექტორები რომ შეინწირა და გადარეული გულანშარო ააზვირთა, ააგორგლა, ოთხივ სტიქიას, ერთად აღებულს, დაამგვანა და რომ მიაწყდა გულანშაროს ყოველი ჯურის მოქალაქე უნივერსიტე-

ტის კიბეს; სახლებისა და ბინების კარები პირთამდე იყო გამოღებული, ღია იყო დაწესებულებების, მაღაზიების, ბორდელებისა თუ სასტუმროების კარები; არავის, უკანასკნელ ზნედაცემულ ქურდბაცაცასაც კი არ ეცალა პარიობისთვის, ყველანი ატორტმანებულ არალეგალურ გულანშაროელებს შემოუერთდნენ. ეცვალა ფერი დოჟს, გაგზავნა ნახევარკუნძულის უკვე პარლამენტად სახელდებული საბჭოს წყალწყალა მახვში – სრულიად უპიროვნო მაგცალ ვარსახასკუ მოსალაპარაკებლად; მიკროფონთანაც არ მიუშვეს, ისე გაიძურწა, მაგრამ ახლო მდგომთ გაუგონიათ, თუ როგორ ამოუკნავლებია, „დავიღუპეთო“. შუაღამით გენერალ ნოგოვიცინის, შოიგუს რომ ჰყავდა მოვლენილი უკვე თვეების მანძილზე გულანშაროში, გამოწვრთნილი ათასამდე ჩამუზარადებული გვარდიელი მოუახლოვდა ხალხის სტიქიას – საათ-ნახევარი უშენდნენ ღამის ცას მანათობელ ტყვიებს, ისე განათდა მიდამო, მზიანი ღამე იყო თითქოს, ზეციდან დაბრუნებული თუთია თუ ტყვია გვაცვიოდა თავზე, ფეხი არ მოუცვლია არავის. სწორედ მაშინ შედრკნენ გვარდიელები, ნახევარზე მეტმა დაყარა იარაღი, ჩამოიხსნეს მუზარადები და შემოუერთდნენ მიტინგს. ამას კარაბინერთა სამი ათასეულის გადმოსვლა მოჰყვა არალეგალური გულანშაროს მხარეს. მაგრამ ეს ბოლოს იყო.

კრიტიკულ ზღვარს უახლოვდებოდა გულანშარო, უკვე ფენა არ იყო, რომ დოჟს არ გაენაწყენებინა: ტყიანი და ყინულიანი კანტონების მოსახლეობას, საშემოდგომო მოსავალი რომ დაუტოვა აუღებელი და მიტინგებზე აბოდიალა, ფულს ვერ ან არ ურიგებდა; გვალასქურელებს ზღვის სეზონი ჩა-

უგდო, ვაჭრებს აღებ-მიცემობა შეუზღუდა, საზღვრებზე საქონელი და ბანკებში ფული გაეყინათ; სტუდენტებს წარამარა არბევდა მიტინგებზე, არალეგალურ გულანშაროელებზე რომ არაფერი ვთქვათ; მიგრანტებიც გადაიმტერა რუსეთთან მოკავშირეობით და იმით, რომ ყველა თვითაღიარებულ რესპუბლიკას აღიარებდა – დნესტრისპირეთს, ჩრდილოეთ კვიპროსს, და მათ შორის, აფხაზეთს. მაგრამ მწვერვალი, რაღა თქმა უნდა, ხიდების აფეთქება იყო. როგორც ამბობენ, ვითომ ვაზირისკუს „ჩააშვებინა" ურსუსისკუმ საკუთარი თავი დოჟთან – „პრეზიდენტი ხვალ დილით ტანკებით შემოჭრას აპირებს გულანშაროში, ვერ გადავაფიქრებინეთ ვერაფრით, და იქნებ შენ მაინც მოახერხო რამეო". ააკანკალა თურმე დოჟს, იმ საღამოს ერთბაშად სამი სანტიმეტრი დაუკლია სიმაღლეში, და ბრძანა თურმე: „სასწრაფოდ! სამივე ხიდი, რომელიც დანარჩენ კუნძულთან ძირითადი საზღვრის განმსაზღვრელ მდინარე ჟირწყალზე დევს, ააფეთქეთო!" გაგიჟებულა თურმე კოლი ანდროსკუ, „რას ამბობთ, თქვენო მაღალღირსებავო!" მაგრამ დაუძვრია რევოლვერი და ფეხებთან უსვრია სამი ტყვია: „ჩაგცხრილავ, შე არარაობავ! ახლავე ააფეთქეო". „კი, მაგრამ ხიდების გარეშე ვერ გადმოვლენ ტანკები იმ ერთი ბენო წყალზეო?" – მაინც ჩაუჩურჩულებია კოლი ანდროსკუს. მაგრამ, მისი ბედი, უკვე მას არ უსმენდა თურმე დოჟი, ნაგანს უყურებდა გიჟის თვალებით, „რამ გაასისხლიანა ეს ჯანდაბაო?!" დაუძახია უფროსი, ჯერაც ქალაქისთავად მყოფი შვილისთვის: „გააწმენდინე ჩქარაო!" და მაუზერი ამოუღია უჯრიდან, მერე მიბრუნებია კოლი ანდროსკუს და უთქვამს: „კიდევ აქა ხარო?!"

სიცილით გაიჭაჭა თურმე ურსუსისკუ, როგორც კი ნახა „სი-ენ-ენზე", თუ როგორ ააფეთქა ხიდები დოუმა. მთელი სამყარო უყურებდა გაოცებული, რა სიმწრით გადადიოდნენ ჩემოდნებითა და ფუთებით აღჭურვილი უაზროდ დევნილებად ქცეული ადამიანები ხიდის ნარჩენ ხიმინჯებზე გადებულ ორიოდე დაღვრაკნილ ფიცარზე. მაშინ ინანა თურმე რუსეთის სამხედრო მინისტრმა, რომ არ გაიწვიეს დოუი და კოლი ანდროსკუ არ დაასაყდრეს გულანშაროს ტახტზე. არადა, თვითონაც მომხრე იყო ხიდების აფეთქების, არც კი შეუთანხმებია რუსეთის პრეზიდენტთან, რომელიც იბარებდა და არ იცოდა, რა მოემიზეზებინა, რომ არ შეხვედროდა. პრეზიდენტი ნიუეპოიასოვი კი სახეაალმურებული უსმენდა ამერიკის პრეზიდენტის (ვისაც წინა საღამოს გულანშაროს ამბებით საათ-ნახევარი უბურღავდა ტვინს საფრანგეთის პრეზიდენტის თხოვნით მიღებაზე მასთან თეთრ სახლში მყოფი ოდრი აზულაი) სიტყვებს ყურმილიდან: „ესაა გულანშაროს უფლებების დაცვა? ესაა ევროპის რეგიონთა ასამბლეის ვიცეპრეზიდენტიო?!" აი, მაშინ მიხვდა ნიუეპოიასოვი, რომ ვერ ჩაერეოდა რუსეთი ამ დაპირისპირებაში, მიხვდა, რომ ზედვე დაეშლებოდა ჩრდილოეთის დათვი ამ კუნძულს. ევროკავშირისა და ამერიკის მესვეურების მიერ დაყოფილ-დანაწილებული რუსეთი წარმოუდგა თვალწინ. გაახსენდა წინა ღამის სიზმარი: დიდი რუსეთის რუკის მაგვარი ტორტი იდო სუფრაზე, ბუში კი ადგა დიდი დანით ხელში და ევროპელ პრეზიდენტებს მიმართავდა, რომელი ნაწილი მოგიჭრათო; ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ვერ მოეთმინა და ორივე ხელი ჩაერჭო ტორტის ციმბირულ ნაწილში, გამალებული ილო-

კავდა და იტენიდა პირში თეთრ სლიპინა კრემს. ისევ გააჟრჟოლა ნიჟეპოიასოვს და გამწარებულმა შეხედა თავდაცვის მინისტრს, ნახევრად შემოღებული კარიდან შემოსვლას რომ ითხოვდა, და შეუბღვირა მუცლიდან ამოჭრილი ღმუილით: „დაიწყეთ მზადება გულანშაროდან ბაზების გასაყვანადო!"

თუმცა ეს ყველაფერი მერე იყო, კარგა ხნის მერე. ჯერ კი ისევ გრგვინავდა დოჟი – მოშიმშილე სტუდენტებს, ხიდების აფეთქება რომ გააპროტესტეს, სპეცრაზმელები და სამი დღის ნაშიმშილარი ხუთიოდე დრილი მიუსია. უმეტესობას ცხვირ-პირი დაულეწეს, სამ სტუდენტს კი ცალი დუნდული ჩამოაკბიჩეს მაიმუნებმა. აგათოტეროსი იუმორის გარეშე ვერ ჰყვებოდა ამ ამბავს, რაღაც განგების ნებით შესწრებია ლექციიდან მომავალი (თარგმანის თეორიას უკითხავდა ძველი პელაზგური ლიტერატურის შემსწავლელ ერთადერთ კურსს). გულანშაროელი პოლიტიკოსების უმეტესობაც კი გმობდა ამ ფაქტს, თუმცა ღიმილს ძლივს იკავებდნენ. გასაკვირი კი ის იყო, რომ შემდეგ, ინტერვიუებში, ეს სტუდენტები ვერ აკონკრეტებდნენ, დოჟის წინააღმდეგ საპროტესტოდ შიმშილობდნენ თუ დასაცავად, და ხუმრობდა ჟინპისტი, „რა დონისაც არიან, ის სასჯელი მიიღესო". მაგრამ ურსუსისკუმ მაინც დაუფასა მათ თავ- თუ ნაცდადება, ყველას ღირსების მედალიონი დაურიგა წმინდა ანას ბაფთით, ერთ-ერთი კი ტყიანი გულანშაროს შუა კანტონის მერადაც დანიშნა.

თუმცა ესეც მერე იყო, დიდი ხნის მერე, მანამდე კი დოჟის უკანასკნელი გაბრძოლება, ხიდების აფეთქების შემდეგ, პირდაპირ ეთერში მოწვეული გულანშაროს არქიტექტორთა სხდომა გამოდ-

გა, დოჟისვე თავმჯდომარეობით. ქალაქის მთავარ არქიტექტორს გულანშაროს არხის პროექტის წარდგენა მოაწყობინა. 12 კილომეტრის სიგრძისა და 50 მეტრის სიგანის ღრმა არხს ნახევარკუნძული საბოლოოდ უნდა მოეშორებინა პელაზგიისაგან და მას დამოუკიდებელი კუნძულის სტატუსი უნდა მიეღო. ისრაელიდან მალტისკენ მიმავალი გემები წრეს აღარ შემოწერენ პელაზგიას, არხით გაივლიან და ეკონომიკურად ჩვენთვის ძალიან მოგებიანი იქნებაო. სინამდვილეში კი დოჟს გეოგრაფიულადაც უნდოდა ჩამოეშორებინა გულანშარო პელაზგიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს მართლაცდა უტოპიური გეგმა იყო შესასრულებლად, მაინც შიშსა და ზიზღში ამოვლებული გავეშების მორევში ჩააგდო კუნძულისა და ნახევარკუნძულის მთელი მოსახლეობა. სწორედ ამ უკიდურესმა სივერაგემ გადაანყვეტინა გრაფინიას სამკვდრო-სასიცოცხლო მიტინგის მოწყობა.

ოლონდ ესეც მერე იყო და მანამდე კი სამი დღე ამზადებდნენ გრაფინია და გაჭა მიტინგს. რაღაც უპერსპექტივოდ ვუყურებდი მათ ამ ფაციფუცს. ღურაც ამრეზილი იყო, თუმცა ხელსაყრელი იყო – მის საკეთებელს აკეთებდა გრაფინია უშურველად. შეპყრობილივით იყო გრაფინია, მისმენდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა თუ მის ყურებამდე ვერ აღწევდა ჩემი სიტყვები; მეც ვხვდებოდი, აზრი არ ჰქონდა არავითარ მოწოდებას გონიერებისკენ. ვინ-ვინ და, გრაფინია გონებას ვერ დაემორჩილებოდა ამ გულანშაროსთვის გადამწყვეტ მისტერიებში, ისტორიულ მისტერიებში, სადაც ორეული კუნძულის, მიწის პირისაგან აღგვილი კუნძულის მოგონებები ირეკლებოდა. და წინათგრძნობა, ოდითგან, პირ-

ველი მიტინგიდან აყოლილი, რომ შეეწირებოდა ვიღაც ამ შუა საუკუნის აფრიკელი ტომის ბელადისმაგვარ მანიაკალურ მმართველობას, კვლავ მძაფრად მტანჯავდა. მაგრამ კასანდრასეული უაზრობა მედგა თვალწინ, გარდაუვალობის; მითოსური გმირების ბედისწერასავით გარდაუვალად დამიდგა თვალწინ რეალობა და შეგრძნება იმისა, რომ ვერაფერს შევცვლიდი. ამიტომაც იყო, რომ არც მე, არც აუდიტუსი და არც ჟინპისტი აღარ ვცდილობდით, წინ აღვდგომოდით და გადაგვეფიქრებინა მისთვის სამიტინგო ფაციფუცი. საოცარი ენერგიით ახერხებდა ისეთი ადამიანების თავმოყრას, რომ ცოტა ეჭვნეული შიშით ვუცქერდით. ურსუსისკუც ველარ ახერხებდა იმსიდიდე მიტინგების მოწყობას უკვე, გრაფინია და გაჭა რომ გეგმავდნენ. გვითვლიდა იონიხი, „ფრთხილად იყავითო", იცოდა გრაფინიას თავგამეტებულობა, „ფრთხილად იყავით! პრეზიდენტიც კი ვერ დაგიცავთ, უაზრო მსხვერპლად არ შეეწიროთო". განიცდიდა, თანაც თვითონ აქ არ იყო და არ უნდოდა, თანამოაზრეები განსაცდელში ჩაეგდო.

შუაღამეს დაუნიშნა შეხვედრა გრაფინიამ კულტურის მინისტრის მოადგილეს. მე და ჟინპისტი ვახლდით მხოლოდ. მოიხურა შარფი, ძალიან რომ უხდებოდა, და გავედით. რატომღაც მეგონა, გზაშივე აგვიყვანდნენ. მივედით თეთრ ბაზილიკამდე ჰომეროსისა და ნოვალისის ქუჩების კვეთასთან. გადმოვიდა შავი „კადილაკიდან" შავგვრემანი კაცი, საკმაოდ ჩასუქებული მაგცალ მანისკუ. რინადორე ამბობდა ადრე, ნოემას სალონში, ერთადერთი მოაზროვნე კადრია კულტურის სამინისტროშიო. ათიოდე ბიჯის მოშორებით ისაუბრეს პირისპირ ნახე-

ვარი საათი, მერე ისევ ჩვენთან მოაცილა მაგცალმა და იქვე გააგრძელეს საუბარი, „თქვენ დაიწყეთ და ჩვენ ყველანი გადავდგებით, – ამბობდა მანისკუ, – პედაგოგები, პროფესორები, სკოლის, უნივერსიტეტის, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების დირექტორები, ყველანი მოვალთ მიტინგზე და გადადგომაზე გავაკეთებთ განცხადებას".

„მთავარია, ადამიანებად დარჩეთო", დაუგდო სეფესიტყვა გრაფინიამ და ძალიან ოპტიმისტურად დავშორდით მინისტრის მოადგილეს, რომელიც, რა თქმა უნდა, არ მოსულა მიტინგზე, არც მინისტრი ირნელ კველაში და არც ერთი დირექტორი არ გადამდგარან. ირნელ კველაში კი მერე, დიდი ხნის მერე, როცა გრაფინია უკვე შეეზვარაკა დოჟიზმს, ყელგამოწვდილი ეხვეწებოდა დოჟგაგდებულ ქალაქში ჩამოსულ კუნძულის განათლების მინისტრს, „ოღონდ დამნიშნეთ გულანშაროს განათლების კომისიის თავმჯდომარედ და გამოვსწორდებიო".

თუმცა ესეც მერე იყო, არცთუ ისე დიდი ხნის მერე, როცა დოჟი რუსული ლაინერით რუსულ ცაში გაუჩინარდა. მანამდე კი გზად ნიმფა შეგვხვდა. „რა თქმა უნდა, მოვალთ მიტინგზე, ჩემს უნივერსიტეტს წამოვიყვანო". ხაზი გაუსვა, რომ უკვე გიჟისთვალება პრეზიდენტთან საკმაოდ იყო დაახლოებული და სხვა სივრცეებიდან გველაპარაკებოდა. მეჩვენებოდა, მაგრამ ეს მერამდენედ მეჩვენებოდა უკვე, რომ ეგ იყო ბოლო წერტილი, როდესაც საბოლოოდ დავკარგე ნიმფა, ან ჩავთვალე დაკარგულად. თუმცა მისი ტონისთვის არც გრაფინიას და არც ჟინპისტს ყურადღება არ მიუქცევიათ მაშინ. გრაფინიამ გვითხრა შემდეგ, როცა მისი ბინის კიბემდე მივაცილეთ, „როგორ აშკარად იფხანდა კი-

სერს, როგორ აწითლებული ჰქონდა ნაღდი მარგალიტებისგანო?!" აძალებდა იმ ხანებში ნიმფა თავს, თორემ მერე ისევ პრეზიდენტის ნაჩუქარი ოქროს ძეწკვი დაიკიდა, ბრილიანტის თვლებით მოჭედილი შიშველი ევრიდიკეს მედალიონით, და მერე საერთოდ, მხოლოდ იმ ძეწკვით შემოსილი რამდენჯერ უნახავთ გულანშაროს ბულვარში.

გაჭას გარდა, მხოლოდ გვალო იმმუნდასკუ ეხმარებოდა გულით გრაფინიას, უფრო სწორად, მეგაფონი ათხოვა ალალად, დაყვედრების გარეშე. მაშინ ჩანდა, რომ გამორჩეული არალეგალური გულანშაროელი იყო გვალო. იონიხმაც კი თქვა ერთხელ ბრიფინგზე, „აი, ნახეთ, რა დონის პოლიტიკოსი ეზრდება იმმუნდასკუს სახით გულანშაროს კი არა და, მთელ პელაზგიასო!" და ბუნებრივია, მის გამოცნობაში შეცდა განსაკუთრებული სიმძაფრით. საერთოდ, ადამიანების ცნობა ხომ მისი ყველაზე დიდი სისუსტე იყო, ადამიანს მხოლოდ მისი იმჟამინდელი არსით აფასებდა, ოდნავადაც არ ფიქრობდა, თუ არ ცდილობდა, განეჭვრიტა მისი მომავალი ქცევა, შესაძლო ზრახვები და ფიქრები. ღვთაებრივი ნიჭი ჰქონდა ადამიანების მინდობის, გვალომ კი ერთ-ერთმა პირველმა ჩასცა მახვილი ურსუსისკუსთან გამიჯვნისას იონიხს, ლამის კვარტუმამდე თქვა: „ღმერთმა მაპატიოს, ამ ჩამშვებ და დამსმენ იონიხთან რომ ვიდექი ამდენ ხანსო. ხელის მტევნები გაუხმება იმას, ვინც იონიხს შემოხაზავს საარჩევნო ბიულეტენზეო". მაშინ, რა თქმა უნდა, იმოქმედა ხალხზე მისმა პოზიციამ, ჯერაც არ იყო გაკოტრებული საბოლოოდ, ჯერაც არ ჰქონდა ურსუსისკუს მთავარ არხზე, მისთვის მიძღვნილ გადაცემაში ნათქვამი: „პოლიტიკოსმა აუცილებლად

უნდა იცრუოს ხოლმე, თუ ტყუილი არ შეგიძლია, რა პოლიტიკოსი ხარო?!" მერე, ურსუსისკუსაც რომ განუდგა, მის არჩევნებით დამამხობელ მაგნატს ერთგულება შეჰფიცა და ლამის ცრემლმორეულმა თქვა: „ჩვენ ბოდიში უნდა მოვუხადოთ დოჟსო", აი, მაშინ იყო, საბოლოოდ რომ დაეცა ძირს მისი პოლიტიკური ავტორიტეტი და რიგით მასხარად აღიქვამდნენ უკვე...

მაგრამ ეს მართლაც შორს გამიტყუა სიტყვამ, ეს მართლაც დიდი ხნის შემდეგ იყო, მაშინ კი ლამის ყველაზე თავგამოდებულად ეხმარებოდა გაჭასა და გრაფინიას დოჟის დასამხობი გადამწყვეტი მანიფესტაციის მომზადებაში. ინტელექტუალთა მიტინგი გამოდიოდა. ყველა მოიწვია სათითაოდ, უმეტესობა მოვიდა. როგორც მერე ამბობდნენ, კოლი ანდროსკუმ დოჟი ჩააყენა საქმის წვრილმანებში, გაცოფებულმა დოჟმა – კარაბინერები, და სწორედ ამიტომაც იყო, დამრბევთა პირველივე ტალღა პირდაპირ გრაფინიას რომ მიაწყდა. იქვე, თორმეტიოდე ნაბიჯზე ვიდექით მე და ჟინპისტი, გაფიქრებაც კი ვერ მოვასწარით, ისე გადაიარა მარბიელმა ჯარმა კიმერიელთა ურდოებივით და მოედანზე დატოვა გრაფინიას, შვიდი სტუდენტისა და ცხრა პროფესორის უსიცოცხლო სხეული და სისხლში ამოთხვრილი ბაირაღი. აშკარა იყო – ნიჩბებით მივხვდით – ნოგოვიცინის გადაცმული ჯარისკაცების ნამოქმედარი იყო. პირველ მიტინგზე აკვიატებული შეგრძნება, რომ მსხვერპლს მოითხოვდა კუდიანი გველეშაპი, ბოლო მიტინგზე ამიხდა.

კამარა მესამე

მარგალიტები

გულანშაროს მარგალიტების მაძიებლებმა გააათკეცეს მუშაობა, დაემხო დოჟი და მარგალიტებზე მოთხოვნა გაიზრდებაო. გაოგნებული იყო ქალაქი, არათუ ახალი მომხმარებელი არ გამოუჩნდა მარგალიტებს, ადრე ვისაც ჰქონდა, იმათაც აუქავილა კისერი. ღურას არც კი მორიდებია ვინმესი, საბჭოს პირველსავე საგანგებო სხდომაზე ჩამოიგლიჯა კისრიდან ბარონ მადერახის ნაჩუქარი ძენკვი, „მომკლა ამ შობელძაღლმაო!" – ამოიღმუვლა და მოისროლა მეორე ოთახში. ამოისუნთქეს საბჭოს წევრებმა და ნახევარზე მეტმა იმავე დღეს ჩამოიდღლიზა ძენკვი. როგორც ამბობენ, ყველაზე მეტად ჭოკას გაუხარდა, აი, იმას, ბურთები ხეებზე დავკიდოთო, რომ თქვა. არ მოეწონა ხრისალიდა პუპასკუს, გულანშაროში პრეზიდენტის დანიშნულ დროებით გამგებელს, მარგალიტების თემა: საჩქაროდ დაიბარა მწერალთა გილდიის ყოფილი თავმჯდომარე, პროტა, აი, ის, მწერალთაგან პირველმა რომ დაიწყო საბედისწეროდ ვაჭრობა გულანშაროში და მოსთხოვა, თუ არ გინდა ჩაგაყუდოთ ციხეში და იმ სამი მილიონის გადახდა გაკმაროთ, საჩქაროდ მოძებნე პარტნიორი უცხოეთში და სრულიად შეის-

ყიდე გულანშაროში მოპოვებული მარგალიტებიო. შეიჭმუხნა ყოფილი პოეტი, ამდენ მარგალიტს ვინ იყიდისო, მაგრამ როგორც კი შეხედა ხრისალიდა პუპასკუს ბავშვურ, მაგრამ ამაზრზენად მორცხვობაშეპარული სიყალბით გაჟღენთილ ღიმილს, წამისად წარმოუდგა სურათი (მაინც ჰქონდა პოეტური წარმოსახვის შემონავლული უნარი) – როგორ წარადგინა პრეზიდენტმა ხრისალიდა გულანშაროს დროებით მმართველად. ჯერ დროებით მმართველთა საბჭოს ცხრამეტი წევრი დაასახელა, ყველა ამბობდა, მეოცედ იონიხი იგულისხმა, ელოდა იონიხის ჩამოსვლას გულანშაროშიო, დოჟის დამხობის წინა საღამოსვე რომ გაგზავნა სან მარინოში კონფლიქტოლოგიასთან დაკავშირებით გამართულ თითქოსდა მნიშვნელოვან კონფერენციაზე; ელოდა იონიხის ჩამოსვლას და მცირედით მაინც მილაქუცებას. არ მიელაქუცა იონიხი და ვერც მოხვდა საბჭოში.

მაგრამ ეს ცოტათი მერე იყო, მანამდე კი ყოფილ პოეტს ხრისალიდას წარდგინება წარმოუდგა თვალწინ; ყველამ იცოდა, რომ მას დოჟის დამხობაში არავითარი წვლილი არ მიუძღოდა, ის კი არა, მამამისი დოჟის ხელისუფლებას ლიბოში ჩაედუღაბა ლამის, საკუთარი სურვილით. ჰოდა, გულანშაროს თუ არა, პოლიტიკური სცენარის სქოლიოებში ჩაუხედავ კუნძულელთა თვალში მაინც რომ გაემართლებინა ხრისალიდას დანინაურება, თქვა პრეზიდენტმა: „რევოლუციის დროს ბატონი ხრისალიდა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იდგა გულანშაროს საზღვართან და პოლისში შემომავალ მანქანებს ითვლიდაო", და რადგან დოჟის არაღიარებულ ორპალატიან პარლამენტს თვითლიკვიდა-

ცია გამოცხადებული ჰქონდა უკვე, გულანშაროს პოლისის მთავრობის მსგავსად, დროებით გამგებლად წარადგინა. ხოლო ღურას მხარზე ღიმილით მოუთათუნა თითები. მოკლედ, იფიქრა ყოფილმა პოეტმა, ამ ხალხისგან ყველაფერს უნდა მოელოდეო და შეისყიდა მარგალიტები. გაოცდა ქალაქი, ამდენი მარგალიტი არასოდეს გაყიდულა, „სულწაწყმედილი დოჟი, რა დღეში ვიყავით თურმეო". მალე თვითონ პროტა შერინასკუც სახტად დარჩა: ადრე რაც იძულებითი ბიზნესი ეგონა, რომ ეჭვობდა – მაწერენ ფულსო, სწორედ ამ „იძულებითი ბიზნესით", ხელისუფლების პირველ ეშელონებში წილების გადახდის შემდეგაც კი ნახა მშვენიერი მოგება – დაიხვავა გულდენების ზვინი ოდესღაც სულხან სადუნისკუს მიერ ნაჩუქარ მწვანემაუდგადაკრულ კაკლის საწერ მაგიდაზე. გათამამდა, შეეშიშლიზღა ხრისალიდას: „უფრო უკეთ წავა ჩვენი საქმე, თუ ვაჭრობის საქმეში ბატონ ირორესკუსაც ჩავრთავთო". პროტას ხელდასხმით იყო ადრე ირორესკუ აღზევებული და ერთგულ თანამოსაყდრედ იგულვებდა ყველა საქმეში, თან შორს იჭვრიტებოდა, ასეთ მწარე დოჟდრილს თუ გავუკაფავ ისევ გზას, მეხამრიდ ფარივით წავიმძღვარებ წინო. ბევრი არ უფიქრია ახალგამოჩეკილ მმართველს, ჩიღაისთან შეათანხმა მხოლოდ, სავაჭრო პალატაში აღამაღლა ირორესკუ. აღშფოთდა გულანშარო. „რა ვქნათ, იმავეთი ხომ არ გადავუხდით დოჟისტებსო?!" ხელები გაასავსავა ქლეს მერბიელისკუმ, გულანშაროს ტელევარსკვლავად იყო გამხდარი, ადრე რომ ქლესის ლანძღვით იკეთებდნენ კარიერას, ის ჟურნალისტები ახლა მისი ქებით ინარჩუნებდნენ სკამებს. ყოველ მეორე მოსაზრებას „მარტოობის

ასი წელიწადიდან" მოტანილი ციტატით ამყარებდა. მთელ გულანშაროში ადვილად ამოიცნობდი ქლეს მერბიელისკუს მომხრეებს – ან ახლა კითხულობდნენ მარკესის ამ მიღწევას, ან წასაკითხად ეძებდნენ. წაკითხული კი ცოტას ჰქონდა, ან ვისაც ჰქონდა, ქლესის მომხრეებად ვერ ჩაითვლებოდა; უბაცემ თქვა ერთხელ, „რა ჯანდაბაა, უნდა წავიკითხოო", მაგრამ მაინც არ წაიკითხა. საბოლოოდ შეაძულა ქლეს მერბიელისკუმ მარკესი. მე „სამოსელი პირველი" წავაკითხე და სადაც ქლესი მარკესის ციტატას იტყოდა, თუ ახლომახლო უბაცე მელრალიში იყო, აუცილებლად ჩაურთავდა, „ეს რაა, არის ქართველი მწერალი, რომელიც გენიოსიაო", და მოუხევდა ამონარიდს დოჩანაშვილიდან. ასეთი შემთხვევა კი ბევრი ჰქონდათ – ორივენი ხომ გვალასქურელები იყვნენ და პრეზიდენტის წინაშე ფავორიტობისთვის იბრძოდნენ გვალასქურში, სადაც, რა თქმა უნდა, ქლესს ვერავინ მიასწრებდა კვარცხლბეკთან.

ირორესკუ

გახარებული იყო ირორესკუ, ბუტბუტებდა თავისთვის, დრო მოსულა შარშანდელიო, და აასკეცებდა ოქროს მარაგს, გულანშაროს ყველა ბანკში ჰქონდა ანგარიში გახსნილი. უამრავი ახლად გახელისუფლებული არალეგალური გულანშაროელი გააფულიანა, მაგრამ მის ქონებას არ აკლდებოდა. კაცმა არ იცის, რამდენი მოგება ნახა მარტო მეოთხედ ფასად ნაყიდი ოქროს თექვსმეტგრამიანი ჰერმესის ათასობით მკერდსაბნევიდან, ასე გამწა-

რებით რომ იშორებდნენ თავიდან „დოჟდრილები“, როგორც გრაფი უწოდებდა. და მერე, რამდენიმე თვეში, ასე გავეშებულები რომ დაეძებდნენ, რადგან საკმარისი იყო, ურსუსისკუს ჰერმესის სამკერდე ნიშნით ენახა ვინმე, უმალ ნდობით განეწყობოდა მის მიმართ, მერე, საქართველოში მწერდნენ მეგობრები, ურსუსისკუს დამმარცხებელი, ერთ წელიწადში კი მასვე დამსგავსებული და პელაზგიიდან მასევე გაძურწული, სულხან მერკანტისკუც ასევეაო. მაგრამ სადღა იყო ოქროს მედალიონები! მათი უმეტესობის გადადნობა და გულანშაროს სამ ძირითად ბანკში ზოდებად შენახვა უკვე მოესწრო ირორესკუს, და იტკიცა ხელი შუბლზე სინანულით, „რა ჯანდაბისთვის ვიჩქარეო!“ რამდენიმე შემორჩენილი მედალიონი, ოქროს წონის მიხედვით მეოთხედ ფასში ნაყიდი ათმაგ ფასში მიჰყიდა მფლობელსვე და ოცმაგად კი – იმას, ვის სახელ-გვარსაც ჰერმესის კვერთხს შემოხვეული მარჯვენა გველის ხახაში გაჩრილ ქისაზე ამოტვიფრული მონოგრამის ინიციალები დაემთხვა. იძია შური დოჟმა – გულანშაროელების ნაწილი ხელისუფლებაში ყოფნისას გააფუჭა, ნაწილი კი – ხელისუფლებიდან წასვლით. გაოცებას ვერ მალავდა მაკარი – ვაჭართა გილდიის ტრადიციული წარმომადგენელი, რომლის წინაპრებმაც ათასი წლის წინ დაიწყეს კეთილსურნელოვანი გულანშაროული ვარდის ზეთით ვაჭრობა, ჯერ კიდევ ტამპლიერების დროს; და თვითონაც ღირსეულად აგრძელებდა საგვარეულო ტრადიციას, გულანშაროს არალეგალური ნაწილის დოსტად ითვლებოდა, ვაჭრობის მაგისტრი გახლდათ; როგორც თვითონ ხუმრობდა, ვაჭრებში საუკეთესო პოეტი იყო, პოეტებში კი – საუკეთესო ვაჭარი. გა-

ოცებული იყო მაკარი: „წახდა ვაჭრობა გულანშაროში, აღებ-მიცემობის ტალანტი დამცრობილია, მოგება სახელისუფლო გარიგებების ინსტინქტზეა მიგდებული, გზაჯვარედინზეა გულანშარო, გზათა შესაყრელი ოკეანეა და ვაჭრობის აუზად უნდა იქცეს, ეს უდღეური დროებითი საბჭო კი რას ცოდვილობსო!“ გნოსეოლოგი იყო, ცხოვრების სულის შემგრძნობელი, თავისი ჩახლართული უწვრილესი ძაფის ხვიარებიანად; ადამიანებთან ურთიერთობების საზომ ერთეულად გულდენს ხმარობდა; თავიდან სასაცილოდ მეჩვენებოდა, მაგრამ რაც უფრო მეტს ვუფიქრდებოდი, იმის ალბათობა, რომ ადამიანების შეფასებაში არ ცდებოდა, ლოგიკურად, ძალიან მაღალი იყო. ოდესღაც, ჩვილობაში დოჟს დედამისი ზრდიდა თურმე მთელი ერთი თვე და, აგერ ამდენი ხნის შემდეგ, უკვირდა მთელ ქალაქს, „თითქმის ძუძუმტედ გეკუთვნის, რატომ არ მიდიხარ დოჟთანო?“ განსაკუთრებით დედა აძალებდა, მაგრამ ნაკითხი და ერუდირუბული ქალი იყო და როცა უთხრა შვილმა, „ხელმწიფეს ნავში არ უჯდებიანო“, მას მერე მოეშვა; მეგობრებთან კი ამბობდა, „რამდენი ძროხის რძე დამილევია, იმდენი ბოჩოლა ჩემი ძმა ხომ არააო?!“ პირველად სწორედ მან აღმოაჩინა, რომ დოჟის შემდეგ დანიშნული მმართველთა საბჭო მწერალთა გილდიის შენობას ყიდდა. თითქოს სიმბოლური იყო, რომ სწორედ მწერალთა გილდიის შენობის გაყიდვით სურდათ დაეწყოთ დიდი პრივატიზაცია გულანშაროში. უკვე არც გრაფინია იყო ცოცხლებში და არც იონიხი, რომ დიდი მიტინგები და მანიფესტაციები აგორებულიყო, მაკარი კი გაოცებული აღიმილებდა ყველა ახალ აუქციონს. სადმე თუ იყო მუსიკალური სასწავლებელი, სამ-

ხატვრო სკოლები და გალერეები, ყველა შენობა გაიყიდა და შიგნით სავაჭრო სახლები გაიხსნა, დოჟის მიერ დადგმულ ჰერკულესის ქანდაკებას ქნარი გაუხუნდა ან მოგვეჩვენა, აი, ქისა კი მოაოქროებინეს და უფრო ბრჭყვიალა გამოჩნდა.

სურვილები

ნიმფას სალონში ვიყავით. გაწიწმატებული ჰყვებოდა უბაცე:

– ორთა, წან, მაგას ჰგონია, მის პოლიტიკურ იდეალებს უნდა შევეწიროთ ზვარაკად და ლენინის პატარა საბნევები რომ გვქონდა ბავშვობაში, ისეთი, მისი დისიდენტობის დროინდელი სურათამოჩორკნილი მედალიონები უნდა მივიბნიოთ გულზე!

ნოემა ხმას არ იღებდა, ბავშვების მიერ ლათინურიდან თარგმნილ იგავ-არაკებს კითხულობდა, შენიშვნებს ურთავდა რვეულებში; თან მარცხენა ხელში ჩაუქრობლად ეკავა სიგარეტი, გულანშაროს ყველაზე იაფფასიანი, უფილტრო ბრენდი და დროდადრო ოდნავ შესამჩნევი ბრაზი გადაუვლიდა მარცხენა ლოყაზე, როდესაც ნაფაზს ურტყამდა და ცდილობდა თვალში არ ჩასვლოდა კვამლი. რინადორე კი ინტერესით, მაგრამ ოდნავშესამჩნევი ღიმილით, თითქოს ირონიულად, უსმენდა უბაცეს.

– რა გითხრა? – დარდიანად ვკითხე მე. ვატყობდი, არ იყო მთლად სახარბიელო მდგომარეობა.

– ქლეს მერბიელისკუმ შემომთავაზა გვალასქურის მერობა, დროებით, რა, სანამ არჩევნები ჩატარდება. ხრისალიდა პუპასკუც კი დაითანხმა, ხომ იცი, მისი ნათესავია და ენდობა; ახლა ქლესი რომ წავი-

და ჩვენი დასიდან, რა, ამიტომ ხომ არ ჩავქოლავთ, გამარჯობაც არ ვუთხრათ?! – გაოცებული თვალებით მოგვაჩერდა. – ვეუბნები, ასეა საქმე, ჩვენს დასსაც უფრო მივხედავ-მეთქი გვალასქურში, ყუბ ემფთისკუ ერთი კვირაა დაჭერილია და არც გამოუშვებს ურსუსისკუ მაგას გარეთ, უახლოესი ოცი წელი მაინც, ისეთი დანაშაულები აქვს ჩადენილი. გვალასქურში კი, კი იცი, წან, ძალიან მცემს ხალხი პატივს! მიჭირავს ეს ტელეფონის ყურმილი ხელში, პირისპირ მაინც ყოფილიყო, ნახევარი საათი იფიქრა, წარმოგიდგენია? მერე მძიმედ, თითქოს რაღაც საოცარი წყალობა გაელოს, ისე მითხრა, კარგიო.

– აბა, რა გწყინს? – გაეცინა რინადორეს.

– რა, რა მწყინს, დინა! – „დინა" გოგოსადმი მიმართვის ძველი ფორმა იყო კუნძულზე, განსაკუთრებით გვალასქურში იყო შემორჩენილი; ინგლისურ „მისს" ჰგავს მნიშვნელობით, ოღონდ ისეთი ოფიციალური არაა, ახლობლებს მიმართავენ ამ სიტყვით, როგორც კაცებს „წანით". – ხომ ვიცი, რომ არ ესიამოვნა და უფრო იმიტომ დამთანხმდა. როგორც ჩანს, შემატყო ხმაზე. უარი რომ ეთქვა, მართლა დამტოვებელი ვიყავი დასის. არაკაცი ვიყო, არც იქ დავინიშნებოდი, მაგრამ მის დასსაც დავტოვებდი. ამოვიდა, რა, უკვე ყელში!

წამით გამოხედა ნოემამ, სადღაც ტუჩის კუთხესთან გამოუკრთა ოდნავი, სულ ოდნავი ღიმილი. ისიც ისე სწრაფად გააყოლა სიგარეტის პირიდან გამოშვებულ კვამლს, რომ მგონი, არც არავის შეუნიშნავს, ჩემ გარდა. მაშინ აშკარად უბაცეს თანავუგრძნობდი და მეც მიკვირდა, რატომაა წინააღმდეგი იონიხი-მეთქი.

მაგრამ მერე, დიდი ხნის მერე, იონიხის მკვლელობამდე სადღაც ერთი კვირით ადრე, როცა ჯერაც დაუტბორავ „სპილიაში" მითხრა, „ორთა, წან, მე არც გამიკვირდება და არც განვიკითხავ, რასაც იონიხზე ამბობენ, მართალიც რომ იყოს. დისიდენტობისას, იმხელა ზეწოლის დროს, უშიშროებასთან რომც ეთანამშრომლა, ეს არაფერს ნიშნავსო", მაშინ გავიფიქრე მწარედ: უბაცესთვის მიცემული ასგულდენიანიც, ორფეოსის პროფილგამოსახული ოქროს მონეტა, წყალში გადააგდო ტრადიციული ვაჭრობის მაგისტრმა, მაკარმა-მეთქი.

მარადიული აღმართი

დოჟის ყოფილი სასახლის ცქერა ასე სასიამოვნო არასოდეს ყოფილა. არალეგალური გულანშაროელები უმეტესად, მაგრამ მაინც, ლამის მთელი ქალაქი სასახლის წინა მოედანზე იყო თავმოყრილი და „ურსუსისკუ! ურსუსისკუ!" – სკანდირებდა. მე და აუდიტუსი გასუსულები ვუსმენდით ხალხს. დიდად არ გვეპიტნავებოდა პრეზიდენტის სახელის ასე აღტყინებული ძახილი, გვიგრძნობდა გული, გველეშაპის დამმარცხებელი რაინდი ძალიან მალე თვითონაც რომ გველეშაპს დაემსგავსებოდა, მაგრამ ასე ჩქარაც არ ველოდით ალბათ. იმ საღამოს დავუცადეთ, სანამ მოკლე სიტყვით მიმართავდა დოჟის ყოფილი სამფლობელოდან ურსუსისკუ შეკრებილთ. იმ ალაგას შეკრებილთ, სადაც ეკონიამ, სანამ თვითმფრინავში ჩაუჯდებოდა ქალაქიდან მის ცოცხლად განსარიდებლად ჩამოსულ რუს ემისარს, უკანასკნელად მიმართა, მღელვარების-

გან თუ მარცხისგან ენაბრგვილმა: „ძალიან მიყვარ-ხართ, მადლობა ერთგულებისთვის, ახლა კი წახვე-დით სახლებში“. მერე კარგა ხანს ატრიალებდნენ საინფორმაციო საშუალებები ამ „წახვედით სახ-ლებშის“, ისევე როგორც ურსუსისკუს ჟესტს – სა-ჯაროდ რომ შევიდა გულანშაროს ცნობილ სახაჭა-პურეში, და ჩვენებური, ლაზური ფელუკას მაგვარი, ყველით გაზიზინებული ხაჭაპური რომ გატეხა შუ-აზე, მერე ერთი ნაწილი, გადმოზუბზუბებული ყვე-ლითა და ერბოთი, როგორ გადაუძახა ვეშაპისხელა პირში და გავსებული პირით რომ თქვა: „დოჟი გაიქ-ცა, გულანშარო თავისუფალიაო“. მესამე დილით კი აუდიტუსი და ჟინპისტი დაგვადგნენ თავს მე და რი-ნადორეს (ჯერაც არ გვეკინკლავა საბოლოოდ, რო-ცა გაცხარებულმა მომიჯახუნა კარი, „კომპლექსი-ანო ველუროო“, რომ მომაძახა, და ეკუმენისტთა საერთაშორისო საბჭოების ყრილობაზე გაქუსლა უკანმოუხედავად, ესპანეთში, სადაც, სულ ცოტა ხნის წინ, ეკუმენიზმი და ბაჰაულა კი არა, მისი წით-ლად შეღებილი და დახვეული თმაც კი საკმარისი იქნებოდა მის ეშმაკისეულად გამოსაცხადებლად და მანდვე სადმე, წმინდა პეტრეს ან უმანკოდ ჩა-სახვის ტაძრის წინ მდებარე მოედანზე, სახალხოდ კოცონზე დასაწვავად).

– არალეგალურები ვიკრიბებით „სპილიაში“, ორთა! რინადორე! დროზე უნდა წავიდეთ, მნიშვნე-ლოვანია! – რაღაცნაირად შეშფოთებულმა გვითხ-რა აუდიტუსმა.

გრაფინიას ვგლოვობდით ჯერაც. ფაქტობრი-ვად, გამთენიისას მოვედით სასტუმროში აგათო-ტეროსის სახლიდან და მეზარებოდა. უკვე გადახ-ვეწილი იყო დოჟი, საქმეს ბოლომდე მიყვანილად

ვთვლიდი და არ მინდოდა რამე მოქმედებებში თავიდან ჩართვა.

მაგრამ ჟინპისტსა და აუდიტუსს უარს როგორ ვეტყოდით, დავლიეთ ყავა და წავედით.

„სპილია" სავსე იყო არალეგალური გულანშაროელებით, მათ შორის კი, ძირითადად, ისეთები იყვნენ, რომელთაც პირველად ვხედავდით. აუდიტუსს რამდენზეც ვკითხე, „კი, ჩვენთან იყო. უბრალოდ, ბოლოს არ ჩანდაო". ჟინპისტმა კი გაღიმებულმა მითხრა: „არ ჩანდნენ, მაგრამ სულიერად ჩვენთან იყვნენ, როცა ხორცი დოჟთან ეწვოდათო". აუდიტუსმა, „კარგი, ვისზე ამბობ მაგასო?" ჩანს, გამარჯვების შემდეგ აუდიტუსიც მიმტევებელი ხდებოდა. ჟინპისტს არაფერი უთქვამს, არ გვქონდა კამათის თავი – ჯერაც არ იყვნენ დაკრძალული მიტინგის დარბევისას გარდაცვლილები. ერთობლივი ცერემონიალი მზადდებოდა და გრაფიანიასაც იმ დღეს დაკრძალავდნენ. ორფეოსის უმთავრესი ტაძრის კაპელასთან ითხრებოდა სამარეები, მაგრამ საფიხვნოს ლიდერებიდან არავის ამ ცერემონიალისთვის არ ეცალა, ურსუსისკუ გულანშაროს დროებით სამმართველოს აყალიბებდა და იქ იყვნენ ოფლის ღვრაში.

– აი, იმას ხედავ? – მიმითითა ერთ შავგვრემან კაცზე ჟინპისტმა. კი-მეთქი, ვანიშნე. – მაგაზე თქვა ცხონებულმა პროკლემ, იონიხის ძმამ, ეგ რომ მოკვდება, თავი ცალკე უნდა დამარხო და ტანი კიდევ სხვაგანო.

– რატო, კაცო? – შევწუხდი, მაგრამ გამელიმა რაღაც გონებამახვილურის მოლოდინში.

– არქეოლოგები რამდენიმე ათასი წლის შემდეგ რომ იპოვიან, იტყვიან, ამ მიწაზე დევგმირებს უცხოვრიათ, ასეთი თავის ქალის პატრონები ბუმბერაზები იქნებოდნენო...

მე უფრო მოკრძალებით, მაგრამ აუდიტუსსა და რინადორეს ხმამაღალი სიცილი წასკდათ და დამნაშავეებივით, ერთდროულად და სინქრონულად აიფარეს ხელისგულები პირზე. იონიხს კი არ ეცალა გასაცინებლად, მეორე დღეს იყო სწორედ დაკრძალვის ცერემონიალი. ისიც მიკვირდა, საერთოდ როგორ მოიცალა ამ თავყრილობისთვის; ის კი არა და, მეგონა, ზუსტად ამ ცერემონიალზე უნდოდა საუბარი.

– მოკლედ, არ გადაგღლით, კი იცით, რომ არც მე მცხელა ახლა ამისთვის და არც თქვენ. მაგრამ არ ვიქნები მართალი, ახლავე საქმის კურსში რომ არ ჩაგაყენოთ, – შეისვენა და გულანშაროული ლუდი მოსვა, რომელიც მისი საყვარელი სასმელი იყო, – მოკლედ, დოჟის გაგდებამდე, ძალით, კბილებით ვინარჩუნებდით პარტნიორობას პრეზიდენტთან. სამწუხაროდ, მას ზუსტად ის თვისებები აღმოაჩნდა, რასაც ვერ ვიფიქრებდით. რაღაც ნიშნებს კი ვატყობდით, მაგრამ, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ეს სატანა იყო მოსაშორებელი, მეორე მხრივ კი, თითქოს ხავსს ვეჭიდებოდით, იქნებ საღ აზრზე მოვიდეს-თქო, ვინარჩუნებდით ერთობას. ახლა უკვე აღარც ერთი ეს მიზეზი აღარ გვაქვს. აგერაა გაჭა, ჰკითხეთ მასაც, ღმერთია მაღლა, რა არ ვცადე, რა არ მოვითმინეთ, მაგრამ შეუძლებელია მასთან ურთიერთობა. ჩათვალეთ, სულხან აგარიანის სულში თუ სხეულში შთასახლებული ეკონია სადუნისკუა. – ჩუმმა სიცილმა გადასერა ირიბად „სპილიას“ დარ-

ბაზი. – ეტყობა, მართლა შემთხვევით არ დაურქმევია მაშინ სულხანი. მოკლედ, ადგილობრივ არჩევნებზე ცალკე გამოვალთ. გაჭა იქნება სიის თავში. ვისაც შემოგრჩათ ენერგია და ძალა, აგერ ვართ. ვინც ჩათვლით, რომ ეს უკვე ზედმეტია და ნაჩქარევი, არავისთან წყენა არც მე და არც სხვა ლიდერებს არ გაგვყვება. ვიცით, რომ მთავარი საფრთხე, დოჟის სახით, ავარიდეთ გულანშაროს და მთლიანად კუნძულსაც; დანარჩენი შეიძლება უკვე პოლიტიკად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემი მოგონილი არაა, რომ დემოკრატია – ეს არაა აღმართი, რომელიც უნდა აიარო და მორჩა, მერე შეგიძლია ხელიც არ გაანძრიო და წამოწვე მაღლა, სიზიფეს მიერ ატანილი ვეებერთელა ლოდის ჩრდილში – არა, სამწუხაროდ, ეს უწყვეტი აღმართია, დაუმთავრებელი; ის დაუღალავთა, დაუცხრომელთა და თავისუფალი სულის ადამიანთათვისაა მხოლოდ; რაღაც წამებითღა შეიძლება მიაღწიო მცირედ გავაკებას, თითქოს სულს რომ მოითქვამ, მაგრამ უმალვე უნდა განაგრძო სვლა. თუკი წამოუწვები, მცირედ შევისვენებო, ისევ თავიდან და უფრო ძნელად გექნება დასაწყები. მე სხვა გზას ვერ ვხედავ.

გაოგნებული იყო ჟინპისტი: „ამ მამაცხონებულს ერთი დღე მაინც ეცლია, ზეიმი თუ არა, გასვენება მაინცო!" მეც იმ განწყობაზე ვიყავი, მაგრამ ჩანს, იონიხი არ აპირებდა პატარა გავაკებაზე შეჩერებას და დაბანაკებას.

ჯერაც არ ჰქონდა სიტყვა დამთავრებული იონიხს, რომ ნახევარმა დარბაზმა მოწყვეტით დატოვა თავყრილობა, დარჩენილი ნახევარი კიდევ გულდაწყვეტილი ღიმილით უმზერდა ქრისტეფორე იონიხს, დანანებული დუმილით, დუმილით, საიდანაც მხოლოდ სიცარიელე გადმოდიოდა და არავითარი სიბრძნე.

აღებ-მიცემობა

ველარ გაბედა ხრისალიდა პუპასკუმ კაფე „სპილიას" გაყიდვა. არადა, არ უნდოდა ახალ მთავრობას, არალეგალური გულანშაროელებისათვის საბუდარი დაეტოვებინა. მას შემდეგ, რაც მწერალთა გილდიის შენობა ვერ გაყიდეს, მაგრამ მის ძირითად ნაწილში თავიდან ყავახანას შერწყმული დიდი წიგნის მაღაზია, ხოლო შემდეგ მარგალიტების სადისტრიბუციო სათავო სავაჭრო ცენტრი განათავსეს, ნავსაყუდარი არსად გვქონდა „სპილიას" გარდა.

მაგრამ უკეთესი გზა მოიფიქრეს: სანიაღვრე არხები ისე მოხერხებულად ჩაკეტეს კაფეს ირგვლივ, რომ პირველსავე ძლიერ გაწვიმებაზე კაფე წყლით გაივსო. ამოტივტივდა უკვე ყოფილი სალონიდან ქაღალდები მწერალთა ავტოგრაფებით, ათასნაირი საწერ-კალამი, სამახსოვრო ფოტოსურათები. თვითონ მწერალთა გილდიის გაყიდვის მცდელობა შემპარავი, მაგრამ ხანგრძლივი პროცესი იყო; როგორც კი თავზე სისხლჩამომდინარი ეგო გამიასკუ გამობარგდა შენობიდან და ადრე ქლეს მერბიელისკუს „დაჩად" წოდებულ გვალასქურში დაივანა, ვიფიქრე, აღარაფერი უდგას წინ ელეაზარის არჩევას მაგისტრად, ახლა მაინც ვინ შეგვიშლის-მეთქი. მაგრამ ვცდებოდი: სანამ რეგიონში მდგომარეობა დაწყნარდება (გულანშაროს მწერალთა გილდია ხომ კუნძულის ეროვნული გილდიის შემადგენელი ნაწილი იყო, მართალია, დოჟის ხანაში – ფორმალურად, მაგრამ მაინც), დროებით მაგისტრს დედაქალაქიდან, პელაზგიის მწერალთა გილდიის მაგისტრი დანიშნავს სპეციალური ბულითო. ამას არა უშავდა, ჯერ ერთი, დროებით იყო და მეორეც,

დოჟის სანკტ-პეტერბურგში გარდანკვარამების შემდეგ სეპარატისტული განწყობები აღარავის ჰქონდა და დედაქალაქსაც აღარ აღიქვამდა ვინმე, როგორც უცხოს; მოულოდნელი სიხარული ის იყო, რომ, არალეგალური გულანშაროს გასაოცრად, ამ ნანატრი ბულით ბარონი მადერახი ინიშნებოდა მაგისტრის მოვალეობის შემსრულებლად, ვიდრე არჩევნები არ გაიმართებოდა. აი, მაშინ კი ჩავთვალეთ არალეგალურმა გულანშაროელებმა, რომ გილდიაში საბოლოოდ შემობრუნდა აპოლონის სული. ბარონმა რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის მიღება მოასწრო გილდიაში, რომლებსაც საკმაოდ დიდი ხნის მერე (მე რომ უკვე საქართველოში ვიყავი), მაგრამ მაინც მოუხერხებიათ ჰერმესის მსახურების გამოძევება სასახლიდან ელეაზარის დახმარებით.

მაგრამ ეს მართლაც დიდი ხნის მერე იყო. მაშინ კი ბარონმა გულანშაროს უმუშევარი მწერლებისთვის ყოველთვიური გრანტი თუ სტიპენდია, არ მახსოვს რა ერქვა, დაანიშნინა ქალაქის მერს, რამაც ლამის სულზე მიუსწრო უამრავ ადამიანს. მერე იყო და, ქალაქის საფიხვნოს კულტურის კომისიას ლამის ძალდატანებით დააფინანსებინა ასამდე წიგნის გამოცემა, მათ შორის, ჩემი ორფიკული ჰიმნების თარგმანების კრებულის; და კიდევ უამრავ რამეს აპირებდა, მაგრამ, როგორც ერთხელ გილდიაში მისულს მითხრა, „წარმოიდგინე, ორთა, რაც აქა ვარ, პოემაზე საერთოდ ვეღარ ვფიქრობ, ასეთ დროს კი, იცი შენ, ქანდაკებაზე ვმუშაობდი. ახლა ახლოსაც ვერ ვეკარები. ქანდაკებას ვინ ჩივის, ერთი ძეწკვიც კი არ გამიკეთებია, რაც აქ დავინიშნე! დაბადებასავით ველოდები, როდის გაიმართება არ-

ჩევნები და მოვშორდები აქაურობასო!" არასოდეს მენახა ასე აღელვებული ბარონი, „ისე გამომფიტეს, ორთა, ისეთი ომით მიწევს უკვე თითოეული სიკეთის გამოგლეჯა ამ ვაჭრებისთვის, ან მომკლავენ, ან შევაკვდებიო!" საბედნიეროდ, არ შეკვდომია, მაგრამ დანიშვნიდან ზუსტად შვიდი თვის შემდეგ, პირველსავე არჩევნებზე, არც კი წამოუყენებია თავისი კანდიდატურა და, ჩემდა გასაოცრად, უალტერნატივო კვარტუმმა გაიმარჯვა, ოთხმოცი ხმით ოცის წინააღმდეგ. ეს სწორედ ერთი კვირის თავზე მოხდა იმ დღიდან, როცა უკანასკნელად სთხოვა ხელი კვარტუმ ნასინდალისკუმ ჰელენს; დოჟის გადახვეწამდე ზუსტად ერთი თვით ადრე გადადგა მინისტრობიდან, ღურას მრჩეველი ვარო, იძახდა და ტავერნასაც უფრო ხშირად სტუმრობდა. მგონი, ბოლოჯერ, მეხუთედ აპირებდა დაქორწინებას, პროტას შვილიშვილზე, ახლად წამოჩიტულ ანაბელიზე, მაგრამ მანამდე უკანასკნელად გაიბრძოლა ჰელენთან: „ნამდვილი სიყვარული შენ ხარ ჩემი და ვისზეც არ უნდა მექორწინა, მხოლოდ შენ ხარ ჩემი მითიურად განაკვეთი მეორე ნახევარი და უშენოდ ნახევარკაცად დავბორიალებო". არ ვიცი, ასე მხატვრულად გადასცა ირორესკუმ კვანტუმის დანაბარები თუ წაუირონია თვითონ, მაგრამ ლაკონური პასუხი კი მიიღო ჰელენისგან: „მე მხოლოდ ნაღდ როლებს ვთამაშობო". და არც ნასინდალისკუს უდარდია, მგონი, დიდად, ისე დაქორწინდა პროტას შვილიშვილზე, უკვე მაშინ საკმაოდ ცნობილი ფილმის თანარეჟისორზე, რომელმაც რაღაც პრიზიც კი დაიმსახურა, თუ არ ვცდები, ტალინალეზე. ნასინდალისკუს სანთელივით იზიდავდა სახელგანსმენილები, მაგრამ „საკუთარ პეპლის ფრთებს ვერ

ითვალისწინებსო", ტყუილად არ უთქვამს მერე, იმ საბედისწერო ჩხუბის მერე ჟინპისტს, „მაგაზე ბოლმა როგორ უნდა გქონდეს, ორთაო, ერთი შესაბრალისი კაცია, ვერ ხედავ, მართლაც ვერ გაუმართლა ცხოვრებაშიო?" მაგრამ გონებით ხომ ვერაფერს უშველი გრძნობებს. ეგ რომ შესაძლებელი იყოს, რა გვიჭირდა მოკვდავებს, საერთოდ არ დაგვჭირდებოდა ხელოვნება, და ეგეც საკითხავია, აჯობებდა თუ არა ეგ.

თუმცა ესეც მერე იყო, საკმაო ხნის შემდეგ. მაშინ კი ბევრი გვიმტკიცა დიდრიხმა, „ბარონ მადერახს აღარ უნდა ცოცხალი თავით მაგისტრობა, ბატონი ელეაზარი კი, კი გვიყვარს ყველას და მართლაც იდეალური იქნება, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ვერ გავა მაგისტრადო?!" კვარტუმმა კიდევ დაგვარწმუნა ყველა, ან თავს ვიტყუებდით უბრალოდ, შეიცვალაო და დავუჯერეთ: „სანამ მე ვიქნები მაგისტრად, ახალ წევრებს მივიღებ გილდიაში, არალეგალურ გულანშაროელებს, და არ გაგვიჭირდება შემდეგ ბატონი ელეაზარის არჩევაო". კვარტუმი რაღაცნაირად თითქოს განიცდიდა, დოჟის დროს რომ დაინიშნა ბიბლიოთეკის დირექტორად და მერე მინისტრად, მაგრამ თან შესამჩნევი რიხი ედგა ხმაში; გვახსენებდა, საკუთარი ნებით რომ გადადგა და ლამის თვითონ რომ იყო ურსუსისკუს გაპრეზიდენტების შემდეგ გულანშაროს მწერლების მთავარი მებაირაღე დოჟიზმთან ბრძოლაში: ღურა ფერის მეოთხე თაობის ბიძაშვილი იყო, გულანშაროში კი ნათესაობა ძალიან ბევრს ნიშნავდა; მეგობრობა და ნათელ-მირონი, თუნდაც ორფიკული სულიერი ერთობა მესამეხარისხოვანი მოვლენა იყო სისხლით ნათესაობასთან შედარებით. ასე რომ,

კვარტუმი ცალკერძ დოჟს არ აღიზიანებდა, ცალკერძ კი ღურა ფერის უმაგრებდა მხარს მის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ეს დაუფასა ღურამ, განსაკუთრებით კი, გიჟისთვალება პრეზიდენტმა, რომელსაც არ სიამოვნებდა უტეხი გულანშაროელების წამოჭიმვა მნიშვნელოვან სახელოებზე, „ვერ დავიმორჩილებ მაგათო", და ხრისალიდა პუპასკუს დავალებით სწორედ ღურამ გასწია მუხლჩაუხრელი შრომა გილდიის წევრებს შორის ხვეწნა-მუდარით, კვარტუმს მიეცით ხმაო. თორემ მხოლოდ პელაზგიის მწერალთა გილდიის მაგისტრი ქალბატონი შხურ უშკურიში ვერას გახდებოდა არჩევნებში საკუთარი მხარდაჭერით, თვითონ აღიქმებოდა ურსუსისკუს სამეფო კარზე არასაიმედო ფიგურად და მას დიდად არავინ შეეკითხებოდა რამეს. მაინც დიდრიხის სიტყვას დავყევით უფრო, როცა ნასინდალისკუს გამაგისტრებას შევეგუეთ, თორემ პირველ ხანებში, სანამ ახალი, გიჟთვალება პრეზიდენტი ძალიან დაემსგავსებოდა დიდი მასშტაბის დოჟს, ჯერ კიდევ შეიძლებოდა წინააღმდეგობის გაწევა. დიდრიხი მეორე იყო, უკულ ლუდაუშეს შემდეგ, ვისაც სახელო ერგო არალეგალური გულანშაროელებიდან – ადგილობრივი გაზეთის რედაქტორად დაინიშნა, გაზეთის, რომელიც დოჟის დროს ლამის „ვაშინგტონ პოსტის" როლს ასრულებდა გულანშაროში, ხრისალიდა პუპასკუს ხანაში კი დიდი ვერაფერი იყო, გულანშაროს ქალაქის საფიხვნოს დადგენილებები იბეჭდებოდა ძირითადად, მაგრამ მაინც სახელო და არალეგალური გულანშაროს წარმომადგენლის დაფასებას ნიშნავდა. და გახარებულმა მაკარმა, ტრადიციული სავაჭრო გილდიის მაგისტრმა, მასაც ლუდაუშეს მსგავსად, ისევე როგორც დოჟის გადაგ-

დების შემდეგ, თანამდებობაზე დანიშნულ ყოველ არალეგალურ გულანშაროელს და „სპილიას" თითოეულ მუდმივ სტუმარს, ასგულდენიანი ოქროს მონეტა აჩუქა. ჰო, ეს თავიდან იყო, ადამიანების შეცნობის დიდოსტატი მაკარიც რომ აფოფინდა და შეცდა, ან სასურველი ჩათვალა რეალობად. შემდეგ კი მრავლად მოემატა ქალაქს სკამიანი „სპილიას" თუ არალეგალური გულანშაროს წარმომადგენელი, მაკარმაც მრავლად არიგა ოქროს ასგულდენიანები, ლამისაა, გაკოტრებამდე მიიყვანა სიხარულის ასეთმა გამოხატვამ, და ბოლოს გულის უმწვავესმა უკმარისობამ გადაიყოლა კინაღამ. მართალია, არა გულდენების სიმცირის, არამედ დაჯილდოებულთა ელვის უსწრაფესად ვაჭრადქცევის და მარადიულ ხელოვნებასთან დაუნანებლად განქორწინებების გამო. მაგრამ მაგისტრი იყო ვაჭრობისა და გაკოტრებით მაინც არ გაკოტრებულა.

თუმცა ეს მერე იყო, მანამდე კი კვარტუმმა დაამტკიცა, რომ მაგისტრი კი არა, მაგისტრის სკამი წყვეტდა ყველაფერს და პიროვნება არაფერ შუაში იყო; ჯერ იყო და, მწარე „დოჟდრილები" მიიღო ახალ წევრებად, დოჟის მმართველობისას რომ ქუხდნენ საქმეებით, და წიგნების ავტორები გახლდნენ მხოლოდ და არა მწერლები. მაგრამ, როგორც არალეგალური გულანშაროელები ამბობდნენ, ეს მითითება დედაქალაქიდან მოდიოდა, სადაც მწერალთა გილდიას ჯერაც სულხანის მიერ აყვავებული კალმოსნები განაგებდნენ, თვით ქალბატონ შხურის მეთაურობით. ოღონდ ურსუსისკუსაც სულხანი რომ ერქვა, ეგ რატომღაც ავიწყდებოდათ. ჰო, მერე კი, როცა კვარტუმმა ელეაზარს შეუჩერა ხელფასი და მხოლოდ მაგისტრს დარჩა გასამრჯელო, „რა ვქნა,

გულანშაროს ქალაქის საფიხვნოს გადაწყვეტილებაა ასეთიო“, დაცარიელდა სასახლე, არჩევნებზე ელეაზარს უკვე არავინ აირჩევდა და დაივანა კვარტუმმა ტახტზე. ცოტა ხანში კი, როდესაც დაფინანსება აღადგინა გულანშაროს მერმა, უკვე ახალი სახელოები შემოიღო კვარტუმმა და არც ელეაზარი, არც დიდრიხი და არც ჟინპისტი უკვე სასახლეში აღარ აღუდგენია. სასახლე უკვე ყოფილი დოჟისტებითა და ახალგამომცხვარი დიქტატორის – ურსუსისკუს ერთგული ხელოვანებით იყო სავსე, და როგორც შემდეგში გაირკვა, უკვე მოხერხებულად გაეკვალა გზა ირორესკუს ნანატრი მაგისტრის სკამისკენ.

ნოემა

გარდაცვალებამდე მოვკალი ლამის, „მულღაზანზაროში“ ვიჯექი ჩვეულებრივ დაცლილი, როგორც ბოლო ხანებში ვიყავი ხშირად, გრაფინიასა და იონიხის სიკვდილის შემდეგ. დროის ამბავი იყო გულანშაროდან წამოსვლა, ერთადერთი ის იყო, რინადორეს და მე ვერ გაგვერკვია, რა უნდა გვექნა. არ უნდოდა წამოსვლა საქართველოში, ურთიერთობაც გაგვიცივდა თითქოს, რაღაცნაირად ვატყობდი, რომ ძველებური სიახლოვე სადღაც უჩინარდებოდა. თითქოს ინერციით ვხვდებოდით ერთმანეთს. სწორედ ასეთ დროს მოვიდა ნოემა რინადორესთან ერთად, უფრო სწორად, რინადორე ვიღაც ქალბატონთან ერთად, სასტუმროში. ბუნებრივია, რინადორე უცხოს ან არაახლობელს არ მოიყვანდა ჩემთან. გულთბილად მივესალმე. ექვსი თვის უნახავი

მეყოლებოდა, დოჟის გადაყუდებიდან წელიწადნახევარი იყო გასული და გულანშაროში ურსუსისკუს მიერ დანიშნული, ხოლო შემდეგ, იონიხის მკვლელობის მერე, არჩევნებით მერად მოსული ხრისალიდა პუპასკუს გულარძნილი მმართველობა ტანკენარობდა. არეული იყო ახალგაზრდა გიჟისთვალება პრეზიდენტი, ვერაფრით ივიწყებდა იონიხის დამსახურებას დოჟის გარდაგულანშაროელებაში და საკმაოდ აგვრია არალეგალური გულანშაროელებიც, შუღლი და გაუტანლობა კიდევ მეტად ჩამოწვა მთელ გულანშაროში. რაც დოჟს მორჩა მცირედი, დაუმარცხებელი და გაუყვლეფავი სიკეთეები, იმას დაერია მაინცდამაინც. მოკლედ, ამ არეულობაში ვიყავი საკმაოდ ჩათრეული, მაგრამ, როგორც ვთქვი, გადამწყვეტი მაინც იონიხისა და გრაფინიას დაღუპვა იყო, რამაც, ბუნებრივია, ძალიან იმოქმედა და ექვსი თვე იყო გასული, არც შევხმიანებივარ; კი მესმოდა ხმები, ნოემას ჩიყვი აღმოაჩნდაო, მაგრამ დიდად არ მიმიქცევია ყურადღება. რა დიდი პრობლემა ეგაა-მეთქი, ვფიქრობდი. თუმცა ბოლოს რომ შემომიარა ემესთან ერთად, აი, სწორედ მაშინ, ექვსი თვის წინ, უკვე ეტყობოდა სიგამხდრე სახეზე. იონიხის სიკვდილით გამოწვეულად უფრო ჩავთვალე მაშინ, უხდებოდა კიდევაც. „არ მინდა ქირურგიული ჩარევა და ჭრა-კერვა, სახალხო მედიცინით ვმკურნალობო", მითხრა; სარდაფის ამბებზე დაქროდა, ადრე ძმის საოქრომჭედლო რომ იყო და ჩვენი სანაქებო სალონი – შემდეგ; მეზობელმა, მის ძმას თანშეზრდილმა, მერჩქი ნაფილისკუმ წაართვა, ძმის ნივთები კართან დაუწყო და სახელოსნო მიითვისა; საკუთარი მისაღებიდან გამოტეხა კედელი კარად, გარედან შესასვლელი ამო-

ლუქა, გაოგნებულ ნოემას კი უთხრა: „თუ ცოცხალია თუბალი და ჩამოვა, დავუბრუნებ სიტყვის უთქმელადო". გასაკვირი იყო, ნიმფა მიყვებოდა მერე, შემთხვევით როცა შევხვდი, წელზემოთ ზონარივით ლიფის ამარა რომ მოდიოდა ვიღაც დაქალთან ერთად ბულვარიდან – მართლა ქალღმერთს ჰგავდა, თითქოს ყველაფერი გაქრა ერთი წამით, თითქოს ყველაფერი, რაც იქამდე იყო, გაუჩინარდა და პირველად ნანახივით აღვფრთოვანდი ისევ, „არ იცვლები, ლედი-მეთქი". გაუხარდა აშკარად მასაც. მაშინ მითხრა, სიტყვას მოვაყოლეთ ნოემაც, „ურიგო ლექტორი არაა მერჩქი, კარგი ფიზიკოსია და სტუდენტებსაც უყვართ. ვერაფრით წარმოვიდგენდი, ასეთის გაკეთება თუ შეეძლო. ისე, რომ იცოდე, ღურა ფერის უახლოესი ძმააო". საოცრება იყო. ვერ გაარკვევდი, კვარტუმისგან აითვისა მაშინ, უნებისყოფო კაცის დიეტასავით მოკლე ქორწინებისას, ეს საზიზღარი – ადამიანზე ეჭვის შეგდების – უნარი თუ თავადვე ჰქონდა, უსწავლელად. მახსოვს, ერთი სკოლაა-მეთქი, რომ გავივლე მაშინ გულში ნაღვლიანად. ქალაქის მერისა და საკრებულოს გაერთიანებული არჩევნების ჩატარებამდე, ურსუსისკუს დაკომპლექტებულ გულანშაროს დროებით საბჭოში ერთ-ერთი წევრი, ჭოკისკუ, სწორედ ნოემას ყოფილი მოსწავლე იყო და მისი იმედი ჰქონდა ნოემას, დავიბრუნებ სახელოსნოს აუცილებლადო და თავდაუზოგავად იბრძოდა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამაოდ.

რინადორემ ყავა მოადუღა. ვუთხარი, შოკოლადიც არის კარადაში-მეთქი და სანამ გამოიტანდა, ისე, სხვათა შორის ვკითხე, „შენს მეგობარ ქალბატონს არ გამაცნობ-მეთქი?" და წამისად განათდა,

მივხვდი, თუ რას ნიშნავს გამოთქმა „ელდა მეცა“ – გაიღიმა და უმალვე ამოტივტივდა მიხრწნილ, ასი წლის გალეულ მოხუცს დამსგავსებულ, სახედამჭკნარ დედაბერში ნოემას სული. სულის უკვდავებასაც ირწმუნებდი კაცი ამ გარდასახვით, აბა, სხეული აღარ იყო ნოემასი არსად.

– ვერ მიცანი, ორთა?

– ღმერთო დიდებულო! რა გჭირს, ნოემა? – სახე წამიხდა.

– ნუ გეშინია, ჩიყვია, ვმკურნალობ და გამივლის მალე, – აქეთ გამამხნევა, მაგრამ ამას უკვე ვერაფერი შეცვლიდა. როგორ შეიძლებოდა, ნოემა არ მეცნო? ერთხელ მაპატია თითქოს, მე კი მეორედაც ვერ ვიცანი. ის გრძნობა კი – უმწეობის – რაც მაშინ დამეუფლა, არ იყო უცნობი, მაგას მაინც კარგად ვიცნობდი.

იონიხის აღსასრული

ალბათ ასე შემოდიოდა ჰორაციუსი რომში გაძევების შემდეგ, კეისრის მისიკვდილებიდან მცირე ხანში – ტრიუმფით; ალბათ ასე უმზერდნენ მასაც სახლების ფანჯრებიდან, წინკარებიდან, აივნებიდან, ბანებიდან, აბარწებიდან თუ პარმაღებიდან გადმომდგარი ქალაქელები; გამზირებიდან და ჩიხებიდან მისკენ მიიწევდნენ, ხელს უქნევდნენ და უცინოდნენ; რამდენჯერმე წასკდა ცრემლი იონიხს, როდესაც შუკებსა და ფოლორცებში, ყველა ჯურის პლაზასა და პიაცაზე ლამის სიყვარულს უხსნიდნენ არალეგალური გულანშაროელები, თავდადებისთვის, დოჟთან პირის არშეკვრისთვის, პელაზგი-

ის ზეპურ პოლიტიკოსთა უმრავლესობასავით, და ვერ იკავებდა თავს სან მარინოს კონფერენციიდან პირდაპირ გულანშაროში ჩამოსული იონიხი: დოჟის გაქცევის, გადახვეწის თუ საკუთარ საბჭოთა წიაღში დაბრუნების მეორე დღე იყო. მართალია, ცალკე ძმას და ცალკე გრაფინიას გლოვობდა იონიხი, მაგრამ ეს ცრემლები არ იყო გლოვის. ეს რაღაც აუხსნელი ცრემლები იყო, გამარჯვებისაც აღარ ერქვა ალბათ, გამართლებისა თუ ღვთის წყალობის გამო მადლიერებისა უფრო ეთქმოდა. იმდენი ადამიანი აჰყვა ქუჩებში თავისუფლად სეირნობისა და გულანშაროს გულიანად დათვალიერების მსურველს, რომ აზრი არ ჰქონდა სეირნობის მცდელობის გაგრძელებას. თითქოს ინსტინქტურად თეატრისკენ აიღეს გეზი და გაივსო ვეებერთელა თეატრი. საკუთარი პარტიის სრულიად პელაზგიის ყრილობებზე ვერ ავსებდა ასე დოჟიც კი თეატრს; იარუსებზე, კიბის საფეხურებზე, პარტერში სკამების მწკრივთა შორის, კულისებში და ამაღლებული სცენის წინ, ყველგან გადატენილი იყო ხალხით. უბრალოდ, ჩვეულებრივად ისაუბრა იონიხმა, მაგრამ არავის არ აინტერესებდა მისი საუბარი, როცა ტრიბუნასთან მდგომს კიდევ ერთხელ წასკდა, ოღონდ უკვე არა ცრემლი, არამედ შეუკავებელი ტირილი, მაშინ დასცხეს უწყვეტი ტაში და ოვაციები.

პირკატა ეცა ურსუსისკუს, დოჟის ყოფილი სასახლის ვეებერთელა კაბინეტის ვეებერთელა ტელევიზორის ეკრანს მიშტერებულს; პირველად დოჟის გადახვეწის შემდეგ, ლამის კვლავ ჩამოპარულად იგრძნო თავი ქალაქში იონიხის ტრიუმფის შემყურემ. დაულეწავს იმწამს ტელევიზორი, როგორც ამბობდნენ; ვეებერთელა, მასიური, დათვის

ქანდაკიანი საფერფლე უსვრია და ჩაუმსხვრევია ეკრანი; საფეთქელთან ჩაუქროლა თურმე შვიდკილოიანმა საფერფლემ მედღაშიე ვაზირისკუს, მასვე გამოუტანია, რაღა თქმა უნდა, ამბავი გარეთ; შიგნით კი ჩიღაი ცხაპისკუ დარჩენილა და კარგახანს უშოშმინებია პრეზიდენტი. და ვერც ვერავინ გაარკვია მერეც, როცა სოროსის ფონდის ადგილობრივმა მილიარდერმა მაგნატმა, სულხან მერკანტისკუმ (რომელსაც ერგო პატივი, ლამის ყველა კულტურული დაწესებულების, ურსუსისკუს შემდეგ მწირად, მაგრამ მაინც რომ იყო დარჩენილი, გაყიდვა თუ პრივატიზება მოეთავებინა და, რომლის სახელსაც მიეწერებოდა შემდეგ პელაზგიის ნატოში შესვლა, ჩვენი აგვისტოს ომის შემდგომი მარტის ნატოს ასამბლეაზე, როდესაც საქართველოზე ჭკუანასწავლმა დასავლურმა ელიტამ პირდაპირი წესით მიიღო პელაზგია) ჩამოამხო არჩევნებით ურსუსისკუ, ვერც მაშინ: ბუნდოვანი დარჩა თაობებისთვის, მიიღო თუ არა მაშინ ურსუსისკუმ იონიხის მოკვლის გადაწყვეტილება, დაგეგმა თუ არა ცხაპისკუმ მკვლელობა, რამაც კარგა ხნით გამოიწვია გულანშაროში პოლიტიკური, ადამიანური და ლიტერატურული აპათია. მართალია, შემდეგ სწორედ ამ ბრალდებით ჩასვეს ცხაპისკუ სამუდამო პატიმრობით ციხეში და გალაპაგოსის კუნძულებზე გახიზნული ურსუსისკუც ამ ბრალდების წყალობით ვერ ბრუნდებოდა სამშობლოში, მაგრამ ეს მერე იყო, და ამას მხოლოდ ინტერნეტითღა ვიგებდი საქართველოში. მაშინ კი ვერავის დაეჯერებინა, თუ ასეთ მუხანათობას იკისრებდა ურსუსისკუ. ღურა ფერის კი, როგორც იტყვიან, სახე ახეოდა, ნიღაბახალმოხსნილი მსახიობივით ასწითლებოდა, იონიხის ტრი-

უმფით დაბრუნების მხილველს; „დედა მიტირაო", იძახდა „სპილიაში" ინერციით რამდენჯერმე, ეტყობა, სწორედ ამის სათქმელად შემოსული, „ისე დააშინა ურსუსისკუ, არალეგალურ გულანშაროელებს არსად არ გამაჭაჭანებინებსო"; უკვე განეცხადებინა იონიხს, „ჩვენ ცალკე ვიყრით კენჭს გულანშაროს არჩევნებში, გაჭა ტელოსი იქნება ჩვენი ლიდერი, აუცილებლად გავიმარჯვებთ და გულანშაროს მთავრობას ჩვენ ჩამოვაყალიბებთ, რეალური რეგიონული მმართველობის სიღრმესა და ძალას ახლა იხილავს მთელი პელაზგია, სწორედ ეს იქნება ჩვენი კუნძულის განვითარების დემოკრატიული საწინდარი – შვიდივე რეგიონის დემოკრატიული თვითმმართველობა და პელაზგური პოლიტიკური ისტებლიშმენტის მხოლოდ სახელმწიფოებრივი აზროვნებაო". სწორედ იმ დღეს დაფიქრდა ურსუსისკუ და ორ კვირაში შეაცვლევინა პელაზგიის კონსტიტუცია: კონსტიტუციაში ახალი შესწორებებით, ნებისმიერი არჩეული თანამდებობის პირის გადაყენება შეეძლო კუნძულის პრეზიდენტს, თუ, რა თქმა უნდა, მომავალ შვიდ დღეში პარლამენტი არ გააუქმებდა ამ ბრძანებას; დოჟის სტატუსიც, ტიტულიც და მოჩვენებითი სახელმწიფოებრიობის ნიშნები – ნახევარკუნძულის ორპალატიანი პარლამენტიცა და პოლისის ხელისუფლებაც – ერთიანად გააუქმა და გულანშაროს თორმეტსავე კანტონს, ისევე როგორც ქალაქ გულანშაროს, დანარჩენი პელაზგიის ქალაქებივით მერი და ქალაქის საკრებულოებიღა მართავდნენ. იონიხმა კი დოჟის გარდახვეწის მეშვიდე კვირადღეს, არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, მოაწყო მთავარი შეხვედრა და ყრილობა გულანშაროს ცნობილ თეატრში. ბუნებრივია, გარდა პარტი-

ის წევრებისა, არალეგალური გულანშაროელებიც ვიყავით, სხვა, უკვე შიშგარდაქარვებულ გულანშაროელებთან ერთად. მართალია, ტრიუმფით დაბრუნებისას რომ იყო, იმდენი ხალხი აღარ ესწრებოდა უკვე, მაგრამ თავისუფალი ადგილები მაინც არ იყო; მხოლოდ დამსწრეთა მცირე ნაწილიღა იდგა ფეხზე, სცენის სიღრმეში, ძირითადად, პარტიის ლიდერები და წონიანი წევრები, დიდრიხისა და აუდიტუსის ჩათვლით; მაინც ემუშავა ურსუსისკუს დოჟისგან ნასწავლ ტაქტიკას – ყოველი მეორე გულანშაროელი გაიძახოდა, იონიხს სძულს გულანშაროელები, ზიზღით ლაპარაკობს ჩვენზე, სუნიანებსა და ურწმუნოებს გვეძახისო. რაც უფრო აბსურდული იყო ჭორი, თითქოს უფრო ისაკუთრებდა ადგილს ხალხის გონების რომელიღაც, იმთავითვე ცარიელ თუ საგანგებოდ ამ ამბისთვის გათავისუფლებულ საცავში. ყველაზე ბილწად და მონდომებით მაინც კვარტუმი ამტკიცებდა ამ თეზისს, ეჭვშეუტანლად სჯეროდა, ან მოგაჩვენებდა, რომ გულწრფელად იყო შეურაცხყოფილი და პირადი მოტივები ან დავალება აღარ ამოძრავებდა, დიდრიხის თქმისა არ იყოს – თითქოს უშუალოდ ურსუსისკუსთან არ ემსჯელოს ამის თაობაზე და ცხაპისკუს პირადად არ ეთხოვოს, „ყველგან ისაუბრე, თუ არ მოგბეზრდა მაგისტრის ტახტიო“. მაგრამ არ ეყოფოდათ ეს გულანშაროელებს და ჩვეულებრივი, მარტივი, მაგრამ ლიანგის ცნობიერებაზე უტყუარად გამოცდილი სვლა გააკეთა პრეზიდენტმა: „დისიდენტი კი არა, ჩამშვებად იჯდა ციხეშიო“, ათქმევინა მედღაშიეს. თუმცა ლოგიკურად ვერ ხსნიდნენ, ვინ უნდა ჩაეშვა იონიხს. პელაზგიის დისიდენტი პყრობილები მასზე ადრე გათავისუფლდნენ ციხიდან, პელაზგიის კი

არა და, თვით ვაცლავ ჰაველმაც კი ციხეში დატოვა, როცა თვითონ გათავისუფლდა და დამწუხრებულმა უთხრა: „ჩათვალე, სანამ შენ პატიმარი ხარ, ვითომც მეც აქ ვყოფილვარო"; მაგრამ მილან კუნდერას სუკთან თანამშრომლობაზე ენაბილწობდა მაშინ მსოფლიოს ყვითელი, მწვანე და წითელი პრესა და ურსუსისკუ თავისი პირით არა, მაგრამ ცხაპისკუს ენით კი ამტკიცებდა, „იონიხის ჯაშუშობა რაღა გასაკვირი იქნებოდაო"; მაინც იმოქმედა ხალხზე პროპაგანდის შეუცვლელმა ძალამ, რეიტინგი თითქმის ჩამოუნახევრდა იონიხს ნელ-ნელა და სწორედ ამით იმართლებდა თავს მერე, გარდახვეწის მერე ურსუსისკუ, „რაღად უნდა დამჭირვებოდა მისი მოკვლა, ხომ ყველა ვაღიარებთ, რომ არჩევნებში ვერ მოიგებდაო?" თითქოს ყველა თანხმდებოდა ამაზე, მაგრამ ერთი არჩევნები ხომ არ იყო გადამწყვეტი?! პრეზიდენტის სულ უფრო და უფრო არაპოპულარული მმართველობის გამო სწორედ იონიხი იკვეთებოდა აშკარა ლიდერად. ურსუსისკუს კი არა, ნობელის პრემიის ლაურეატს მშვიდობის დარგში, სვედავსილ ავგუსტუსსაც კი აფიქრებდა თავის დროზე მისი სახელგანსმენილობა.

თუმცა ისე ოსტატურად ეხლართებოდა დოჟის უსაზღვრო სიძულვილი ამ ავბედით ამბავს, მართლაც ვერავინ იტყოდა მტკიცედ, თეატრში იონიხის სიტყვით გამოსვლისას, არამზადა ფონიას ჩიჩიესკუ, კულისებში რომ მდგარა სხვა, ათობით ადამიანთან ერთად, და არავის შეუმჩნევია მანამდე, ვისი ბრძანებით გამოეყო ხალხს, სამ ნაბიჯზე მიუახლოვდა ტრიბუნას ორივე ხელით ჩაჭიდებულ იონიხს ზურგიდან და როგორ გამოუშალა ფეხი იარაღს (ბერიას ცნობილი სურათი დამიდგა

თვალწინ, პისტოლეტს რომ უმიზნებს რაღაც მითიურ არსს თუ ფილოსოფიურ სიკეთეს, ასე გაწვდილი ხელით), რამდენჯერმე, მაგრამ ელვის უსწრაფესად გაისროლა, შემდეგ დაუშვა ხელი და გაბადრული სახით დაელოდა, როდის შემოვიდოდა კარსგარეთ მოსეირნე კარაბინერთა ოთხეული და ხელებს გადაუგრეხდა ზურგს უკან. სამი ტყვია ჰქონდა მკერდში იონიხს. როგორც შემდეგ დაასკვნეს, ერთმა პირდაპირ გული გაიარა და ტრიბუნის ფიცარში გაიჩხირა შიგნიდან, რომლის გარეთა მხარეს დოჟის ბობოქრობისას ჰერმესის სიმბოლოს სახეცვლილი ოქროს ვეებერთელა გერბი ამშვენებდა; კვლავაც ეტყობოდა გერბის ნაკვალევი, უფრო მუქი იყო იმ ადგილას ტრიბუნის ანფასი. თითქმის არავის შეგვიმჩნევია, გამაყრუებელი გასროლის მიუხედავად, როგორ ჩაიკეცა იონიხი – როგორ სრიალით ჩამოცურდა ნება-ნება, თითქოს აღარ ეთმობა სიცოცხლეო, ჩაიკარგა ვეებერთელა ტრიბუნის წიაღში – ყველას მზერა ფონიასისკენ იყო მიპყრობილი, „დოჟის მოღალატეო“, რომ გაჰკიოდა, „როგორ შეგარჩენდი ჩვენი ბელადის დამხობასო“. მიუხედავად შემზარავი ტრაგედიისა, უსაშველოდ კომიკური შესახედაობისა იყო ფონიასი, თხის ფეხებზე შემდგარ უშველებელღიპიან მელოტ პანს ჰგავდა. შემდეგ, დაკითხვაზეც, სანამ სამუდამოს მიუსჯიდნენ, მხოლოდ ამასლა იმეორებდა ჩიჩიესკუ, მერე, ურსუსისკუს გადახვეწის შემდეგაც, იმედი რომ ჰქონდათ, შეცვლის ჩვენებას და მართალს იტყვისო, მერეც მხოლოდ ამას იმეორებდა თურმე: „როგორ შევარჩენდი დოჟის ჩამოგდებასო?!“

დოჟყოფილი კი, თვალებმოწკურული, უკვე ლამის ორ წყრთამდე ჩამოპატარავებული, ერთადერ-

თხელ, მაგრამ მაინც გამოაჩინეს ეკრანზე, კრემლის ქვაფენილის ფონზე, ძლივს რომ ამოღერღა, „აბა, მე რა შუაში ვარ, დამანებეთ თავი პელაზგიიდანო!"

გაუნელებელი ბოღმა

აღდგენილი „სპილია" აღარ იყო ძველებური, ძველებურად მომხიბლავი, მაგრამ მადამ თილიკოსის საოცარი სითბოსა და უშუალობის წყალობით მაინც ინარჩუნებდა შემაკავშირებელი და განსხვავებული პოეტური სალონის მიმზიდველობას. მეგობრებიდან ჟინპისტი, დანიელი და აუდიტუსი თუ შემოდიოდნენ ხშირად, დიდრიხი – უფრო იშვიათად, თავის გაზეთში იყო ჩაძირული ყელამდე. დანიელიც უკვე წელიწადში ერთხელ თუ ჩამოდიოდა, ისიც რამდენიმე დღით; ფაქტობრივად, გადაბარგდა ნორვეგიაში და კვიპროსში მყოფი ოჯახიც, კვიპროსელ ბერძენ სიძესთან ერთად, თან წაიყოლა. ისევ მუზეუმში მომუშავე ჟინპისტი იყო მუდმივი თანამგზავრი კაფეში, იონიხის მკვლელობის დღესვე დაწერა განცხადება თუ თხოვნა საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე და წამოვიდა დიპლომატიური სამსახურიდან; სულ რაღაც ოცდარვა დღე იმუშავა თავის საოცნებო თუ სანატრელ თანამდებობაზე. ღურა ფერის წარდგინებით, როგორც იქნა, დაუშვა ურსუსისკუმ და რამდენიმე არალეგალური გულანშაროელი მაინც დანიშნა მნიშვნელოვან ალაგას: აუდიტუსი – კონფლიქტების ნიველირებისა და სენსიტიური რედუქციის სამინისტროში, მინისტრის მოადგილედ; გაჭა ტელოსი – ნატოსთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ, რო-

მელმაც ალბათ ყველაზე მეტხანს იმუშავა, სულ-ხან მერკანტისკუმაც კი არ მოხსნა მერე, დიდი ხნის მერე, არჩევნებით რომ ჩამოამხო ურსუსისკუ, და სწორედ გაჭას უკომპრომისობისა და თავდაუზოგავობის დამსახურებაც იყო ალბათ, საქართველოსგან განსხვავებით, პელაზგიამ მაინც რომ შეასწრო პირდაღებულ რუსეთს ნატოში. დიდრიხზე კი ვთქვით უკვე და ჟინპისტი კიდევ ელჩად განამწესა ბრიტანეთში. ასე გახარებული ჟინპისტი არასოდეს მენახა; მართლაც ბავშვობისდროინდელი, ჯერაც იონიხთან ერთად რომ იჯდა საპყრობილეში სიჭაბუკეში, იმდროინდელი ოცნება იყო მისი – დამოუკიდებელი პელაზგიის ელჩი ყოფილიყო თავის საყვარელ ბრიტანეთში. ორჯერ შემეხმიანა ლონდონიდან, „მგონი, სამოთხეში ვარ და მიმალავენო"; თავგანწირვით ცოდვილობდა, რომ მეც წავეყვანე რაღაც ფორმით, ჩემს დევნილის სტატუსთან შეუთავსებელი იყო საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობა და კაზუისტიკურ გზებს ეძებდა. ბუნებრივია, მე პელაზგიის მოქალაქეობაზე ფიქრსაც კი გამოვრიცხავდი, ის მაინც არ ისვენებდა და რაღაცას ხლაფორთობდა თავისი ჭკუით; ბოლოს მომწერა, საქართველოს ელჩს დავუახლოვდი აქ და იმდენს ველაპარაკები, მგონი, მალე დავითანხმებ შენს წამოყვანაზე მასთან საელჩოშიო. მაგრამ ჟინპისტი ბჭობდა და უკვე ჩიჩიესკუ იღიმებოდა სადღაც, რომელიღაც დახურული დაწესებულების მოსამზადებელ სარდაფებში თუ მოედნებში ალბათ. მერე მითხრა, „იმხელა ცდუნება იყო, კი ხვდები, იქ მუშაობა, შემეშინდა – რომ დავაყოვნო, მერე რამე გამამართლებელი მიზეზების გამოძებნა არ დავიწყო და არ გადავიფიქრო-მეთქი". მისი საქციელის შემხედ-

ვარეს გამიკვირდა, აუდიტუსი როგორ დარჩა სამსახურში-მეთქი, მაგრამ ჟინპისტმა მითხრა, „აუცილებლად უნდა დარჩეს. შეიძლება, ჩემი წამოსვლაც შეცდომა იყოო. პრინციპში, ამიტომაც წამოვედი საჩქაროდო“. გაიღიმა მაშინ, მახსოვს. არადა, სწორედ მისი გაუთავებელი ხვეწნის შემდეგ დავთანხმდი მეც კვარტუმს, ბიბლიოთეკის დირექტორად რომ წარმადგინა და დამნიშნა კიდევაც ხრისალიდამ დოჟის გარდახვეწიდან ორწელიწად-ნახევრის შემდეგ. თუმცა იმ დღეს, „სპილიაში“ რომ შევიკრიბეთ, უკვე ორი კვირის წამოსული ვიყავი იქიდან: წამოსვლის წინა დღით შევამჩნიე მოულოდნელად – უკვე მესამე დღე იყო კისერი მექავებოდა და მხოლოდ სამი დღის შემდეგ გავაცნობიერე, რომ მარგალიტების ძენკვის ბრალი იყო; მთელი ღამე ვფიქრობდი და ვერ გავიხსენე, რა გავაკეთე არასწორად სამსახურში და გამწარებულმა მეორე დილასვე დავწერე განცხადება ხრისალიდას სახელზე, თან „გთხოვთ გამათავისუფლოთ-მეთქი“ კი არა, „ჩამთვალეთ უფლებამოხსნილად-მეთქი“. არც უხვეწნია, მართალი გითხრათ. თუმცა ვერ დავუკარგავ, დამიბარა და „რა ხდებაო?“ მაინც მკითხა. „რომანზე ვმუშაობ და ძველ ადგილას თუ დამაბრუნებთ, მუზეუმში, მადლობელი დაგრჩებით-მეთქი“. ჩემ თვალწინ დაურეკა მუზეუმის ახალ უფროსს, მახან ტალიშს, ცნობილ მხატვარს, მაგრამ საკმაოდ ავანტიურისტული ბუნების კაცს, სწორედ იმას, ძელსკამების გამო რომ აუხირდა მერე გიჟისთვალება პრეზიდენტს. და მართალია, იმან მთელი კვირა მაბოდიალა, მაგრამ მაინც დამნიშნა. ოღონდ ჟინპისტთან, ინოვაციური ტექნოლოგიების განყოფილებაში აღარ იყო ადგილი თუ აღარ უნდოდა ძველ თანამშრომლებთან

ჩემი დაბრუნება, ჩრდილოეთის ფილიალში, მეცხრამეტე საუკუნის ტექნოლოგიური არტეფაქტების განყოფილებაში გამამწესა წამყვან სპეციალისტად. ჟინპისტმა, როცა გაიგო, მხოლოდ ხელი ჩაიქნია, გაიღიმა და აღარაფერი უთქვამს. უფრო ხშირად ვხვდებოდი „სპილიაში“ და ქავილიც, მართალია, მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, მაგრამ ნამდვილად შემიწყდა.

კაფეში ძირითადად თავს ვარიდებდით იონიხსა და გრაფინიაზე საუბარს. ვიცოდით, რომ გვესაუბრა, სადღაც მოუსავლეთში გადავიჭრებოდით, ფიქრებისა და გრძნობების მოუსავლეთში. ორფა იჯდა ჩვენ გვერდით მაგიდასთან, თავის აწ უკვე ყოფილ მოსწავლესთან, კოლო მუჯორიშისთან, და ძმასთან ერთად, რომელიც ძალით გამოაშვებინა საპყრობილიდან ღურა ფერის. „იცოდე, სახალხოდ გამოგიფატრავ მუცელს, რომ არ გამოუშვა! შენი ნათესავი ჯიბის ქურდები რომ გამოყარე საპყრობილიდან, ვითომ დიდი პოლიტპატიმრები მყავდნენ, ამას რა სინდისით აჩერებ ციხეშიო?“ შეიძლება ვერც გაეტანა თავისი, მაგრამ ერთ-ერთ ნაიადს იცნობდა ახლოს. შეიძლება, ნიმფაც კი დაეხმარა მასთან დაკავშირებაში, იმან ურსუსისკუს ჩააწვეთა სიტყვა და პრეზიდენტმაც: „არ გავკარი, ღურა ფერის ვეტყვი და რასაც მირჩევს, იმას ვიზამო“. ღურასთვის კი დასმულ კითხვაში, „ხომ არ გამოვუშვათო?“ უკვე პასუხი იგულისხმებოდა და ათრთოლებულმა უთხრა: „რა თქმა უნდა. ბოლო-ბოლო, პირველები ებრძოდნენ დოჟს, იონიხიც კი არ შებმია ასე ძალუმადო“. და ეს ბოლო ფრაზა გახდა გადამწყვეტი.

გულთბილად გაგვეცნო, მახსოვს, ჩილა, თითქოს მარად მოუშორებელი ღიმილი დასთამაშებდა

სახეზე. მაინც გამკრა გულში, რაღაცნაირი ფარი აქვს უხილავი აკრული ყველასთან, თითქოს არ უნდა, ვინმეს ზედმეტად დაუახლოვდეს-მეთქი. ერთი დიდი ლაგვანი ქანთელი უკვე დალეული გვქონდა მე, ჟინპისტს, მაკარს და დიდრიხს, როცა კვარტუმი შემოვიდა ირორესკუსთან ერთად, ყველას მოგვესალმა და, ირორესკუს დაჟინებული თხოვნით, ჩვენს მაგიდას შემოუსხდნენ. ძლივს ჩააკვეხეს ორი სკამი. იმ წამიდანვე დამყვა უსიამოვნო შეგრძნება. „მაგრად ვარ შენზე ნაწყენიო!" – ჰქონდა ჩემთვის ტელეფონით ნათქვამი სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ კვარტუმს, მაგრამ პირადად არ შევხვედრივარ მას მერე.

ორფას გავხედე. ისიც რაღაცნაირი სერიოზული სახით მიყურებდა მეორე მაგიდიდან, კვარტუმის მარცხენა მხარზე გადმოტარებული მზერით. თითქოს გრძნობდა მოსალოდნელ ხიფათს, მაგრამ არც ერთმა ჩვენგანმა არ ვცადეთ არიდება. რაღაც მბოჭავდა, რომ წამოვმდგარიყავი და სუფრა მიმეტოვებინა. ვფიქრობდი, ჟინპისტი და აუდიტუსი თუ ძლებენ, მეც უნდა დავრჩე-მეთქი. არავის არაფერი უკითხავს, ერთი კვირის წინ მწერალთა გილდიის მაგისტრად კვინტუს ირორესკუს ნამალევნაჩქარევად არჩევაც კი არ გვიხსენებია (არც ის, რომ მწერალთა გილდიის სასახლე, ფაქტობრივად, მარგალიტების მთავარ სავაჭრო ცენტრად გადაიკეთეს და სამეთვალყურეო საბჭოში, რომელსაც ირორესკუ მესვეურობდა, კვარტუმი განამწესეს ვიცეპრეზიდენტად), თავისით დაიწყო მონოლოგი კვარტუმმა, თითქოს ჯოჯოხეთური ქვეცნობიერის რომელილაც წრეზე შემოგდებული სინდისის ნაფლეთები არ ასვენებსო:

– საერთო ჯამში, მაინც ყველანი ვაჭრები ვართ: პოეტები ლექსებს ვყიდით, რათა თავი ვირჩინოთ, ვიარსებოთ და ჩვენი არსებობის მნიშვნელობა შევიძინოთ ამ ფულით; მწერლები – მოთხრობებსა და რომანებს, თანაც უფრო სარფიანად; ღვთისმსახურები – ლოცვებსა და გაუთავებელ ღლიცინს ღვთისადმი, რომ მარადიული ნეტარება მოინადავლონ. მაშ, ვაჭრებმა რა დააშავეს? – იკითხა რაღაც მაამებლურად და მაკარს შეხედა, რომელიც ცალყბად იღიმოდა და დამცინავად აბოლებდა სიგარეტს მისი მიმართულებით. ჟინპისტიც კი გაოცებული იყო კვარტუმის უტიფრობით, მაგრამ ეტყობა, განცვიფრებისგან ვერ იღებდა ხმას. თითქოს აღსარებას გვაბარებდა კვარტუმი. – ყოველ შემთხვევაში, თვალთმაქცნი მაინც არ არიან და პირდაპირ ვაჭრები არიან, აღებ-მიცემობის ვასალები; რაინდებივით თავიანთი მთელი ცხოვრება ნავარჯიშევი სხეულით გამოჩენილ გმირობასა და სიქველეს კი არ ყიდიან და გაჩრიან, ხანდახან ვაი-გმირობით... – სახეზე სიბრაზე აემეწამულა დიდრიხს, უხერხულად გადახედა მაკარს, ნირს რომ არ იცვლიდა. სარაინდო ბრძოლებისას ცხენების სხეულებიდან ადენილი ოფლის ოხშივარი დატრიალდა „სპილიას" დარბაზში, კვარტუმი კი მონუსხული იყო თითქოს და ველარაფერს ამჩნევდა, ისე აგრძელებდა, ლურჯ, მაგრამ ამღვრეულ მზერას მოგვაჩერებდა რიგრიგობით. ჩემს შეხედვაზე გაახსენდა, როგორც ჩანს, ქრისტიანობა და ლამის მე მომმართა: – ქრისტე მევახშეობასაც ქადაგებდა რეალურად: ორთა, გაიხსენე იგავი, პატრონი რომ ერთ, ხუთ და ათ ტალანტს დაუტოვებს ქვეშევრდომებს და მერე მოსთხოვს, ვინ როგორ გააფართოვეთ ბიზნესიო...

– შენ მანდ პირდაპირ დიდოსტატი აღმოჩნდებოდი, – ვეღარ მოითმინა მაინც ჟინპისტმა. თუმცა მას არ უმზერდა კვარტუმი, ეტყობა, იმთავითვე ჰქონდა გამიზნული, რომ ჩემ გარდა, კამათში არავის აჰყოლოდა, მიაჩნდა – ასაკითაც, იმ ადამიანებში ავტორიტეტითაც და სოციალური მდგომარეობითაც – მხოლოდ ჩემთან შეეძლო, რაღაც შანსი ჰქონოდა. აშკარად გათვლილი ჰქონდა ყველაფერი; ისე დაჟინებით მიყურებდა, რამის უთქმელობა უზრდელობაც იქნებოდა და სისუსტეც ალბათ, ბოლოს და ბოლოს, ოცი წლით უფროსი ადამიანი მეკითხებოდა რაღაცას.

– ამ ალეგორიაში რწმენა იგულისხმება, როგორც მე ვიცი.

– რატომ? პირდაპირაც ხომ შეიძლებოდა ეთქვა მაშინ, – აჰყვა ირორესკუც, თითქოს მდგომარეობის განეიტრალებას ცდილობსო, – სიმბოლოც იგულისხმება და არც სიმდიდრის მოხვეჭაში არის რამე სააუგოო, გვეუბნება; ტალანტის მოხვეჭა ღვთის წყალობად ითვლება ახლაც ებრაელებში და მთელ მსოფლიოში.

– არა მგონია, ჩემო კვინტუს, – გაიცინა ჟინპისტმა და ხაზგასმულად მიმართა „კვინტუსო“, ერთი კვირის წინ დაირქვა ახალი სახელი ირორესკუმ, – მდიდარი ისევე ვერ გაძვრება სამოთხეში, როგორც ბაგირი ნემსის ყუნწშიო, ხომ გახსოვს?!

– რატომ? დიდ ნემსს თუ დავამზადებთ, გაძვრება. ეგერ ძეგლი ხომაა მშვენიერი ილუსტრაცია, – გადაიხარხარა ირორესკუმ. ხელისუფლებაში მოსვლის მესამე თვეს დადგა ხრისალიდამ, სწორედაც მწერალთა გილდიის წინ, ბაღში, ნემსის ყუნწში გამძვრალი აქლემის ქანდაკება – თითქოს ცალი კუზი

ნემსის ყუნწში გაჩხეროდა აქლემს, რომელიც კუს ზურგზე იდგა, ნემსის წვერი კი კუს თავსა და ბაკანს შორის იყო ჩარჭობილი; რაღაც მოდერნისტულ-სიურრეალისტურ სტილში იყო გადაწყვეტილი; ყოველ შემთხვევაში, ტრისტიტია ტორჩიხი ამბობდა: „გენიალური ნამუშევარია, ახალგაზრდა ფრანგი მოქანდაკის, მილენ გერმანტის იშვიათი ქმნილებაა“, და არ ვეკამათებოდით, ეგ სფერო მან მართლაც უკეთ იცოდა.

ვერც სიცილმა უშველა კვარტუმს, ვერავინ ახერხებდა, ერთხელ აღებული სასაუბრო გეზიდან გადაეხვევინებინა:

– იქნებ სწორედაც ვაჭრობაშია სიბრძნე და მარადიულობა? – ახლა მზერა მაკარს მიანათა, რომელიც მას ზიზღში არეული ღიმილით უყურებდა შემოსვლის წამიდანვე, – ჰერმესი სიბრძნის ღმერთიცაა და ვაჭრობისაც. ერთ დინარს თუ ორად არ აქცევ, წაგერთმევა ის დინარი. კი ბატონო, აქ ღვთაებრივი სიბრძნის გაფართოება და გამრავლებაც იგულისხმება, და არა მხოლოდ მატერიალურის, მაგრამ ქრისტეც ხომ ჭამს საჭმელს; კი არის ზიარება, მაგრამ ზიარების ჰიპოსტასები ხომ პური და ღვინოა?! მაინც მატერიალურით იწყება. იქნებ ჩვენს უნიათობას ვმალავთ იმაში, რომ მუშაობა, ვაჭრობა, სპეკულაცია, ანუ განჭვრეტა არ შეგვიძლია და უუნარონი ვართ? – რატომღაც არც კი ვაქცევდით ყურადღებას აშკარად რომ გვლანძღავდა, შეიძლება, ამანაც გაამწარა საბოლოოდ. – საუკეთესო ვაჭრებია ებრაელები, მაგრამ სულიერ სიღრმეს ან მეცნიერულ მიღწევებს, ან სამხედრო წარმატებებს დაუწუნებს ვინმე? – ვერ დაუკარგავდი, აშკარად ჰქონდა კვარტუმს გონებრივი სპეკულა-

ციის უნარი. – ნამდვილად ფილოსოფიის მინიური ჰიპოსტასია ვაჭრობა სიმბოლურად.

სწორედ ამ დროს შემოვიდა კაფეში თუ დუქანში ლედი ნიმფა, საუბედუროდ; იმჟამად გულანშაროს ქალაქის საფიხვნოს ევროატლანტიკური ტრანსფორმაციის სტიმულაციის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იყო; მოგვესალმა, შემდეგ მადამ თილიკოსს მიუახლოვდა ბართან, რაღაც გადასცა და საჩქაროდ გავიდა დარბაზიდან.

– აი, ვაჭრობის დიდოსტატი, მაგალითისთვის, იმდენჯერ და ისე სარფიანად გაყიდა საკუთარი ტრაკი, ლამის ღმერთებს ებაასება უკვე, – რაღაცნაირად საზიზღრად გაიცინა და საძოვრებიდან ახალჩამოდენილი ხარის ამღვრეული მზერა გააყოლა, სავარაუდოდ, საცვლის გარეშე, ლამის დუნდულებშორის ღარი რომ ელანდებოდა, ისეთ თხელ კაბაში გამოკვართულ ლედის გავის სწრაფად გაუჩინარებულ რხევას.

სამარისებური სიჩუმე გაწვა ბარში.

– მერე, შენ ღვთაებრივი ტალანტები არ გეყო თუ კაცობა მის შესანარჩუნებლად? – იმაზე მეტი ბოლმა ჩავაქსოვე, ეტყობა, სიტყვებში, ვიდრე მეგონა. მაგრამ შეუძლებელი იყო, რამე არ მეთქვა. მართლაც ყველა კაცს ერთად აღებულს შეურაცხგვყოფდა კვარტუმი, ასე აღვიქვი.

თუმცა მის ასეთ რეაქციას მაინც არ ველოდი. გაევეშებული წამოვარდა, მაგიდას ორივე ხელი ამოჰკრა წელში გამართვის შესაბამისად, სინქრონულად, და სამი ნაბიჯის მოშორებით მიანარცხა ბარის მარმარილოთი მოპირკეთებულ კედელს, ბუნებრივია, ორფას მაგიდაც გაიყოლა თან და წამომხტარი ორფას ადრევე ავისმომსწავებელი მზერაც.

– ვის უბედავ, შე ლაწირაკო! – მიღრიალა არაადამიანური ხმით. დიდრიხი ელვისუსწრაფესად ეცა და ოთახის სიღრმისაკენ განმაშორა. – შენი წონა წიგნები მაქვს გამოცემული! ეგ შენს დამჩვარებულ საქართველოში გაუბედე შენისთანა ღლაპებს! – ბრდღვინავდა კვარტუმი; მე მერეღა აღმოვაჩინე, რომ ხელში ბარის ხის სკამი მეჭირა, რომელსაც მთელი ძალით ეჯაჯგურებოდა ჟინპისტი, „მომეცი ახლავეო!" მიყვიროდა გამწარებული. მერე მითხრა, „წამოგიკიდა მაინცო". და მიუხედავად იმისა, რომ სწორედ იმ დღეს დავკარგე რინადორე, რომელმაც იმავე საღამოს მიკივლა გაწიწმატებულმა (ან საიდან გაიგო?), „კიდევ იმ ქვეყნიერების ბოზ ქალზე ფიქრობო?!" მომიჯახუნა კარი და მეორე დღესვე დაუმშვიდობებლად გაქუსლა ესპანეთში კონფერენციაზე, მიუხედავად ამისა, მაინც ეს ერთ-ერთი შემთხვევა იყო, როცა სრულებით არ ვეთანხმებოდი ჟინპისტს.

მაინც ელეაზარი

– მეცინებოდა, ორთა, ასეთ ვითარებაში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩემს არჩევას მწერალთა გილდიის მაგისტრად. არ ვამბობ, რომ უარს ვიტყოდი, უბრალოდ, ზუსტად ვიცოდი, ერთ-ორ თვეში წამოვიდოდი მანდედან. აი, ხომ წამოხვედი შენ მეშვიდე თვეს მაინც ბიბლიოთეკიდან? ეს იყო, არალეგალურ გულანშაროელებს არ მინდოდა გწყენოდათ, მხოლოდ ამად დაგთანხმდით, რომ გეცადათ. მაგრამ როცა ბარონ მადერახს სული კბილებით ეჭირა იქ ყოფნისას, მე მებრძოლა კვარტუმ-

თან, თან ამ მართლაცდა დოჟდრილებით გავსებულ გილდიაში, ახლა, სასაცილოს გარდა, არაგონივრულიც იყო და ასე რატომ უნდა გამემასხარავებინა თავი? დააკვირდი, ეგ ისედაც მარადისობაზე ფიქრი კი არა, მის წინააღმდეგ ბრძოლაა; ან ემსახურები მარადისობაზე ჭვრეტას, გზას, გნებავთ, ოცნებას, ან კიდევ ხარ რაღაც ამქვეყნიურად დროებითი სკამის სახელურს ჩაბღაუჭებული. წარმოიდგინე, ჩვილი საშვილოსნოს ყელს ან კედელს რომ წაეპოტინოს და დაბადება არ უნდოდეს. დაახლოებით ასეა, როდესაც ამ წარმავალს, წამიერად წარმავალს ჩაფრენილი ყოფილი ხელოვანები მართლაცდა არსებითსა და უსასრულოზე ამბობენ უარს, ერთგვარად დაბადებას ეწინააღმდეგებიან, არ უნდათ და უარყოფენ.

– ბატონო ელეაზარ, ქრისტეც კი დურგლობდა ადრე, – გავიღიმესავით მე.

– არასოდეს შეუწყვეტია ფიქრი უნივერსუმზე. დურგლობის დროსაც და ლოცვის დროსაც ყოველთვის ქრისტე იყო. და მოდი, მთლად ქრისტეთი და ორფეოსით ნუღა განვსაზღვრავთ ჩვენს მდგომარეობებს, – გაიღიმა ელეაზარმაც, – მე არ ვამბობ, რომ ამაოა საერთოდ-მეთქი. ეგ მოსაზრება, რომ პიროვნებები არ ქმნიან ისტორიას, ნაგიჟარი, ვითომ სოციალისტების მოგონილია. პიროვნებები არიან გადამწყვეტი. აბა, დააკვირდი – ამიტომაცაა, რომ პირველგზის სწორედ პიროვნებებს იცილებენ გვერდიდან ტირანები თუ ტირანიის გზაზე დამდგარი ტირანუკები; მე ვამბობ, რომ ამ დოჟის სულიერი შვილების ვაჭრუკანა ზოგადი პუპასკუების ხელში იძულებული ვიქნებოდი, ერთ თვეში წამოვსულიყავი; მადერახისოდენსაც ვერ გავძლებდი, თუმცა

ბრძოლას არ შევნყვეტდი. და ამიტომაც დავთანხმდი თავიდან. მაგრამ როგორც კი მივხვდი, რომ ლამის ოთხმოცდაათი პროცენტი კვარტუმის მხარდამჭერები იქნებოდნენ, აღარ გავაგრძელე ფიქრიც კი. ერი, რომელმაც მიხრწნილი მელა და არამზადა დოჟი მოიცილა, დიდხანს არ აპარპაშებს ამ გიჟ ლანირაკს პრეზიდენტად, ეგ დროის ამბავია; დაკვირდი, ამიტომ ცდილობენ, საჩქაროდ გაყიდონ ყველაფერი, რაც დოჟს გადაურჩა. მაგრამ მე ამიტომაც მეცინება, შეუძლებელია, ეგ გამოუვიდეთ. გულანშაროს ბუნებაა შემოქმედება, უფრო მეტიც, შეუძლებელია პელაზგიამ სულიერების გარეშე იცხოვროს. დაიმახსოვრე, ეს დროის ამბავია. საერთოდ, ადამიანის ბუნებაა – ქმნა, ორთა. ამიტომაა ის ღმერთის მსგავსება და ხატება, ვერ წარმოუდგენია ადამიანს შემოქმედების გარეშე. იცოდე, ორთა, სულ მალე თავის საკუთარ სულს დაუბრუნდება გულანშარო და მთელი პელაზგიაც.

რა თქმა უნდა, ცოტა სკეპტიკურად ვუსმენდი ბატონ ელეაზარს, თუმცა დოჟის დამარცხების შემდეგ მართლაც არაფერი მეჩვენებოდა შეუძლებლად. გული მეუბნებოდა, მართალს ამბობს-მეთქი, მაგრამ ლოგიკური გონება მამძიმებდა; მაინც იონიხის და, განსაკუთრებით, გრაფინიას სიკვდილმა გამხადა ასე უიმედო, შეიძლება.

და თუმცა ეს მერე მოხდა, კარგა ხნის შემდეგ, როცა უკვე მე აღარ ვიყავი გულანშაროში, მაგრამ მართალი აღმოჩნდა ელეაზარი. არადა, ყველაფერს საპირისპირო პირი უჩანდა: თითქოსდა, მართლაც მთელი გულანშაროს ვაჭრად ქცევას ელოდებოდნენო, სწორედ მწერალთა გილდიის საასახლის აუქციონზე გასაყიდად დანიშნულ დღეს

დაემთხვა პელაზგიის მიღება ნატოში. დასავლეთის ისტებლიშმენტს, იფიქრებდი, რუსულ ბირთვულ პოტენციალზე მეტად პელაზგიის სულიერი მრწამსისა ეშინოდაო, დააცადა თითქოს კუნძულს, ლამის მთლიანად მიეყიდა სული ჰერმესისთვის და, საქართველოში რუსეთის ძალების შემოჭრით შეშინებულებმა, აგვისტოს ომის შემდგომ მარტის ესხერებში გამართულ რიგგარეშე ასამბლეაზე დაჩქარებული წესით მიიღეს პირდაპირ წევრად. მართალია, მე უკვე საქართველოში გავიგე ეს სიახლე და ტელევიზორის ეკრანიდან ვუმზერდი თვალებზე მომდგარი ცრემლით, გასუსული რუსეთის და მბორგავი, მაგრამ წინვერაღმდგომი თურქეთის თვალწინ მოზეიმე პელაზგიის კადრებს, მაგრამ განცდა ისეთი მქონდა, თითქოს იქვე ვყოფილიყავი, ლეტასქურის პირას, გრაფინიას, იონიხისა და ყველა გულანშაროელი მეგობრის გვერდით.

იმავე მაისს კი ევროკავშირში გაწევრიანდა პელაზგია. აღტყინებული ვაკვირდებოდი ინტერნეტით არალეგალური გულანშაროელების სახეებსა და დღესასწაულს, და მაინც მეოცნებებოდა, ალბათ მართლა დადგება ახლა ჩვენი ჯერი, აუდიტუსის არ იყოს-მეთქი. როგორც ტელეფონით მიყვებოდნენ მეგობრები, სწორედ პელაზგიის ნატოში მიღებამდე ორი დღით ადრე აუელვარებია არალეგალურ გულანშაროს ვეებერთელა მიტინგი, მწერალთა გილდიის ყოფილი სასახლე (ირორესკუ რომ ეთვლებოდა მაგისტრად, მაგისტრისავე კაბინეტში რომ იჯდა და უბრალოდ სხვა აბრა რომ ჰქონდა კართან, სავაჭრო პალატის რეზიდენტი რომ ეწერა ზედ) ალყაში მოუქცევიათ, და შეშინებულ სულხან მერკანტისკუს უკითხავს გაჭასთვის (საგარეო საქმეთა

მინისტრად ჰყავდა უკვე), „რა უნდათო?" იმას კიდევ მოკლედ უპასუხია: „პოეზიაო". და პრეზიდენტსაც იმწამსვე გაუცია ბრძანება – ხომ მიჩვეული იყო, რომ მის სურვილს წამებში ასრულებდნენ (პელაზგიის სამხრეთ ღრმაწყლოვან სანაპიროზე ერთ თვეში ააშენებინა ყველაზე დიდგაბარიტებიანი გემებისთვის ნავსადგური, წამის მეასედში რომ საკუთარ ბაზად აქცია ნატოს გემებმა, ავიამზიდ „ჯორჯ ვაშინგტონის" ფლაგმანობით, და ფაქტობრივად მოუჭრა გზა რუსეთს, წინ აღდგომოდა პელაზგიის დაბრუნებას ევროპაში) და გაუცრია ბრძანება კბილებშორის: „გადადგეს გულანშაროს მერიო!" ეს მერი, მისი ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის ყოფილი საქმეთა მწარმოებელი, იმითღა დაამახსოვრდა გულანშაროს, „ძროხები და პირუტყვებიო", რომ ჩამოთვალა როგორღაც ბრიფინგზე. მერის მოვალეობის შემსრულებლად, გულანშაროს ნებისამებრ, ელეაზარ ეზოტატოსი დაუნიშნავს; სულ მალე კი, ორიოდე კვირაში, სწორედ გაჭა ტელოსმა და ელეაზარ ეზოტატოსმა აუგორეს სამასათასიანი მიტინგი და აიძულეს დაეტოვებინა კუნძულიცა და ძალაუფლებაც, ლამის ქონების უმეტეს ნაწილთან ერთად.

ყველაფერს ველოდი, ამის გარდა. შეუძლებელი იყო, თორმეტ აგვისტოს ლიწთან მიღებული ჭრილობის მერე, ჯერაც ჰოსპიტალში ვიწექი და, მგზავრობა კი არა, საერთოდ წამოვდგებოდი თუ არა, ის არ იცოდა არავინ, თორემ უსაშველოდ მომინდა, ერთი წუთით მაინც წავსულიყავი გულანშაროში და პირადად მენახა ელეაზარი, მართლაცდა, იდეალური ანტიკური სახელმწიფოს მმართველის პრაქტიკული ხორცშესხმა. ჰოდა, ელეაზარს თავისი პირველივე ბრძანებით, ვეებერთელა სია რომ

ახლდა თურმე თან, დოჟის, ხრისალიდასა და თავისი წინამორბედის დროს გაყიდული კომპოზიტორთა გილდიის სასახლის, სამხატვრო გალერეის და, ერთიანად, ყველა შემოქმედებითი დაწესებულების ნაციონალიზაცია მოუხდენია; ტელეფონით, ინტერნეტითა და რინადორეს მიერ მოწერილი ერთადერთი წერილით გაგებული წვრილმანებიც რომ გამოვაკლოთ, უბრალოდ ყურმოკვრითაც რომ გამეგო, მაინც ისეთივე ბედნიერი ვიქნებოდი, თითქოს ისევ გულანშაროში ვყოფილიყავი.

თუმცა ეს ხომ მერე იყო, კარგა ხნის შემდეგ, რინადორესთან, როგორც აღმოჩნდა, საბოლოოდ წაჩხუბების შემდეგ. მანამდე კი გიჟისთვალება ახალგაზრდა პრეზიდენტი ბრდღვინავდა გულანშაროსა და პელაზგიაში მთლიანად, თითქოს სულხანისა და ეკონიას გაასოცმაგებული სული ჩასახლებოდეს სხეულში.

ნოემას გარდაცვალება

ყველაზე სუსხიანი დღე დაემთხვა ნოემას გარდაცვალებას, მთელი კვირა ვითოშებოდით. ბოლო ერთი თვე საშინლად იყო; ჩიყვმა ღვიძლის ციროზი გამოიწვია, ან არ გამოიწვია ჩიყვმა, მაგრამ დაემართა, ფაქტია. ემესი, რინადორე და დიდრიხი ერთხმად იმეორებდნენ, რომ ნერვიულობამ დამართა, იმ სარდაფისამო; რატომღაც ძმაზე ხელის ჩაქნევად ჩათვალა, რომ ვერ დაიბრუნაო და ათას წყევლას უთვლიდნენ მერჩქის, ფიზიკის ლექტორს. ორფა უკვე აღარ ცხოვრობდა მასთან. რატომღაც ყველას წარმოგვედგინა, იონიხის მიმართ კვარტუ-

მის ბოლო შემოტევებისას გადავიდა სხვა ბინაშიო; სინამდვილეში კი დოჟის პარლამენტში მუშაობის დაწყების შემდეგ იქირავა ორფამ სამსახურთან ახლოს ერთოთახიანი ბინა და მაშინ მითხრა სწორედ, თითქოს სასხვათაშორისოდ, „აბა, მე რა ვიცოდიო"; თან, რომ არ შემენიშნა, ისე მოიწმინდა ცრემლი, თითქოს რცხვენოდა ჩემი, მაგრამ მაინც ვერ მივმხვდარიყავი, თუ რისთვის? დიდრიხი ისევ ძველებურად ფიქრობდა, რომ განგებ ცხოვრობდა მაშინ ნოემასთან ორფა, სანამ შესაძლებელი იყო, არ გაშიფრულიყოო. მაგრამ მე, როგორც ვეუბნებოდი, გამორიცხულად მიმაჩნდა. გულწრფელობის აღქმაში მოიკოჭლებდა დიდრიხი, ადამიანთა გულწრფელობის. „ასე ხომ მთელი კაცობრიობა შეიძლება წარმოიდგინო შეთქმულებაში ჩართულად-მეთქი", ვუმტკიცებდი, „ადამიანებს სხვებში ეჭვის შეტანაზე მეტად არაფერი გვეადვილება-მეთქი".

ბოლო თვეს ყოველდღე დავდიოდით მეგობრები ნოემასთან, მაგრამ მოვლით მაინც თანამშრომელი ქალი უვლიდა. თვითონ გვითხრა, „მეგობარია ჩემი და თავს გადამყვაო". შეიძლება, სიცოცხლის ბოლო ჟამს ჩვენს თავს მაინც ის ერჩივნა; ჩაგდებული ყინული არასოდეს ლღვება, ურთიერთობაში ჩაგდებული ყინული, ეს ვისკიში ჩაგდებული ნატეხი კი არაა, გააგრილოს და სასმელთან ერთად გადაუძახო სტომაქში; ეგ აისბერგს ჰგავს უფრო, მუდამ და გაულღობლად რომ დაქანაობს ზვირთებში და ღმერთმა უწყის, სად და რომელ გემს მოისვრის ოკეანის უკუნეთისკენ. ალბათ ამადაც ერჩივნა თანამშრომელი, თოლლაბუ; ყველანი ვფიქრობდით, რომ გულკეთილი და ნოემას მოსიყვარულე მეგობარი იყო. მერე, მხოლოდ ნოემას სიკვდილის მერე

გაირკვა, რომ, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი ხარბი გამომრჩენი გახლდათ, და ნოემას ბიძაშვილთან ერთად, მხოლოდ ნოემას ბინასა და ქონებაზელა ფიქრობდა. ეგ არც გვიკვირდა ვინმეს, თოლღაბ მენძორესკუ და ავარუმ ყურშუფისკუ, მამის ბიძაშვილი ნოემასი, უვლიდნენ მას და, ბუნებრივია, მისი ბინაც მათ დარჩებოდათ. მაგრამ ჩვენ კიდევ ერთხელ გაგვანადგურა იმის გაცნობიერებამ, რომ თურმე თოლღაბუ საჭმელს სათნოების სახლიდან უზიდავდა ნოემას და ატყუებდა, „ჩემს ბინაში გიმზადებ, ნოემა, აქ რომ არ შეგაწუხოს სუნმაო". სულ ცხლად მოჰქონდა ქვაბებით, რამდენიმეჯერ მეც შევსწრებივარ, „დიეტურებს ვუმზადებ, მთლად მარტივი საკეთებელი არაა, თან ძალიან წუნია გახდა ბოლო დროსო".

მერე, დიდი ხნის მერე უფრო დაგვწყდა გული მის მეგობრებს – ბინაზე არა, რა თქმა უნდა – წიგნებზე, მთელი ცხოვრება რომ აგროვებდა ნოემა. გულანშაროს ბიბლიოთეკაში შეგვეძლო მისი სახელობის ფონდის შექმნა, დარბაზის ან სამკითხველო ოთახის. გარდაცვალებისთანავე გაქრა წიგნები ბინიდან, თოლღაბუმ გვითხრა, ყველა კოხტად აწყვია ჩემთან და როგორც კი დავასაფლავებთ, იმწუთას მივხედავთო. ერთადერთი სიკეთე, რაც გააკეთეს, კი არადა, გამოუვიდათ გაკეთებული, ის იყო, რომ იონიხის წერილები გადაარჩინეს: როგორღაც უშიშროების ხელში აღმოჩნდა თავის პატარა ძველებურ ზარდახშაში ნოემას ხელით რუდუნებით ჩაწყობილი, სამასივე.

ცრემლი გადმოუგორდა პრეზიდენტსო, ჩიღაი ცხაპისკუს ენიდან ასხლტდა ამბავი. შეიძლება, ურსუსისკუს დავალებითვე. რას მიუხვდებოდი

პოლიტიკური პიარის მატრაკვეცა ლამის მამამთავრებს. ყოველ შემთხვევაში, მკვდარი იონიხის მიმართ მაინც გამოიჩინა ურსუსისკუმ მოწყალება (ან სჭირდებოდა ახალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ), ჯერ დიდრიხის ვრცელი წინასიტყვაობით, მთელი სამი თვე იბეჭდებოდა გულანშაროს გაზეთში იონიხის ნოემასადმი გაგზავნილი წერილები, შემდეგ კი ლამაზ ტომეულადაც გამოიცა, უკვე ორფას რედაქტორობით.

ნოემას საპასუხო წერილები კი ჯერ კიდევ მაშინ დაიწვა, როცა დოჟმა ბინა აუფეთქა იონიხს გულანშაროში. მაშინ იყო სწორედ, როგორც თვითონ ამბობდა, სიცოცხლის რისკის ფასად, კვარტუმმა რომ გააფრთხილა ნოემა, „მგონი, ამაღამ იონიხის ამობუგვას აპირებენო", ნოემამ კიდევ – იონიხი, დეკემბრის სუსხიან ჩაწკვარამებულ შუაღამეს, პალტოზე უზარმაზარ შარფმოხვეულმა ფეხით რომ გადასერა ლამის ნახევარი ქალაქი და ძლივს რომ გადაარჩინა საკუთარ ბინაში აფეთქებას. იონიხი დაჰყვა მაშინ ნოემას თხოვნას, თან იმ ერთადერთხელ დაელაპარაკა ნოემა მას იმ ავბედითი, გრაფინიას ღრმა რწმენით – უშიშროების მიერ უზნეოდ გავრცელებული ჭორების შემდეგ და როგორ ეტყოდა უარს. „ოღონდ შენ დამშვიდდი და ახლავე გადავალ ჟინპისტისთანო", უთხრა; თან იმედი აუკიაფდა თვალებში, იქნებ დავათბო ურთიერთობა თავიდანო, მაგრამ ამაოდ.

ნოემას ლექსების რვეულები კი სამუდამოდ გაუჩინარდა, მხოლოდ ის რამდენიმე ლექსი გადარჩა, რომელიც გრაფინიას გამოისობით ჩვენს საერთო კრებულში შევიდა. არადა, ავარუმი და თოლღაბუ გვარწმუნებდნენ, „გეფიცებით, ორმოცის გადახდამდე გამოვცემთ მის წიგნსო".

წიგნის გამოცემამდე, უფრო სწორად, ორმოცამდე კი ჯერ დასაკრძალი იყო ნოემა. ანდერძად დაგვიბარა, მამულეთში დამკრძალეთო, ყინულებიანი მწვერვალების კანტონში. რადგან იონიხის გვერდით, ორფეოსის ტაძარში, ამაო იყო ძალისხმევა – არ დაგვამარხვინებდნენ. ახალი საკრებულოს რამდენიმე წევრი, ჯერაც ახლები რომ იყვნენ და დოჟის შემდგომი გაეკონიება არ მოსდებოდათ ჯერაც მთელს სხეულში, და თანხაც რომ გამოყვეს დასაფლავებისთვის, სამარესაც კი მოიძევდნენ გულანშაროს ძველ სასაფლაოზე, მაგრამ მაინც მისი ანდერძის აღსრულება გადავწყვიტეთ. რამდენიმე პატარა მანქანითა და ერთი დიდი ავტობუსით დავიძარით ყინულიანი კანტონისკენ. წვიმა და მარტის სუსხი ძვალ-რბილში ატანდა, მთელი ზამთარი არ ყოფილა ასეთი საზიზღარი ამინდი. სოფელში მისი მშობლიური სახლის ეზოში დავასვენეთ მცირე ხნით, სახლში არ შეიძლებოდა შესვლა. ჩვენებურ ოდას ჰგავდა, დასავლეთ საქართველოში რომ ვიცით, ქვემოთ ქვა, მეორე სართული კი ხისა, მარსელის კრამიტით გადახურული. სახლის წინა მხარე ავად იყო გადახრილი. ქვის კიბის საფეხურებზე ძირმაგარი ბალახი ამოსულიყო. დროის ამბავი იყო ამ სახლის ჩაშვავება. უკანასკნელი ძროხა ჯერაც ერთი წლის წინ, მამის გარდაცვალების შემდეგ მისცა ნოემამ ავარუმს, მიმიხედე და თუ რამეს გამომიგზავნი, შენზე იყოსო. არც ამ სახლს და არც ეზოს ეტყობოდა, რომ მის გვერდით ამ სახლის პატრონის ბიძაშვილები ცხოვრობდნენ. მანქანით მხოლოდ ნახევარი კილომეტრი გავიარეთ, სასაფლაო სოფლის განაპირას, ტყის დასაწყისში, მაღალ სერზე იყო. რამდენიმე მასპინძელი, რომელთაც სანადირო ჩექ-

მები ეცვათ, რიგრიგობით შეუდგნენ მხრებით ყვითელ კუბოს. ჩვენ ვცდილობდით დავწეოდით, მაგრამ საშინელი აღმართი გზა წითელი თიხის მიწას ისე გადაეგლისა, სიარულს ძლივს ვახერხებდით. ნახევარსაათიანი წვალების შემდეგ მივაღწიეთ სასაფლაოს ტერაკოტისფრად ამოლუფხულებმა, ნოემას კუბოს უკვე ფარავდა მიწის ბელტები. გორაკის ჩრდილოეთ ფერდობის ძირში, ბოლო საფლავი იყო მისი. გულწრფელი ცრემლი ჰქონდა რინადორეს თვალებზე და მასზე უფრო გულწრფელი ხმით მითხრა: „განა ოდესმე ვინმე მოვახერხებთ აქ მის მონახულებას?"

წამოსვლა

თითქოსდა ხომ არაფერი მოასწავებდა აგვისტოში ომის დაწყებას საქართველოში, ჩემი გულანშაროელი მეგობრები მაინც განუწყვეტლივ მეკითხებოდნენ: რა ხდება, ორთა, შენს სამშობლოში, დაიწყო ომიო? მე ვეუბნებოდი: არა, ომის დაწყებას, ნამდვილ ომს, ათასეული კილომეტრებიდანაც ადვილად გავიგებ და შევიგრძნობ, ეს რაღაც სიყალბეა-მეთქი. სამწუხაროდ, ქართულ არხებს კარგად უჩვენებდა გულანშაროში, თუმცა რაღა ქართულს, „ბი-ბი-სი" და „სი-ენ-ენიც" საკმაოდ აშუქებდა იმ ავადსახსენებელ მოვლენებს.

7 აგვისტომდე მაინც არ მჯეროდა, რომ ომში ჩავერთვებოდით. შვიდში დილით კი ჩვენმა მეომართა კავშირის მეთაურმა დამირეკა; სულ სამი შტაბი იყო კუნძულზე, ჩვენი მეომრების, მათ შორის, ერთი – გულანშაროში. მეთაურიც იგივე იყო,

კოჭლი სიკო, სულით ხორცამდე დოჟდრილი თავის დროზე, ფინიასავით მისი ერთგული, ფეხთქვეშ რომ გაიგდეს ერთხელ დოჟის კარაბინერებმა, მეორე დღეს კი ბოდიში მოუხადეს, „ჩვენიანი ყოფილხარ შენო“ და ერთი ყუთი გულანშაროული ლუდი რომ დაუდგეს საავადმყოფოში, საწოლთან მიდგმულ პატარა კარადაზე, მიმოფანტული წამლების გვერდით. მაგრამ დოჟის გარდაპეტერბურგელობის წინა დღეს იგრძნო, ყნოსვა ჰქონდა მეძებარი ძაღლის და მიტინგზე შემოგვიერთდა, როგორღაც გაძვრა მიკროფონამდე, გამოართვა ღურა ფერის და მთელი ქართველი ვეტერანების სახელით არალეგალურ გულანშაროს თანადგომა გამოუცხადა. ასეთები ჰყავდა ბლომად უკვე გამარჯვებულ ღურა ფერისაც და ქლეს მერბიელისკუსაც. კუნძულის გიჟთვალება პრეზიდენტიც ასეთებს ეყრდნობოდა მთელ კუნძულზე, ამიტომაც დაამხო შემდეგ, წმინდა არჩევნებით, როგორც ელეაზარმა იწინასწარმეტყველა, სოროსის კორპორაციის ადგილობრივი ფილიალის მილიარდერმა კომერსანტმა სულხან მერკანტისკუმ და როგორც ტელეფონით მეუბნებოდნენ მეგობრები, ისიც უმეტესად სწორედ ასეთებს ეყრდნობოდა შემდეგ, კარგა ხნის შემდეგ.

მაგრამ ეს მერე იყო, მერე, როცა მე უკვე აღარ ვიყავი კუნძულზე, სიკომ კი ყურმილიდან ჩამძახა ომახიანად, „თუ წამოხვალ საქართველოში, ვეტერანები ვიკრიბებითო“. თითქოს მხოლოდღა მაშინ ვირწმუნე, რომ მართლა ომი დაიწყო საქართველოში. მართლაცდა საკრალური რამ ხდებოდა ჩემს თავს, შეუძლებლად ჩავთვალე, ამაში ზენაძალური არ ყოფილიყო რამე: ზუსტად სამი დღის წინ ავიღე ვეტერანის მოწმობა სიკოს ხელმონერით, რომე-

ლიც წინა დღეს ჩამოსულიყო ფოსტით თბილისი-
დან. მთელი თოთხმეტი წელი ვითრევდი ფეხს, სა-
ნამ საბუთებს მოვაწესრიგებდი. ბოლოს, როგორც
კი ინტერნეტითა და სკაიპით გახდა შესაძლებელი
საქართველოს იუსტიციის სახლთან დაკავშირე-
ბა და ვეტერანის წოდების მონიჭება, გავწირე თა-
ვი და, მართალია, მთელი ერთი თვე ვაკოწიწებდი
დოკუმენტებს, მაგრამ მაინც მოვაბი თავი. გადამ-
წყვეტი – ავტომატური იარაღის აფხაზეთში გა-
ცემული მოწმობა აღმოჩნდა, რომელსაც ასე რუ-
დუნებით ვინახავდი, და როგორც ვთქვი, სწორედ
სიკოს ხელრთვიანი ვეტერანის წიგნაკი მქონდა
აღებული ამ ზარამდე სამი დღით ადრე. არადა, ეს
ყოველივე არ იქნებოდა ასე საჭოჭმანო და თოთხ-
მეტი წლის წინათვე მექნებოდა ეგ სტატუსი, რომ
არა ჩემი ასმეთაურის უნიათობა, რომელმაც ოთხ
პიროვნებას – მაშინ პირველკურსელები ვიყავით
და მოხალისედ ჩავეწერეთ სკოლის ოთხი მეგობა-
რი აფხაზეთის ქართულ ჯარში – ჰოდა, ამ თამაზმა
არ მოგვცა სამხედრო ბილეთები, „თქვენ შეიძლება
გაიქცეთ და სად გდიოთო?!" და ჩაკეტა შტაბის სე-
იფში. გუმის ბოლო შტურმისას კი, ბუნებრივია, და-
ნარჩენებზე ადრე გაიქცა უკანმოუხედავად და რუს
მოიერიშეებს შეატოვა ჩვენი ბილეთებიც და მთელი
საომარი აღჭურვილობა-დოკუმენტაცია; ისიც ერ-
თ-ერთი იმათთაგანი იყო, რომელიც სახტად მტო-
ვებდა ამ დამპალი ომის შემდეგ რუსეთში თავისი
ყოფნით. სიმბოლური იყო სწორედაც სიკოს მობი-
ლურის ზარი, და მართლაც არ მეხატებოდა გულ-
ზე სიკოსთან ერთად წამოსვლა ამდენი ხნის უნახავ
სამშობლოში, და თანაც საომრად, მაგრამ მისთვის
უარის თქმაც ყოვლად შეუძლებელი იყო; მაშინ,

სულ მცირე, მის თვალწინ უნდა დამეხია ვეტერანის ეგ ჯერაც საღებავშეუშრობელი მოწმობა. „სად ვიკრიბებით-მეთქი?“ და დავიწყე მზადება. ჩავალაგე ერთი ზურგჩანთა, მერე ჟინპისტს დავურეკე და ვუთხარი, გასაღები ქეჩის ქვეშაა და თუ რამე, კი გამომიგზავნი ნივთებს-მეთქი. ორფეოსის მთავარ ტაძართან, ლეონიდასის მეშვიდე ჩიხში, იქ, სადაც მართლმადიდებლური დიდი ტაძრის ეზო იწყებოდა, გვქონდა ვეტერანებს პატარა ჯიხურივით ოფისი, სარიტუალო საწარმოს უკანა ეზოში. სამსახურში ყველას ნაჩქარევად დავემშვიდობე, მეგობრების უმეტესობამ ვერც გაიცნობიერა, რომ საქართველოში ვბრუნდებოდი; მუზეუმის დირექტორმა, მახამ, ერთკვირიანი შვებულების განცხადება დამაწერინა და გაატარა კანცელარიაში, გიჟთვალება პრეზიდენტის ტირანიაც ძალაში იყო უკვე შესული და ეშინოდა, ისიც არ იცოდა, ვის თანაუგრძნობდა პელაზგიის ხელისუფლება, ოფიციალურად კი დეკლარირებდა ევროატლანტიკურ ორიენტაციას, მაგრამ საქართველოსთან მაინცდამაინც ახლო მოკავშირული ურთიერთობა არ ჰქონდა, ისევე როგორც კვიპროსთან. თორმეტამდე ვეტერანმა მოვიყარეთ თავი სარიტუალო საწარმოს კუბოებაყუდებულ კედელთან. სამ მათგანსღა ვიცნობდი, სიკოს ჩათვლით. ხალისით გავიცანით ერთმანეთი და იმედით აღსავსენი ჩავსკუპდით „ფორდის“ ტიპის სამგზავრო ავტომანქანაში, ჩვენთან რომ „მარშრუტკას“ ვეძახით და დანარჩენ მსოფლიოში, ძირითადად, საქონლის სადისტრიბუციო საშუალებად რომაა ცნობილი. ომში რომ მივდიოდით, ეგ შეგრძნება მეც მაშინ მეწვია, როდესაც აფთიაქთან გავაჩერეთ და სამედიცინო რეზინები ვიყიდეთ, ჭრილობისას

კიდურებზე შემოსახვევად. ისევ იქ ვიყავით, ისევ ბრძოლის ის ხერხები ვიცოდით და ისევ ისე ჭრიდა ძველებური, მაგრამ უტყუარი მამაპაპური საშუალებები, უძველესი ომებიდან რომ მოგვდგამდა ალბათ.

იონიხის, გრაფინიასა და ნიმფას ხატება არ მცილდებოდა დედაქალაქში ჩასვლამდე, საიდანაც თვითმფრინავით მივდიოდით საქართველოში, პელაზგია-იერუსალიმი-ერბილი-ბათუმის რეისით, ბრიტანული ავიახაზების ბოინგით. გასაცილებლად ჟინპისტი მოვიდა, აუდიტუსი ნატოს შტაბბინაში იყო, პელაზგიის დელეგაციასთან ერთად (თითქოს იონიხის სულს უხდიდა ბოდიშს ურსუსისკუ მისი დელეგაციაში შეყვანით), დიდრიხი სოფლიდან ვერც ჩამომისწრებდა და არც დამირეკავს; ესპანეთში, კონფერენციაზე გაუჩინარებული რინადორე კი აბა, როგორ გამაცილებდა?! მართალია, მან, სავარაუდოდ, კი იცოდა, რომ საბოოლოოდ დაგვაშორა მაშინ მის მიერ კარის მოჯახუნებამ, მაგრამ მე ჯერაც არ მქონდა გაცნობიერებული და ამიტომაც ვფიქრობდი, კარგიც კია, რომ აქ არაა, თორემ უფრო გამიჭირდებოდა თუნდაც დროებით განშორება-მეთქი. მოწყენილი კი იყო ჟინპისტი, მაგრამ მასაც სჯეროდა, რომ ეს გამარჯვების ომში წასვლა იყო. კი იმარჯვებდა ჰერმესი გულანშაროში, მაგრამ საქართველოსგან განსხვავებით, მაშინ პელაზგიას მაპი მისცეს და ეგ მაინც გვიხაროდა ყოფილ არალეგალურ გულანშაროელებსაც და მეც. „პელაზგიის შესვლა ნატოში, ჩათვალე, საქართველოს მიღების წინაპირობაა“, მითხრა მაშინ აუდიტუსმა.

ის-ის იყო, მივიხურეთ მანქანის კარი. იმავე წამს დამეუფლა განცდა, რომ ეს თოთხმეტი წელი და

შვიდი თვე თითქოს არ გასულა თუ არც ყოფილა, რადგანაც სწორედ იმწამს ტაძრის სამრეკლოდან გაისმა ზარების რეკვა, ზუსტად ისეთი, აღვსების დღეს რომ ვიცით ჩვენთან, ყველაზე კარგი მოსასმენი რომაა. წამისად აჰყვა მას მუეძინის გამჭოლი, მაგრამ შორიდან, სანაპიროდან მეგაფონის პირს აღმომსკდარი ხმა, ორფეოსის ტაძრიდან კი – ადგილობრივი ქოროს მიერ მართლაცდა ლამაზად თანაშეწყობილი ჰიმნის ჰანგები, ევრიდიკესადმი მიძღვნილი ოდა. ოღონდ გულანშაროელი კომპოზიტორის მიერ ოდნავ შეცვლილი, შეცვლილი რა, ელეაზარის ცნობილი სონეტის ბოლო ნაწილი იყო ტექსტს დამატებული, თორემ როდოპიის სანახებში კუს ბაკნისაგან შეკოწიწებულ ლირაზე აჟღერებული მუსიკა როგორი იყო ათასწლეულების წინ, აბა, ვინ უწყის? კომპოზიტორმა რაღაც ძველბაკხურ მოტივებზე დაყრდნობით შექმნა ახალი. გასაოცარი იყო, რომ სამივე ლოცვა თუ გალობა აშკარად და გამოწვლილვით ისმოდა, თითქოს არაფრით ერეოდნენ ჰანგები ერთმანეთს. პირჯვარი გარდავისახე, როგორც ყველა მომავალმა თანამებრძოლმა, და მწარედ გავიფიქრე, ღმერთებიც პაექრობენ-მეთქი.

2019 წლის 28 ივნისი

სარჩევი

კამარა პირველი

ჩამოსვლა 9
მერყოფილი დოუი 15
დანიელი და სერაფიტა 16
ლეგალური და არალეგალური გულანშარო 18
მაურა სერვიეტასკუ 22
ჰერმესის ქანდაკება 25
ალმა ნოვერკა 27
სოხუმელი სერაფიტა 33
ძაღლის გვამი 34
გრაფინია 36
დიონისოს ტირილი 39
„მულღაზანზაროს“ მცხოვრებნი 40
ქალბატონი ასპასია 45
„სპილია“ 46
ნიმფას სხვა არსი 55
ნოემას სალონი 58
ბერძენას იდეა 67
სამკვიდრო 70
გასეირნება ზღვისპირას 74
პრუდენტია მენცარიხი 78
ნოემას სალონი 95
ფეკალური სტიქია და კვარტუმის დანიშვნა 98
იონიხი 105
ბოეთიუსი და ავგუსტუსი 110
გულანშაროს წიგნადი ფონდი 119
ავანგარდისტების გამოფენა 121
მეხუთე სტიქია 126

ბელენი და ორმო 128
ნიმფა და ტახტი 132
ბარონი მადერახი და წვიმა 134
ახალი ეროვნული მოძრაობა 137
მემკვიდრეობა 143
დოუის საცხოვრისი 148
პრუდენტია ნოემას სალონში 151
მასმა ოფელისკუ 156
ტრისტიტია ტორჩიხი 162
ირორესკუს ზმანება 167
რინადორე 170
პრეზიდენტის მემკვიდრე 175
ობელისკი და საძმო საფლავი 176
ვნება 185
ტბის დაშრობა 190
ჟინპისტი და მენუა 199
სამაგიერო 205
ცირცელი 213

კამარა მეორე

გამოღვიძება 216
ცდუნება 234
„ოლიმპია მონიკა“ 236
მეცამეტე ჟამის მევენახეები 241
იონიხი ჟინპისტთან 247
მობორიალენი 251
საჰაერო ბურთები 257
ორფა 261
დოუდრილები 264
გაბრძოლება 272
ცანცარი 274
თვითგანადგურების ზღვართან 278

კამარა მესამე

მარგალიტები 294
ირორესკუ 297
სურვილები 300
მარადიული აღმართი 302
აღებ-მიცემობა 307
ნოემა 313
იონიხის აღსასრული 316
გაუნელებელი ბოღმა 323
მაინც ელეაზარი 332
ნოემას გარდაცვალება 337
წამოსვლა 342